ჯაბა
იოსელიანი

პიესები

საქართველოს თეატრალური
საზოგადოება
თბილისი 1987

© საქართველოს თეატრალური
საზოგადოება

ეთერიანი

ტრაგედია-ზღაპარი ერრ მოქმედებად

მოქმედი პირნი.

ფთერი.
აბესალომი.
მურმანი.
ბერიკა გაბუხადია.
დიდი ვეზირი.
დევდარ-ვეზირი.
ქოსა-ვეზირი.
შუქურნა-როსკიპი.
მასხარა.
ბერიკა-ბიკი.
ნაკუდა-ბეკ.
მკურნალი.
ქადაგი (მეენე).
გლეხისქალი.
შავებში ჩაცმული მოცეკვავე მამაკაცი.
თეთრებში ჩაცმული მოცეკვავე მამაკაცი.
მოცეკვავე ქალი.
I. ლტოლვილი.
II ლტოლვილი
ბეკ.

ბერიკები, რომლებიც ასრულებენ გლეხების როლს ინტერმედიებში, ჯალათუბი, დიდებულები, ლტოლვილები და სხვანი.

პირველი მოქმედება

დარბაზში სინათლე ქრება. ფარდის წინ მარცხენა მხარეს მოჩანს მესტვირე, მარჯვნივ — მეჩონგურეა

მ ე ს ტ ვ ი რ ე (სტვირისა და ჩონგურის ხმაზე).

ჩავლა უნდა ჩაუვალსა, ჩანაყეფსა
ყორნისასა,
ქვებსა ციხით გადმოჰყრიან
ნამტვრევებსა ლოდისასა.

მ ე ჩ ო ნ გ უ რ ე (სტვირისა და ჩონგურის ხმაზე).

ზეცას რო ოქროს ყანა დგას,
ბრინჯაოს ადგა ნათელი,
ქარით უბრუნავს წისქვილი,
მესაფქვავედ ჰყავ ეთერი...

ეთერი ეთერიანი
დედოფალია მზიანი,
იცის ქვრივ-ობლის გაკითხვა,
ქალია კეთილდღიანი.

ნარინჯისფრად განათებულ სცენაზე მოჩანს ბამბის სასახლე. სასახლის წინ ხეზე დიდ ბუდეში სხედან ორბი და ეთერი. ქვემოთ, ორკესტრში, შემოდის მოხუცი პიანისტი გაქუცულ პალტოსა, ჭრელ გაცვეთილ კაშნესა და გახუნებულ შლაპაში, იწყებს დაკვრას.

ავანსცენაზე ვადამდე ჩარჭობილია მურმანის ხმალი, რომელიც უცვლელად არის ყველა სურათსა, ინტერმედიასა და ფინალში.

სცენაზე ტრიალით შემოიჭრება ეშმაკი, რქიანი ნიღაბი კეფაზე მოუდვია, სახეზე ლამაზი ახალგაზრდაა. ცეკვით უახლოვდება ეთერს, რომელიც ჩამოსულა ხიდან; ორბი აღარ ჩანს, გთერი ნელ-ნელა მიიწევს ეშმაკისაკენ, ისიც ცხოველი ჟესტებით და მიხრა-მოხრით იტყუებს თავისკენ, ბოლოს ხელს მოხვევს, ნიღაბი სახე-

ზე მოექცევა და ახლა ეთერი ნათლად ხედავს, რომ იგი ეშმაკი-ა იწყება ჭიდილი. ეთერს გრძელი, შავი თმა გასწეწია. მუსიკის საგან გაშო ჰანგები; ეშმაკი შეკრთა, მოჩანს საპყარი, ღედაბერი, ეშმაკ-ს გარბის. ეთერი ეშველება დედაბერს სიარულში, ხელმოხვეული მიდიან. ეც�es დედაბერი შედგება და ჯოხით, რომელზეც ეყრდ-ნობოდა, მიუთითებს ეთერს პატარა შავ ნაკადულზე, რომელიც იქვე ჩამოჩქეფს. ეთერი ნაკადულში ხელს ჩაყოფს, დედაბერი უარის ნიშნად ჯოხს ზემოთ აღმართავს. ნაკადული ოქროსფრად იცელება. მაშინ დედაბერი ანიშნებს ეთერს—თავი ჩაყავიო და გადის; ეთერი თავს ყოფს ნაკადულში და მისი შავი თმა ოქროსფრად ელვებება. თმის ვარცხნით მიადგება ორ ვარდს, რომელიც ერთმა-ნეთისკენ გადახრილა, შუაში კი ეკალია, ეთერი ეკალს ამოგლეჯს, მაგრამ ეკალს ვარდებიც ამოყვება, თურმე ეკალი ვარდის ტანი და ძირი ყოფილა. იგი ჩაფიქრებული დასცქერის ეკლიან ვარდებს. სინათლე ქრება.

ერთი მხრიდან გამოდის ეთერი. მას კოკა შეუდგამს მხარზე. მოპირდაპირე მხრიდან ნელა მოდის მურმანი; შეამჩნიეს ერთმა-ნეთი, ოდნავ შეუნელეს სვლას, ჩაიარეს უსიტყვოდ. მურმანმა მიხედა ეთერს და ისევ თავჩაქინდრული გაუყვა გზას. ეთერმა სცენიდან გასვლის წინ მოუხედა მურმანს, რომელიც უკვე აღარ ჩანს. ეთერი გადის. ერთდროულად იყვე საწინააღმდეგო მხარე-ებიდან შემოდიან ეთერი და აბესალომი. ეთერი — პატარა კა-ლათით ხელში. აბესალომი მურმანისაგან (ტანსაცმელში რაღაც შესამჩნევი დეტალის გარდა ძვირფასი ქუდი ახურავს ან ახალი ქულაჯა აცვია). არაფრით განსხვავდება. წინა გამოსვლასთან შედარებით უფრო სწრაფად მოძრაობენ, შუა სცენაზე აბესალომი თითქოს გადაეღობა ეთერს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ქალო, რა გქვია?
ე თ ე რ ი. ეთერი.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ქალო, ვინა ხარ?
ე თ ე რ ი. ეთერი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ბინად რა გიდევს?
ე თ ე რ ი. ეს ხევი.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჭერად რა გფარავს?
ე თ ე რ ი. ეს მთები.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა აფრქვევს ოქროს?
ე თ ე რ ი. ეს თმები.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თავს რეტს რა მასხამს?
ე თ ე რ ი. თვალები.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. როცა იცინი, მე ვდნები.
ე თ ე რ ი. მაშინ გავწყრები.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მოვკვდები. (ხელს სტაცებს).
ე თ ე რ ი. აბესალომ, ბესიაო, რა ხუმრობის
წესიაო,
შენ — ბატონი მეფის შვილი,
მე — ობოლი გლეხის შვილი,
არ შეგფერის სიტყვა ტყუილი.
ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ეთერო, შენს მოღალატეს
ხიდი წყალში ჩაუტყდება,
ცხენსა და გაჭენებულსა
ავშარაცა შეუწყდება,
მტრისთვის გაქნეული ხმალი
ვადაზედ გადაუტყდება.
სადაც მცივანი მივიდე,
იქაც ცეცხლი გამიქრება,
სადაც მწყურვალი მივიდე,
ზღვა რომ იყოს, დამიშრება.
შვიდი წლის გზასა მავალსა
საგზალიც დამავიწყდება,
მუხლებზე ნადები თოფი
უბეში დამიბრუნდება.

სინათლე ქრება.

დაუზუსტებელი გარემო, ხეები, მთის ფერდობი, ველი თუ მინდვრის გზა. მოჩანს „ბებრის ციხის“ ნანგრევები.

ისმის ხმა. ეთერ ქალო, ეთერ ქალო!
ექო. ქალო, ალო ალო...
ხმა. ეთერ ქალო, ქვეყნის თვალო!
ექო. ეთერ ქალო, ქვეყნის თვალო,
თვალო, ალო...
ხმა. გაგვიხსენ ქარი
ექო. არი... არი... არი...

ციხის ქარი ხმაურით იღება, სინათლე მატულობს. აშკარად მოჩანს „ბებრის ციხის“ ნანგრევები.

შავებში ჩაცმული ლტოლვილნი, რომელნიც გაურბიან ჭირის ეპიდემიას. ოჯახებად, ჯგუფად დაყოფილი, აყრილი ხალხი ნელა ჩაიელის. ერთი ჯგუფის გასვლის შემდეგ იქვე შემოდის მეორე, სხვა კონფიგურაციის ჯგუფი, არიან ბავშვებიც. ერთ მხარეს, წინ მაყურებლისაკენ, ზის ბერიკა — ბაბუხადია, ტყავკაბის და ნიღბის შეკეთებით გართული.

პირველი ლტოლვილი. ხატისაგანა ვართ დაჭიზეზებული, ხატისაგან. დღეს მეჯინიბეებმა წყალზე ცხენები მოიყვანეს. არც ერთმა პირი არ გააკარა, არც ერთმა არ დალია წყალი.

მეორე ლტოლვილი. ხუცესისთვის უნდა დაეძახათ და შეელოცათ.

პირველი ლტოლვილი. ჭირს შელოცვა არ შველის, არა!

ბაბუხადია. რას აყრილხართ და მიგიტოვებიათ სახლ-კარი. ეგ გიშველით? სად მიდიხართ? ყველა ციხის კარი ჩაკეტილია, მალე ალბათ აქაც გამოჩნდება დიდვეზირის ხალხი.

პირველი ლტოლვილი. ეჰ, ჩემო ბაბუხა-

დია, შენ რა გენაღვლება, აგერ ტყავ-კაბებს და ნიღბებს აკეთებ. ბერიკაობასა და მაიმუნობაში ატარებ დროს. სახლი შენ არ გაქვს და კარი, სარჩენი არავინა გყავს და საზრდელი.

მეორე ჯგუფს გამოეყო ორი დედაკაცი.

I დ ე დ ა კ ა ც ი (იძახის). ეთერ ქალო! (შემოდის ეთერი).

II დ ე დ ა კ ა ც ი. ეთერ ქალო! გეიშველე, სად ხარ? ბალღი გვიკვდება, ეთერ ქალო, პაწაწკინტელა, გაფიცებ ღმერთებს, გვიშველე რაღმე. ციებ-ცხელება არ უწყდება, დავიღუპეთ, ჭირი აქვს მგონი.

შემორბის III დედაკაცი.

III დ ე დ ა კ ა ც ი. ჯერ ჩემთან წამო, ცხენით წაგიყვან და ცხენითვე მიგაცილებ, სადაც გენებოს.

ე თ ე რ ი. ფეხითაც შევძლებ, მხოლოდ ჯერი ამ დედისაა, ხომ გაიგე, ავად ჰყოლია სულ ჩვილი ბავშვი.

III დ ე დ ა კ ა ც ი. ჩემს ავადმყოფს ჭირი არა აქვს, აციებს მხოლოდ და ალბათ ბევრი არაფერი დასჭირდებოდა. . .

ე თ ე რ ი. მით უმეტეს, მოითმინე, თქვენც მოგხედავთ, თუ რამეს შევძლებ. ამ ბილიკით ახვალთ ზემოთ, ჩემს დედობილთან, მეც მალე მოვალ, დასაჭრელად ვეძებ ბალახებს.

ეთერი გადის. დედაკაცებიც გადიან. შემოდის კვლავ ერთი ჯგუფი, უცებ ამ ჯგუფში ჩოჩქოლი შეიქნა.

ე რ თ-ე რ თ ი ქ ა ლ ი (ჩააფრინდა შუქურნას თმაში), შე კახპა, შე უნამუსო, არ გეყო, ქმარი შემიცდინე, ახლა ამ ბალღსაც მოსდექი.

შ უ ქ უ რ ნ ა. ვის რად უნდა შენი ცვედანი ქმარი, შე ყვავო, შე ჭინკა!...

რამდენიმე ქალი და ჯოხიანი კაციც ურტყამენ გამეტებით შუქურნას. ბაბუხადია წამოხტა და აშველებს.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. რას ერჩით, ხალხო, რატომ კლავთ შუქურნას, რა გინდათ ამ საცოდავისაგან, შენ მაინც გაჩერდი, არა გრცხვენია, ქალს როგორ სცემ?!

ჯ ო ხ ი ა ნ ი მ ა მ ა კ ა ც ი. ეს ქალია რო? მე ამათი მამასახლისი ვარ, რამდენიმეჯერ დავითხოვე, ჩვენ არემარეს არ გაეკარო–მეთქი, კიდევ მოვიდა... უუ... შე...

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. თავი დაანებეთ, რა გინდათ, ჩვენს საროსკიპოში ეგ ყველაზე პატიოსანი ბოზია. მოდი, აქ მოდი, შუქურნა, (ჯოხიან მამაკაცს). წადით, გაიარეთ, თორემ მალე ციხის კარებს დაკეტავენ. (შუქურნას). შენც რას დაწანწალებ აქეთ-იქით, ხომ ხედავ, სასიკვდილოდ გიმეტებენ.

შ უ ქ ურ ნ ა. ეგ საფრთხობელა წინათ თავად დამდევდა, უარი ვუთხარი და ახლა ვითომ წესრიგს იცავს. ჯავრი იყარა.

შემოდის ეთერი.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ეთერ ქალო, ამ გოგოს თავი გაუტეხეს, მოუარე, ცოდოა...

ე თ ე რ ი (უსინჯავს ჭრილობას) ასე უმოწყალოდ როგორ დაგარტყეს?

შ უ ქ ურ ნ ა. ჩემი ბრალია, მაგათი მეზობელი მომეწონა და გავეთამაშე!

ე თ ე რ ი. მერე ეს არის დანაშაული?

შ უ ქ ურ ნ ა. რად მინდოდა ის შტერი ღლაპი?

ე თ ე რ ი. ხომ მოგეწონა?

შ უ ქ ურ ნ ა. მოწონება რას მიქვია, რის მაქნისია. საფრთხობელასთვის დამეგდო ყური, აჯობებდა, თავისუფლად ვიპარპაშებდი მაშინ სოფელში.

ე თ ე რ ი. მე დავინახე, ბიჭი გიცავდა...

შ უ ქ ურ ნ ა. მაგით უფრო გაამწარა და მეც მეტი მომხვდა.

ე თ ე რ ი. წავიდეთ, ზემოთ, დედობილი მალამოს მოგცემს. (გადიან).

შემოდის მურმანი.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. (წამოდგა). მოგესალმები, აბესალომ ბატონიშვილო!

მ უ რ მ ა ნ ი. მე მურმანი ვარ.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა ღმერთებს ვფიცავ, შენს ტყუპ ძმაში ვერვინ გაგარჩევს. გეტყობა, ვერ მიგიგნია უკვდავების წყლისთვის.

მ უ რ მ ა ნ ი. უკვდავებას შენ რას უწოდებ?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. როცა ხალხი საუკუნოდ არ დაგივიწყებს.

მ უ რ მ ა ნ ი. სიკვდილის შემდეგ რომ გაგიხსენონ, ძნელი არ არის, უნდა დატანჯო და მოკლა მრავალი კაცი.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ეგ უკვდავება მკვდარი სახით წარმოგვიდგება.

მ უ რ მ ა ნ ი. განა იცი სხვა რამ საშველი?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ღმერთებთან შეყრა.

მ უ რ მ ა ნ ი. რა არის ღმერთი? ვინ დაგვაჯერებს მის არსებობაში?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ჩვენივე თავი...

მ უ რ მ ა ნ ი. ვინ უკუაგდებს ტანჯვა-წვალებას, ავადმყოფობას, სიბერეს, სიკვდილს, ამაოებას.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ადამიანი.

მ უ რ მ ა ნ ი. დიდი ვეზირიც ხომ მამაჩემს ცოცხლად ასაღებს, აკი თქვენც გჯერათ...

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. უნეტარესი ჩვენი ხელმწიფე, მაგრამ თქვენი აღარ არის ცოცხალი?

მ უ რ მ ა ნ ი. დიდი ხანია.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ბატონიშვილო, რა დაგიმალო, დიდ-

მაეზირმა შენ დაბრუნებას თუ მოკრა ყური, არც შენ დაგინდობს.

მ უ რ მ ა ნ ი. რაც უნდა, ის ქნას.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. და არა გსურს იძიო შური?

მ უ რ მ ა ნ ი. მამაჩემი სიბერით მოკვდა. გარდა ამისა, შურისძიებას რომ აჰყვეს კაცი, წუთისოფელში მეტი საქმე აღარ დარჩება.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. მაშ რას აპირებ?

მ უ რ მ ა ნ ი. სულ არაფერს... წყალი მწყურია.

ისმის საყვირის ხმა.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. სასახლის კაცთა საყვირია. გაიხადე ეგ ტანსაცმელი, ბატონიშვილო, აქ ჯალათები მოვლენ ახლა ციხის გადასაკეტად. გთხოვ, დამიჯერო, გაეცალე აქაურობას, ტყუილ-უბრალოდ შეეწირები.

ლტოლვილების ერთი ჯგუფი ორად გაიყო. ზოგი უკან ბრუნდება, ზოგიც წინ გარბის. შემოდიან ჯალათები. ციხის კარი ხმაურით იკეტება.

ფ ა რ დ ა.

სატახტო დარბაზი

საყვირების ხმაზე შემოდის დიდი ვეზირი. სცენა წარმოადგენს ამფითეატრის ერთ რიგს, წინ სამეფო ტახტია. ამფითეატრში სხედან დევდარ-ვეზირი, ქოსა-ვეზირი, ნაკუდა-ბეგი და სხვა ბეგნი,

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. შესაძლოა, თქვენში ვინმე ელოდება მეფის გამოსვლას?

ნ ა კ უ დ ა. დიახ. დიდო ვეზირო, იმედი გვქონდა.., გვქონდა...

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. ადექი. ფეხზე! ეს ძირნაყარა ხალხი სად მონახეთ ამ ჩვენს საბჭოსთვის? რა გქვია შენა?

ნ ა კ უ დ ა. ნაკუდა!.. (პაუზა). რა ვთქვი ისეთი? იქნებ დღეს მაინც ინებოს და გამოვიდეს ჩვენი ხელმწიფე, იქნებ დღეს მაინც გვითხრას-მეთქი, თუ რა ვიღონოთ, სოფლებიდან ხალხი იყრება.

ყ ვ ე ლ ა ნ ი. სუ, სუ, ჩუმად!

ქ ო ს ა. დიდმა ვეზირმა თვით უკეთ იცის... არ გაგიგია, რას ამბობენ ჩვენი ხუცესნი? დაისის ჟამს მზის მაგიერ მთები ანათებს აქაურობას.

ნ ა კ უ დ ა. და თუ მზეა ჩასვენებული?

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. გაჩუმდი-მეთქი, როცა გეუბნებიან, კრინტი არ დასძრა. დიდი ვეზირი მეფის ნებას ასრულებს მხოლოდ.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. მაშ, ასე, ბჭენო, ზოგსა ჰგონია, რომ ჩვენი მეფე აღარ არის უკვე ცოცხალი და შესაძლოა, იმასაც ფიქრობთ, იგი მე მოვკალ?

ყ ვ ე ლ ა. არა და არა, ვფიცავთ კვირიკეს.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. დაე, ასე იყოს. ახლა მისმინეთ. მეფე ღვთისა და ღვთის შვილთაგან მოვლენილია ამ ქვეყანაზე. ამიტომ მეფის ნება ღვთის ნება არის. ჭირი არ არის, ბრძანა მეფემ და სოფლის სენი თვითვე გაქრება, მკბენარაკი სასახლემდე ვერ ამოაღწევს. არ არის ტილი, არ არის ჭირი—დაიმახსოვრეთ. რაწამს სიმართლე გამოითქმება, მყისვე სიცრუედ გადაიქცევა. ნაკუდა ჩემო, შენ მგონი ეს ვერ გაგიგია?!

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი (გამოჰყავს ნაკუდა). დიდმა ვეზირმა ორი მცნება გამოაცხადა: „არ არის ტილი, არ არის ჭირი“. ჩვენ როგორც ვიცით, ჩვენი მეფე ღვთის არის შვილი. დიდი ვეზირის სახით კი ღაღადებს ღვთისშვილთა ნება. ყოველი სიტყვა ციურია, სამუდამქვეყნო, სამუდამქვეყნო და ციური ვარსკვლავებია. და რახან სიტყვაც დიდ-ვეზირის ციური არის, მაშასადამე, ტილიც

არის ვარსკვლავი ცისა: მაშ, რაღას ნიშნავს ეს გამოთქმა „არ არს ტილიო“? რახან ვარსკვლავი არის ტილი, მისი ვაქრობა ხდება ხოლმე ვარსკვლავთცვენის დროს, ხომ გინახია? ჰოდა, ვარსკვლავი ჩამოვარდნილა.

ნ ა კ უ დ ა. ესე იგი მომკვდარა მეფე.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. ჩუ... რეებს როშავ!

ნ ა კ უ დ ა. არა, მე მხოლოდ... მინდოდა მეთქვა...

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. ჩუ... რეებს როშავ!

ნ ა კ უ დ ა. არა, მე მხოლოდ მინდოდა მეთქვა...

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. ჰა, ჰა, (წაიწევს მუშტებით).

ნ ა კ უ დ ა. რახან ჩამოვარდნილა...

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი! ჰა, ჰა-მეთქი, (წაიწევს მუშტებით),

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი (ნაკუდას). დიდმა ვეზირმა ორი მცნება გამოაცხადა, დაუგდე ყური მეორე მცნებას: „არ არის ჭირი“. ასე ბრძანა უბრწყინვალესად და რადგანაც ვარსკვლავთცვენა, ჩვენ როგორც ვიცით, ჭირია დიდი, მაშასადამე არ ყოფილა ეს ვარსკვლავთცვენა.

ნ ა კ უ დ ა. ესე იგი... არ...

ქ ო ს ა. ჰა, მორჩი, მორჩი მეთქი, შენ ვერ გაიგებ.

ნ ა კ უ დ ა. მე... თუ... ვერ...

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. ჰა, არ წამოგცდეს, გესმის?

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. გაიგე?

ნ ა კ უ დ ა. მე უმეცარს კი მეგონა, რომ ტილი ტილი იყო და ჭირი — ჭირი.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი (ნაკუდას). თუ მოახერხებ ხმლის ამოძრობას, გჩუქნი სიცოცხლეს, შენს მეზობელსაც ვაპატიებ მე მაგ სიჩუმეს.

II ბ ჭ ე. დიდო ვეზირო, ვისაც თავი აქვს გატეხილი, ქვაც მასა ხვდება. რატომ შეგძულდი აგრერიგად, რას მემართლები. ტყუილუბრალოდ მამა მომიკალ.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. რაც მეტს გიმუხთლებ, უფრო

მეტად შემზარდები. აბა ჯალათო, წაიყვანე, გაერკვნენ უკვე.

ნ ა კ უ დ ა, ხომ დამრთეთ ნება, ჩემი ძალა გამომეცადა?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. მურმანის ხმალს მურმანის მეტი ვერავინ დასძალავს.

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. და ეს იქნება თავაზიანი.

ნაკუდა და II ბეჭე გაჩყავთ. კულისებიდან ისმის მათი ყვირილი.

III ბ ჭ ე (წამოხტება და ხელებს ასწევს ღაღადით). დამნაშავე ვართ, დიდო ვეზირო, დამნაშავე ვართ.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. მერე თქვი — რაში!

III ბ ჭ ე. ყველაფერში, დიდო, ვეზირო, შენ შეგვიწყალე! (მუხლებზე დაეცემა).

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. და მაინც, რაში, გვითხარი მალე!

III ბ ჭ ე. ვართ, ვართ, ყველაფერში, ჩვენ — ყველაფერში,

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი (ზიზღით). წადი, დაჯექი!

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. და ეს იქნება თავაზიანი.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. თავს ნუ ისაწყლებ, არა ხარ, გითხრეს!

III ბ ჭ ე. როგორ თუ არა.

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. არა ხარ, არა!

III ბ ჭ ე. ვარ, ვარ, დამნაშავე ვარ. (ლუღლუღით, თითქოს დაწყნარდა).

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. არა ხარ, არა, მიდი, დამშვიდდი

III ბ ჭ ე. (ისევ ღაღადით). დიდო ვეზირო, არ დაუჯერო, დამნაშავე ვარ...

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. ჰო, ეს კარგია, რახანა გრძნობ შენს თავს ასეთად. ახლა მასხარას დაუძახეთ, ჩვენს კარგ მასხარას.

შემოდის მასხარა.

მ ა ს ხ ა რ ა. დარბაისელნო, ამ ხელმანდილს მე ჰაერში შევათამაშებ, შემდეგ ხელს ვუშვებ და სანამ დავარდება, ჩვენ ყველამ უნდა გავიციინოთ. აბა, (ისვრის ხელმანდილს). ხა-ხა-ხა! (ყველა იცინის). აბა, კიდევ ერთხელ.

ყველაფერი მეორდება

ბ ჭ ე ე ბ ი (ითხოვენ სკანდირებით), ხანდრაცია, ხანდრაცია! ხან-დრა-ცია!

მ ა ს ხ ა რ ა. ყველაზე სასაცილო სიტყვაა ხანდრაცია. ხა-ხა-ხა-ხა; (ყველანი იცინიან), ხანდრაცია ყველაზე სასაცილო სიტყვაა, ხა-ხა-ხა. (ყველანი იცინიან), სიტყვა ხანდრაცია ყველაზე სასაცილოა.

ხა-ხა-ხა.

ყველა ერთბაშად ჩუმდება.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. მივხედოთ საქმეს. ჩვენს უფალ მეფეს სურს გაუწყოთ, რომ ტყუპი შვილნი, ძენი მისნი — მურმანი და აბესალომი, მემკვიდრეებად აღარ შევრაცხოთ, ტახტს მოვაცილოთ. მოგეხსენებათ, მურმანმა თვით უარჰყო სამეფო ჩვენი და უკვდავების წყლის საძიებლად არის წასული.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. წარმოიდგინეთ, დარბაისელნო, მურმანმა გამგზავრების წინ საოცარი აზრი წარმოთქვა: უბედურების ნაფოტებზე ბედნიერებას ვერ ააგებო. ვის გულისხმობდა? განა შემეძლო, ეს არ მეთქვა დიდ-ვეზირისთვის? წარმოიდგინეთ, დარბაისელნო, საშინლად გაწყრა უფლისწული და უკმეხი სიტყვაც კი მკადრა მე, მის მოძღვარს, მის დამრიგებელს.

ქ ო ს ა. ჭეშმარიტად, ეგ მთლად ვერ იყო თავაზიანი.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. ამგვარ აზრებით მურმანი უკვდავების წყალს ვერსად მიაგნებს.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. იქნებ გგონიათ, უფლისწულთა უდარდელობა მე არ მახარებს. შენ რას იტყვი, ქოსა-ვეზირო?

ქ ო ს ა. ეს იქნებოდა თავაზიანი...

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. შენ რაღას იტყვი, დევდარ-ვეზირო?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. მე მომიტევებს დიდი ვეზირი. არამც და არამც თქვენ არ გახარებთ დაუდევარი ეს საქციელი. სამი წელია, რაც მურმანი გადაიხვეწა ჩვენს სამეფოდან...

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. დღეს, სამწუხაროდ, მოწმენი გავხდით კიდევ ერთი უდარდელობის. ხომ არ ჰგონია აბესალომს, ამ წმიდა ტახტზე გლეხის გომბიოს წამოვასკუპებთ ჭუპრა-დედოფლად?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. არამც და არამც, ვიმეორებ, ეს არ გახარებთ, ეს არ გახარებთ, ვფიცავ კვირიკეს.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. დაე, ასე იყოს. ახლა კი აბესალომს შევეკითხოთ, რა გადაწყვიტა. (შემოდის აბესალომი). უფლისწულო, დიდ მეფეს და ბევრებს სურთ იცოდნენ, მართლა აპირებ შენ ეთერთან დაქორწინებას?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მამაჩემს არ შევხვედრივარ კარგა ხანია და თუ კვლავ არ სურს მას ჩემი ნახვა, გთხოვთ, მოახსენოთ: ოღონდ ეთერი მე დამთანხმდეს, დღესვე შევირთავ, მწირად ვიქცევი.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. უფლისწულო, ქალი ეთერი გაუტეხელი მეხ-დედაკაცის შვილობილია.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ბებრის ციხეში მოღვაწეობს ივი ამჟამად, სნეულთ მკურნალობს, გაუხილავად ქალაქისკენ არავის უშვებს.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. ხალხი თავისთავს თვითონ მოუვლის, ის დედაბერი ჭინკა არის, ეთერი კი — უბრალო გლეხი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არა მგონია, ავი სულები უბრალო ქალით დაინტერესდნენ. ქალი ეთერი, მისი ელფერი ამომავალ მზეს ეცილება, სულნი ავლები, მუქი თვალები

ირეკლავენ ვარსკვლავთა კიაფს და სათნოება მთვარის ბილიკად ეგება ზღვაზე, კლდეები სალი, ქალღმერთი. დალი ჯიხვთა სამეფოს ელოლიება; ჩემი სიზმრები, ოქროსფერი თმა მიხმობს, მეძახის, ცეცხლად მედება და, თუ შემომწყრა ქალი ეთერი, ცა დასერილი ჩამოწვება ელვის ძარღვებად.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. მაშ ამოიღე ეგ შენი ხმალი და აქ, შენი ძმის მურმანის ხმლის გვერდით ჩაასე. (აბესალომი ასეც იქცევა).

ზეგრის ციხე

აბესალომი დგას მთის ძირას, ეთერი მთაზე, დანგრეული ციხის კოშკთან.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. შუბლი შლილი,
თმები—ზვინი,
საფეთქელი მწყაზარია,
ცხვირი — სტვირი,
წარბი წვრილი,
წამწამსა და წამწამს შუა ბალი
გაგიშენებია.
კბილი — მძივი,
თითი — თლილი,
ბაგე ვარდის ფურცელია,
ტანი — ალვა,
მზერა — გვალვა.
ვერხვის ტოტს და ტოტის შუა
ყელი მოგიღერებია.

ე თ ე რ ი. რატომ არ წახვალ, უფლისწულო და არ მიხედავ გაჭირვებულ შენსა სამეფოს?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. უარვყავი ძალა-უფლება, რათა ვიქცე შენსა საფერად.

ეთერი. მერე?

აბესალომი. მერე შევერთდეთ.

ეთერი. მერე?

აბესალომი. მერე ვილხინოთ.

ეთერი. მერე?

აბესალომი. მერე გავმრავლდეთ.

ეთერი. მერე?

აბესალომი. მერე მოვკვდებით. (პაუზა).

ეთერი. ეს ყოველივე ხომ შეიძლება უსიყვარულოდ.

აბესალომი. უსიყვარულოდ ყოველივე ბოროტებაა არს.

ეთერი. მე მამაჩემი სიყვარულის გულისთვის მკლავდა.

აბესალომი. გკლავდა?

ეთერი. დედინაცვალმა მოინდომა ჩემი სიკვდილი.

აბესალომი. მაგას სიყვარულს ვერ მიაკუთვნებ, სიძულვილია.

ეთერი. სიყვარულიდან წარმოშობილი... ან რატომ გიყვარს ის, ვინც გიყვარს, და არ სხვა ვინმე?

აბესალომი. ამის განსჯა ღმერთებს მივანდოთ.

ეთერი. განსვენებული დედობილი მეუბნებოდა, ცოცხალი ძალა მომაკვდავად იმიტომ იქცა, მოინდომაო ღმერთებისებრ შემოქმედება.

აბესალომი. თუ დედაბერი მიიცვალა, მარტო როგორ ძლებ? წამოდი ჩემთან, ერთად ვიყოთ, ვისიყვარულოთ.

ეთერი. აღთქმა მივეცი ღვთის შვილებს, რომ ხალხს ვემსახურო, გამოვისყიდო მამაჩემის შეცოდებანი.

აბესალომი. სიყვარულით გინდა დამდაგო და კიდევ ერთი დანაშაული მიუმატო ცოდვილ მამის სულს?

ე თ ე რ ი. ესე იგი, მართალი მითქვამს: სიყვარული ბოროტებას უქმნის ნიადაგს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სიყვარულის უარყოფა, მზეო, ცხრათვალავ. . .

ე თ ე რ ი. მ ე ჯ ე რ ჯ ი ა რ მ ი თ ქ ვ ა მ ს, ა რ ა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ძაშ, შემომიშვი, შენთან ერთად მეც აქ დავრჩები. ტახტის მემკვიდრე აღარა ვარ, რითაც მწუნობდი, და თუ უბრალო დიდებულიც არ გინდა ვიყო, ძველი ქულაჯით ვიწანწალებ გლეხის ბიჭივით.

ე თ ე რ ი. ყვავილი ფუტკარს მიიზიდავს თავის სურნელით. ხომ შეიძლება უნექტარო აღმოჩნდეს იგი? შენც მასვე ამბობ, რაცა მსმენია: ვისიყვარულოთ, ვიმრავლოთ და დავიხოცოთო. ან იქნებ მე თვით მუ'მა ფუტკრად არ ვარ შობილი?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გუნდ-გუნდი ფიქრთა ღრუბელი
იაგუნდის ფრად ანათებს,
მზე პირს დაიბანს, გადიყრის,
ეთერად გამოანათებს.
ეგ ლოდი-ლოდი სიტყვები
თივის ბულულად მიქციე,
ვაზის ჭირხლივით ნადები
ხნულ გულზე გადმომიქციე.

ფ ა რ დ ა.

ხ ბ ტ ო ბ ა

მთაგორიანი ადგილი, ხალხი ჩამომჯდარა ქთის კალთებზე. არიან ავადმყოფებიც, რომლებიც ხელით მოუყვანიათ ჭირისუფლებს.

VI გ ლ ე ხ ი. ისედაც ხომ კარგად ვცხოვრობდით, ახლა კიდევ ჭირი დაგვემატა.

გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი. ამბობენ, ღვთისშვილნი მეფეზე არიან გულნატკენი, რომ ხალხს აღარ ენახვება და იმიტომ გაჩნდა ჭირიო.

VI გ ლ ე ხ ი. ეგ კი არა და მგონი მეფე სულაც აღარ არის ცოცხალი. მაშ, რატომ აღარავის უნახავს სამ წელზე მეტია?

ბ ე რ ი კ ა ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. თავს ნუ ყოფ დასიცხული ცხვარივითა, ენა დააყენე. იცოდე, სად ლაპარაკობ, თორემ დაგავიწყდა, კაჭკაჭმა რა უთხრა ყვავსა?

II გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი. რაო, რა უთხრა?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. რაც უთხრა. . . აგერ მოდიან.

ხუცესი, შულტა და ნათე ქალი მოაგორებენ თივით სავსე გოდორს, რომელსაც ცეცხლი უკიდია, ცალ ხელში სანთლები უჭირავთ, მეორე ხელით ქატო ამოაქვთ წინ ჩამოკიდებული ბარკიდან და გოდორს აყრიან. ისმის დოლების განუწყვეტელი დაფდაფი.

ირგვლივ ხალხია მიწაზე ჩამომჯდარი. ოდნავ ბოშორებით მაღლობზე დგას ხატი — სახლის მაგვარი დაბალი წალო. ხუცესი, შულტა და ნათე ქალი ხატისაკენ მიაგორებენ გოდორს. ხალხი აწყობს ქორბეღელას (ორსართულიანი ხორუმი) და ნელ-ნელა მიბყვება გოდორს ხატისაკენ. შემოდის მურმანი. აქვე მიწაზე ზის ბერიკა ბაბუხადია. ხუცესი, შულტა და ნათე ქალი მიადგნენ ხატს, ხუცესმა ხელი ასწია. დოლების ხმა შეწყდა, ქორბეღელა იშლება, უსიტყვოდ სხდებიან მიწაზე. სრული უმოძრაობა და ხიჩუმეა.

მ უ რ მ ა ნ ი (ბაბუხადიას), რას სთხოვენ ღმერთებს?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. სსსუუუ. . . ხატიდან ქადაგს ელიან.

მ უ რ მ ა ნ ი. იქნებ ჭირად მოსული სიკვდილი სჯობს სხვა სახით მოსულს!

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. რა გენაღვლება, სიცრუით მაინც დაამშვიდონ საწყალი ხალხი.

მ უ რ მ ა ნ ი. ეგ წამიერი მოტყუებაა. ბედკრულ მიწაზე მოვლენილ კაცთა დანიშნულება თუ სიკვდილია ან მხოლოდ ტანჯვა, ვიდრე იქ! იქითკენ ეჭვი ციმციმებს! ადამიანს თავისი ხვედრის შესაგუებლად სჭირდება ხოლმე მაგალითი, შეუქცევად უბედური, შთამაგონები. ბრძას თუ დაჭერა არ შეუძლია, იგი გაქცევას ხომ მაინც შეძლებს.

დოლების დაფდაფზე ხატიდან გამოდის ქადაგი. ქადაგი აღმოსავლეთისაკენ პირშექცეული იჩოქებს ხატის თავზე. ყველანი იჩოქებენ მურმანის გარდა. დაფდაფი შეწყდა. ქადაგი წამოდგა. ხალხი დაჩოქილია.

ქ ა დ ა გ ი. ცის ხორხოზ-კორკოტნ გარმამსხნავ ღმერთმან, ღორღან, გოდორნივ, სენ-სამსალანიავ გარბასულნივ გამიმთხილდითავ! მეშნისავ!

ისევ იჩოქებს ქადაგი. ისევ გაისმის ხმამაღალი დაფდაფი. ქადაგი ფეხზეა, ყველანი დაჩოქილნი არიან.

ქ ა დ ა გ ი. გამიმთხილდითავ, ყმანო, ცუდ საქმეი მაქვავ ხთის კარზედავ მახილულივ, მთხილად იყავნითავ, ჩემნო ყმანო!

მურმანი ხელს ჰკრავს ქადაგს და გადააგდებს ხალხში. შემდეგ ხატს წიხლს დაუშენს. ისმის შეწირული ჯაბების მსხვრევის ხმა. ხალხი გაოგნებულია, შემდეგ უკანა რიგიდან უცებ წამოვარღება შუქურნა-როსკიპი.

შ უ ქ უ რ ნ ა (ყვირის), ეგ ეშმაკია, ავი სული, დავწვათ გოდორში!

დენთად გავარდა ეს ხმა ხალხში, ყველა ერთბაშად წამოიშლება და გარბის მურმანისაკენ. მურმანი დინჯად ელოდება, ყველაზე წინ გარბის შუქურნა-როსკიპი, ხელში დიდი ქვა უჭირავს.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა (გადაუდგა წინ, გადაეფარა მურმანს). შეჩერდით, ხალხო, შეჩერდით! ეს მეფის შვილია, მურმანი! ავადმყოფია და გიჟი. ხომ გაგიგიათ, სამი

წელია სამკურნალოდ იყო წასული, ეტყობა, ჯერაც ვერ მორჩენილა. შენ კი, შუქურნა-როსკიპო, შენს თავს მოუარე, გამომიხვედი სიკეთის მაძიებელი, აბა, რქარა შეაყოლე აქედან, ხალხს დღისასწაულს ნუ უფუჭებ. წადი, წადი, სწორედ ამისთანებზეა ნათქვამი — „ცხვარი რომ შემობრუნდება, კოჭლი წინ მოექცევაო“.

მ ურ მ ა ნ ი. ხალხო, არ დაუჯეროთ, მე გიჟი არა ვარ! არა ვარ გიჟი!

ხალხი იცინის.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა (უნდა ხალხის ეს განწყობილება შეინარჩუნოს). დედალი იმიტომ კი არ კაკანებს, დიასახლისო, მოდი, კვერცხი წაიღეო, კურტუმი (დახტის) ტკივა, კურტუმი! ასკიკუკე, ასკიკუკე! ასკიკუკე! (ხალხი იცინის). ხუცები შელოცვას რომ მორჩებიან, გორაკზე ბერიკაობა გაჩაღდება, ხალხო, ბერიკაობა.

ფ ა რ დ ა.

ბ ე რ ი კ ა ო ბ ა

(ინტერმედიის მაგივრად)

ფარდის წინ, მარჯვენა მხარეს, ორ კუნძზე სკამის მაგივრად გადებულია ფიცარი. ზედ ზის მეჩონგურე, ფიცარზე ხის კუკნები რიკიანთ არის ჩაჭიმულები, რიკზე ბაწარია მობმული, ის ბაწარი კი იმ თითზე აქვს მეჩონგურეს გადახვეული, რომლითაც უკრავს ჩონგურს, როგორც ჩონგურს დაუკრავს, კუკნებიც ისე ხტის.

მ ე ჩ ო ნ გ უ რ ე. ნაირი და ნაირები,
ძველებური შაირები,
მომღერალი დაირები,
მოცეკვავე საინები,
სავარძელში მახათები,
ზურგზე შოლტის ნახატები,

ყანწები და თამადები,
სასამართლოს კამათები.

შემოდის ბაბუხადია.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. აბა, ჩუმად, სასამართლო მოდის!

შემოდის ბერიკა-მოსამართლე, მუცელი გამობერილი აქვს — ტიკი უდევს და უბიდან მასრას ამოუყვია თავი.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ბაბუხადია, წადი მომიყვანე ვინმე დამნაშავე!

ბაბუხადია, გადის და შემოჰყავს მოფამფალებული მოხუცი.

ეს ვინ მოიყვანე, შე მაგაზე გამო... გამო... გამოშტერებულო.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. დამნაშავეო, ხომ მითხარით, ბატონო, ქათმის ქურდია.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ჭიდან წყალი მაქვს ამოსაზიდი, ან ჯანდაბად მინდა ასეთი დამნაშავე, დაიკარგე აქედან!

ჩხუბით შემოდის ორი გლეხი.

I გ ლ ე ხ ი. გამიშვით, ააადამიანო, მოსამართლესთან!

II გ ლ ე ხ ი. გაგიშვათ, თორემ შენც არ ჩაურიკრიკო.

I გ ლ ე ხ ი. გაჩუმდი, შე ორი სოფლის კიბო.

II გ ლ ე ხ ი. შენ თორმეტი შვილი რომ გყავს, არც ერთი შენი არ არის.

I გ ლ ე ხ ი. შენ ერთი ბიჭი რომ გყავს, ის ჩემია. ჩემი.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. გაჩერდით! ჩუმად! რაშია საქმე?

I გ ლ ე ხ ი. მანეთი მაართებს და არ იძლევა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. რატომ არ აძლევ?

II გ ლ ე ხ ი. აი, წითურას დაუძახეთ, ის უკეთ მოგახსენებთ.

შემოდის წითურა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. მოყევი, რაშია საქმე.

წ ი თ უ რ ა. ორ კიბოს რომ ეძახიან, აი, ამასა, კარგა ხნის წინათ მანეთი ვთხოვე ერთი კვირითა, ერთი კვირა რომ გავიდა, მივედი თორმეტშვილიანთანა და გამოვართვი მანეთი, თანაც ვუთხარი — ერთ კვირაში მოგიტან-მეთქი და მივუტანე ისევ ორ კიბოსა, ერთი კვირაც რომ გავიდა, ახლა გამოვართვი ორ კიბოს ეს მანეთი — ერთ კვირაში მოგიტან-მეთქი და მივუტანე თორმეტშვილიანს, მერე კიდევ ამას გამოვართვი იმას მივუტანე, მერე იმას გამოვართვი, ამას მივუტანე, მერე, ბატონო მოსამართლე, მომწყინდა; მე რა შიკრიკი მნახეს, წადი, შენ თვითონ გამოართვი-მეთქი. ეს იყო და ეს. ვერ მორიგებულან.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე (ბაბუხადიას). თორმეტშვილიანი და ორი კიბო წაიყვანე და ჩემი ჭიდან მთელი დღე წყალი აზიდინე. გაიგეთ, თქვე უსაქმურებო, თქვენა. (წითურა გადის, ბაბუხადიას გაჰყავს გლეხები), ბაბუხადია, საქმელი თუ მოუნდეთ, კვერცხები მოუხარშე, კვერცხები აქ მომიტანე, წვენი მაგათ მიეცი.

სამი გლეხი შემოდის და ისევ წითურა მოჰყავთ.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. რა გინდათ ამ პატიოსანი კაცისგან?

III გ ლ ე ხ ი. ბატონო მოსამართლე, ჩემგან ძეხვი წაიღო, ერბოკვერცხი ძეხვით გავაკეთოთ და ერთად ვჭამოთო. გააკეთა და არ მაჭამა. მარტო ძეხვი მომეცი და ერბოკვერცხი გინდოდა გეჭამაო? . .

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. წადი გაეთრიე აქედან. სწორად უთქვამს. (გლეხი გადის).

IV გ ლ ე ხ ი. ჩემგან, ბატონო მოსამართლე, კვერცხი წაიღო მაგანა, (აჩვენებს წითურაზე). ძეხვით ერბოკვერცხს გავაკეთებ და ვჭამოთო. მერე აღარ მაჭამა. მარტო

კვერცხი მომეცი და ძეხვიანი ერბოკვერცხი გინდა ჭამოო?!

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. წადი, დაიკარგე, სწორად უთქვამს.

II გლეხი გადის.

IV გ ლ ე ხ ი. ჩემგან, ბატონო მოსამართლე, ერბო წაიღო — ძეხვიან ერბოკვერცხს გაჭმევო, მერე აღარ გამიკარა. შენ სულელი ხომ არა ხარ, მარტო ერბო მომეცი და ძეხვიანი ერბოკვერცხი გინდოდა გეჭამაო?!

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. სწორად უთქვამს.

გ ლ ე ხ ი. როგორ თუ სწორად? მაშ ჩალით არის ქვეყანა დახურული?!

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ნელა, ნელა, მოიცა, ჰო აზრზე მოდი!

გლეხს იჭერენ, გაუსხლტება და დანას ჩასცემს მუცელში „მოსამართლეს".

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე. ვაიმე, ვაიმე, რა ტიკი გამიფუჭა, გამიშვით, ერთი სილა მეც ვაწეპო. ვახ, ტიკო, ტიკო ჯან ტიკო-ტიკო...

შემოდიან დევდარ-ვეზირი და ქოსა-ვეზირი მხლებლებით.

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. შენ ბერიკა ბაბუხადია არა ხარ?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. გახლავართ.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. ვინ ამოგიშვა ხაროდან? ჭკუა ისწავლე?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. რა ვიცი, ბატონო, ჭკუის სწავლება რომ შეიძლებოდეს, მდიდრები და ბატონები სულ ერთიანად ჭკვიანები იქნებოდნენ... მერე და ხარო ხომ

იმისთვისაა, ხან ჩახტე და ხანაც ამოხტე?! ალბათ სხვისთვის თუ დაჭირდათ.

ქ ო ს ა - ვ ე ზ ი რ ი. ადამიანი სპილოს არჯულებს, სპილოს! ეუბნება, ხორთუმი აქ დადეო, და ისიც დებს.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. მერე ადამიანი სპილოა? გინდათ, ასკიკუკეს დაუვლი. ასკიკუკე, ასკიკუკე...

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. მოიცა, ის გიჟი ხომ არ გინახავს, საით წავიდა?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ვინა, მეფისწული?

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. ჰო, მურმანი.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. გიჟების გზას ვინ გაიგებს, საგიჟეში შეგდებული ჭკვიანი ხომ ყველაზე დიდ გიჟად ითვლება... ასკიკუკე, ასკიკუკე (დახტის).

ქ ო ს ა - ვ ე ზ ი რ ი (ხელი ჩაიქნია), წავიდეთ.

დიდი ვეზირის ჯალათებს მოჰყავთ გაკოჭილი გლეხის ქალი, I გლეხი, შუქურნა-როსკიპი.

შ უ ქ უ რ ნ ა. ჩემგან რა გინდათ, სად მიგყავართ, რასა მჩქმეტ, შე ყიჟალა მამალო!

I ჯ ა ლ ა თ ი. გაიარე, გაიარე, იქ გაიგებ.

შ უ ქ უ რ ნ ა. სად იქ, აქ მითხარით, იქ მე ვიცი, რასაც გავიგებ.

გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი. ქალებს რაღას გვემართლებით, ვაიმე, შვილებო.

I გ ლ ე ხ ი. გვაპატიე, უფროსო, შენი ჭირიმე.

გ ლ ე ხ ი ს ქ ა ლ ი. მე არაფერი მითქვამს. ეს ამანა თქვა — მეფე აღარ არის ცოცხალიო, ვაიმე, ჩემო ნიკორა ძროხა!

I და II ჯ ა ლ ა თ ე ბ ი. სსუუუ, ჩუმად!

ჯალათები მიათრევენ გლეხებს და ვეზირებიც გადიან.

გამოდის ვირი, აქნევს კუდს, დგება ავანსცენის შუა, აყრის ტლი ნკებს, ყროყინობს, შემდეგ მისი წინა ნაწილი გაიქცევა, უკანა კ: ეცემა იატაკზე. ესენი გადაცმული ბერიკები ყოფილან—ბერიკა-ბა- ბუხადია და I ბერიკა.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ორი დიდი კაციდან ერთი პატარა: კირი გამოდის ხოლმე.

სინათლე ქრება.

მ ე ო რ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა.

ბებრის ციხე

ისმის მურმანის ხმა: ეთერ ქალო, გააღე კარი.

ე თ ე რ ი. რომ გადაგიცვამს, უფლისწულო, ვეღარ გიცნობდი?!

მ ურ მ ა ნ ი. გინდა მიცანი და გინდა ვერა, რა მეხაღ-ვლება, დედობილის ნახვა მსურდა, გამიღე კარი.

ე თ ე რ ი. აკი გითხარი — დედობილი გარდამეცვალა.

მ ურ მ ა ნ ი. გარდაიცვალა? მაშ კუდიანი არ ყოფილა, ტყუილად ამბობდნენ.

ე თ ე რ ი. რა საქმე გქონდა, იქნებ ვინმე სნეულ-სთვის გინდა წამალი?

მ ურ მ ა ნ ი. შენ რა წამლობა შეგიძლია?

ე თ ე რ ი. მალამოს მივცემ, დავაპურებ, ან წყალს შევასმევ, შევულოცავ, თავს გავუხილავ.

მ ურ მ ა ნ ი. სხვა რამ იმედს რა ეშველება?

ე თ ე რ ი. ნუგეშიან სიტყვას ვეტყვი.

მ ურ მ ა ნ ი. მაინც რა სიტყვას?

ე თ ე რ ი. სხვადასხვა რამეს და დროებით დავაიმ-ედებ.

მ ურ მ ა ნ ი. მარადიული და ერთი რამ მაინტერესებს:

ე თ ე რ ი. ეგ ღმერთების საიდუმლოა.

მ ურ მ ა ნ ი. ავი სულიც ვერ მიპოვნია, რომ დავი-ჯერო ღმერთების ყოფნა. ნუთუ ქვეყანა ცარიელია?

ე თ ე რ ი. ძე დედობილი მეუბნებოდა. . .

მ ურ მ ა ნ ი. თუკი მოკვდა, საგულისხმო რა უნდა ეთქვა? შენი წამალი მე არ მომარჩენს, დაკეტე კარი (დააპირა წასვლა).

ეთერი. მოიცადე, ჯერ ნუ მიდიხარ. მინდა გამოვტყდე, გამახარე მაგ ჩაცმულობით, თუმცა ნაქარგი ოქრო მკერდიც გშვენოდა უწინ.

ძურმანი. წამიერი ბრწყინვალება დიდი ხანია მე უარვყავი.

ეთერი. გახა არის რამ, რომ არ იყოს ის წამიერი?

მურმანი. არ შეიძლება, რომ არ იყოს.

ეთერი. ეგ ძიუწვდომელ მთის ძწვერვალზე თუ იპოვეთა.

მურმანი. ძწვერვალი მთისა ქვემოდანაა, ზემოდან იგი ხევია მხოლოდ.

ეთერი. მერედა, როგორ გავხადოთ ხევად?!

მურმანი. კაცთა ცხოვრების ფუძე ტრიალი ჯიუტად შუნჯობს.

ეთერი. და მისახვედრად არავითარ ნიშანს არ გვაძლევს?

მურმანი. გზაზე ბოლივით ავარდნილ მტვერს ხომ ქარს ვეძახით? მოტაცებულ ქუდს? თავდახრილ ხეებს— ისინიც ქარის სახეებია.

ეთერი. უჩინმაჩინად არსებულა ის ქვეყანაზე.

მურმანი. თუკი არსებობს. . .

ეთერი. ამასწინათ უკეთესად გამოთქვი აზრი.

მურმანი. რაღაც არ მახსოვს.

ეთერი (ჩაფიქრებული), თუმცა სურნელი დამჭკნარ ვარდსაც ხომ შერჩენია?!

მურმანი. მშვიდობით იყავ, დაკიტე ქარი.

ეთერი. რა დაგემართა? ან რად ჩქარობ? აღარა ვსურს გაიმეორო ტკბილი სიტყვები?

მურმანი. ვერ გავიგე, ტკბილს რას უწოდებ, რიზაც დავიწყე?

ე თ ე რ ი. ჰო, სიყვარულზე რად არ ამბობ აღარც ერთ სიტყვას?

მ უ რ მ ა ნ ი. ცხოველი ძებნა, მისწრაფება მარადობისკენ სიყვარულად გინდა მონათლო?

ე თ ე რ ი. ალბათ ნამდვილი სიყვარული მაგით სულდგმულობს.

მ უ რ მ ა ნ ი. ერთმანეთთან მათ საერთო არაფერი აქვთ

ე თ ე რ ი. რატომ?

მ უ რ მ ა ნ ი. სიყვარული კაცთანვე კვდება... და უფრო ადრეც!..

ე თ ე რ ი. განა ძიება არა კვდება ადამიანთან?

მ უ რ მ ა ნ ი. რაღაცა რჩება.

ე თ ე რ ი. სიყვარულიც ხომ ტოვებს რამეს?

მ უ რ მ ა ნ. უიმედო ახალ სატანჯველს.

ე თ ე რ ი. თვით სიყვარული იძლევა იმედს.

მ უ რ მ ა ნ ი. მაგ სილამაზით (პაუზა) ეგ შენ უკეთ გეცოდინება.

ე თ ე რ ი. მე ერთ სიყვარულს შევესწარ-მეთქი, აკი გითხარი. როცა მამაჩემს შეუყვარდა მეზობლის ქალი, მე ლოგინის ქვეშ ვთამაშობდი, მათ შეეშალათ და ჩემ მაგივრად დედის ნაყოლი ორბი მოკლეს, ლოგინში მჯდომი.

მ უ რ მ ა ნ ი. მაშასადამე სიყვარული ბოროტებაა.

ე თ ე რ ი. ჩემივე სიტყვით გახელება გსურს? თუკი ეგრეა, მაშინ იცოდე, ის იყო მხოლოდ ავხორცობა. სიყვარული სულ სხვა რამ არის.

მ უ რ მ ა ნ ი (წაიწევს ეთერისაკენ). საიდან იცი?

ე თ ე რ ი. გამცილდი, ვეღარ ვუგებთ ჩვენ ერთმანეთს...

პაუზა.

მ უ რ მ ა ნ ი. დაისი დგება. . .

ე თ ე რ ი. დღისა და ღამის შესვენებაა.

მ უ რ მ ა ნ ი. დღე და ღამე გაერთიანდნენ და, როს ბორძიკით გაიყრებიან, დრო დაგვანახებს თავის ნაბიჯებს.

ე თ ე რ ი. წადი. . .

მ უ რ მ ა ნ ი. სათხოებით გინდა ატყუო ხალხი, იმედი მისცე?

ე თ ე რ ი. იმას ვაკეთებ, რაც შემიძლია.

მ უ რ მ ა ნ ი. არაფერი არ შეგიძლია, ეგ სიცრუეა!

ე თ ე რ ი. შენ შეხს უდაბნოს მიაშურე — კარი ღიაა.

მ უ რ მ ა ნ ი. ავი სული თუ არ არსებობს, მე გადავიქცევი თვითონ სატანად.

მურმანი მიიწევს ეთერისაკენ. იწყება ჭიდილი. ეს არის სცენა პირობითი ბრძოლისა, და არ უნდა ატარებდეს სექსუალურ შეფერილობას. მომდევნო ორი რეპლიკა ბრძოლის წამიერ შესვენებებში უნდა წარმოითქვას.

უავხორცოდ არ არსებობს არც სიყვარული.

ე თ ე რ ი. მაშინ ჯობია, არ იცოცხლოს კაცმა არც ერთ დღეს. . .

მ უ რ მ ა ნ ი. იქნებ პირიქით. . .

ბოლოს, როდესაც ყველაფერი დამთავრებულია, ორივენი შერიგებულები, ან უფრო სწორედ, ორივე დამარცხებული შორდება ერთმანეთს, უსიტყვოდ. მურმანი გადის სინათლე ქრება.

სატახტო დარბაზი

დიდ ვეზირს გვერდზე ორი ჯალათი უდგას. აქვე არიან: დევდარ-ვეზირი, ქოსა-ვეზირი და მესამე ბჭე.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. თქვენა გგონიათ, მოსაწონია, რომ

მურმანი გიჟად გამოაცხადეს? ან კიდევ უფრო მოსაწონი ის იქნებოდა, მოეკლათ ღვთისა და მამის წინააღმდეგ წასული შვილი?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. არამც და არამც, თქვენს ბრწყინვალებას მაშინ მეტი მტერი გაუჩნდებოდა.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. რაც მეტია მტერი, მით იოლია ცხოვრება.

ქ ო ს ა - ვ ე ზ ი რ ი. ჭეშმარიტია და გასაგები ყოველი სიტყვა, დიდო ვეზირო.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. უნდა პირდაპირ ვაღიაროთ, რომ ჭირი იყო ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ღვთისა და ღვთის შვილთა მადლით, ჩვენი მცდელობით საგრძნობლად იკლო, აღარ არის თითქმის აღარსად.

ახლა მურმანის დაბრუნება უნდა როგორმე ვაცნობოთ შეფეს. ვშიშობ, არ გაწყრეს და არ დაგერიოთ თქვენ, სახელმწიფოს მყუდროება რომ გეევლებათ.

III ბ ჭ ე. დამნაშავე ვართ, დამნაშავე დიდო ვეზირო!

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. დიახ, მურმანი ტყუპის ცალია და შეიძლება მოითხოვოს ისეთივე უფლებები, როგორიც ძმას აქვს...

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი (შეპყვირებს). თანასწოროუფლებიანი ისინი არიან, ვისაც არა აქვთ უფლებები (დინჯად), თუკი ღმერთების წინააღმდეგ აღსდგა მურმანი, რატომ დაიხევს თქვენ წინაშე, მეფის წინაშე?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. იიმ... დიდო ვეზირო, რომ მოვიფიქროთ საკადრისი რამ საქციელი?

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი (აწყვეტინებს). გააძლიერეთ სასახლის დაცვა. ჩემი უსტარის გარეშე უცხო არავინ შემოიპაროს. მე ვიმეორებ კიდევ ერთხელ: არ მიუგზავნოთ

ვინმე მკვლელი, მაგალითად, მეძავი ქალი საწამლავით ან დანით ხელში, შემდეგ კი მკვლელი არ დასაჯოთ და თქვენს პირად მტრებს არ დააბრალოთ, რათა გამდიდრდეთ და გაძლიერდეთ ორმაგად კიდევ.

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. ყოველი სიტყვა გასაგებია, დიდო ვეზირო.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. თუკი მურმანი გამოჩნდება და თავისივე ნებით მოინანიებს საკუთარ ცოდვებს, ყურს მოვჭრით მხოლოდ, აბესალომში რომ არავის აერიოს. აბესალომს კი დიდი ქორწილი უნდა მოვუწყოთ, საკადრისი ტახტის მემკვიდრის. არ დაიშუროთ საჩუქრები, თამაშობები, რაც რომ ისურვონ აბესალომმა და გლეხის ქალმა. ჩემი მასხარის დაძახება არ დაგავიწყდეთ; ამასთან ერთად თვალი გეჭიროთ, დაპატიჟებით მოიწვიეთ ყველა სტუმარი.

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. თუმცა მურმანი ძლიერა ჰგავს აბესალომს, იმედი მაქვს გამოვარჩიოთ, მოგეხსენებათ, მას ვასწავლიდი ვარსკვლავთცვენის მეცნიერებას.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. მისი გახიზნვა ყველაზე მეტად შენა გბრალდება.

ქ ო ს ა - ვ ე ზ ი რ ი. ალბათ დიდი მეფეც ამასვე ამბობს.

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. არ არის ეგ თქვენი საქმე, რას ამბობს მეფე.

III ბ ჭ ე. მე ხომ ვამბობდი, დამნაშავე ვარ, დამნაშევე, დიდო ვეზირო!

დიდი ვეზირი დგება და მოცელილივით ისევ ვარდება სკამზე. დეედარ-ვეზირი და ქოსა-ვეზირი მისცვივდებიან, ქოსა-ვეზირი წყლით სავსე ფიალას აწვდის.

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. შეუძლოდა ხართ, დიდო ვეზირო?

ქ ო ს ა - ვ ე ზ ი რ ი. ცუდი ფერი გაქვთ, მიირთვით წყალი.(დიდი ვეზირი გონს მოვიდა, აუქნევს ხელს).

დ ი დ ი ვ ე ზ ი რ ი. მიჰქარავ! უცებ ძილი მომერია, გადავიღალე თქვენი ყბედობით. (ჯიქურ წამოდგა), ნუღარ აყოვნებთ, მიხედეთ საქმეს. (გადის ყველათებთან ერთად).

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. ამოიყვანეთ დილეგიდან შუ-ქურნა-როსკიპი. (მესამე ბჟე გადის). ბოლო ხანებში გა-მოთაყვანდი, ქოსა-ვეზირო.

ქ ო ს ა - ვ ე ზ ი რ ი. ფერი არ ჰქონდა, ჭირიანები რომ მინახავს, მთლად იმათ ჰგავდა.

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. მართლაც დაბერდი, რეებს როშავ? ის რაღა იყო, მეფეც, ალბათ, მაგ აზრს ადგასო? მეფის ხსენება სულ ყოველთვის არ გამოდგება.

ქ ო ს ა - ვ ე ზ ი რ ი. მართალი ხარ, დევდარ-ვეზი-რო, გადამავიწყდა ხუცესთა ლოცვა, დაისის ჟამს მზის მაგიერ მთა ანათებსო.

შემოჰყავთ შუქურნა.

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. ხომ იცი, რა ჩაიდინე შუ-ქურ-როსკიპო? ხელი აღმართე უფლისწულზე, მოკვლა გინდოდა.

შ უ ქ ურ ნ ა. განა ვიცოდი, რომ მურმანი მეფის შვილია?

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. ვალდებული იყავ გცოდნოდა.

შ უ ქ ურ ნ ა. ლოცვა ჩაშალა...

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. ससუუუ, გაჩუმდი, ჩუმად! თუ წესიერად და ჭკვიანად არ მოიქცევი, თავს დააბრალე.

შ უ ქ ურ ნ ა. რა ჭკუა გინდათ?

დ ე ვ დ ა რ - ვ ე ზ ი რ ი. ახლა ხომ იცნობ მურმანს სახით?

შ უ ქ უ რ ნ ა. მე მგონი ვიცნობ, რა არის მერე?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. ქოსა-ვეზირი აგიხსნის მაგას.

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. მოდი, აქ დაჯექ, მომიახლოვდი. ძენ ხომ იცი, მამად გეკუთვნი, მაგრამ...

შ უ ქ უ რ ნ ა. ბაბუადაც, ქოსა-ვეზირო..,

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი (დაყვავებით). ჰო, ბაბუადაც, მაგრამ სახელმწიფო მოვალეობა... საერთოდ, ქალი უფრო იოლად უახლოვდება მამაკაცს.., ჰოდა, შენ თუ მოინდომე და ეს გააკეთე...

შ უ ქ უ რ ნ ა (პრანჭვიბთ). სულაც არა ვარ მე იმნაირი.

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. ველარა ხვდებით რაზე ბოგიხმეთ?

შ უ ქ უ რ ნ ა. აა. აკი, მართლა, ჩემი დაქალნიც მეუბნებოდნენ, ზოგი მოხუცი (პრანჭვით მიიწევს ქოსა-ვეზირისაკენ), არ არისო ისე მოხუცი და, მაგალითად, ბალანი ყურზე, მელოტი თავი... (გადაუსვა ხელი).

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. ეგ ვერ იქნება თავაზიანი.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. შენ არ გესმის რას გეუბნებით?

შ უ ქ უ რ ნ ა. მერედა, ვინ ამბობს უარს? (ეხვევა ქოსა-ვეზირს), მოხუცო, მოდი, მომეალერსე, მომკიდე ხელი და გაიხარებ, გეგონება თავი ოცი წლის.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. მოეშვი მაგას.

შ უ ქ უ რ ნ ა. შენც აგერ მოდი, დევდარ-ვეზირო, დაგანახებ, თუ რა ტანი მაქვს. (იგლეჯს ტანსაცმელს).

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. კმარა, გაჩერდი, რეებსა სჩადი, გადაირიე?!

შ უ ქ უ რ ნ ა, მაშ, როსკიპისაგან რა გინდოდათ:

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. დაჯექი, წყნარად, მოისვენე, დაგვიგდე ყური.

ფ ა რ დ ა.

ეთერის ზმანება

შემოდის მურმან-აბესალომი, სიმბოლურ სამოსელში.

მ უ რ მ ა ნ-ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. შენ რა წამლობა შეგიძლია?

ე თ ე რ ი. მალამოს მივცემ, დავაპურებ ან წყალს შევასმევ, შევულოცავ, თავს გავუხილავ.

მ უ რ მ ა ნ-ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არჩენ იმისთვის, რომ იტანჯონ და დაიხოცონ? სხვა რამ იმედს რა ეშველება?

ე თ ე რ ი. ნუგეშიან სიტყვას ვეტყვი.

მ უ რ მ ა ნ-ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მაინც რა სიტყვას?

ე თ ე რ ი. სხვადასხვა რამეს და დროებით დავაიმედებ...

მ უ რ მ ა ნ-ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არა! ასამუდამო და ერთი რამე!

ე თ ე რ ი. ეგ მიუწვდომელ მთის მწვერვალზე თუ იპოვება.

მ უ რ მ ა ნ-ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ზემოდან მწვერვალი ხევია მხოლოდ.

ე თ ე რ ი. მერედა, როგორ მივაღწევთ მწვერვალს?

მ უ რ მ ა ნ-ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გზაზე კვამლივით ავარდნილ მტვერს ხომ ქარს ვეძახით? მოტაცებულ ქუდს? თავდახრილ ხეებს? ისინიც ქარის სახეებია.

ე თ ე რ ი. უჩინმაჩინად არსებულა ის ქვეყანაზე.

მ უ რ მ ა ნ-ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თუკი არსებობს...

ე თ ე რ ი. სიყვარულზე რატომ არ ამბობ აღარც ერთ სიტყვას.

მ უ რ მ ა ნ-ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. უსიყვარულოდ ყოველივე ბოროტებაა.

ე თ ე რ ი. აკი გითხარი, რომ მამაჩემი სიყვარულის გულისთვის მკლავდა.

მ უ რ მ ა ნ-ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გკლავდა?

ე თ ე რ ი. დედინაცვალმა მოინდომა ჩემი სიკვდილი.

მ უ რ მ ა ნ - ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ეგ ხომ სიყვარულს არ ეკუთვნის, სიძულვილია.

ე თ ე რ ი. წარმოშობილი სიყვარულიდან... ან რატომ გიყვარს ის, ვინც გიყვარს და არ სხვა ვინმე?

(პაუზა):

მ უ რ მ ა ნ - ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მშვიდობით იყავ, დაკეტე კარი.

ე თ ე რ ი. რა მოგვიდა? ან რად მიდიხარ? აღარა გსურს გაიმეორო ტკბილი სიტყვები?

მ უ რ მ ა ნ - ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ტკბილს რას უწოდებ, ვერ გავიგე, რითაც დავიწყე.

ე თ ე რ ი. ჰო, სიყვარულზე რად არ ამბობ აღარც ერთ სიტყვას?

მ უ რ მ ა ნ-ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. უარვყავი ძალაუფლება, რათა ვიყო შენი საფერი.

ე თ ე რ ი. მერე?

მ უ რ მ ა ნ-ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მერე, შევერთდეთ.

ე თ ე რ ი. მერე?

მ უ რ მ ა ნ - ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ვილხინოთ.

ე თ ე რ ი. მერე?

სინათლე იცვლება, მურმან-აბესალომი გადის.

ე თ ე რ ი (მუხლებზე დაჩოქილი).

მზეო, ამოდი,ამოდი,
ნუ ეფარები გორასა,

სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი აგერ გორავსა.

ცოტა ხნის შემდეგ შემოდის აბესალომი, ყვავილებით ხელში.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (მღერის). მე ბანი-ბანად გეძებდი,
შენ ბალი-ბალჩად გეძინა,
გაგეხსნა ოქროს საკინძე,
ბროლის გულმკერდი გეჩინა.
ეგ მოკაშკაშე დალალი
მორევად გადმოგეფინა.

ე თ ე რ ი. მე კი მეგონა ვეღარ განახვდი კვლავაც ვერასდროს...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (აძლევს ფანას). ფიფქსფული ნაქონი ეს ოქროსტარა დანაო ალობის, წიგნად მიიღე და ატარებდე თანაო.

ე თ ე რ ი. შენმა მოლაღურის ჰანგმა
გულში ნუკრი შემირბილა.
ყვავილების ამ კალათით
გვირილას და ლილიფარას
დავწნი გვირგვინს
და შევერთდეთ,
თუ ღმერთები დაგვიფარავს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. მოდი შევფიცოთ ჩვენ ერთმანეთს მზეო, ცხრათვალავ.

ე თ ე რ ი. როგორ მახარებს შენი აგრე გამოდარება (ეხვევა). ისევ ჩაიცვი ოქრომკედი? ჩემო ბესია, რარიგ გიხდება...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არ დამრთეს ნება, მეტარებინა ქუ-ლაჯა გლეხის, ეშინიათ, ჩემს ტყუპ ძმაში არ ავერიოთ!

ე თ ე რ ი. განა ეგრე გგავს? ან რა აშინებთ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ვერ გამიგია და არც მინდა ვიფიქ

რო მათზე. თუ მამაჩემი ცოცხალია, მე ვერ მივმხვდარ-ვარ მის მოქმედებას.

ეთერი. გინდოდა კია მისვედრილიყავ?

აბესალომი. მე საფიქრებლად სიყვარულიც მაკ-მარა ღმერთმა. მალე მურმანი დაბრუნდება და მან იფი-ქროს. უკვდავების წყლის საძიებლად არის წასული.

ეთერი. შენც ხომ ეძიებ?

აბესალომი. სისულელეა.

ეთერი. სისულელეა?

აბესალომი. იმიტომ, რომ უკვდავება სიყვა-რულშია.

ეთერი. სულ მთლად ამრიე, ანდა ბანზე ამიგდე სიტყვა...

აბესალომი. ბედნიერებას ვგულისხმობდი უკვ-დავებაში.

ეთერი. და სიყვარულში ჰპოვე იგი?

აბესალომი. ყველა კითხვაზე ჩვენ გავეცით უკ-ვე პასუხი. ფიქრი მას მოსდის, ვინც არ არის კმაყოფილი ამ ქვეყანაზე. ჩვენ კი ვიმღეროთ, ვითამაშოთ, გავმხია-რულდეთ, ვისიყვარულოთ.

ეთერი. ისევ იმას უბრუნდები, რაც უარჰყავი.

აბესალომი. ეგ ნუ გადარდებს; ადამიანი წაღმა იტყვის, ხან კი უკუღმა. მოდი, გეთაყვა, ვისაუბროთ შე-უღლებაზე. (ეთერი არ პასუხობს.) სამეფო ტახტი თანახმაა ქორწინებისა.

ეთერი. იქნებ მურმანმა მიაკვლია უკვდავების წყალს?

აბესალომი. რომ მიეკვლია, გავიგებდით, გამო-ჩნდებოდა.

ეთერი. უჩინმაჩინზე მსურს გავიგო...

აბესალომი. უჩინმაჩინზე მოგიყვები უამრავ ზღაპარს, გიმღერებ ლექსებს, სალამურზე დაკვრას გასწავლი. ჩემი მსახურნი მოიტანენ შენთვის ტანსაცმელს, გამოეწყობი სადეოფლოდ, ჩაიცვამ ფარჩებს. ოღონ გვირგვინი დაიტოვე გვირილის და ლილიფარასი. ეი, მსახურნო, უხმეთ ფარეშებს!

ფარდა.

ორკესტრში შემოდის მოხუცი პიანისტი ძველ პალტოში, გახუნებულ შლაპით და ჭრელი გაცვეთილი კაშნეთი. იწყებს დაკვრას, ფარდის წინ ეკრანია, ნამდვილი ან მულტფილმად გამოსახული მოქმედება; ალის კბილებისაგან აშენებული კოშკი-სასახლე. მაღლა ცაში შენელებული ჩიკორებივით ბზრიალებენ მტრედები — სამი შავი და ერთი თეთრი. ელიფსისებურ წრეებად გარს უტრიალებენ კოშკის კენწეროს. შავი ფერის მტრედები გვერდიგვერდ, ერთ რიგსა და ერთ ტემპში თავისუფლად ფრენენ. თეთრი მტრედი კი ძლივ-ძლივს სადღაც წამოეწევა, გაუსწორდება, დაეწევა თითქოს და როდესაც მიზანი თითქმის მიღწეულია, ისევ უიმედოდ ჩამორჩება, კიდევ და კიდევ...

ბებრის ციხე

ღამეა, ბერიკები, ბაბუხადია, და 5 სხვა ბერიკა ირთვებიან. ქეჩის ნიღბებს; ტახის თავებს, დათვის, მელიისა და სხვა მხეცების ნიღბებს და ტყავკაბებს ირგებენ.

I ბერიკა. დავუჩქაროთ, სანამ მთვარე ცოტა მაინც ანათებს, თორემ ღრუბლებში თუ მიიმალა, ბებრის ციხიდან ვეღარ ჩავალთ, კისერს მოვიტეხთ.

II ბერიკა. გაუგონარი ამბავია: ბერიკებს სასახლეში გვპატიჟებენ, თანაც მეფისწულის ქორწილში.

I ბერიკა. დიდი პატივი დაგვდეს, ამას ეთერს უნ-

და ვუმადლოდეთ, ალბათ იმან თუ მოისურვა ჩვენთან ქეიფი.

II ბერიკა. მაშ არადა, ბიჭო, დიდ ვეზირს მეტი დარდი არა აქვს, ჩვენს ტინგიცობას უყუროს. რას გაჩუმებულხარ, ბაბუხადია?

ბაბუხადია. ვფიქრობ, ორი საზამთრო ერთ ხელში როგორ დავიჭირო.

I ბერიკა. მაინც რას?

ბაბუხადია. ჩვენს ახლებურ ბერიკაობაზე ვფიქრობ.

შემორბის ბერიკა ბიჭი.

ბერიკა-ბიჭი (პათოსით). ჰო, ბაბუხადია, ახლებურად ვითამაშოთ, ისე ვითამაშოთ, რომ. . .

ბაბუხადია. მოიცა, ჰო, სად დაეხეტები ამ შუალამეს, სად იყავი?

ბერიკა-ბიჭი. იქა... იმმ.., ბაბუხადია, ყანაში, (მუცელზე იკიდებს ხელს). ისეთი უკუნეთია, თითი რომ თვალთან მიიტანო, ვერ დაინახავ.

ბაბუხადია. რომ წამოითხრი მაგ თვალსა, მაშინაც ვერ დაინახავ?!

I ბერიკა. მართალს ამბობს ბიჭი, სასახლეში ახალი რამ უნდა გავითამაშოთ. . .

ბაბუხადია. ახალი, ახალი! ახალი არაფერია ამ ქვეყანაზე, მამლის ნიღაბს თუ გაიკეთებ და მგელივით იცუნდრუკებ, აქაოდა — მამლობა ძველიაო, კეტებით დაგეჟეჟენ...

ბერიკა-ბიჭი. არა, ეგ კი არა, (პათოსით.) ისეთი რამ, — აი, ახლებურად, აი... ოოხ, ისეთი რამ რა...

ბაბუხადია. დადინჯდი, დადინჯდი.

ბერიკა-ბიჭი. აღარ მინდა წელანგარა პატარძლის თამაში, გააწყალა გული ამ მტვრიანმა ქეჩამ, დაბერტ-

ყე — არ დაბერტყე... აღარც კეკელა დედოფლობა მინდა და არც მთვრალების ბღლარძუნი.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. პატარძალს აღარ ითამაშებ, ეგრეევ გამოხვალ, როგორცა ხარ.

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. უნიღბოდ?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ჰო.

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. მერე რას გავაკეთებ?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. მაგას დილით გეტყვი.

II ბ ე რ ი კ ა. საზამთროზე რომ თქვი, ვერ გამიგია, ვითომ ორი რათა ერთ ხელში?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. იმადა, რომ მართალიცა ვთქვათ და კარგადაც ვჭამოთ. იქნებ ხურჯინშიც კარგი საგზალი ჩაგვილაგონ.

II ბ ე რ ი კ ა. ჰმ!

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. მიხვდი, კვახ-ბერიკ?

უკაკუნებს თავზე წამოცმულ გოგრის ნიღაბს.

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. ეს ხომ ისე გამოდის, მამალი ვითამაშო და მგელივით ვიცუნდრუკო, არა, ბაბუხადია, (ჰათოსით.) მე უფრო ის მინდა, აი... იცი რა... (უცებ მუცელზე იკიდებს ხელს და გარბის).

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა (მიაძახა). ოჰ, შე უქნარა, მაგისთვის თუ შეხვალ ყანაში, თორემ სამუშაოდ კაცი კეტით ვერ შეგაგდებს.

შემოდის მურმანი.

მ უ რ მ ა ნ ი (ვერ ამჩნევს ბერიკებს). ეთერ ქალო, გააღე კარი!

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ვილაც ჭირიანი მოვიდა, ალბათ, ეთერ ქალი არ გახლავთ.

მ უ რ მ ა ნ ი. გააღე კარი, ვინ ოხერი ხარ?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. კარი ღიაა. (შემოდის მურმანი).

მ უ რ მ ა ნ ი. ბაბუხადია?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ველარ დარწმუნდი, რომ ბრმას არც დაჭერა შეუძლია და არც გაქცევა?

მურმანი გაჩუმებულია.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. რაღას დაეძებ?

მ უ რ მ ა ნ ი. ეთერი სად არის?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. არ გაგიგია? ხვალ ქორწილი აქვს სასახლეში. ბერიკებიც დაგვპატიჟეს, იქა ვთამაშობთ.

მ უ რ მ ა ნ ი. რა ქორწილი, რეებსა ბლანდავ?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. შენს ძმას აბესალომს ცოლად მოჰყავს ეთერ ქალი.

მ უ რ მ ა ნ ი. ეარა თუ მართლა?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ვფიცავ კვირიკეს!

მ უ რ მ ა ნ ი. აბესალომი? (გარბის ციხისკენ).

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. მოიცა, მურმან, სად გარბიხარ, რა დაგემართა?

ისმის ქალის შეკივლება.

მ უ რ მ ა ნ ი ს ხ მ ა ს ი ბ ნ ე ლ ე შ ი. ნუ გეშინია, ძე ვარ, მურმანი, ასეც ვიცოდი, ხუმრობს თურმე ბაბუხადია, ჩემო მზეთუნახავო, მე უშენოდ არ გამითენდეს არც ერთი დღე. სულ დავივიწყე უკვდავებაც, სასახლე, ჭირი, დავიდარაბა. ასე მგონია, ჩემთან ერთად ხარ შენც შობილი და დაკარგული. მოგიპოვე დღეს, რომ ყოველთვის შენთან ვიყო მონად, მორჩილად, მბრძანებლად, თუ გინდ აჩრდილად! გამოდი, აქეთ, დამენახვე, მითხარი რამე.

შემოჰყავს შავებში ჩაცმული შუქურნა-როსკიპი, სახეზე პირბადე უკეთია.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ვფიცავ, კვირიკეს, ავი სულია, მოიხსენი, ქალო, პირბადე.

შ უ ქ უ რ ნ ა. ბაბუხადია, შუქურნა ვარ, რა უნდა ჩემგან, რას მემართლება! (ჩამოიხსნა პირბადე.)

ძ უ რ მ ა ნ ი და ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. შუქურნა?

მურმანი ისევ გარბის ციხისაკენ და მიიმალება.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. შენ ხომ დილეგში დაგამწყვდიეს, აქ როგორ მოხვედი?

I ბ ე რ ი კ ა. ალბათ ჯალათს გაეკურკურა.

შ უ ქ უ რ ნ ა. უმაგისოდ ვერც თქვენი ბერიკაობა გამოდის კარგი.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ამ შუაღამეს რას დაწანწალებ?

შ უ ქ უ რ ნ ა. უნდა მიმიღოთ, მათამაშოთ რაიმე თქვენთან. სასახლეში მინდა მოხვედრა. ძვირფას საჩუქრებს გპირდებიან თურმე ვეზირნი.

შემოდის ბერიკა-ბიჭი.

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. რა ბედზე გაჩნდა შუქურნა ჩვენთან! ბაბუხადია, პატარძლის როლი შუქურნასთვის დამილოცნია, მე კი ვითამაშებ ისეთ რამეს. . .

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. დადინჯდი-მეთქი.

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. აი, ისეთ რამეს, რომ ყველაფერი ერთად იყოს!

შემოდის მურმანი.

მ უ რ მ ა ნ ი. ხმა ამოიღეთ, ხომ ტყუილია ეს ყველაფერი? იქნებ მესიზმრა ის ამბავიც, ანდა საიდან, როგორ მოსდა. აბესალომს აქ რა უნდოდა?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. შეუყვარდათო ერთმანეთი.

მ უ რ მ ა ნ ი. გაუგებრობას აქვს ადგილი, ბაბუხადია.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. შენ მართლაც ხომ არ ერეკები?

პაუზა.

მ უ რ მ ა ნ ი. ესე იგი, სასახლეში იქნებით ხვალე?!

შ უ ქ უ რ ნ ა (მურმანს). შენც წამოდი ჩვენთან ერთად, გაიხალისებ.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. სასახლეში მურმანის მისვლა არ შეიძლება.

I ბ ე რ ი კ ა. ან ვინ შეუშვებს. უსტარი უნდა.

შ უ ქ უ რ ნ ა. თავისივე სახლში არ შეუშვებენ?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ვინც მიუწვევლად სასახლეში ფეხს შეადგამს, სიკვდილია იმისი ხვედრი — ბრძანება არის.

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. ბერიკას ნილბით?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. დააყენე, ბიჭო, ეგ ენა, მომე უსტარი, შენ მოგაბარე.

ბერიკა-ბიჭი ეძებს უსტარს,

I ბ ე რ ი კ ა. არ დავიღუპოთ და არ თქვა ახლა, დამეკარგაო.

ბერიკა-ბიჭი ეძებს უბეებში,

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. აქ იყო, აქა, ბაბუხადია, ნუ გეშინია.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. სასახლეში ვიღა შეგვიშვებს, როგორ თუ ნუ მეშინია! ხომ გითხარი, გაუფრთხილდი-მეთქი თვალის ჩინივით?

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. ალბათ იქ თუ ამომივარდა, აი, იქ...

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. სად იქ, გარკვევითა თქვი, გაგვაგებინე!

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. იქ, ყანაში. . .

I ბ ე რ ი კ ა. ვიღა იპოვის ამ უკუნეთში.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ვეძიოთ, ყველამ.

II ბ ე რ ი კ ა. დაგვღუპა ამ ჯიშძაღლმა, როგორ ვიპოვით, დილით კი უკვე დავიგვიანებთ.

I ბ ე რ ი კ ა. ვინღა მოგვცემს მეორედ უსტარს?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. მოიცათ, ასე ვერ ვიპოვით, ბიჭო. როგორ თქვი, სად დაგეკარგა?

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. ყანაში როცა ჩავცუცქდი, თუ ამომვარდა.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. სუნით ვეძებოთ! იქვე იქნება!

ყნოსავ-ყნოსვით, ყველანი გადიან. მურმანი ბაბუხადიას შეაჩერებს.

მ ურ მ ა ნ ი. ბაბუხადია, თქვენთან ერთად მეც წამიყვანე.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ხიფათს რამეს გადაეყრები. . .

მ ურ მ ა ნ ი. გადავეყარო, მეც ეგა მსურს, გადავეყარო.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ჩვენც გადაგვკიდებ უბედურებას...

მ ურ მ ა ნ ი. ნუ დამაფიცებ, საფიცარი აღარა მაქვსრა, ოღონდ კი მოვხვდე სასახლეში და ყველაფერს ისე შევასრულებ, როგორც ინებებ.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. თუ არაფერს მოიმოქმედებ, მაშ ტყუილ-უბრალოდ რაღად გინდა ქორწილზე ყოფნა?

მ ურ მ ა ნ ი. ერთი შევხედო. გავერკვიო, რაშია საქმე.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. თუ შეგიძლია ან თამაში, ანდა სიმღერა?

მ ურ მ ა ნ ი. უცხო ქვეყნებში სახიობა მემარჯვებოდა.

შ უ ქ ურ ნ ა. წაგვიყვანე, ბაბუხადია, მე პატარძალს ვითამაშებ, მურმანი კი ეკლიანი საქმრო იქნება.

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი (შემორბის ყვირილით), ვიპოვეთ, ვნახეთ, ნუ გეშინია, ბაბუხადია!

ფ ა რ დ ა.

სასახლის დარბაზი

დიდი კერიის წინ, რომელიც ქართულ ბუხარსაც ჰგავს და ევროპულსაც, დგას მრგვალი მაგიდა 5-6 კაცზე. მაგიდაზე ხორაგია, ქნარისა და წინწილების შენელებულ ჰანგებზე შემოდიან აბესა-

ლომი და ეთერი. ეთერს ყვავილების გვირგვინი ახურავს და საპატარძლო ტანსაცმელშია გამოწყობილი. აბესალომის ტანსაცმელი ბრწყინვალებას აფრქვევს. დიდებულები მეორე მოგრძო მაგიდასთან დგანან, რომელიც კულისებში იკარგება. ეთერს და აბესალომს წინმიუძღვის ხუცესი. იგი კერიასთან შეჩერდება. აიღებს იქვე მიყუდებულ დიდ ‹შვილდს, თაღისებურად დადგამს კერიის წინ; მასში გაიელიან ეთერი და აბესალომი. ეთერი მარჯვნივ დგას, აბესალომი მარცხნივ. შემდეგ ეთერი და აბესალომი შემოუვლიან მრგვალ მაგიდას სამჯერ და სხდებიან იმავე მაგიდასთან. აქვე არიან დეედარ-ვეზირი და ქოსა-ვეზირი.

ეთერი და აბესალომი დასხდნენ.

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი (კითხულობს გრაგნილს). შეგეწიოთ მორიგე ღვთის, მზექალისა და კვირა-ცხოველის მადლი. სამეფო ტახტი მოგესალმებათ. ჩვენი უბრწყინვალესი მეფის სახელით დიდ ვეზირს უნდა თქვენი დალოცვა. . . (დეედარ-ვეზირი რაღაცას ჩასჩურჩულებს ქოსა-ვეზირს).

დ ე ე დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. დღესასწაული გავაგრძელოთ! დიდი ვეზირი მოგვიანებით შეგვიერთდება. აბა, მასხარას დაუძახეთ, ჩვენს დიდ მასხარას.

შემოდის მასხარა, მას ბერიკას ტანსაცმელი აცვია, მაგრამ ძვირფასი ქსოვილებისგან არის შეკერილი.

მ ა ს ხ ა რ ა (დიდი პრანჭვა-გრეხით, ამპარტავნული თავდაჯერებულობით შემოდის), ეს ხელმანდილი, დიდებულნო, სანამ შეეხება ამ მშვენიერ იატაკს, ჩვენ გავიცინებთ. (ისერის მოხატულ ხელმანდილს). ხა-ხა-ხა. . . (დიდებულების მაგიდაზე ყველანი იცინიან).

ტაში. მასხარა დიდად თვითკმაყოფილი იერით გადის. ისმის ხალხური საკრავის, ბულ-ბულის ხმა. შემოდის ბაბუხადია. ზუსტად ისეთივე ტანსაცმელში, რაც მასხარას აცვია, მაგრამ მიკერებულ-მოკერებული, ძლიერ ღარიბული. პირში თეთრი და წითელზოლიანი „ბულ-ბული" უჭირავს, რომელსაც კამეჩის ფორმა

აკვს. უკრავს. შუა წრეს როდესაც მოაღწევს, ჩერდება, თავს უკრავს ნეფე-დედოფალს. შემდეგ დიდებულებს.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ჯერ ქვეყანას ვაკმაყოფილებ, მერე, მას რაც მორჩება! ახლებური ბერიკაობა!! მოთვინიერებული ადამიანი!

ისმის ცირკის ცნობილი მარში. ფარდა ისურება. ფარდის წინ, ავანსცენაზე მარშის ტაქტზე ძუნძული, ხელმძღვანელობა მელოდიის ნაბიჯით შემოდიან: ტახ-ბერიკა, მგელ-ბერიკა, ნეკერ-ბერიკა, ლომ-ბერიკა და ტურა-ბერიკა. ღრენთა და ღრიანცელით ნანევარწრედ სხდებიან იატაკზე. მოლოდინის სიჩუმე. შემდეგ სოლო ინსტრუმენტის სანტიმენტალური მუსიკის ხმაზე ორ ფეხზე მოსიარულე დათვ-ბერიკას შემოჰყავს ოთხ ფეხზე მოსიარულე ბერიკა-ბიჭი, უგრიმოდ და უნიღბოდ, თავისივე ტანსაცმელში. ბერიკა-მზეცები, რომლებმაც წრიული აუდიტორია შეკრნეს, ტაშისკვრით ეგებებიან. დათვ-ბერიკას ხელში მათრახი აქვს და ჯიბეში კანფეტი. ბერიკა-ბიჭი დათვივით პირში ხელს ჩაიდებს და წუწნის, აპლოდისმენტები. ოპლა! — იძახის დათვ-ბერიკა, ბერიკა ბიჭი ისევ ფეხზე დგება და დათვივით მოიხედავს, რომ დათვ-ბერიკამ მისცეს კანფეტი, ისიც აძლევს. ისევ აპლოდისმენტები. დათვ-ბერიკა პირში მათრახს ჩაუდებს, რომ კრიჭა გაუხსნას. ბერიკა-ბიჭი მგელივით იღრინება. ტაში, სიცილი, ღრიანცელი მზეც-ბერიკების შორის. ოპლა! იძახის დათვ-ბერიკა. კიდევ ერთი ნომერი: სიჩუმეში დათვ-ბერიკა მიუახლოვდება ბერიკა-ბიჭს და რაღაცას ებურდღუნება დათვურად, ბერიკა-ბიჭი კანფეტების ჭამისა და მათრახების ქნევის შემდეგ ისევ ადამიანურად დადის და პროტესტსაც კი აცხადებს თითქოს. მერე ისევ ოთხ ფეხზე დადგება და ეყივის ტურასავით. აპლოდისმენტები. ზოგიერთი დიდებულიც უკრავს ტაშს. შემოდის მასხარა ამპარტავნული ნაბიჯებით.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. ბაბუხადია, ბაბუხადია! მოიცა ახლა, გეყოფა, ჯერ დიდ მასხარას დავუგდოთ ყური.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ვაჰ, ვაჰ, ვაჰ, ეს ვიღაა?

მ ა ს ხ ა რ ა. წადი. გვიყურე და ისწავლე დიდი ხალხური პოეზია... ჰიუმორის ხელოვნება, ეჰ, შე ტუტუცო, შე გაუთლელო, აი, მაგალითად თუ მეტყვი, რა არის ხანდრაცია.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ისა, რა.

მ ა ს ხ ა რ ა. რა ისა?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. აი ისა, რა... (თვალს უკრავს).

მ ა ს ხ ა რ ა. მაინც?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა (ხელს მოკიდებს მასხარას ტანსაცმელზე). ეს რომ გაცვია, რატომ გაცვია; აი რა არის ხანდრაცია.

ბერიკები, რომელნიც ზოგნი კულისებში არიან და ზოგნიც იქვე მოკალათებულან, იცინიან.

შენ კი ახლა მე მიპასუხე: თხის კურკლი რატომ ჰგავს ცერცვს და ცხენის ნეხვი კი ძეხვს?

მ ა ს ხ ა რ ა. ოჰ, ოჰ, (იმანჭება.) არ ვიცი არა.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. მაშ თუ შენ ნეხვში ვერ ერკვევი, ლექსში რათა ყოფს ცხვირს?

აბესალომი წამოდგა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ბაბუხადია, დედოფალი გთხოვთ ეაგრძელოთ თქვენი თამაში.

ბაბუხადია ქამარზე ჩამოკიდებულ ფალოსს დაუქნევს მასხარას. მასხარა განაწყენებული, პრეტენზიული ნაბიჯით გადის. ბერიკები, რომლებსაც თავი გამოუყვიათ კულისებიდან, სტვენითა და სიცილით აცილებენ მასხარას. ფარდა იხურება. ფარდის წინ — პანტომიმა.

პანტომიმის შინაარსი

სალი კლდიდან ჩამოდის მამაკაცი (მურმანი თეთრ ეკლიან ნიღაბში) პაპანაქება სიცხეა. ნელ-ნელა ჩამოდის, რამდენიმეჯერ წაბორძიკდება და თითქოს კინაღამ გადაიჩეხება უფსკრულში. კლდის ძირას წყაროა. წყაროს დიდი ლოდი ადევს. მამაკაცი ეჯაჯგურება

ლოდს, მაგრამ ვერ ძრავს ადგილიდან, დაიღალა, უიმედოდ ჯდება. მზეს ხელებით იჩრდილავს. ზემოთ გამოჩნდა ქალი (ეს შუქურნაა), რომელმაც ცზე დაუჩრდილა, გაუღიმა და გადმოუგდო ყვავილი. კაცი ყნოსავს ყვავილს. იმაგრებს გულთან, იხმობს ქალს ქვემოთ, წყაროსთან. ქალი უარს ამბობს, მეშინია, გადავიჩეხებიო. კაცი დაეტაკება ლოდს და ძლივ-ძლივობით დასძრავს ადგილიდან. მხარს შეუყუდებს, პეშვით დალევს, შემდეგ ორივე ხელით ამოიღებს წყალს და ნელ-ნელა ისევ დაუშვებს ლოდს. ორივე ხელში სათუთად დაგროვილი წყალი ფაქიზად ააქვს კლდეზე ქალისთვის. ქალი უცებ გაქრება, კაცს პირდაპირ თვალებში მიანათებს მზე, რადგან ქალი წავიდა, რომელიც ეფარებოდა მზეს. კაცს თავბრუ ესხმის, კარგავს წონასწორობას და გადაიჩეხება. (თუკი მსახიობი პანტომიმის ოსტატია, შეიძლება ქალი არც კი გამოჩნდეს, არამედ შეიქმნას ილუზია, მაყურებელმა წარმოიდგინოს),

ჩქარი ნაბიჯით გაქოდის შუქურნა, მას მოსდევენ დეედარ-ვეზირი და ქოსა-ვეზირი.

დ ე ე დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. აქ არის?

შ უ ქ უ რ ნ ა. ჩემთან ერთად თამაშობდა.

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. რომელია?

შ უ ქ უ რ ნ ა. ეკლიან ნიღბით... იქნებ უჩემოდ მოხერხდეს რამე...

დ ე ე დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. ნუ გეშინია, შენსას მიიღებ და ყველაფერი რიგზე იქნება.

სასახლის დარბაზი. არაფერია შეცვლილი, მხოლოდ ეთერს მურმანი მიუწვეია მაგიდასთან და ასაჩუქრებს.

ე თ ე რ ი. საოცრად კარგად შეასრულე ეგ სახიობა, თუმცა ამბავი ცუდად დამთავრდა.

მ ურ მ ა ნ ი. როგორც საერთოდ ყველაფერი, ცუდად მთავრდება.

ე თ ე რ ი. ყველაფერი?

მ ურ მ ა ნ ი. თუკი რამ არის დამთავრებული.

ე თ ე რ ი. აი, ყვავილი, ეს მიიღე ჩემგან საჩუქრად. (ამოაძრო გვირგვინიდან ერთი ვარდი).

მ უ რ მ ა ნ ი. სამუდამოდ ჩემთან იქნება.

ე თ ე რ ი. მალე დაჭკნება.

მ უ რ მ ა ნ ი. დამჭკნარ ვარდსაც ხომ აქვს სურნელი?

ე თ ე რ ი. კი მაგრამ... (რაღაც უნდოდა ეთქვა, გადაიფიქრა).

მ უ რ მ ა ნ ი. რა მაგრამ?

ე თ ე რ ი. დროებითია, მინდოდა მეთქვა.

მ უ რ მ ა ნ ი. სამუდამო ადამიანის უგუნურებაა.

ე თ ე რ ი. იმიტომ, რომ ვერ მიმხვდარა ცხოვრების აზრს?

მ უ რ მ ა ნ ი. ზოგჯერ ბედკრულ ადამიანს მოეჩვენება აუხსნელად, რაღაც გუმანით, სხვასთან ერთად რომ ეზიარა ის სამყაროს იდუმალებას.

ე თ ე რ ი. როდის ხდება ეს განათლება?

მ უ რ მ ა ნ ი. სიყვარულში ეჩვენება ეს ადამიანს..

ე თ ე რ ი. სხვა დროს?

მ უ რ მ ა ნ ი. უჩინმაჩინს დასდევს მუდამ, ჩრდილებთან ომობს.

ე თ ე რ ი. უჩინმაჩინი?

მ უ რ მ ა ნ ი. ჰო, სატანადაც ვერ იქცევა ადამიანი.

ისმის დაფ-დაფის ხმა. ხუცესს სადღესასწაულო ვითარებაში შემოაქვს დიდი ფიალა და ნეფე-დედოფლის წინ დგამს, მაგიდაზე. ხუცესი და მსახურები შეტრიალდნენ. ზურგი შეაქციეს ამ ცერემონიალს. ეთერი ორი ხელით იღებს ფიალას, მოსვამს ოდნავ და გაღასცემს აბესალომს, აბესალომი მიიკარებს და უცებ გააგდებს ხელიდან, ფიალა ეცემა ძირს. მურმანი გაქვავებული და დაჭიმული უცქერის ამ სურათს. მასთან მივიდა ბაბუხადია, ხელი მოკიდა, გამოიყვანა, მცველებმა იმრავლეს, შემოდის რამოდენიმე ჯალათი და დგება ხალხში.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. შუქურნა გელოდება, გამოიყვანე, წელანგარა პატარძლის ჩვენების დრომ მოაღწია.

მ უ რ მ ა ნ ი. არ შემიძლია არაფერი, გამიშვი ხელი.

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. ეგრეც ვიცოდი! პირობა გაიხსენე და არაფერი ჩაიდინო! მომეცი შენი ნიღაბი და ტანისამოსი! (გაპყავს მურმანი.)

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (უცებ წამოხტება ადგილიდან). ჰეი, მსახურნო, შეკრიბეთ გუნდი, მოემზადეთ, სანადიროდ მინდა წავიდე.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. უფლისწულო, დაველოდოთ დიდი ვეზირის გამობრძანებას. (აბესალომი უსიტყვოდ იდის, ამოაძრობს თავის ხმალს, რომელიც მურმანის ხმლის გვერდითაა ავანსცენაზე და გადის). ბერიკებო, ბერიკებო, რას გაჩერდით, მიდით, გაგვართეთ!

ბესტვირე უკრავს ბერიკულს. ბაბუხადიას მურმანის ეკლიანი ნიღაბი გაუკეთებია და მისი ტყავ-კაბა ჩაუცვამს. მის გვერდით I ბერიკაა, ხელში ქეჩა უჭირავს. დააგდებს ძირს, დაარტყამს ჯოხს და თითქოს ნაცრის გუდა გახეთქესო, ისეთი მტვერი ავა.

I ბ ე რ ი კ ა. ეს რა მტვერი დააყენე, შე ჯიშძაღლო!

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა (ეკლიან ნიღაბში). ეგ წელანგარა პატარძალ შუქურნას ქეჩაა.

I ბ ე რ ი კ ა. ეგეთი პატარძალი მტრის ოჯახში შევიდა. (გამოდის შუქურნა და ნელა ბოდის ბაბუხადიასკენ, რომელიც ზურგით დგას და ქეჩას ახვევს). აგერ მოდის, ამოიღე ხმა, ქალო, შენია თუ არა ეს ქეჩა?

ბ ა ბ უ ხ ა დ ი ა. მაგის მულისა იქნება... ((შუქურნა მიუახლოვდა ბაბუხადიას და ჩაარტყა დანა ზურგში. ბაბუხადია ზურგზე ეცემა. შუქურნა გარბის). მართლა მომკლა მაგ უნამუსომ! (I ბერიკა მივარდება და კიდევ ვიღაც დიდებული).

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. მურმანი მოჰკლა, დაიჭით ჩქარა!

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. მურმანი მოკლეს, შეთქმულებაა, დაეწიეთ. არსად გაუშვათ.

I ბ ე რ ი კ ა (ოხადა ნიღაბი). ბაბუხადია, ვაიმე, ბაბუხადია!

მ უ რ მ ა ნ ი. არა, მურმანი ჯერ არ მომკვდარა. (იხსნის ნიღაბს, წიხლს ჩაეზილავს ერთ-ერთ ჯალათს, თანაც ამოართმევს ხმალს). ეთერ, მშვიდობით!

ე თ ე რ ი. მურმან! აბესალომ???

მ უ რ მ ა ნ ი. აბა, გადმოდით ჭიაღუებო!

იწყება ხელჩართული ბრძოლა. შემორბის ბერიკა-ბიჭი.

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. შეჩერდით, შეჩერდით, მურმან, შეჩერდით! დიდი ვეზირი გარდაიცვალა! დიდი ვეზირი მოკვდა! მოკვდა!

ყველანი სახტად რჩებიან, სრული სიჩუმე დაისადგურებს.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. როგორ თუ მოკვდა?

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი. ჭირით მოკვდა, ჭირი წაიღო. დაფ-დაფების ხმა, შემოდის მკურნალი.

მ კ უ რ ნ ა ლ ი. ვეზირნო და დიდებულნო, მოგახსენებთ, რომ დიდი ვეზირი ჭირით გარდაიცვალა.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. რაში დაჭირდა?

მ კ უ რ ნ ა ლ ი. წარმოიდგინეთ, ადამიანს ახასიათებს მოკვდავობა, დევდარ-ვეზირო.

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. და ეს ვერ არის თავაზიანი.

ფ ა რ დ ა.

ერთი მხრიდან, მეორე მხარეს, ფარდის წინ, მურმანს გაჰყავს გულწასული, ხელში აყვანილი ეთერი.

სინათლე ქრება. ისმის ხალხის შეძახილი ერთხმად: „გა-უ-მარ-ჯოს მეფე აბესალომს, გა-უ-მარ-ჯოს მეფე აბესალომს!"

მურმანის ხმალი, როგორც ყველა სურათში, ხელუხლებელია. ახლაც ავანსცენის კიდეზეა ჩასობილი. ტახტზე ზის აბესალომი, აქეთ-იქიდან დგანან დევდარ-ვეზირი, ქოსა-ვეზირი და მესამე ბჭე.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. ყველამ ვიცოდით, რომ დიდი მეფე აღარ იყო უკვე ცოცხალი, მაგრამ ჩვენი თქმით იგი მკვდრეთით ვერ აღდგებოდა, რა უნდა გვექნა? ძალაუფლების ჩაგდება ხელში კანონის გაღმა დარჩენას ნიშნავს.

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. მურმანის წასვლამ დაგვაბნია, ვერ მოვიფიქრეთ რა გვეღონა, ვის დავყრდნობოდით?

მ ე ს ა მ ე ბ ჭ ე. პირდაპირ უნდა ვაღიაროთ, დამნაშავე ვართ.

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. მადლობა ღმერთებს, ახლა უკვე თქვენ დაიკავეთ კანონიერი თქვენი ადგილი. მურმანი რომ დამჯდარიყო ტახტის მფლობელად, მთელ ქვეყანაზე უბედურება გამეფდებოდა. ისევ თავიდან დაიწყებოდა ამაო სისხლისღვრა, ჭეშმარიტების ძიების ნიღბით.

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. ყველაზე ბრძნული არჩევანი ეთერ-ქალის გაჩუქებით გამოამჟღავნეთ... მურმანიც მოლბა. ხუმრობაა, ცოლად გყავდეს ნადედოფლარი?!

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. არ შეშვენოდა ბრწყინვალე მეფეს ის გლეხის ქალი!..

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (ნელი ხმით) კარგი გაჩუმდით... ჭითხარით, კიდევ სხვა რა საქმე გაქვთ?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. თქვენი თანხმობით შუქურნა როსკიპს მოჰკვეთეს თავი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. გაასამართლეთ?

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. ორჯერ აღმართა უფლისწულზე

მან შავი ხელი და განა ამას გასამართლება სჭირდება კიდევ?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (არ უპასუხებს).

მ ე ს ა მ ე ბ ჯ ე. როდის გვიბრძანებ, დიდებულთა საბ-ჭო შევყაროთ, დიდო მეფეო?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. როდესაც გინდათ. (ისმის ხმაური, ხმები: „გა-უ-მარ-ჯოს მეფე აბესალომს). რა ხმაურია?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. თქვენი ბრძანება შევასრულეთ, შევკრიბეთ ხალხი, რომ მოგისმინონ... ერთგულება გა-მოგიცხადონ.

აბესალომი დგება, ხალხთან გასასელელად მიემართება, შე-ჩერდა, დაბრუნდა და ისევ დაჯდა ტახტზე.

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. ხალხს უნდა თავისი მეფე დაინახოს და მიულოცოს.

დ ე ვ დ ა რ ვ ე ზ ი რ ი, დაუნახავად საკმაოდ გაძლეს. კიდევ გაძლებენ.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. უთხარით რამე, ავადმყოფობა მო-იმიზეზეთ.

დევდარ-ვეზირი უხმოდ ანიშნებს მესამე ბჯეს, მესამე ბჯე გადის.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. როდის გაგზავნეთ მურმანთან კაცი?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. წუსელ საღამოს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. შეპირდა მოსვლას?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. ველოდებით, უნდა მოვიდეს.

შემოდის მასხარა.

მ ა ს ხ ა რ ა. დიდო მეფეო, გავიგე, რომ უქეიფოდ ხართ...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. რა საჭიროა ეს მასხარა?

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. გასართობად.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჩემს გასართობად?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. ოდითგანვე ასე არის დაწე-სებული.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. არასოდეს არ ამბობს მართალს...

ქ ო ს ა-ვ ე ზ ი რ ი. მაშ, რიღას ჯამბაზია, თუ მართალი თქვა.

მ ა ს ხ ა რ ა. დიდო მეფეო, მე სიმართლეს იმით ვამბობდი, რომ უხეიროდ და უმოწყალოდ ვტყუოდი მუდამ. ჩემს მონაყოლს ისეთნაირად შევკმაზავდი, ყველა ხვდებოდა მის მტკნარ სიცრუეს. კაცი თუ მიხვდა, რა არის ტყუილი, მაშასადამე ხვდება სიმართლეს. აი, ავიღოთ, მაგალითად, ეს ხელმანდილი, ან ხანდრაცია, ან რა მაცვია...

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კარგი, გაჩერდი... (შემოდის მურმანი) რა? მზე ჩავიდა? რაღაც სინათლეს ველარ ვხედავ, ვისი ჩრდილია?

დ ე ვ დ ა რ-ვ ე ზ ი რ ი. მურმანი გახლავთ, დიდო მეფეო.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დაგვტოვეთ მარტო. (ყველანი გაღიან აბესალომისა და მურმანის გარდა. მთელი ამ სცენის დროს აბესალომის სახე ნათლად ჩანს, მურმანის — ბუნდოვნად).

თითქოს ვერ გხედავ, რა მემართება? დაჯექი, ძმაო. (მურმანი ჯდება). ეს დღეები ბევრი ვიფიქრე...

მ უ რ მ ა ნ ი. რაზე ფიქრობდი?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. თითქმის ყველაზე და ყველაფერზე.

მ უ რ მ ა ნ ი (გაჩუმებულია).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ხომ ხედავ, როგორ არეულია ქვეყნიერება?

მ უ რ მ ა ნ ი. ქვეყნიერება არასოდეს არ დალაგდება.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. სულ სხვა აზრის იყავი უწინ...

მ უ რ მ ა ნ ი. ალბათ... არ მახსოვს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჯერ კიდევ მამის მეფობის დროს უსამართლობას ვერ იტანდი, ებრძოდი ბოროტს. ჭეშმარიტების საძიებლად მოგზაურობდი და ახლა, როცა შენი ზრახვები შეგიძლია შეისრულო, განავითარო ჩანა-

ფიქრი, რაც გაწუხებდა, გამოიყენო ძალაუფლება, უკან რად იხევ?

მ ურ მ ა ნ ი. მოკლედ მითხარი, რა გინდა ჩემგან?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. დაჯექი, იმეფე... და დამიბრუნე ქალი ეთერი! (მურმანი წამოხტა. ივარდა თავის ხმალს, რომელიც ჩასობილია ავანსცენაზე. ვერ ამოაძრო). შენ ყოველთვის ღონიერი იყავი ჩემზე, თუმცა ბუნება სამართლიანი რომ ყოფილიყო, ერთად ნამობებს ერთნაირად გვიწილადებდა.

მ ურ მ ა ნ ი. რაც ერთნაირად მოგვიზღო ღმერთმა, იმან დაგვღუპა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ყოველთვის ასე მოჩხუბარი იყავი, ბავშვიც...

მ ურ მ ა ნ ი. შენ მღეროდი და ლექსებს წერდი, ყველას უყვარდი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. შენს უშიშრობას ვნატრობდი მუდამ.

მ ურ მ ა ნ ი. მე დაგცინოდი, ვეჭვიანობდი.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. საოცარია, ადამიანი რამეს იფიქრებს, მოინდომებს და შემდეგ თვითვე ფუჭად ებრძვის იმავე აზრს, იმავე გრძნობას. შეგიმჩნევია, მდინარეში დიდი რამ ლოდი? მდინარის წყალი ეძალება მას გააფთრებით, როგორ დაუვლის ხოლმე, მხარს შეინაცვლებს. ქვეშ გაუძვრება, გადაახტება, სიფიცხით ისევ ეხეთქება და დორბლებსა ყრის. ცდილობს დაძრას იმ ადგილიდან, მაგრამ, ვაგლახ! ვეღარ ერევა. არადა, ლოდი ხომ მისივე მოტანილია ამ შუა წყალში?!

მ ურ მ ა ნ ი ეგ ქარაგმა რაში დაგჭირდა?

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. შენს ხმალს ვგულისხმობ. თუ უარს ამბობ, ჯობს რომ მომკლა, ღმერთებსა ვფიცავ.

მ ურ მ ა ნ ი. ეთერი მიყვარს.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. კანონიერად ღმერთებმა იგი მე მო-მაკუთვნეს.

მ ურ მ ა ნ ი. შენზე ადრე მე შევიცანი!

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ჩვენი მსგავსება საბედისწერო გა-მოდგა ჩემთვის.

მ ურ მ ა ნ ი (ნელა, დაჯერებულ-). სულ ერთია, ეთერი მურმანს შეიყვარებდა.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი. ეგეც ვიცოდი, არ გაჭრიდა ძრა მუ-დარა. გთხოვ, შემახვედრე. ნუ წამწყმიდავ. მაქეს რამ სათქმელი.

მ ურ მ ა ნ ი. გადვიხვეწებით უცხო ქვეყანაში და მო-ისვენებ. (მიდის).

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი (იჩოქებს). საით წახვედი? მომკალი მაშინ... სულ ვეღარ ვხედავ...

სინათლე ქრება. ფარდის წინ ინტერმედია — ცეკვა.

ცეკვის შინაარსი.

ქალი ფეხის წვერებზე დგას. ორი მაღლა აწეული ხელი, გრა-ციოზული პოზა, ფიალის დაჭერის იმიტაცია. შავებში ჩაცმული მამაკაცი ცეკვით მიუახლოვდება. აკეთებს რამდენიმე ანტრაშას ხან ერთი მხრიდან, ხან — მეორედან უნდა მისწვდეს ფიალას, მაგ-რამ ქალი ცალ ფეხზე ტრიალდება და საწინააღმდეგო მხარეს იზ-ნიქება. ბოლოს და ბოლოს, ქალი უწვდის მამაკაცს ფიალას, მამაკა-ციც მზადაა მიიღოს, მაგრამ ამ დროს მუსიკის ხმაზე გამოჩნდება თეთრებში ჩაცმული თეთრ ნიღბიანი მამაკაცი, ფიალა ვარდება. ესენი გაქვავებულნი უყურებენ ხან დავარდნილ ფიალას, ხან ნო-ცეკვავე მამაკაცს. რომელიც მათ უახლოვდება. ზუსტად იმავე პოზაში, რომელშიც გაქვავებულა შავებში ჩაცმული მამაკაცი, ერთ წამს ზურგს მიადებს თეთრებში ჩაცმული და ისინი, თითქოს შერწყმულნი, ზურგ-ზურგ მიდებულები ტრიალებენ სინქრონულ-ად და ისეთი შთაბეჭდილებაა, თითქოს ერთი ადამიანი ცეკ-ვავს. ქალი უკან-უკან იწევს და თითის წვერებზე გადის. მამაკა-

ცები ტრიალით მისდევენ ქალს. სადაც ერთის ფეხები უნდა იყოს, იქ მეორის თავია, როგორც კარტის ფიგურებში. ხელები ერთი-მეორეს წელზე აქვთ შემოჭდობილი.

იხსნება ფარდა. ციხე-კოშკის ფრაგმენტი. თმაგაშლილი ეთერი ზის სარკმელთან.

ა ბ ე ს ა ლ ო მ ი ს ხ მ ა. მე ბანი-ბანად გეძებდი,
შენ ბაღი-ბაღჩად გეძინა,
გაგეხსნა ოქროს საკინძე,
ბროლის გულმკერდი გეჩინა,
ეგ მოკაშკაშე დალალი
მორევად გადმოგეფინა.

შემოდის მურმანი.

მ ურ მ ა ნ ი. მე მეფესთან დამიბარეს...

ე თ ე რ ი (გაჩუმებულია).

მ ურ მ ა ნ ი. ვიყავი კიდეც.

ე თ ე რ ი (გაჩუმებულია).

მ ურ მ ა ნ ი. არაფერი არ შეცვლილა ჩვენს სასახლეში. ისევ ის დევდარ-ვეზირი, ისევ ის ქოსა-ვეზირი, მასხარაც კი წინანდებურად იმანჭებოდა, მერე თავლაში წავედი ცხენებს დავხედე, ჩვენს ფინიასაც მოვეალერსე. მეფე აბესალომის ნათქვამზე ვფიქრობდი მთელ დღეს...

ე თ ე რ ი (გაჩუმებულია).

მ ურ მ ა ნ ი. გზაში ერთი გლეხი სასიკვდილოდ დავდე. მოგიკითხა, როგორ არისო ნადედოფლარი.

ე თ ე რ ი. სიტყვის გულისთვის მოჰკალი კაცი?

მ ურ მ ა ნ ი. არ მომიკლავს... რომ მომეკლა, ღირსი არ იყო?

ე თ ე რ ი (გაჩუმებულია).

მ ურ მ ა ნ ი (ნაკლებად დაჯერებული). აქედან წავალთ, გადვიკარგებით სულ სხვა ქვეყნებში; შენი ლოცვები და ყაძლები გამოგვადგება, დაქირავებულ ჯარისკაცად ამიყვანენ უცხო სარდლები, ვიხეტიალებთ, გულს გა-

დავიყრით და ეს სიტყვები — ნადედოფლარი, ნაგუ-ბარში ჩადგება წყალი — ჩამოგვცილდება... ჩამოგვ-ცილდება.

ეთერი. მაინც ჩვენს თავს ვერ გავექცევით?!

მურმანი (ყვირის). რაო? ჩვენს თავს ვერ გავექ-ცევით?!

ეთერი. ვერ გავექცევით.

მურმანი. მაშინ რაღა ვქნათ, რა გვეშველება?!

ეთერი. აღარაფერი.

პაუზა.

მურმანი. ჩანს, სიყვარული უფსკრულიდან ამო-ზიდული ვეება ხეა, გზის პირიდან მისი კენწერო ბუჩ-ქად რომ მოჩანს, და, თუ მიიწევ სათამაშოდ, მოულოდ-ნელად თავბრუს დაგხვევს, გადაგჩეხავს, გადაგიყოლებს!

ეთერი. ანუ კელაპტრად გადმოუგდეს სამყაროს, მრუმეს, რომ მარტოსულებს გაუნათოს თავშესაფარი; ან კიდევ რაღაც საიდუმლო მარხია მასში...

მურმანი (ნელა). რატომ არ მკითხე, რა მითხრა მეფემ, აბესალომმა?

ეთერი. ჩანს, დედობილი მართალი იყო, როცა ამ-ბობდა — ადამიანი მოკვდავად იმიტომ იქცა, რომ მო-ინდომა ღმერთებისებრ შემოქმედება.

მურმანი. ჩვენ ოდესმე მივაგნებთ ღმერთებს!

ეთერი. სიყვარულის გზით??? (მურმანი მიუახლოვდა ეთერს, მოკიდა ორივე ხელი, უყურებს თვალებში). მითხარი, რა თქვა!

. მურმანი. ავად არის, ნუ წამწყმიდავ, სათქმელი მაქვსო. (პაუზა). შენ გადაწყვიტე?

ეთერი. ჰო, გადავწყვიტე. (უყურებენ ერთიმეორეს. შემდეგ ეთერი გაქრა მთვარეულივით).

მურმანი. გამარჯობა, მზეო ნათელო.

სინათლე ქრება. მეფის დარბაზის ერთ-ერთი ფრაგმენტი. აბესალომი წევს სარეცელზე. ნელი შემოდის ეთერი.

აბესალომი. ნულარ მაწუხებთ, აღარ მინდა არავის ნახვა... ჯარისკაცებად გაჭიმულან ალვის ხეები და არც ტოტები არ ირხევიან, მხოლოდ მეჩხერი, ნორჩი ფოთლები ნიავს ტაშის კვრით ეგებებიან. ჰოი, ღმერთებო, ნიავი არა. ეს ეთერია... ეს ეთერია.

ეთერი. მოვედი შენთან აბესალომ, ნუთუ ვერ მხედავ?

აბესალომი. გხედავ მუდამჟამს შინაგან მზერით. ძალე მოვკვდები, ეთერ ქალო, უნდა შემინდო, შემინდო ჩემი უგუნურება, დანაშაული. ავყევ საწუთროს, უარეყავი ამაღლება უნეტარესი. მე უბედურმა დავიჯერე — ძალაუფლებას, სიამაყეს, მდაბიო გრძნობებს ვითომ შეეძლოთ შეეცვალათ შენი სათელი. სწორედ იმიტომ დამაბრმავეს, ალბათ, ღმერთებმა, ვერ გაგისწორო რათა მზერა მაგ მზის თვალებში. ნუგეშად ერთი რამ მიმყვებოდა: გაუგებრობით მოხდა ყოველი...

ეთერი. არასოდეს გამტყუნებდი, ჩემო ბესია, ალობის წიგნი საწინდარი ჩვენ შეერთების, აი ეს დანა, ოქროსტარა იმედად ელავს, თითქოს გვპირდება დაგვანახოს გზები უვალი. ადამიანი სხვა ქმნილებას იმითა სჯობნის, საკუთარ დღეთა მოსწრაფვის რომ შესწევს უნარი. (გულში დაიცა დანა). . •

სინათლე ქრება.

ა პ ო თ ე ო ზ ი

ავანსცენაზე მურმანის ხმლის ოდნავ მარჯვნივ, შუა სცენისკენ სამი საფლავია. ორი ვარდი ეკლიან ბარდზე. საფლაეებთან ზის ბერიკა-ბიჭი, უყურებს ვარდებს. ორკესტრში შემოდის მოხუცი პიანისტი-გაქუცულ პალტოში, ჭრელ კაშნესა და შლაპაში, უკრავს.

ბ ე რ ი კ ა-ბ ი ჭ ი (წამოდგა, აღმოსავლეთისკენ დაიჩოქა).

მზეო, ამოდი, ამოდი
ნუ ეფარები გორასა,
სიცივეს კაცი მოუკლავს,
საწყალი ბერი გორაესა.

ამოდის მზე. მისი სხივები ფავლებში ანათებენ მაყურებელს.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

ს ტ უ მ ა რ ი

ᲔᲠᲐᲛᲐ ᲝᲠ ᲜᲐᲬᲘᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲠᲕᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲐᲓ.

ᲞᲠᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲔᲠ ᲔᲞᲘᲚᲝᲒᲘ

მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ნ ი

მამა, ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მინისტრის ყოფილი მოადგილე.
დ ე დ ა თამარი, ვალერიან ილიჩის ცოლი,
ს ო ს ო, მათი ვაჟიშვილი.
ნ ი ნ ო, მათი ქალიშვილი.
ბ ა ტ ო ნ ი ნ ი კ ო, ცნობილი მხატვარი, ნინოს ქმარი.
ლ ე ლ ა, სტუდენტი.
ახალგაზრდა კაცი.
ოპერრწმუნებული,
ექსპერტიზის ექიმი, 28—30 წლისა.
მამაკაცი.
მილიციონერი, მგზავრები და სხვანი.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

ეპილოგი პროლოგის მაგივრად

სამედიცინო ექსპერტიზის ოთახი. მხოლოდ თეთრი ხალათით, რომელიც კედელზე ჰკიდია, თუ მივხვდებით, რომ ამ ოთახს რაღაც საერთო აქვს მედიცინასთან. მაგიდას მიჯდომია ექიმი და გამალებით წერს. შემოდის თამარი, უხმოდ ტირის.

ე ქ ი მ ი. თქვენ ცოლი ბრძანდებით?

თ ა მ ა რ ი. დიახ.

ე ქ ი მ ი. დაბრძანდით, დაწყნარდით. ყველაფერი ხდება ცხოვრებაში. (თამარი ჯდება, თვალებს ცხვირსახოცით იმშრალებს). რამდენი ხანი ცხოვრობდით ერთად?

თ ა მ ა რ ი. ორმოცი წელი. (ექიმი თავის შეკითხვებსაც წერს და იშვიათად თუ ამოხედავს: თამარს).

ე ქ ი მ ი. ოჰ, ე. ი. ოჰ, ოჰ! ორმოცი წელი, აჰ! ხომ არ შეგიმჩნევიათ, მთელი ამ ხნის განმავლობაში რაიმე ისეთი, უჩვეულო ისეთი ქცევა, ნორმას რომ არ შეეფარდება, ერთი სიტყვით არანორმალური?

თ ა მ ა რ ი. როცა ასე დიდხანს ცხოვრობ ადამიანთან, ყველაფერი ხდება...

ე ქ ი მ ი. მაინც რა, აი, თქვენ თქვით ყველაფერი ხდებაო, მაშასადამე მხედველობაში გაქვთ, რაღაც კონკრეტული შემთხვევა, ასე არაა?

თ ა მ ა რ ი (გაჩუმებულია).

ე ქ ი მ ი (წერს თავის აუღებლად). იცით... მე შვილად გეკუთვნით, გარდა ამისა, ექიმი ვარ და ჩემი პროფესია მავალდებულებს გკითხოთ ზოგი რამ. როგორ ხასიათს ატარებდა თქვენი ფიზიკური სიახლოვე, ასე ვთქვათ, სექსუალური თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე იყო?

თ ა მ ა რ ი. დიახ.

ე ქ ი მ ი. ჰმ! (პატარა პაუზის შემდეგ. ეტყობა პასუხმა არ დააკმაყოფილა). როგორ ფიქრობთ, ხშირად, ასე ვთქვათ, გღალატობდათ, სხვა სიტყვებით, ქალებით თუ იყო გართული?

თ ა მ ა რ ი. არ ვიცი. ამის შესახებ არასოდეს მიფიქრია.

ე ქ ი მ ი (წერს). იყო თუ არა თქვენი ქმარი ეჭვიანი?

თ ა მ ა რ ი. როგორ გითხრათ...

ე ქ ი მ ი. მისი ეჭვიანობა, რასაკვირველია, ყოველთვის უსაფუძვლო იყო.

თ ა მ ა რ ი. რა თქმა უნდა.

ე ქ ი მ ი. ე. ი. (წერს). იგი ყოველთვის უსაფუძვლოდ და უსაგნოდ ეჭვიანობდა.

თ ა მ ა რ ი. არა, იქნებ ეს სულაც არ იყო ეჭვიანობა, იქნებ ეს ჩვევაში ჰქონდა.

ე ქ ი მ ი. ხშირ განმეორებას ჩვევა მოსდევს, ე. ი. ის ხშირად ეჭვიანობდა. (წერს).

თ ა მ ა რ ი (გაჩუმებულია).

ე ქ ი მ ი (წერს). რაში გამოიხატებოდა მისი ეჭვიანობა, დაგდევდათ, ჩაგკეტავდათ ხოლმე, თუ რაიმე სხვა ფორმებში?

თ ა მ ა რ ი. არა, როგორ გეკადრებათ, იგი უღირსად არასოდეს მომქცევია, და საერთოდ...

ე ქ ი მ ი. უნდა გაიხსენოთ რომელიმე კონკრეტული შემთხვევა (თავი ასწია, შეხედა, აღარ წერს). ეს ძალიან საჭიროა ჩვენთვის, ყველასათვის, გაიხსენეთ რაიმე მისი უცნაური საქციელი.

თ ა მ ა რ ი (გაჩუმებულია).

ე ქ ი მ ი. გაიხსენეთ, გაიხსენეთ.

თ ა მ ა რ ი. ჩვენ პირდაპირ სკოლაა, ომის დროს იქ ჰოსპიტალი იყო. ზაფხულობით ფანჯრებზე ხშირად ჯარისკაცები ისხდნენ საცვლების ამარა და გაზეთისაგან გაკეთებულ სამკუთხა ქუდებს უქნევდნენ გამვლელ-გამომვლელებს. ერთხელ, როცა შემთხვევით შეესწრო რომ მე ფანჯარასთან ვიჯექი, ძლიერ გაბრაზდა, წამეჩხუბა და ამიკრძალა ფანჯარასთან მისვლა.

ე ქ ი მ ი. ე. ი. ერთხელ როცა შეგისწროთ, ძლიერ გაბრაზდა და ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა?

თ ა მ ა რ ი. არა, იგი ამას ომის შემდეგაც ჩადიოდა, როცა იქ უკვე ისევ სკოლა იყო.

ე ქ ი მ ი (გამალებული წერს). მერედა, ახლა რაღას გერჩოდათ?!

თ ა მ ა რ ი. არაფერს, უბრალოდ, დღისითაც ჩამომა-შვებინებდა ხოლმე ფარდებს

ე ქ ი მ ი. აი, ხომ ხედავთ. (წერს).

თ ა მ ა რ ი. ექიმო, რა მდგომარეობაშია ახლა, რა ბოელის, რა იქნება?

ე ქ ი მ ი (ერთი ხანობა არ პასუხობს, წერს. შემდეგ შეწყვეტს წერას). ეს ცალკე მსჯელობის საგანია, ჯერ ვერაფერს გეტყვით, ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი. მაქვს კიდევ ერთი შეკითხვა. ძილი როგორი ჰქონდა?

თ ა მ ა რ ი. საერთოდ ჩივილი არ უყვარდა, მაგრამ უძილობა ხანდახან ემჩნეოდა.

ე ქ ი მ ი (დაამთავრა წერა). გმადლობთ, თუ თქვენი ვაჟიშვილი აქ არის, შემოვიდეს.

თ ა მ ა რ ი. დიახ, ყველანი აქ არიან, ვაჟიც, ქალიშვილიც, სიძეც.

ე ქ ი მ ი. სათითაოდ შემოვიდნენ, ჯერ ვაჟიშვილი. ნახვამდის.

თამარი გადის, ექიმი განაგრძობს წერას, ხემოდის სოსო.

ს ო ს ო. (ღიმილით). გამარჯობათ.

ე ქ ი მ ი. ჩვენ რა, ნაცნობები ვართ?

ს ო ს ო. არა.

ე ქ ი მ ი. მაშ რას იღიმებით.

ს ო ს ო. ისე, არაფერი...

ე ქ ი მ ი. დაჯექით, რა შეგიძლიათ თქვათ მამათქვენზე?

ს ო ს ო. თქვენ რა გაინტერესებთ.

ე ქ ი მ ი. ყველაფერი, რაც კი ბას დახასიათებს. მთავარი კი სიმპტომების შესახებ, გესმით რაშია საქმე?

ს ო ს ო. ავად არასოდეს ყოფილა...

ე ქ ი მ ი. ეს ყველაფერი ჩაწერილი მაქვს, მე ავადმყოფობაზე კი არ გეკითხებით, აგერ დედათქვენიც მიმტკიცებდა, რომ სექსუალური თვალსაზრისით ყველაფერი რიგზე იყო, მე რაღაც ეშვი მეპარება.

ს ო ს ო. ხი, ხი, აბა, რას იტყოდა.

ე ქ ი მ ი. თქვენ, გეტყობათ, მეტი იცით?

ს ო ს ო. მე ვერაფერს დავუმატებ, უბრალოდ დედაჩემზე მეცინება, საიდან უნდა იცოდეს, ყველაფერი ხომ შედარებას მოითხოვს?

ე ქ ი მ ი. დედათქვენი ერთგული ცოლი იყო და არ არის გასაკვირი, რომ რაიმე გამოეპარა, მაგრამ თქვენ მამაკაცი ხართ და უნდა შეგემჩნიათ მამათქვენის რაიმე უცნაურობა.

ს ო ს ო. იგი განსაკუთრებული ნიჭისა და რკინის ნებისყოფის ადამიანია.

ე ქ ი მ ი. მერე ამაში რა უცნაურობას ხედავთ?

ს ო ს ო. მე უცნაურად ის მეჩვენება, როცა ყველაფერი ნორმალურად მიდის.

ე ქ ი მ ი (წერს). რა იცით მისი ბავშვობის შესახებ?

ს ო ს ო. სამოქალაქო ომის ვეტერანი იყო, 15 წლისა სახლიდან გაიქცა და წითელ ჯარში მსახურობდა.

ე ქ ი მ ი. ესე იგი, გაქცევა სისხლში გქონიათ?

ს ო ს ო. ჩემს ძმას გულისხმობთ?

ე ქ ი მ ი. (წერს). დიახ. როცა ეს მოხდა, იმ დროს თქვენ სად იყავით?

ს ო ს ო. იქ ვიყავი.

ე ქ ი მ ი. დაწვრილებით მომიყევით, რა მოხდა.

ს ო ს ო. თქვენ ხომ ყველაფერი იცით, მე რაღას მალაპარაკებთ.

ე ქ ი მ ი. მე მაინტერესებს, როგორ მოხდა.

ს ო ს ო. არ ვიცი, არ ვიცი... ვერ გამიგია, რა გინდათ ჩემგან, თქვენც ხომ გამომძიებელი არა ხართ... (წამოდგა, ფანჯარასთან თითქოს აბეზარა ბუზს იგერიებს.)

ე ქ ი მ ი. მაშინ ისევ მამათქვენს დავუბრუნდეთ...

ს ო ს ო. არა, რა, მე დღეს შეუძლოდ ვარ.

ე ქ ი მ ი. ორი სიტყვაც და გაგიშვებთ.

ს ო ს ო. რაიმე დასაწყნარებელი წამალი არა გაქვთ?

ე ქ ი მ ი. ცუდად ხარ?

ს ო ს ო. დიახ. არაფერი გაქვთ?

ე ქ ი მ ი. არაფერი, აი. წყალი დალიე.

ს ო ს ო (გრაფინიდან წყალს ისხამს, მაგრამ აღარ სვამს) ვმაღლობთ.

ე ქ ი მ ი (სოსო საჩქაროდ გადის). თქვენი და შემოვიდეს. (შემოდის ნინო).

ნ ი ნ ო. ეს პირდაპირ საშინელებაა, ეს რაღაც წარმოუდგენელი უბედურებაა, შეიძლება ქმართან ერთად შემოვიდე?

ე ქ ი მ ი. არა, მე ხომ გავაფრთხილე დედათქვენი. მხოლოდ სათითაოდ.

ნ ი ნ ო. მაინც ვერ დავიჯერებ, აქ რაღაც სხვა იმალება, სხვა რაღაცაშია საქმე.

ე ქ ი მ ი. რასაკვირველია, რასაკვირველია (განაგრძობს წერას). დაბრძანდით. ალბათ ხვდებით, თუ რა მიზეზით დაგიბარეთ.

ნ ი ნ ო. დიახ, დიახ, მაგრამ ვერაფრით ვერ გამიგია. მაინც რა მოხდა?

ე ქ ი მ ი. უნდა მოგახსენოთ. რომ ამის შესახებ უკვე ველაპარაკე დედათქვენს, ეს სერიოზული, რთული საკითხია. რომელიც სპეციალურ შესწავლასა და ახსნას მოითხოვს. დღეს კი თქვენ უნდა მიპასუხოთ, რამდენიმე კითხვაზე. პასუხები რაც შეიძლება მოკლე და კონკრეტული იყოს, ძალიან ბევრი საქმე მაქვს. (წერს). ამბობენ რომ მამათქვენი სივაჟკაცით გამოირჩეოდა. რაში გამოიხატებოდა ეს?

ნ ი ნ ო. ყველაფერში.

ე ქ ი მ ი. მაინც.

ნ ი ნ ო. თუ გნებავთ იმაშიც, რომ არავითარი ტკივი

ლი მისთვის არ არსებობდა, მაგალითად, კბილის ექიმთან დიდი ხალისით მიდიოდა ხოლმე და სასაცილოდ არ ყოფნიდა, თუ ვინმე ბორმანქანას შიშითა და უსიამოვნო გრძნობით იგონებდა.

ე ქ ი მ ი. ჰმ! ჰმ! (იწერს). მის ნორმალურობაში არასოდეს შეგპარვიათ ეჭვი?

ნ ი ნ ო. როგორ გეკადრებათ, აი, თურმე როგორ შეიძლება დაეცეს კაცი! განსაკუთრებით სხვის თვალში, იგი ხომ ბრწყინვალე ჭკუის პატრონია.

ე ქ ი მ ი. მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან როცა გაათავისუფლეს, როგორ გადაიტანა?

ნ ი ნ ო. ამ უბედურებას იგი ვაუკაცურად და ამაყად შეხვდა. პერსონალურ მანქანას უტოვებდნენ, მაგრამ თვითონ არ დაიტოვა, უარი თქვა.

ე ქ ი მ ი. მის ქცევაში არავითარი ცვლილება არ შეგინიშნავთ?

ნ ი ნ ო. რას ამბობთ, როგორც კი ინსტიტუტი ჩააბარეს, დიდი ხალისით დაიწყო მუშაობა, ბავშვივით დღედაღამე კითხულობდა, როგორც იტყვიან, ჩაეფლო მეცნიერებაში, ბოლო დროს მაინც სულ თავის გამოგონებას დასტრიალებდა.

ე ქ ი მ ი. რა ერქვა მის გამოგონებას?

ნ ი ნ ო. „ულტიმა რაციო“ ეს ლათინური სახელწოდებაა.

ე ქ ი მ ი (წერს). თავისუფალი ხართ, ნახვამდის.

ნ ი ნ ო. და მაინც, როგორ გგონიათ, რა იქნება?

ე ქ ი მ ი. არ ვიცი, ჯერ არაფერი არ ვიცი.

ნ ი ნ ო. ჩემ ქმართან გნებავთ ალბათ შეხვედრა, არა?

ე ქ ი მ ი. დიახ. დიახ.

ნინო გადის და შემოდის ბატონო ნიკო, ექიმი წერს, ყურადღებას არ აქცევს.

ბ-ნ ნიკო. (ადგება). მე ვხედავ, თქვენ ფრიად დაკავებული ბრძანდებით, ხომ არ გადაგვედო საუბარი? საერთოდ, ნათესავები ყოველთვის ხელს უშლიან ჭეშმარიტი ფაქტების დადგენას.

ექიმი. პირიქით, თქვენ ახლა ძალიან მჭირდებით, დასკვნა მაქვს სასწრაფოდ დასამთავრებელი.

ბ-ნ ნიკო. უკაცრავად, მაგრამ ფსიქიატრები სწორედ იმას ამტკიცებენ, რომ დიაგნოზის დასმის საკითხში ნათესავების ჩარევა მხოლოდ შემშლელი გარემოებაა.

ექიმი. შეიძლება, მაგრამ მე მკურნალი კი არ გახლავართ, ექსპერტი ვარ, მე სხვა გასაჭირი მაქვს.

ბ-ნ ნიკო. იცით, ზოგიერთ რამეში ვერ ვერკვევი. მოგეხსენებათ, ჩვენ ხელოვნების ხალხი... მართლმსაჯულების ლაბირინტებში კი არა, ცხოვრების აზრზეც არა ვართ ხანდახან.

ექიმი. ამიტომაც დამიგდეთ ყური.

ბ-ნ ნიკო. გისმენთ უსაზღვრო ყურადღებით.

ექიმი. როგორ ფიქრობთ, თქვენი სიმამრი ნორმალური ადამიანი იყო, თუ რაიმე უცნაურობით გამოირჩეოდა?

ბ-ნ ნიკო. როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ.

ექიმი. ვერ გავიგე, რას ამბობთ.

ბ-ნ ნიკო (დგება და იწყებს ბოლთის ცემას ოთახში). თქვენ წარმოიდგინეთ, ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა არცთუ ისე იოლია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს. საერთოდ, სად იწყება ნორმა და სად თავდება, მიჯნებისა და ზღვრების დადგენა ერთობ ძნელი საქმე გახლავთ. თუკი დავუშვებთ, რომ მაგალითად, იგი ზედმეტად მკაცრი ხასიათისა იყო, ეს ჯერ კიდევ არაფრის მთქმელია, ასე არ არის, მეგობარო?

ექიმი. თქვენ არ ეწევით?

ე ქ ი მ ი. ამბობენ მაგალითად, რომ თქვენი სიმამრი ხანდახან ჩიბუხს ეწეოდა?!

ბ-ნ ნ ი კ ო. იშვიათად.

ე ქ ი მ ი. განსაკუთრებულ ბალახს, თუ თუთუნს ხმარობდაო.

ბ-ნ ნ ი კ ო. ო, დიახ, დიახ, „ოქროს მამალი“ თუ, რაღაც, ასე ეძახოდა იგი თუთუნს.

ე ქ ი მ ი. მერე ეს ხომ ფრინველთა ექსკრემენტი, სხვა სიტყვებით გამხმარი სკინტლი იყო.

ბ-ნ ნ ი კ ო. რას ბრძანებთ, ხუთუ? ეს რა ახირებაა.

ე ქ ი მ ი. ახირებაა თუ გადახირება, ეს ფაქტებია, დაბრძანდით და მიპასუხეთ კიდევ ერთ შეკითხვაზე. მე მითხრეს, რომ თქვენ სახელგანთქმული მხატვარი ბრძანდებით...

ბ-ნ ნ ი კ ო. (ნასიამოვნები). როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, მე უბრალო ფერმწერი ვარ და რა ვიცი, ვერაფრით ვერ გამიგია, რა ხდება ამ ცხოვრებაში..

ე ქ ი მ ი. მითხრეს, რომ თქვენ მშვენიერი პორტრეტები გაქვთ დახატული.

ბ-ნ ნ ი კ ო. ოჰ! ეს ჩემი პორტრეტები ქვეყნის სალაპარაკო გახდა.

ე ქ ი მ ი. დაგიხატავთ თუ არა ოდესმე თქვენი სიმამრი?

ბ-ნ ნ ი კ ო. დიახ, მე მისი პორტრეტი დავწერე.

ე ქ ი მ ი. სამწუხაროდ დრო არა მაქვს, რომ ვნახო, მგრამ თქვენ უარს არ მეტყვით და დამეხმარებით ალბათ. პორტრეტზე მუშაობისას ხომ არ მოგსვლიათ თავში აზრი, აღგებეჭდათ სურათზე თქვენი ნატურის რაიმე პათოლოგიური შტრიხი?

ბ-ნ ნ ი კ ო. ჰმ! თქვენ შეეხეთ ფრიად რთულსა და

სერიოზულ თემას და ამის შესახებ თითქმის ვერაფერს გეტყვით, არა იმიტომ, რომ ცოტა რამ გამეგება ამ დარგში, პირიქით, სწორედ ზედმეტი ინფორმაციის გამო. ხომ იცით, ასე ხდება, რაც მეტი იცი, მით უფრო არა ხარ დარწმუნებული შენს სიმართლეში, მაგრამ ერთს მაინც გეტყვით: არსებობს ასეთი უჩვეულო პარადოქსიც, რომ ყოველი ადამიანი ატარებს თავის გარეგნობაში ატავიზმისა და პათოლოგიის ოდნავ შესამჩნევ გადანაშთებს, არ ვიცი, გამიგეთ თუ არა, მაგრამ მედიცინის ენაზე თუ გადავიტანთ, ეს გადანაშთები ლატენტურ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ე ქ ი მ ი. მე თქვენ სიმამრზე გეკითხებით.

ბ-ნ ნ ი კ ო. დიახ, დიახ, რაც შეეხება ჩემს სიმამრს, ვფიქრობ, ხელახლა დამჭირდება გადავამოწმო ჩემი შთაბეჭდილებები, იცით, ხშირად ეს გაუცნობიერებლად აღიბეჭდება ხოლმე, მაგალითად, თუ ავიღებთ...

ე ქ ი მ ი. და უკანასკნელი კითხვა: რატომ არ წავიდა თქვენი სიმამრი უცხოეთის მიელინებაში, უკეთ, უკან რად დაბრუნდა საზღვრიდან, თუ არა ვცდები ბრესტიდან?

ბ-ნ ნ ი კ ო. ჰო, ვერაფერს გეტყვით, აღარც კი მახსოვს ეგ შემთხვევა.

ე ქ ი მ ი. არ გახსოვთ? დასავლეთ გერმანიაში მიდიოდა და ავადმყოფობა მოიმიზეზა. მგონი აეროპორტიდან თუ საზღვრიდან დაბრუნდა.

ბ-ნ ნ ი კ ო. აჰა, მიგიხვდით, თქვენ გგონიათ, რომ მას ჰქონდა რაღაც უსაფუძვლო შიში — სივრცის, სიმაღლისა და ამგვარი ფობიები? არა, არ შემიმჩნევია, არ შემიმჩნევია.

ე ქ ი მ ი. ჰოდა, ესეც ჩავწეროთ.

ბ-ნ ნ ი კ ო. აი, ასე ხდება ცხოვრებაში, არაფრის

დრო აღარ გრჩება, ვერაფერს ვეღარ იგებ, თუმცა ჩემისთანა არაპრაქტიკული ადამიანისათვის, სულაც არ არის გასაკვირი, მაგრამ მაინც, იცით, ეს სიყვარული ადამიანის მიმართ, ეს უანგარო გრძნობაა...

ე ქ ი მ ი. მე თქვენ აღარ მჭირდებით, თავისუფალი ბრძანდებით.

ბ-ნ ნ ი კ ო. მითხარით, მეგობარო, აი, თქვენ რა აზრისა ხართ მისი შრომების, კერძოდ, იმ შრომის შესახებ, რომელიც ეხება აპარატ „ულტიმა რაციოს“.

ე ქ ი მ ი. სისულელეა!

ბ-ნ ნ ი კ ო. რა არის სისულელე?

ე ქ ი მ ი. „ულტიმა რაციო“, რის გაკეთებასაც ის აპირებდა. (ტელეფონი რეკს. ექიმი იღებს ყურმილს). დიახ, ახლავე ამოვალ, დიახ, მე უკვე მზადა მაქვს... ახლავე (ბ-ნ ნიკოს). ბოდიში, ძალიან მეჩქარება, ნახვამდის.

ფარდა

სურათი პირველი

სასტუმრო ოთახი, მინისტრის ყოფილი მოადგილის ვალერიან ილიჩის სახლში. მძიმე, სახაზინო შეხედულების ავეჯი, ზედმეტი არაფერია, ფანჯრებზე დიდი მოძველებული ფარდები, სასტუმროს ყაიდისა. ოთახში სოსო და ლელა.

ლ ე ლ ა. რატომ მომიყვანე აქ?

ს ო ს ო. დედა მინდოდა გაგეცნო.

ლ ე ლ ა. რისთვის?

ს ო ს ო. როგორ თუ რისთვის, ასეა მიღებული.

ლ ე ლ ა. მერე, სად არის დედაშენი?

ს ო ს ო. სიძესთანაა, რაღაც ავეჯი შეუძენიათ და მოსახმარებლად წასულა.

ლ ე ლ ა. შენ ხომ გაფრთხილებული გყავდა?

ს ო ს ო. არ მეგონა, რომ შინ არ დაგვხვდებოდა, ძალიან იშვიათად გადის სახლიდან.

ლ ე ლ ა. მამაშენი?

ს ო ს ო. დასავლეთ გერმანიაში გაემგზავრა წუხელ.

ლ ე ლ ა. მშვენიერი ბინა გქონიათ.

ს ო ს ო. მამას ეს მინისტრობის დროს მისცეს. მაშინ დიდი ოჯახი გვქონდა — ძმა, და, — ხუთი სული.

ლ ე ლ ა. აბა, ძმის სურათი მაჩვენე, ხომ შემპირდი...

ს ო ს ო. ფოტო სახლში არა გვაქვს, მე ალბათ მის ნახატებზე თუ გელაპარაკე.

ლ ე ლ ა. კარგი, ნახატები იყოს.

ს ო ს ო. ძნელი მოსაძებნია, ვინ იცის, სად ჩაჩურთა დედაჩემმა. თუ საერთოდ არ გადააგდეს.

ლ ე ლ ა. საქმე მაინც არაფერი გვაქვს, მოძებნე, ნუ გეზარება.

ს ო ს ო. ამ ძველმანების კარადაში თუ გადარჩა.. (ეძებს).

ლ ე ლ ა. და მაინც ვერ გამაგებინე, რატომ წავიდა სახლიდან?

ს ო ს ო. მეც არ ვიცი, დედას რომ ყური დაუგდო, წიგნებმა გადარიაო.

ლ ე ლ ა. დონ კიხოტივით?

ს ო ს ო. ვერ გეტყვი. მამა კი მასზე დიდ იმედებს ამყარებდა, გამოჩენილ ადამიანად ამზადებდა. (ნახა სურათი). ოჰ, რა დამტვერილია!

ლ ე ლ ა. მომეცი!

ს ო ს ო. დამაცადე, გადავწმინდო, (შემოსასვლელი კარის ზარი). ვინ უნდა იყოს? (გადის, ისმის სოსოს გაოცებული ხმა: „მამა?!“ შემოდის ვალერიან ილიჩი ჩემოდნითა და ჰორტუელით ხელში), რა მოხდა, მამა, მგზავრობა გადაიდო?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ეს ქალიშვილი ვინ არის?

ს ო ს ო. ლელა, ჩვენი სტუმარია, ჩემი ნაცნობი სტუდენტი.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. სასიამოვნოა, დედა სად არის?

ს ო ს ო. ნინოსთან... რატომ არ გაემგზავრეთ, მამა?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (მოწყვეტილად ჯდება), შეუძლოდა ვარ...

ს ო ს ო. ექიმს გამოვუძახოთ?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არრაააა.. არაა საჭირო, გადავიფიქრე... რა მინდა საზღვარგარეთ...

ლ ე ლ ა. თავად თქვით უარი?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მაშ სხვა ვინ იტყოდა ჩემს მაგიერ?!

ლ ე ლ ა. ალბათ მოგბეზრდათ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რა?

ლ ე ლ ა. ხშირად დადიხართ ალბათ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მშვენიერი პუნქტია ანკეტაში. ნამყოფი ხარ თუ არა უცხოეთში და სად? — არსად, არასდროს და არცა მაქვს სურვილი!

ს ო ს ო. მაგრამ თქვენ ხომ დათანხმდით?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ჩავიდინე ეს სისულელე, არ მეგონა ასეთ მათხოვრებთან თუ მოვხვდებოდი: ნიფხვებში მალავდნენ რაღაც-რაღაცეებსა და საბაჟოს მოხელეებს ელაქუცებოდნენ. წადი, დედას დაურეკე ჩქარა მოვიდეს. ნახვამდის, ქალიშვილო, (წამოდგა და კარებისაკენ წავიდა, მერე შეჩერდა.) ამბობენ, რომ იქ ხალხი მშვენივრად ცხოვრობს, არა?

ლ ე ლ ა. ამბობენ...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მერიდა, ვინ ამბობს ამას?

ლ ე ლ ა. ყველა, ვინც კი ნამყოფია.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ბოდიში და, ჩვენი მოწინავე

საზოგადოება, არა? ქარხნის დირექტორები, პარტკომე-ბი, ჩვენი, ბოდიში და, ინტელიგენცია, არა?

ლ ე ლ ა. თუ კი.ისინი მართალს ამბობენ?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რა მართალს? იცით, რას გეტყვით, ქალიშვილო, რუსეთში, როგორც კი გაროზ-გვა აკრძალეს, სამი წელიც კი არ იყო გასული და უკვე მეფის მოკვლა მოინდომეს.

ლ ე ლ ა. მერედა, ამას თქვენ წასვლასთან რა კავშირი აქვს?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. საერთოდ ვამბობ, წესიე-რებაზე, შეგნებაზე, ადამიანის უმადურებაზე, აღვირახ-სნილობაზე... (რაღაცას ეძებს ჯიბეში.). ნეტავ სად წავიღე, (ჯიბიდან ამოაქვს რაღაც გახვეული). ჰო, აი, აქ მქონია. უჰ, კიდევ კარგი. (შემოდის სოსო). დაუკავშირდი?

ს ო ს ო. დედაცა და ნინოც ახლავე მოვლენ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. აქ, სადღაც ჩემი ჩიბუხია, მომიძებნე, ეს თუთუნი ჩიბუხში უფრო სასიამოვნოდ მოიწევა.

ს ო ს ო. ახლავე (გადის მოსაძებნად).

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (ერთხანს დაჰყურებს გახსნილ გაზეთს და ისევ ახვევს). რასაკვირველია არასოდეს არ მო-მიწევია ასეთი რამ, არადა ვიპოვე სულ პატარა ქოხთან, აეროპორტის ახლოს. ბავშვობაში თუ დაგილეევიათ ვა-ლერიანის წვეთები? იმის გემო აქვს... საინტერესოა, საიდან გაჩნდება ხოლმე უცებ ის, რაც ყველაზე საჭი-როა, მხოლოდ ერთი რამ არის საეჭვო, ის მართლაც ის არის თუ ეჩვენება ადამიანს... შემთხვევით, ხომ არ ეწევით?

ლ ე ლ ა. არა!

შემოდის სოსო. აწვდის ჩიბუხს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. თუ მიკითხონ, სახლში არ, ყარ, არც ტელეფონთან დამიძახო! (გადის).

ს ო ს ო. საოცარი კაცია, აი, არ მოუნდა გამგზავრება, მოეპრიანა და უკან დაბრუნდა.

ლ ე ლ ა. წავედი.

ს ო ს ო. მოიცა, ახლა ჩვენებიც მოვლენ!

ლ ე ლ ა. სურათს თან წავიღებ.

ს ო ს ო. მოიცა გაგაცილებ!

ლ ე ლ ა. არაა საჭირო.

პირველი სურათის დასასრული.

მეორე სურათი

პატარა ოთახი, ფანჯარა ჩაბნელებულია ფჭრდით. ძველი დივანი, მაგიდა, რამდენიმე სკამი. მაყურებლისაკენ ზურგით შემობრუნებული კარადა ქმნის ტიხარს. ოთახის კედლები და კარადა აპრელებულია ფერად-ფერადად მიწერილი სხვადასხვა გამონათქვამებითა და ლექსებით. იატაკზე ძველი რადიომიმღები დგას, ზემოდან ფირფიტები აყრია. კუთხეში დიდი პლაკატია გაკრული: „თუ გინდა იყო ბედნიერი, იყავი, ვინ გიშლის!“ შემობრუნებულ სკამზე მხედარივით ზის ლელა, ჯინსებსა და მეზღვაურის მაისურში, ხელში სურათი უჭირავს და აკვირდება. გამოდის სოსო.

ს ო ს ო. კიდევ მაგ სურათს შესცქერი?

ლ ე ლ ა. ესენი პირველყოფილი ადამიანები ყრიან პალეოლითის ხანიდან.

ს ო ს ო. იგი ამ სურათს „ჩასაფრებულებს“ უწოდებდა.

ლ ე ლ ა. მე უფრო სხვა სახელს მოვუძებნიდი. კიდევ მომიყევი რაიმე მის შესახებ.

ს ო ს ო. უკვე ყველაფერი გიამბე. მეტი აღარაფერი მახსოვს.

ლ ე ლ ა. კი მაგრამ, რატომ არ გააშვებინებთ, ამდენი ხანი რა უნდა ციხეში?

ს ო ს ო. ეს წარმოუდგენელია.

ლ ე ლ ა. რატომ? რა არის წარმოუდგენელი, სახლიდან გააგდეთ და ახლა ამბობთ, გაშვება წარმოუდგენელიაო?

ს ო ს ო. ვინ გააგდო? არავისაც არ გაუგდია, თვითონ წავიდა...

ლ ე ლ ა. 16 წლისა რას არ ჩაიდენ! მაგ ასაკში მეც საოცარ ძალას ვგრძნობდი, რაღაც ქარიშხალი მედგა გულში, გაურკვეველი მოლოდინით ვიტანჯებოდი, სულწასული ვუცდიდი რაღაცას და ბაცოფებდა, დრო რომ ასე ნელი იზლაზნებოდა, ჩქარა მსურდა გავცლოდი ამ პრიმიტიულ განივთებულ, გულისგამაწვრილებელ ოჯახურ მოწყენილობას: ქუსლების მაგიერ თითქოს ზამბარები მქონდა, რომლებიც მატტუნებდნენ, მაგდებდნენ ზემოთ. ხშირად, ქუჩაში გამოსვლისას, ჩემს თავს ვიჭერდი იმაში, რომ უმიზნოდ და უმიზეზოდ გავრბოდი, მივიჩქაროდი, იქ, სადღაც, ლამაზი და ბედნიერი ცხოვრების შესახვედრად.

ს ო ს ო. ეგ გასაგებია, შენ დედინაცვალთან იზრდებოდი.

ლ ე ლ ა. მარტო მაგაში არ იყო საქმე. (პაუზის შემდეგ). დედინაცვალს გააჩნია — იგი მამაჩემსაც ატყუებდა, თვალთმაქცობდა.

ს ო ს ო. ღალატობდა?

ლ ე ლ ა. არა, საერთოდ ატყუებდა ყოველ ნაბიჯზე. მას არ უყვარდა არც მამა და არც არავინ, ამას მამაც ხვდებოდა თურმე. როცა კვდებოდა, მაშინ მითხრა: ლელა, შვილო, მაგას არ დაუჯერო, არ ენდოო არაფერში.

ს ო ს ო. პეტრე კი უსაყვარლესი შვილი იყო. მამამ მას ბრწყინვალე განათლება მისცა.

ლ ე ლ ა. ბრწყინვალე განათლება მისცა და ციხეში შეაგდო?!

ს ო ს ო. სახლში ამის შესახებ არაფერი იციან.

ლ ე ლ ა. როგორ, 17 წლის განმავლობაში არ დაინტერესებულან შვილის ბედით?!

ს ო ს ო. ყველას გაძოტირებული გვყავს, მამაჩემი მკაცრი, პრინციპული კაცია...

ლ ე ლ ა. დედა?! ნათესავები?!

ს ო ს ო. რა ვიცი, ალბათ, დაავიწყდათ, რადგან ჩვენთან სახლში ამაზე ლაპარაკი აკრძალულია: პეტრე რომ ცოცხალია და ზის, ძეც შემთხვევით გავიგე, როცა ტურისტული საგზურისთვის ანკეტას მაესებინებდნენ.

ლ ე ლ ა. და შენ წერილი არ მისწერე.

ს ო ს ო. რა მიმეწერა, ან ვისთვის, როგორც მითხრეს, სხვის გვარზეა, სად უნდა მეძებნა?!

ლ ე ლ ა. იქ, საიდანაც ეგ გაიგე. გინდა წაგიკითხო წერილი?

ს ო ს ო. ვისი?

ლ ე ლ ა. პეტრესი, შენი ძმის.

ს ო ს ო. პეტრესი?

ლ ე ლ ა. ჰო, ჩვენ უკვე მიმოწერა გვაქვს.

ს ო ს ო (გაჩუმებულია).

ლ ე ლ ა. პირველმა მე მივწერე, წაგიკითხო?

ს ო ს ო (გაჩუმებულია).

ლ ე ლ ა (შესცქერის ირონიულად). გაგეხუმრე, საიდან უნდა მცოდნოდა მისამართი.

ს ო ს ო. ეს ადვილი საქმეა.

ლ ე ლ ა. როგორ?

ს ო ს ო. ძებნას გამოაცხადებდა.

ლ ე ლ ა. აკი წარმოუდგენელიაო. ხა-ხა-ხა. გაგეხუმრე, მართალი არ გეგონოს.

ს ო ს ო. შენგან ყველაფერია მოსალოდნელი.

ლ ე ლ ა. საათს რომ შეკერდი, რატომ არ მოგაქვს?

ს ო ს ო. ამ დღეებში შემოგიტან. დედა მომცემს ფულს და თუ არ წავედი, უთუოდ შემოგიტან.

ლ ე ლ ა. (გულგრილად). მაშასადამე მიემგზავრები.

ს ო ს ო. ჯერ გადაწყვეტილი არა მაქვს.

ლ ე ლ ა. როგორც კი უკანასკნელ გამოცდას ჩავაბარებ, მეც გადავიხვეწები სადმე. მომბეზრდა აქაურობა.

ს ო ს ო. სად?

ლ ე ლ ა. რა ვიცი, თუგინდ „ბამზე", ან სადმე. პომიდორის საკრეფადაც კი უფრო საინტერესო იქნება.

ს ო ს ო. ჩვენი პირობა?

ლ ე ლ ა. რა პირობა? შენი ცოლი რომ გავხდე?

ს ო ს ო. მამა თუ არ გაგვიბრაზდა.

ლ ე ლ ა. დებილი ხარ.

ს ო ს ო. რატომ?

ლ ე ლ ა. ეე, ახლა მეზარება, მომაწოდე სიგარეტი.

ს ო ს ო. კი, მაგრამ, მაინც რატომ ვარ დებილი?

ლ ე ლ ა. შენ ბართლა ხომ არ გგონია, რომ ჩვენ რაიმე გრძნობა გვაკავშირებს.

ს ო ს ო. ხომ იცი, რომ მიყვარხარ.

ლ ე ლ ა. არასოდეს არ ვავთხოვდები.

ს ო ს ო. რომ მპირდებოდი?!

ლ ე ლ ა. ჰო, მინდოდა უზრუნველი ცხოვრება...

ს ო ს ო. რა შეიცვალა?

ლ ე ლ ა. გადავიფიქრე.

ს ო ს ო. რატომ?

ლ ე ლ ა. შენ მდგომარეობას ვერ შემიქმნიდი, არც შენი მშობლები ჩანან მარიფათიანები, ცოლქმრობა კი,

უკეთეს შემთხვევაში, გაუთავებელი ფარისევლობაა.

ს ო ს ო. ვიდრე რაძეს დაასკვნიდე, თავად უნდა გამოცადო. სხვის ნალაპარაკებს და გოგონების ნაჭორავებს რომ აჰყვე...

ლ ე ლ ა. მორალური ნორმების ჭეშმარიტ ფასს გოგოები უფრო ადრე იგებენ და ამის გასაგებად ქმარი სულაც არ არის საჭირო.

ს ო ს ო. ამით რა გინდა თქვა.

ლ ე ლ ა. ერთი ფიზკულტურის მასწავლებელი გვყავდა სკოლაში, კანონებისა და მორალური დებულებების „დამცველი", ნამდვილად კი ერთი სული ჰქონდა, სანამ ტრუსიკში დამინახავდა.

ს ო ს ო. ყველა ერთნაირი ხომ არაა?

ლ ე ლ ა. ალბათ.

ს ო ს ო. ცუდ გუნებაზე ხარ და იმიტომ ლაპარაკობ ასე.

ლ ე ლ ა. შეიძლება. (პაუზა). შენც ხომ უნდა გეთხოვა ვიღაც „სვეტსკი" კეკელა.

ს ო ს ო. ეს როდის იყო...

ლ ე ლ ა. როცა იყო!

ს ო ს ო. ჩვენები მაძალებდნენ.

ლ ე ლ ა. და შენ არ მოინდომე?

ს ო ს ო. იმან დამიწუნა. (პაუზა). აღარ ვიცი, დავრჩე თუ წავიდე?

ლ ე ლ ა. წასვლას ხომ აპირებდი?

ს ო ს ო. კარგი, დავრჩები.

ლ ე ლ ა. არაფერიც.

ს ო ს ო. რატომ?

ლ ე ლ ა. უნდა გამოვიძინო, ხვალ გამოცდა მაქვს.

ს ო ს ო. გეხვეწები, მე ხელს არ შეგიშლი.

ლ ე ლ ა. მიდი, მიდი, მოუსვი აქედან!

ს ო ს ო. გეხვეწები...

ლ ე ლ ა (მკაცრად). აბა!.. (სოსო იკეთებს .ჰალსტუკს, იცვამს, პიჯაკს და გადის).

სინათლე ქრება.

მ ა მ ა კ ა ც ი ს ხ მ ა. აქ ჩრდილოეთში ადრიანი გაზაფხულია. ჰორიზონტს ლურჯი ხანძარი მოსდებია, მაღლა კი, ვარსკვლავებით მოოქრულ შავი ხავერდის ცაზე, ცისარტყელებად აკიაფებული სხივები გარბიან. თავბრუ გეხვევა, გსურს დაეკიდო ერთ-ერთ გაქცეულ სხივს და საბაგირო გზასავით გაჰყვე, გადახტე ფერმკრთალ გარსში, რომელიც არშიად მოვლებია ლურჯ ხანძარს. მიწაზე კი სიბნელე და სიცივეა.

ლ ე ლ ა. სადღაც წამიკითხავს, რომ სულიერი წონასწორობა, სიჯანსაღე, ადამიანმა უნდა მოიპოვოს საკუთარი შეცდომების აღიარებაში, ამით უნდა დაუბრუნდეს ენერგიის წყაროს, ეძიოს, მოითმინოს, სჯეროდეს და იქონიოს იმედი.

მ ა მ ა კ ა ც ი ს ხ მ ა. კიდევ კარგი, რომ ადამიანი ვერ ხედავს საკუთარ თავს. როცა საკანში მკრთალი სინათლე ინთება და კედელზე ისევ ჩემი აჩრდილი იხატება, მძულს ჩემი თავი.

სცენა ნახევრად ნათდება. დილის ბინდბუნდი, ქუჩა. მარცხნივ სახლი, დიდი, განათებული ფანჯრით. ფანჯარასთან ლელასა და მამაკაცის ლანდებია. ისინი მოძრაობენ, ხანდახან ეხვევიან ერთმანეთს, მოპირდაპირე მხარეს, რომელიღაც სახლის სხვენზე მოკალათებული სოსო გარინდებული უთვალთვალებს ფანჯარას.

ლ ე ლ ა ს ხ მ ა. მაპატიე, რომ ასე ერთფეროვან წერილებსა გწერ, მაგრამ ყოველივე ეს ჩემი განწყობის და მდგომარეობისაგან მოდის. რას იზამ, ავადმყოფი იმას უჩივის, რაც აწუხებს.

მ ა მ ა კ ა ც ი ს ხ მ ა. ციხეში ჯდომის ვადა და-

მიმთავრდა, უკან ისე მივემგზავრები, როგორც საკუთარ სახლში. მაგონდება — ბავშვობაში, ზაფხულობით, სოფელში მივყავდით მშობლებს. მატარებელი შუაღამეს დაგვტოვებდა ხოლმე მყუდრო, პატარა სადგურში, თვითონ კი გარიხინდებოდა ჩვენს გულებზე, სამუდამოდ წაიყოლებდა ჩვენი ცხოვრების რაღაც ნაწილს.

პოეტს უთქვამს: „თუკი ტყისკენ მიგიწევს გული. თავიდან აიღე ხელი“.

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ე.

ლელას ოთახი. ლურჯი სინათლე ანათებს სკამს, რომელზეც გადაშლილი წიგნი დევს, საფერფლეზე ანთებული სიგარეტია; ძველი რადიომიმღებიდან დაბალ ხმაზე ისმის ძველებური ბლიუზი. მოულოდნელად კარზე დააბრახუნებენ.

ლ ე ლ ა. ვინ არის?

ს ო ს ო ს ხ მ ა. ლელა, გააღე!

ლ ე ლ ა. მძინავს.

ს ო ს ო. ნუ მიჰქარავ, გააღე!

ლ ე ლ ა. რა გინდა!

ს ო ს ო. შემომიშვი!

ლ ე ლ ა. მარტო არა ვარ.

ს ო ს ო. ვიცი! (აბრახუნებს).

ლ ე ლ ა. თუ იცი, რაღა გინდა?

ს ო ს ო. ლელა, ლელა!

ლ ე ლ ა. ნუ ღრიალებ! (ანთებს სინათლეს).

მ ა მ ა კ ა ც ი. (ტახტზე ზის და ტანთ იცვამს). გიჟია, ვინ არის?

ლ ე ლ ა. ეს, სოსოა (მიდის კარის გასაღებად).

მ ა მ ა კ ა ც ი. უნდა შემოუშვა?!

ლ ე ლ ა. არა უშავს, შემოვიდეს, შენ ხომ მაინც წასვლას აპირებდი. (აღებს კარს. ზღურბლზე სოსო).

ლ ე ლ ა. დაამტვრიე კარები...

ს ო ს ო. ახლა რაღას იტყვი?

ლ ე ლ ა. არაფერს.

ს ო ს ო. იქნებ თავის მართლებას მოჰყვები.

ლ ე ლ ა. როდის მითქვამს ტყუილი?!

ს ო ს ო. არა, მაგრამ..

ლ ე ლ ა. რა ჩვეულებაა ადამიანის თვალთვალი.

მ ა მ ა კ ა ც ი. ლელა, ნახვამდის! (გავიდა).

ს ო ს ო. რატომ ჩაიდინე, ეს ლელა, რატომ?

ლ ე ლ ა. რა შენი საქმეა?

ს ო ს ო. მე ხომ შენ მიყვარხარ.

ლ ე ლ ა. მე კი — არა.

ს ო ს ო. ნუ ამბობ ასე, ნუ, შენ ხომ შეამჩნიე, რომ გითვალთვალებდი, მაინც რატომ გააკეთე ეს?

ლ ე ლ ა. მომწონს ეგ კაცი.

ს ო ს ო. მე კი გეზიზღები, გძულვარ მითხარი, თქვი რომ მშიშარა ვარ, ლაჩარი, მაგრამ შემიყვარე, გამარტყი, მცემე! (მუხლებზე დაეცემა).

ლ ე ლ ა. ნუ იგიჟიანებ თავს, ადექი!

ს ო ს ო. არა, არა, შენ უნდა დამარტყა, წიხლი ჩამცხო...

ლ ე ლ ა. ადექი, რომ გეუბნებიან!

ს ო ს ო. ჩემთვის წიხლიც გენანება, რატომ ჩაიდინე ეს, რატომ?

ლ ე ლ ა. გაფრთხილებდი, რომ ვერ ვიცხოვრებ ისე, როგორც სხვები, მინდა ვიცხოვრო ჩემს ნებაზე, თავისუფლად.

ს ო ს ო. მე კი, არ მესმის რა არის ეს. პირიქით, მინდა გავხდე შენი ყმა, მონა, მონა!

ლ ე ლ ა. მაშ, რატომ წამოიწყე ეს მაიმუნობა?

ს ო ს ო. ხომ გთხოვ, დამსაჯო ამისათვის, ჩემო ყვე-

ლაფერო, ჩემო უსაზღვროებავ, ტკივილო და სიხარულო, გამარტყი, მე აქ ვარ.

ლ ე ლ ა. გიყურებ და ვერ გამიგია, სულელი ხარ, იგონებ სიგიჟეს, თუ უბრალოდ ცხოველი ხარ.

ს ო ს ო. ცხოველი ვარ, დიახაც, ცხოველი, განა ეს ცუდია, განა ეს ნამდვილი ბედნიერება არ არის?! რა სჯობს იმას, როცა ადამიანი არაფერზე არ ფიქრობს, არაფრის პასუხისმგებელი არ არის, როცა მის მოქმედებას ვიღაც ხელმძღვანელობს, ვიღაცამ უკეთ იცის რა სჭირდება, როცა იგი ბავშვობას იხანგრძლივებს, როცა ირგვლივ ყველაფერი ასე მყუდროდ და საამურად გეჩვენება, როცა პატრონი გყავს, რომლისგანაც დატუქსვაცა და დაყვავებაც მყარი და იმედიანია. აი, როცა შენთანა ვარ, ვგრძნობ, რომ შენ ჩემი პატრონი ხარ

ლ ე ლ ა. მე მგონი, შენ ყველაფერ ამას იგონებ.

ს ო ს ო. არა, შენ ეს იცი, რომ მე ვგიჟდები შენთვის, მზადა ვარ შევასრულო ყოველი შენი სურვილი, მზადა ვარ აჩრდილივით უკან მოგყვე, ხომ ხედავ, მე შენ ღალატსაც ყურადღებას არ ვაქცევ.

ლ ე ლ ა. რა სასაცილო სიტყვაა — ღალატი.

ს ო ს ო. სასაცილოა, ჰოდა, არც ვეჭვიანობ, მე ხომ გხედავდი, როგორ კოცნაობდით... ჩემო სიყვარულო, მოდი მოგეფერო, (ეიწევს მისკენ, ლელამ სილა გააწნა), — ოჰ, ჩემო კარგო...

ლ ე ლ ა. გეყოფა! თორემ გაგაგდებ გარეთ.

(პაუზა) რახან აქა ხარ, ერთ სერიოზულ საქმეზე მოვილაპარაკოთ. წყნარად დაჯექი და ყური დამიგდე! (სიგარეტს უკიდებს, პაუზა). დღეს ვიყავი ვექილთან... პეტრეს შესახებ.

ს ო ს ო. რა პეტრეს შესახებ?

ლ ე ლ ა. მას სურს აღძრას შუამდგომლობა უმაღლესი

საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, პეტრეს შეწყალების შესახებ.

ს ო ს ო. ვინ არის ის?

ლ ე ლ ა. ვექილი.

ს ო ს ო. მერე?

ლ ე ლ ა. მარწმუნებს, პეტრეს ყველა მონაცემი აქვს შესაწყნარებლადო. მან განაჩენი გამოითხოვა. დაპატიმრებისას არასრულწლოვანი ყოფილა, ახლა უკვე აპატიებენ, მაგრამ თხოვნა მშობლებმა უნდა დაწეროს, დედამ და მამამ, გაიგე?

ს ო ს ო. ეს წარმოუდგენელია

ლ ე ლ ა. რატომ?

ს ო ს ო. მამა არასოდეს დათანხმდება.

ლ ე ლ ა. უნდა მოელაპარაკო და დაითანხმო.

ს ო ს ო. მე?

ლ ე ლ ა. ჰო!

ს ო ს ო. არაფერი გამოვა.

ლ ე ლ ა. გეშინია?

ს ო ს ო. შეიძლება.

ლ ე ლ ა. შენ ვალდებული ხარ დაარწმუნო, რომ ყველა მშობლის მოვალეობას შეადგენს...

ს ო ს ო. ხა, ხა!

ლ ე ლ ა. რას იღრიჭები.

ს ო ს ო. არაფერი გამოვა-მეთქი, გეუბნები.

ლ ე ლ ა. თუთიყუშივით ნუ იმეორებ ერთი და იგივეს. ეს უნდა გაკეთდეს.

ს ო ს ო. გაიგე, რომ ყურსაც არ დამიგდებს.

ლ ე ლ ა. დედა?

ს ო ს ო. ეჰ (ხელი ჩაიქნია). აი, სიძემ თუ მოინდომა... მამაც მას უფრო ანგარიშს გაუწევს.

ლ ე ლ ა. მაშინ სიძემ იკისროს.

ს ო ს ო. მოინდომებს?

ლ ე ლ ა. როგორ?! უახლოესი ნათესავია... თანაც მხატვარი...

ს ო ს ო. ძალიან დაკავებულია.

ლ ე ლ ა. ვაჩვენოთ პეტრეს ნახატი. ნიჭიერი ადამიანით შეუძლებელია არ დაინტერესდეს... მე მივალ მასთან, წამიყვანე.

ს ო ს ო. წავიდეთ, უყვარს პატარა გოგონები.

ლ ე ლ ა. შენა გგონია მე პატარა ვარ და მოვეწონები?

ს ო ს ო. გაგიჟდება, ასე, გაშლილი თმით ალს ჰგავხარ, ლორელაის!

ლ ე ლ ა (მიდის სარკესთან). 25 წლისა რომ გავხდები, ვიცი, რომ ძალიან ლამაზი ვიქნები, აი, მაშინ ვუჩვენებ სეირს მამაკაცებს, მაშინ ვიძიებ შურს.

ს ო ს ო. რატომ, რას ერჩი?

ლ ე ლ ა. რა ვიცი, ასე მსურს.

ს ო ს ო. მე რაღა დაგიშავე?

ლ ე ლ ა. შენზე არ არის ლაპარაკი, მე ისინი მყავანან მხედველობაში, ცხოვრების ბატონ-პატრონები.

ს ო ს ო. ისინი ვინღა არიან?

ლ ე ლ ა. ერთხელ მე და ჩემმა მეგობარმა თავისუფალი ტაქსი გავაჩერეთ, უცებ, საიდანღაც გამოხტა გადაპრანჭული წყვილი, დაგვასწრეს ჩაჯდომა და როცა ტაქსი დაიძრა, ფანჯრიდან ენა გამოგვიყვეს, ჩემმა მეგობარმა აღფრთოვანებით შეჰყვირა: აი, ყოჩაღ! აი, ცხოვრების ბატონ-პატრონებიო. ალბათ იმათი თუ შემშურდა... ვინ იცის?! როდის წავიდეთ შენს სიძესთან?

ს ო ს ო. გინახავს?

ლ ე ლ ა. კი, მის გამოფენაზე ვარ ნამყოფი.

ს ო ს ო. ძალიან ცნობილი ვინმეა, დაგაინტერესებს...

ლ ე ლ ა. იყო დრო, მსახიობებსა და მხატვრებს უკან დავდევდი, ახლა სასაცილოდაც არ მყოფნის ჩემი საქციელი.

ს ო ს ო. არა, ის ნამდვილად კარგი მხატვარია.

ლ ე ლ ა. რამდენიმე სურათი მართლაც მომეწონა. მაგრამ ისეთი კმაყოფილი და ამპარტავნული სახით მიდი-მოდიოდა, რომ... მოდი, დროს ნულარ დავკარგავთ, დღესვე მოელაპარაკე თქვენებს, მე შინ დაგელოდები.

მ ე ო თ ხ ე ს უ რ ა თ ი

მინისტრის ყოფილი მოადგილის ბინა. სასტუმრო ოთახი. შუაღამეა. თამარი ტელევიზორს უყურებს, სოსო ახალი შემოსულია.

ს ო ს ო. რომელი სერიაა?

თ ა მ ა რ ი. მეთექვსმეტე.

ს ო ს ო. რატომ ხმას არ უწევ.

თ ა მ ა რ ი. მამას სძინავს, ეს სერია კი ორჯერ მაქვს ნანახი.

ს ო ს ო. ელაპარაკე?

თ ა მ ა რ ი. მთელი ღამე არ მძინებია, სულ ვფიქრობდი, როგორ ვუთხრა, საიდან დავიწყო... რაც არ უნდა იყოს, შვილია... დაწყებაა ძნელი... ასე მგონია, ვინმეს რომ ჩამოეგდო ამაზე ლაპარაკი, შევძლებდი მეთქვა რაიმე, პეტრეს მაგიერ მეთხოვა პატიება. ეჰ, პეტიკო, პეტიკო, რა დამნაშავე ხარ, შვილო, მამის წინაშე...

ს ო ს ო. რაიმე უნდა მოიგონო, როგორღაც უნდა უთხრა...

თ ა მ ა რ ი. სოსო, გეთაყვა, იქნებ უმისოდ მოხერხდეს ეს ყველაფერი. თუ პატიება სურთ, განა უჩვენოდ არ შეიძლება?

ს ო ს ო. პრეზიდიუმში თხოვნა თქვენი სახელით უნ-

და წავიდეს. თვითონ, როგორც ვიცი, არ წერს შეწყნარების თხოვნას.

თ ა მ ა რ ი. შეჩვეული ვიყავი იმ აზრს, რომ საზღვარგარეთ არის, ან, სადღაც მყუდრო ადგილას და ჯიბრით არაფერს გვატყობინებს-მეთქი. ის მუდამ სასტიკი კაპუეტი იყო... თურმე მთელი ეს წლები...

(ცრემლებს იწმენდს).

ს ო ს ო. ასე ხომ არ შეიძლება, მაინც რაღაც უნდა ვილონოთ.

თ ა მ ა რ ი. კი, მაგრამ, ვინ არის ის ქალი, რას წარმოადგენს, სად მიაგნო, ან როგორ დაუკავშირდა?

ს ო ს ო. სტუდენტია, ჩემი ნაცნობი, კარგი ადამიანია.

თ ა მ ა რ ი. კარგი იქნება, მე არაფერს ვამბობ, მაგრამ რა უნდა, რით არის დაინტერესებული?

ს ო ს ო. უბრალოდ, ისე...

თ ა მ ა რ ი. ისე არაფერი ხდება, ალბათ აქვს რაიმე მიზანი... ჩვენ რა შეგვიძლია, თუ მამა არ ჩაერია — რა გამოვა, არადა, ახლა ისე გადატვირთულია, აფორიაქებული და კიდევ ახალი სადარდელი გავუჩინოთ?

ს ო ს ო. თხოვნას ჩვენი სახელით თვითონ ვექილი დაწერს, ჩვენ მხოლოდ ხელი უნდა მოვაწეროთ.

თ ა მ ა რ ი. არ მოგვისმენს, შენ ხომ არ იცი, პეტიკომ რა ტრამვა მოგვაყენა. ისეთ დროს, როცა მამაშენი მთავრობის წევრად უნდა გასულიყო, სწორედ მაშინ შეგვარცხვინა და თავს ლაფი დაგვასხა, რა უნდა ექნა, აიღო და უარი თქვა მამობაზე. აბა, ვის უნდა ასეთი შვილი, რომ შეგარცხვენს, საქვეყნოდ თავს მოგკრის და გამოგაჭენებს.

ს ო ს ო. მესმის, მაგრამ 17 წელზე მეტი გავიდა.

თ ა მ ა რ ი. საქმეც მაგაშია სწორედ. ისე შევეგუე იმ

ოცნებას, რომ ის სადღაც ბედნიერია... აღარც ვიცი, რა იქნება...

ს ო ს ო. მე მგონი, რომ გაუშვან კიდეც ალბათ სახლში მაინც არ დაბრუნდება,.

თ ა მ ა რ ი (ხმას აუწია). დაბრუნდება თუ არ დაბრუნდება, ეგ არ არის მთავარი, (ჩუმად). განა მე მაგას ვამბობ, (ტირის).

ს ო ს ო. მოდის.

შემოდის ვალერიან ილიჩი.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (სოსოს ვერ ამჩნევს და დაჟინებით შეცქერის ცოლს. თამარი ცხვირსახოცს მალავს), ჰმ, ჰმ! (ღიმება ირონიულად). რაღაც აბდაუბდა ზღაპარი დამესიზმრა, წარღვნის ბერძნული ვარიანტი. ადამიანის ბოროტმოქმედებით განრისხებულმა ტირანმა ზევსმა, წარღვნით გაანადგურა კაცობრიობა, მხოლოდ ერთი პატიოსანი კაცი, დევკალიონი დატოვა. ყველაფერი ეს დაწვრილებითა და დეტალებში დამესიზმრა, გრიგალი, მთებად ავარდნილი უშველებელი ტალღები და უცებ, რაღაც აუწერელი სიჩუმე, მდუმარება. უზარმაზარი, გამორიყული ლოდები და წვრილი ფერადი კენჭები, ფეხშიშველი, გამხდარი დევკალიონი, მწუხარე, დიდი ჭროღა თვალებით, არა, მწუხარე კი არა, რაღაც არაადამიანურად მშვიდი... ტირანმა უბრძანა, მთხოვე რაც გინდა, შეგისრულებო დევკალიონმა სისულელე წამოროშა: „ადამიანები დამიბრუნეთო". საოცარია, ყველაფერი თითქოს ნამდვილად ხდებოდა, აი, მხოლოდ ტირანს ვერ ვხედავდი, იქ იყო და ვერ ვხედავდი, ასეთი შემაწუხებელი გრძნობით გავიღვიძე, ვეძებდი და ვერ დავინახე ტირანი — უჩინმაჩინი. (შეამჩნევს სოსოს). ბერძნების მეტი ასეთ სისულელეს ვერავინ მოიგონებდა.

ს ო ს ო. მამიკო, ალბათ გადაიღალეთ, არ შეიძლება ამდენი მუშაობა.

თ ა მ ა რ ი. ჰო, მეც მინდოდა მეთქვა...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (ჯიუტად). არარრა! მე უნდა ვიშრომო, ვიშრომო და კიდევ ერთხელ ვიშრომო! ძალიან ცოტა დრო დამრჩა, უნდა მოვასწრო!

ს ო ს ო. განა, თქვენი გამოგონება რაიმე თარიღთან არის დაკავშირებული?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ჩემი ხნის როცა გახდები, მაშინ დარწმუნდები, რომ დრო ყოველდღე უმატებს სიჩქარეს.

თ ა მ ა რ ი. კი, მაგრამ, შინ მაინც უნდა დაისვენო.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (ირონიულად იღიმება). დიახ, თამრიკო, მართალი ხარ, მაგრამ, სწორედ სამსახურში არაფერს ვაკეთებ და არც არავინ არაფერს აკეთებს. ნიტავი ვინ მოიგონა ეს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. უსაქმურებისა და პენსიონერების ბუდე. დადიან, ანეკდოტებს ყვებიან, ყავას ხარშავენ, პაპიროსს ეწევიან და ჭორებს ავრცელებენ. ვერც გაიგებ, ვის რა ევალება. აი, მოვიცლი ერთხელ, დავჯდები, შევავროვებ მასალებს, გავგზავნი ცეკასა და მინისტრთა საბჭოში, დავუმტკიცებ იმათ, რომ ასეთი ჯურის ინსტიტუტები საჭირო არ არის, უნდა დაითხოვონ, გააგდონ, კეტით გარეკონ!

ს ო ს ო. იქ ხომ ბევრი ხალხი მუშაობს და ისინი...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არარრაა! იქ შენისთანა უსაქმურები არიან! არაფერი არ აინტერესებთ, არაფრის დარდი არ აქვთ (პატარა პაუზის შემდეგ). 16 წლის ადამიანი უკვე დამოუკიდებელი კაცია. შენ კი, რამდენი წლისა ხარ?

ს ო ს ო. ოცდაათის.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ოცდაათის! აქედან, ასე ვთქვათ, შრომის სტაჟი 8 წელი გაქვს არა? თეატრალური კრიტიკოსი! მაინც რა არის ეს, რა პროფესიაა? იქნებ, შენ შენი ესთეტიკური კონცეფცია გაქვს, ან ახალი შეხედულება ახალ ადამიანზე? იქნებ, შეგიძლია რაიმე ახალი თეორიაც გამოიგონო? რვა წლის განმავლობაში ორი სტატია გადაიწერე.

თ ა მ ა რ ი. ვალერიან, გეთაყვა, ახლა ყველა ასე ცხოვრობს, ყველას იოლად უნდა ბედნიერებას მიაღწიოს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რომელ ბედნიერებაზეა ლაპარაკი, რომელიც ამისთვის გვინდოდა?!

თ ა მ ა რ ი. სოსო თანახმა იყო, იმ გომბიომ არ მოისურვა.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. იმიტომ რომ ლობიოა, დოყლაპია, თორემ ქალის წინააღმდეგობა რას მიქვიან. გაზარდე, ჩააცვი, დაახურე, ასწავლე, ბინა დაუთმე, ცოლი მოუყვანე, შენს კმაყოფაზე აცხოვრე, მეტი რა უნდა — მხარ-თეძოზე წამოწექი და იკოტრიალე, არა? თუ, იქნებ შენც არ გსურს სინით მორთმეული ბედნიერება?!

ს ო ს ო. ყველას სურს, იცით, უბრალო ხალხს, ახალგაზრდობას, გაიზარდა მოთხოვნილება...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (ჯდება). ვერ გავიგე, დალაგებით მითხარი.

ს ო ს ო. როგორ ვთქვა, მამა, აი მაგალითად, სულ რამდენიმე წლის წინათ ყველაფერი გამორჩეულად იყო. ყველაფერს თავისი ავტორიტეტი ჰქონდა, მაგალითად, მახსოვს, ქალაქში რამდენიმე ცნობილი ლამაზი ქალი; მათ ბაძავდნენ, პატივს სცემდნენ, შურდათ მათი კლასიკური ნაკვთების, სახის კანის, თვალის ფერის. ახლა ყველაფერი ეს ძველმოდურ ზედმეტობად გადაიქცა,

ლამაზსა და ულამაზოს ერთი ფასი აქვს, ერთნაირი პრეტენზია.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. როგორ?

ს ო ს ო. ჩვეულებრივმა ულამაზო ქალებმა, რომელნიც საერთოდ უფრო მეტნი არიან, მოითხოვეს თავისი უფლებები.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რა უფლებებზეა ლაპარაკი?!

ს ო ს ო. ადამიანებს თანასწორობა და თავისუფლება სწყურიათ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ხა, ხა! რახან მეტნი არიან? რომელი თავისუფლება?

ს ო ს ო. წვრილმანებში, ჩაცმაში, ცეკვაში, სიმღერაში, ურთიერთთან დამოკიდებულებაში...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რასაც შენ ამბობ, სისულელე და აბუეტობაა, ადამიანის თავისუფლების პირველივე ნაბიჯი ბოროტმოქმედება გამოდგა. მართალია თუ ზღაპარი, ყოველ შემთხვევაში უსაფუძვლოდ არ არის ეს აღნიშნული ბიბლიაში. თავისუფლება! თვითონ არ იციან რა უნდათ, პატრონი აღარა ჰყავთ, პატრონი! სოფლის ეზოს ხშირად მხოლოდ ჭიშკარი აქვს და არავითარი გალავანი ან ღობე არ არტყია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უპრაგონოდ იხეტიალო და უმოკლესი გზით გადაპრა, ან გვერდიდან გადახვიდე სახლისაკენ. წესიერი ადამიანი მხოლოდ და მხოლოდ ჭიშკარში უნდა შემოდიოდეს.

თ ა მ ა რ ი. ვალერიან, ჩაი ხომ არ მოგიტანო? სასადილო ოთახში გამოხვალ?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. აქ მოიტანე! (თამარი გადის პაუზა, ვალერიან ილიჩი ოთახში ბოლთას სცემს). შენ ამბობ, რომ ადამიანებს თავისუფლება სწყურიათ, თვითონ კი იცი რა არის ეს?

ს ო ს ო. მე ვგულისხმობდი თავის დაჭერისა და მოქცევის სულ ძცირე წესებს. . .

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (აწყვეტინებს). სისულელეა! თავისუფლება ყველასათვის არ არის მოგონილი, გიხდა მოგცემ თავისუფლებას, გინდა? გაგათავისუფლებ და გაგაგდებ შინიდან.

ს ო ს ო. გავიმეორე ის, რაზედაც ასლა ლაპარაკობენ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. შენ ყოველთვის სხვის ნათქვამს იმეორებ, საკუთარი არაფერი გაგაჩნია, ყველაფერზე თანახმა ხარ.

ს ო ს ო. სამაგიეროდ, მე შემიძლია ერთგულება.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ვისადმი?

ს ო ს ო. ყველასადმი.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ესე იგი—არავისადმი. არავინ და ყველა — ერთია!

ს ო ს ო. კარგი ქვეშევრდომობა განა დასაძრახია?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. იქნებ ტირანიის დროსაც?

ს ო ს ო. ზოგს არ უყვარს ტირანია, მე კი ვფიქრობ, რომ იგი მეტად ათავისუფლებს ადამიანს სხვადასხვა მომაბეზრებელი წვრილმანისგან.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. წვრილმანისგან. ხა! ხა! სისულელეა! „ზოგს არ უყვარს ტირანია"! ხა! ხა! ტირანს იმდენივე მტერი ჰყავს სახელმწიფოში, რამდენიც მაცხოვრებელია.

შემოდის თამარი ჭიქით და ლამბაქით ხელში.

თ ა მ ა რ ი. პატარა ნაჭერი ნამცხვარიც მოგიტანე.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. გმადლობთ, დადგი! (ოთახში ბოლთასა ცემს). უბედურება ისაა, რომ შენ არც კი გესმის ჩემი...

ს ო ს ო. მაინც რა, მამა?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რაა? მაგალითად, რატომ არ

ითხოვე ცოლი, გოგო არ მოგეწონა? მგონი შენთვის ზედგამოჭრილი იყო.

ს ო ს ო. ხომ იცით, რომ თვითონ არ მოისურვა.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. დაააა, თვითონ არ მოისურვა... (უცებ, თითქოს ყოველივე ინტერესი დაკარგა იმისადმი, რაზედაც ახლა ასე გაცხარებით მსჯელობდა.) თამრიკო, სად არის ჩაი? (თამარი სწრაფად აწოდებს. დადის ჭიქით ხელში, თითქოს თავის თავს ელაპარაკება). როცა პეტრე სახლიდან წავიდა, ბუდისტური ლიტერატურიდან ამონაწერი ერთწინადადებიანი წერილი დატოვა: „თავისუფლება გამოიხატება იმაში, რომ შინიდან წახვიდე“.

თ ა მ ა რ ი. ბევრი კითხვისაგან მოუვიდა, ყველაფერს განურჩევლად კითხულობდა.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. გახსოვს, ჯერ სულ პატარა იყო, ერთი ციცქნა, როცა დოსტოევსკის ნაწარმოებებზე შილერის გავლენას აღნიშნავდა, შოპენჰაუერის ფილოსოფიისა და ჩეხოვის „ძია ვანიას“ მსოფლმხედველობითს ერთიანობაზე მსჯელობდა. და ეს როდის, როცა დოსტოევსკი აკრძალული იყო, შოპენჰაუერი კი თითქმის ხალხის მტერი.

თ ა მ ა რ ი. ჰო, ჰო, ისეთი ნიჭიერი იყო...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (არ უგდებს ყურს). მერე მოექცა ვიღაცა ბაცნების წრეში და ჩემმა შვილმა საფულე მოიპარა, ჩემი შვილი ქურდი გახდა, ჩემი შვილი.. არრაააა! ჩემი შვილი კი არა, ის გახრწნილი, ნაძირალა, ის უსინდისო, ცხოვრობდა ამ სახლში, სწავლობდა აქ, ამ სკოლაში (მივარდება ფანჯარას და ასწევს ფარდას). ყოველ დილით აქედან ვაყოლებდი თვალს, როგორ ჩარბოდა კიბეებზე ზურგზე ჩანთამოკიდებული, ეგ უსინდისო, ეგ ნაძირალა (სოსოს). ხომ არ გინდა შენც შენი ძამრკოსავით გაგათავისუფლო, მიგაბრძანო და გაგაგდო აქედან?!

ს ო ს ო. არა, მამიკო, მე ხომ არაფერი მითქვამს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. კარგი, კარგი, მამიკო, გადი, წადი შენს ოთახში. (თვითონ გადის).

პაუზა.

თ ა მ ა რ ი. რად გინდოდა, პოლიტიკაზე რომ ჩამოაგდე ლაპარაკი? ყველაფრის ამრევ-დამრევი ეგ არის...

ს ო ს ო. რა ვიცოდი, თვითონვე თუ წამოიწყებდა, პეტრე ჯერ არასოდეს უხსენებია.

თ ა მ ა რ ი. არც ჩემთან. ალბათ სიზმარმა თუ შეაწუხა — პეტრესაც ხომ ჭროღა თვალები ჰქონდა.

ს ო ს ო. ერთი სიტყვით — მომენტი გავუშვით.

თ ა მ ა რ ი. ჰო...

სოსო რთავს ტელევიზორს. სროღა, შეძახილები: „ვაშაა!“ შეიმოდის ვალერიან ილიჩი. სოსო დგება და გამორთავს ტელევიზორს. ვალერიან ილიჩი ელოდება სოსოს გასვლას. სოსო გადის.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ფარდები ისევ აწეულია. (მიდის და ჩამოუშვებს).

თ ა მ ა რ ი. გარეთ რა ხანია დაბნელდა. შენ თვითონ არ ასწიე წეღან?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. საქმეც ის არის, რომ გარეთ ბნელა, აქაურობა კი გაგიბდღვრიალებიათ.

თ ა მ ა რ ი. შიდა ფარდა ხომ დახურულია?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ეს მარლაა და არა ფარდა.

თ ა მ ა რ ი. ვალიკო, ასეთ წვრილმანზე ნუ იშლი ნერვებს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (ყვირის). ეს წვრილმანია?! თქვენთვის ყველაფერი წვრილმანია! დაუდევრებო, უსულგულო დოყლაპიებო! როდემდე შეიძლება ერთი და იგივეს ქაქანი, როდემდე?

თ ა მ ა რ ი. განგებ ხომ არ ვაკეთებ...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ჰმ... მოგწონთ შუშის კოლოფში ცხოვრება, გამვლელ-გამოვლელი რომ ჩაგიძვრეთ სულში. სად არის ჩემი ჩიბუხი?

თ ა მ ა რ ი. თავის ადგილზე.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მახსოვს, რომ აქ დავტოვე.

თ ა მ ა რ ი. გუშინ აქ დაგრჩა და შენს ოთახში შევიტანე.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მოგვიანებით ჩაი დააყენე, მაგარი. (გადის).

თამარი რთავს ტელევიზორს უხმოდ. ჩაჯდება სავარძელში და უყურებს.

ფ ა რ დ ა.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ა II.

მ ე ხ უ თ ე ს უ რ ა თ ი.

ორსართულიანი საკუთარი სახლის ზედა სართული, ბ-ნი ნიკოს სახელოსნო. ცალ მხარეს—დაქანებული შუშაბანდი, ეორე მხარეს—ყრუ ანტრესოლი. უზარმაზარ ოთახში ბ-ნ ნიკოს ნამუშევრებია გამოფენილი; ზოგი ლამაზ ჩარჩოშია მოთავსებული, ზოგი მოლბერტზეა შემოდებული, ზოგიც კედელზე მიუდგებული. შუა ოთახში დგას მრგვალი ძველებური მაგიდა, თავისივე სკამებით. ყველგან წესრიგი და სისუფთაეეა. ანტრესოლში ხატების კოლექციის, მუყურო სავარძლისა და ძვირფასი ხალიჩის მეტი არაფერია. ბ-ნ ნიკოს სკამზე წამოწოლილია, ფეხები დაბალ ტაბურეტზე შემოუდევს. გამოპრანჭულია. საღამოვდება. მაგნატოფონი ხმამაღლა უკრავს ძველ ბოშურ რომანსებს. გაისმის ზარის ხმა. ბ-ნ ნიკო დგება, გამორთავს მაგნიტოფონს და აღებს კარს.

ბ-ნ ნ ი კ ო. ოჰ, სოსიკო, მობრძანდით, რა მშვენიერი სტუმარი მომიყვანე, მობრძანდით.

ს ო ს ო. ეს ლელაა, მე რომ გითხარი, ძალიან სურს შენი გაცნობა.

ბ-ნ ნ ი კ ო. დიდი პატივია, როცა ასეთი ახალგაზრდა ლამაზმანები თავისი ყურადღების ღირსად გხდიან. დაბრძანდით, აი, აქეთ მობრძანდით.

ლ ე ლ ა. გმადლობთ.

ბ-ნ ნ ი კ ო. ძლიერ მეცნობით, ხომ არ შემახსენებთ, სად შეეხვედრილვართ?

ლ ე ლ ა (ეკლუცად). თქვენ თვითონ გაიხსენეთ.

ბ-ნ ნ ი კ ო. მე ისეთ ასაკში გახლავართ, რომ ყველა ლამაზი ქალი ჩემი ნაცნობი მგონია. ჰა! ჰა! ნუღარ გამაწვალებთ და მითხარით.

ლ ე ლ ა (იპრანჭება). არ გეტყვით-მეთქი!

ბ-ნ ნ ი კ ო. ოჰ, ოჰ, ოჰ! სულ არ გამიკვირდება, რომ ჩემი უახლოესი ადამიანი გამოდგეთ, ისე დაბნეული ვარ ამ მუშაობით, ისე გადაღლილი და საერთოდ არაორგანიზებული. რა ხდება ირგვლივ, ვეღარ ვარჩევ... და მაინც, სადა მხვდა ბედნიერება?

ლ ე ლ ა. ერთი კვირის წინ ძეგლის გახსნაზე, მე მხატვარ გიოშვილთან ერთად ვიყავი.

ბ-ნ ნ ი კ ო. გიოშვილი?

ლ ე ლ ა. დიახ, თქვენ გადაეხვიეთ ერთმანეთს.

ბ-ნ ნ ი კ ო. ხომ გითხარით, ისე ვარ გადატვირთული ამ შეხვედრებით, ნადიმებით, დღესაც პირდაპირ სახელოსნოდან წამიყვანეს, სულ ახალი დაბრუნებული ვარ. მეგონა ჰოლანდიელ მეგობრებს შევხვდებოდი და იქაც საოცარი ორომტრიალი იდგა. ერთი სიტყვით, ჰოპულარობა დიდი დამქანცავი რამ არის, ბატონებო. რატომ არ დაჯდებით, დაბრძანდით, გუმანითა ვგრძნობ, რომ მხატვრობითა ხართ დაინტერესებული, არა?

ლ ე ლ ა (ეკლუცად). მხატვრებით!

ბ-ნ ნ ი კ ო. ოჰო! ფრიად მისასალმებელი.

ლ ე ლ ა. მე ვთვლი, რომ მხატვრებმა ასწავლეს კაცობრიობას არა მხოლოდ წერა, აზროვნებაც.

ბ-ნ ნ ი კ ო. ოჰ! ჩემო პატარა ფილოსოფოსო, გეტყობათ ხელოვნების ჭეშმარიტი მოყვარული ბრძანდებით.

ს ო ს ო. განსაკუთრებით შენი ნამუშევრები მოსწონს,

ლ ე ლ ა. დიახ, თქვენი პორტრეტები ძლიერ შთამბეჭდავნი არიან, ერთი პეიზაჟიც — „ბაღი ზღვის პირას“.

ბ-ნ ნ ი კ ო. საუცხოო გემოვნება გქონიათ. ჩემს გრიზაილებს თუ იცნობთ? მართალია, მთლად რაფაელისებური ვერ არიან, მაგრამ, როგორც იტყვიან, არც ჩვენა ვართ ნახირ-ნახირი. ჩავიდეთ ქვემო სართულზე, განა-

ხებთ, თანაც უცხოელი ცნობილი სპეციალისტების რეცენზიებს წაგაკითხებთ.

ლ ე ლ ა. ბატონო ნიკო, მე ერთ სერიოზულ საქმეზე ვარ მოსული და თუ ყურს დამიგდებთ, დიდად დამავალებთ.

ბ-ნ ნ ი კ ო. დაბრძანდით, შენ მაინც დაჯექი, სოსო, რა გაქცევზე ხარ.

ლ ე ლ ა (სოსოს). შენ დაიწყე.

ს ო ს ო. არა, მე ქვემოთ ჩავალ, ჩემს დას ვინახულებ.

ბ-ნ ნ ი კ ო. სოსო...

ს ო ს ო. იქ დაგელოდებით (გადის).

ლ ე ლ ა. ბატონო ნიკო, თქვენი ცოლისძმის, პეტრეს შესახებ მინდა მოგელაპარაკოთ.

ბ-ნ ნ ი კ ო. პეტრე? ცოცხალია?

ლ ე ლ ა. დიახ. და მე მასთან მიმოწერა მაქვს.

ბ-ნ ნ ი კ ო. საზღვარგარეთაა?

ლ ე ლ ა. არა, ციხეში.

ბ-ნ ნ ი კ ო. მერედა, მე რა შუაში ვარ?

ლ ე ლ ა. არაფერში, გარდა იმისა, რომ იგი უკვე დიდი ხანია ზის და დროა გაათავისუფლონ.

ბ-ნ ნ ი კ ო. მაშასადამე, მას ვადა უთავდება და აპირებს ჩამოსვლას?

ლ ე ლ ა. არა. კიდევ ათი წელი უნდა იჯდეს.

ბ-ნ ნ ი კ ო. მაშ, რაღაშია საქმე, ჩვენ რა შეგვიძლია?

ლ ე ლ ა. ისეთმა გავლენიანმა პირმა, როგორიც თქვენა ხართ, თუ მოინდომა, წინ ვერავინ დაუდგება.

ბ-ნ ნ ი კ ო. როგორ გეკადრებათ, ჩემო შვენიერო. როგორ გეკადრებათ, მე, ერთმა საცოდავმა მხატვარმა

დაბნეულმა და ამ ცხოვრების ფაციფუცით გადაღლილ-
მა მოვინდომო და მას ასე ჰარიჰარად, ვადაზე ადრე გა-
უშვებენ, რატომ? რისთვის?

ლ ე ლ ა. როგორ თუ რატომ, ამას ხომ უბრალო ადა-
მიანობა მოითხოვს?! რაც უნდა ჩაედინა, განა საკმარისი
სასჯელი არ მოიხადა?

ბ-ნ ნ ი კ ო. ჰო რარიგ მიამიტად მსჯელობთ, ჩემო
ლამაზო, რარიგ გულუბრყვილო ბრძანებულხართ, თქვენ
გგონიათ ვინმეზე რაიმე შთაბეჭდილებას მოახდენს
თქვენი ხმაური? ჰუმანურობის შესახებ ლიტონი სიტყ-
ვების რახარუხი?

ლ ე ლ ა. რა ლიტონი სიტყვები? თქვენ სიძე ხართ,
უახლოესი ნათესავი.

ბ-ნ ნ ი კ ო. როგორ გეკადრებათ, პირველად მესმის,
რომ ჩემს ცოლს, სოსოს გარდა ძმა ჰყავს.

ლ ე ლ ა. მით უმეტეს, ახლა უფრო უნდა დაინტე-
რესდეთ, თანაც, პეტრე მხატვარი იყო, ხატავდა.

ბ-ნ ნ ი კ ო. ხატავდა? ჩემო კარგო, ვინ არ ხატავს
დღეს!

ლ ე ლ ა. არა, ის უბრალო მხატვარი არ იქნებოდა,
აი ნახეთ 14 წლის ასაკში (ხსნის გრაფინილს, აჩვენებს). შეს-
რულებული სურათი. ამ ნახატს ჰქვია „ჩასაფრებულნი".

ბ-ნ ნ ი კ ო. (თვალიერებს სურათს). ჰმ, არა უშავს რა.
მაგრამ კომპოზიცია მოიკოჭლებს, უპრიანი იქნებოდა
ჯგუფის შუაში გადმოტანა...

ლ ე ლ ა. ბიჭს შეხედეთ, როგორი აღფრთოვანებულ-
სახე აქვს. მისი ყურადღება ჭიამაიას მიუპყრია — სილა-
მაზეს!

შეხედეთ, გამჭვირვალე ღრუბლებიდან გამოსხივე-
ბული მზე ვერცხლისფრად როგორ ანათებს, სიმეტრიას

წითელ პატარა ფრთებზე: სამი შავი წერტილი მარჯვენა მხარეს ერთნაირი დაშორებით, სამიც — მარცხნივ, ხედავთ?

ბ-ნ ნ ი კ ო. კი, მაგრამ შიშველი სხეულის მოდელირება პირდაპირ უვიცობის ნიმუშია. აქ კიდევ თემატურ ანაქრონიზმსაც აქვს ადგილი. არ მეგონა მამონტებისა და ბიზონების ეპოქაში ჭიამაია თუ არსებობდა, ხა, ხა!

ლ ე ლ ა. მე კი, როცა ბიჭის სახეს შევცქერი, ტანში ჭიანჭველები მივლიან. (შეახვია სურათი).

ბ-ნ ნ ი კ ო. ადამიანს ხანდახან შეიძლება ჭიანჭველებისაც კი შეშურდეს.

ლ ე ლ ა (ცივლუცად). ჰოო?

შემოდის ნინო.

ნ ი ნ ო. გამარჯობათ, ქალიშვილო, კი მაგრამ ეს ჩემი ქმარი რა პროკურორი ნახეთ, ან ისეთი კვაჭი, რომ კანონებს აუაროს გვერდი? თავის სამუშაოს მეტს ვერაფერს ამჩნევს, ვერაფერს იგებს, ნიკომ ისიც კი არ იცის, ვინ არის დღეს ჩვენი მთავრობის თავმჯდომარე.

ბ-ნ ნ ი კ ო. ნუ იცი გადამეტება, ოჰ!

ნ ი ნ ო. სოსო არ იცნობს თავის სიძეს, აქ რომ მოგიყვანათ?!. ჯერ იყო და ჩვენ ამხელა ტრავმა მოგვაყენა, ახლა შენი რეპუტაცია უნდათ შებღალონ? ჩვენ შვილები გვყავს, პატიოსანი ოჯახის სახელი გვაქვს, ნიკოს ხშირად საზღვარგარეთ უწევს წასვლა...

ლ ე ლ ა. ჰოდა, პატიოსანი კაცის სახელი რომ აქვს ბ-ნ ნიკოს, იმიტომაც მოვედი აქ. უცხო ხომ არ არის, ცოლისძმაა!

ბ-ნ ი კ ო. როგორ გეკადრებათ, ხომ გითხარით პირველად მესმის-მეთქი.

ნ ი ნ ო. დიახ, ციხის შესახებ არც ნიკომ იცოდა, არც ჩვენ ვიცოდით, ის რომ დაპატიმრებულია.

ბ-ნ ნიკო. რასაკვირველია, რასაკვირველია. მაინც მოდით, განვსაჯოთ საღად, რეალურად, ემოციებისა და ჩიტირეკიობის გარეშე, ასე არაა, ჩემო კარგო? თქვენ სტუდენტი ბრძანდებით, არა?

ლ ე ლ ა. დიახ.

ბ-ნ ნ ი კ ო. ჰოდა, უპირველეს ყოვლისა, ვიფიქროთ იმაზე, თუ როგორ იმოქმედებს ეს თქვენს მომავალზე. თქვენი გულწრფელობისა უდავოდ მჯერა, მაგრამ ამ ფილანტროპიას ხომ შეიძლება მავანმა და მავანმა სხვა თვალით შეხედოს? ფანგარობა დღეს საზოგადოებაში ეჭვს იწვევს, გამორიცხული არაა, რომ ამ თქვენს საქციელს რაიმე სერიოზული სარჩული არ დაუდონ, თუნდაც დაგაბრალონ ან მოგიგონონ რაიმე?

ლ ე ლ ა. რაც უნდათ, ის დამაბრალონ.

ბ-ნ ნ ი კ ო. ნუ იტყვით მაგას, თქვენ ჯერ გამოუცდელი ხართ.

ლ ე ლ ა. მე არ მეშინია.

ბ-ნ ნ ი კ ო. დამიჯერეთ, როგორც გგონიათ, მთლად ისე არ არის საქმე. დავუშვათ, მოვინდომეთ, ჩავებით ამ წინასწარ განწირულ ღონისძიებაში, რა გამოვა? დარწმუნებული ხართ, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ერთი სული აქვს ჩვენგან თხოვნა მიიღოს და ამდენი ხნის პატიმარი ეგრევე გამოუშვას?

ლ ე ლ ა. ვეჭილმა თქვა, რომ პეტრე არასრულწლოვანი დაუპატიმრებიათ და მისი შეწყნარებისათვის ეს დიდად გამოსაყენებელი ვითარებაა.

ბ-ნ ნ ი კ ო. ეგ არავის არ აუჩუყებს გულს, ვის აინტერესებს სხვის საქმეში ჩარევა.

ლ ე ლ ა. განა ეს ყველას არ ეხება?

ბ-ნ ნ ი კ ო. სადღაც იდეალში? ოჰ, რა გამოუსწორებელი რომანტიკოსი ხართ, ჩემო მშვენიერო.

ნ ი ნ ო. ის რომ კარგი კაცი ყოფილიყო, ამდენხანს. მეგვატყობინებდა თავის ამბავს.

ლ ე ლ ა. ესე იგი, თქვენ უარს მეუბნებით.

ბ-ნ ნ ი კ ო. როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ, მე იმის მეშინია, რომ ჩვენი ხმა დარჩება „ხმად ძღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ლ ე ლ ა. ჯერ ვცადოთ...

ბ-ნ ნ ი კ ო. ცოტა დავიბენი, იცით... როგორ უნდა ვცადოთ... ოჰ, თქვენ არ ითვალისწინებთ ერთ გადაულახავ დაბრკოლებას.

ლ ე ლ ა. რა დაბრკოლებას?

ბ-ნ ნ ი კ ო. აი! (მიუთითებს ვალერიან ილიჩის პორტრეტზე).

ლ ე ლ ა (უახლოდება ვალერიან ილიჩის სურათს, შეშფოთებულია). ეს ვალერიან ილიჩია?

ნ ი ნ ო. დიახ, მამაა!

ბ-ნ ნ ი კ ო. რა მოგვივიდათ, ფერი არ გადევთ, ცუდად სომ არა ხართ?

ლ ე ლ ა. არაფერია, უბრალოდ დილიდან მშიერი ვარ.

ბ-ნ ნ ი კ ო. საუცხოოა! ჩვენ ახლავე მოვაწყობთ პატარა სახელდახელო რაუტს, აბა, ნინო! (ატრიალებს ხელებს, ეტყობა ჩვეული პირობითი ჟესტია). მანამდე კი ხატების კოლექცია დავათვალიეროთ, თუ გნებავთ, მოვისმინოთ რაიმე — უნიკლური ჩანაწერები მაქვს.

ლ ე ლ ა. ნუთუ ვალერიან ილიჩი არ დაგვეხმარება?

ბ-ნ ნ ი კ ო. შეგვიშლის ხელს, არათუ დაგვეხმარება.

ლ ე ლ ა. როგორ? შვილია და თქვენი ოჯახის წევრია!

ნ ი ნ ო. რით ვერ გაიგეთ, ისეთი ტრამვა მოგვაყენა მთელ ოჯახს, რომ ის ჩვენთვის აღარ არსებობს! (ნინო გადის).

ლ ე ლ ა. პეტრე ამ ოჯახში არ დაბრუნდება.

ბ-ნ ნ ი კ ო. საუბედუროდ, აქ იგი დიდხანია დაივი-

წყეს და მისი დაბრუნება არავის არაფერს უქადის სასიკეთოს.

ლ ე ლ ა. იგი აქ არ დაბრუნდება.

ბ-ნ ნ ი კ ო. ვინ იცის, ადამიანი დღეს ამ ჭკუაზეა, ხვალ სხვაზე. (კედლის კარადიდან გამოაქვს ბოთლი). ერთი ორ ყლუპს ხომ დალევთ ჩემთან ერთად?

ლ ე ლ ა. სიამოვნებით. და თუ კიდევ სიგარეტს მომაწევინებთ, მადლობელი დაგრჩებით.

ბ-ნ ნ ი კ ო. თქვენ რომ შეგცქერით, ხილვები მებადება.

ლ ე ლ ა. ხილვები?

ბ-ნ ნ ი კ ო. წარმოდგენები.

ლ ე ლ ა (ანცად). მოქმედებისათვის?

ბ-ნ ნ ი კ ო. ყოველი მოქმედება ჯერ წარმოიდგინება და რეპეტიციას გადის აზროვნებაში, ასე არაა? (პასუხს არ ელოდება). პარიზში როცა გახლდით, აერძო კოლექციის დასათვალიერებლად მიმიწვიეს, სადაც ვან გოგის რამდენიმე ნამუშევარიც იყო. ხომ მოგწონთ ვან გოგი? (არ უცდის პასუხს). შევედი თუ არა დარბაზში, იმდენი ნაცნობი დამეხვია...

შემოდის ნინო სინით ხელში, საუზმეს ალაგებს.

ლ ე ლ ა. დიახ, ვან გოგი მე ძალიან მომწონს, განსაკუთრებით მისი „წითელი ვენახი არლიში“.

ბ-ნ ნ ი კ ო. თქვენ მეტი არაფერი გინახავთ და იმიტომ.

ლ ე ლ ა. თითქმის ყველა მისი რეპროდუქცია მაქვს.

ბ-ნ ნ ი კ ო. ეგ სულ სხვა რამ არის...

ლ ე ლ ა (აწყვეტინებს). „წითელი ვენახი“ საკმარისია, რომ მის შემოქმედებაზე წარმოდგენა იქონიო. თეთრი მზე, ყვითელი ცის ფონზე, ხეების მოწითალო ტანი, ღია ცისფერი ტოტები და ალისფერი ვაზი. ყოველი მხრი-

დან თვალს გიბრმავებს მზე, უფრო სწორად, მზის სხივები.

ბ-ნ ნ ი კ ო. დიახ, დიახ, პოსტიმპსერიონიზმი, თუმცა ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში კარავაჯოიზმი და კერძოდ ესპანური ძანერა ტენებრასო..

ნ ი ნ ო. სიტყვამ მოიტანა და ესპანეთიდან ჩამოტანილი ლაბადა სწორედ ამ გოგონას ექნება კარგად.

ბ-ნ წ ი კ ო. რა ლაბადა?

ნ ი ნ ო. ის, ახალმოდური, ქამრით. ძალიან ორიგინალურია, ისეთი კი არა ყველას რომ აცვია. აი ნახავ, ახლავე მოვიტან. (საჩქაროდ გადის).

ბ-ნ ნ ი კ ო. ჩვენი გაცნობის სადღეგრძელოს გთავაზობთ! წარმოიდგინეთ, ენა მებმება და თავბრუ მესხმის თქვენ რომ გიყურებთ, (ადგა და ისე მიაწოდა ჭიქა). ფრიად მომხიბვლელი ქალი ბრძანდებით.

ლ ე ლ ა (ბრანჭვითა და სიამაყით). მე მხოლოდ ოცი წლისა ვარ!

ბ-ნ ნ ი კ ო. ოცი წლის ქალი თაობების დამაკავშირებელია! გადასარევი ხელები გაქვთ (სტაცა მაჯაში ხელი და კოცნის ხელზე).

ლ ე ლ ა (იცინის კეკლუცად). ოო! როგორი გალანტური არშიყობა გცოდნიათ!

შემოდის ნინო.

ნ ი ნ ო. ნიკომ მე ჩამომიტანა. მაგრამ პატარა მომივიდა, ვიწრო მაქვს მხრებში, ყველაზე მოდური ნაჭერი და ფერია, რა კარგად კერავენ. არა, ჩვენები თავის დღეში ვერაფერს ისწავლიან, აბა, მოიზომეთ!

ლ ე ლ ა. კარგია, ძალიან კარგია, მაგრამ ლაბადა არ მჭირდება, მაქვს.

ნ ი ნ ო. ჯერ ჩაიცვით და მერე თქვით უარი, სულ იაფად დაგითმობდით.

ბ-ნ ნ ი კ ო. თუ არ სურს, რას ჩააცივდი, ქალო.

ნ ი ნ ო (ნაწყენი). შენ რა იცი, ამას მეგობრები ეყოლება, ასეთი „შმოტკები“ ქუჩაში კი არ ყრია.

ბ-ნ ნ ი კ ო. ახლა საქმეზეა ჩვენთან მოსული, ასე არაა ჩემო გოგონი?

ლ ე ლ ა (დაბნეული). დიახ, რასაკვირველია.

ბ-ნ ნ ი კ ო (აწვდის ყუთს). „ჰავანა პანაგელა“ კუბიდან ჩამოტანილი სიგარები.

ლ ე ლ ა. მე სიგარეტი მირჩევნია.

ბ-ნ ნ ი კ ო. ინებეთ!

ლ ე ლ ა. ვაი, რა გენიალური სიგარეტებია!

ნ ი ნ ო. ერთი ხანობა მეც ვეწეოდი, მაგრამ ნიკოს არ უყვარს, როცა ქალი ეწევა, აზიატია! იძულებული გავხდი თავი დამენებებინა.

ბ-ნ ნ ი კ ო. ეს ლოს-ანჯელოსიდან როცა ვბრუნდებოდი, ნიუ-იორკში ვიყიდე. რივერსის გამოფენაზე. გაგიგონიათ ასეთი ამერიკელი მხატვარი?

ლ ე ლ ა. პოპ არტის დამაარსებელი?!

ბ-ნ ნ ი კ ო. დიახ, დიახ.

ლ ე ლ ა. გამიგია, მისი პანოს „რუსული რევოლუციის“ შესახებაც ვიცი ცოტა რამ.

ბ-ნ ნ ი კ ო. ყოჩაღ. მე მაინც მგონია, რომ თქვენ ხატავთ და მიმალავთ, ა?

ლ ე ლ ა. ნეტავ შემეძლოს.

ბ-ნ ნ ი კ ო. თუ გსურთ, ჩაგიტარებთ გაკვეთილს.

ლ ე ლ ა. გმადლობთ, როგორმე სხვა-დროს.

ბ-ნ ნ ი კ ო. თუ დაუხატიხართ ვინმეს?

ლ ე ლ ა. არა.

ბ-ნ ნ ი კ ო. იქნებ რამდენიმე სეანსის პოზირებაზე დამთანხმდეთ?

ლ ე ლ ა. სიამოვნებით, მაგრამ ჯერ ჩვენ საქმეს დავუბრუნდეთ.

ბ-ნ ნ ი კ ო. რა რიგ კონფიდენციალურიც არ უნდა გამოდგეს ჩვენი საუბარი, ეს არაფერში შეგვიშლის ხელს. პირიქით, დაგვეხმარება. ნინო, დაგვტოვე, ეტყობა მორცხვობს—ლელა, არა?

ლ ე ლ ა. დიახ.

ნ ი ნ ო. არა მგონია, გავაწითლო ჩვენი გაბედული სტუმარი...

ბ-ნ ნ ი კ ო. შემდეგ დაგიძახებ და ყველაფერს დაწვრილებით გიამბობ. (ნინო გაჰყავს, გადაეტა კარი). გულითა და სულით გითანაგრძობთ, ზედმიწევნით კარგად მესმის თქვენი, მაგრამ ჩემისთანა არაპრაქტიკული, მოუხერხებელი ადამიანის გარევა ასეთ რთულ საქმეში გამოგადგებათ კია?

ლ ე ლ ა. არავითარი მოხერხება არ არის საჭირო, ვექილი გეტყვით, რა და როგორ უნდა დაწეროთ, თქვენ კი არ გაგზავნით, არამედ მიიტანთ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმში.

ბ-ნ ნ ი კ ო. უმაღლესი საბჭო... ეს რატომ, ვერ გამიგია, რა არის?

ლ ე ლ ა. როგორ რა არის, თქვენ ხომ დეპუტატი ხართ?!

ბ-ნ ნ ი კ ო. ოჰ, ჩემი დეპუტატობა რა მოსატანია, ქალაქის საბჭოში ისე შემიყვანეს, არც კი უკითხავთ და, საერთოდ, ერთხელაც არ ვყოფილვარ კრებაზე, რა პრეზიდიუმი, რის პრეზიდიუმი?!

ლ ე ლ ა. არ იცით, რა არის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი?

ბ-ნ ნ ი კ ო. როგორ გითხრათ, ცოდნით ვინ არ იცის, მაგრამ არასოდეს მქონია საქმე.

ლ ე ლ ა. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მაშ ვინ მოგანიჭათ?!

ბ-ნ. ნ ი კ ო. დამიჯერეთ, ჩემო კარგო, წარმადგინეს, არ ვიცი, მხატვართა კავშირმა თუ რაღაც დაწესებულებამ... და რაც მთავარია — შეწყნარების თხოვნა ზედამხედველი პროკურორისა და პატიმრობის ადგილიდან ადმინისტრაციის დახასიათების გარეშე არ შეიძლება!

ლ ე ლ ა. ვექილმა უკეთ იცის, რა და როგორ უნდა დაიწეროს.

ბ-ნ ნ ი კ ო. არა! არ დაიჯეროთ, ვექილები ისეთი გაქნილი ხალხია... გარდა მაგისა, თვითონ თუ არა, შესაწყნარებელი, თხოვნა მშობლებმა მაინც უნდა დაწერონ. მე, სიძე, რაღაც. ვიღაც. არა მგონია. ერთი სიტყვით, ამაზე ჩვენ მერე მოვილაპარაკებთ, როგორმე საგანგებოდ შევხვდეთ, თუ გინდათ, აქ მობრძანდით, და ერთი (ხელების ფშვნეტით). კარგად განვსაჯოთ ეს საკითხი. ასე არაა, ჩემო მშვენიერო? და როგორც იტყოდა პატარა კახი, ძლივს მარტო დავრჩით, არა?

ლ ე ლ ა (უყურებს მიშტერებით), დიახ, დიახ.

ბ-ნ ნ ი კ ო. იცით, ზემოთ ავიდეთ, ხატები დავათვალიეროთ (ხელკავს ეამოდებს) ასეთი უნიკალური ხატები არავისთან მეგულება. XVII—XVIII საუკუნეების ყველა სკოლაა წარმოდგენილი. ერთიც ბიზანტიური ღვთისმშობელი (ადიან კიბეზე ანტრესოლში ბ-ნ ნიკომ ხელი მოხვია წელზე) სპორტსმენი ხართ?

ლ ე ლ ა (იცინის). ვცურავ.

ბ-ნ ნ ი კ ო. ხომ არ ჩავაბნელოთ. სანთლები სათანადო განწყობას ქმნიან.

ლ ე ლ ა (გამომწვევად). თქვენთან სიბნელეში დარჩენა საშიშია.

ბ-ნ ნ ი კ ო. მაშინ სინათლეში გაკოცებ, ნუ ეშმაკობ.

ლ ე ლ ა. ცოლმა შეიძლება შემოგვისწროს.

ბ-ნ ნ ი კ ო. კარები გადარაზულია, (აკრობს სინათლეს). ნუ გეშინია! (ხატების სანთლების შუქი, ისმის ბღლრძუნი ბ-ნ ნიკო ჩურჩულით: „გაიხედე, მიდი!").

ლ ე ლ ა (ჩურჩულითვე) ჯერ თქვენ გაიხადეთ.

ბ-ნ ნ ი კ ო. რატომ? მე ხომ...

ლ ე ლ ა. არა, არა, გაიხადეთ.

ბ-ნ ნ ი კ ო. მოდი, ჩემო ლამაზო.

ლ ე ლ ა (ხმამაღლა). რაშია საქმე, როგორ არა გრცხვენიათ?

ბ-ნ ნ ი კ ო. ჩუუ! რა გაყვირებს!

ლ ე ლ ა. როგორ თუ რა მაყვირებს, შემომიტყუეთ აქ, ვინა გგონივართ, აანთეთ სინათლე!

ბ-ნ ნ ი კ ო. მოიცა, დაწყნარდი, რაშია საქმე?

ლ ე ლ ა. ახლავე აანთეთ სინათლე!

ბ-ნ ნ ი კ ო. რა მოგივიდა, რა ბზიკმა გიკბინა. (ანათებს სინათლეს, ბ-ნ ნიკო ტრუსიკშია).

ლ ე ლ ა. გააღეთ კარები, ჩქარა! თორემ მთელ ქუჩას შეგიყრით!

ბ-ნ ნ ი კ ო. უ, შე... მართლა ქუჩის გოგო, მაშ რაზე მოდიოდი აქ!

ლ ე ლ ა (ჩამორბის კიბეებზე). ეეე! ლაბადა! მიიღეთ თქვენი ბებერი დონ ჟუანი! (ფეხით აბრახუნებს დაბლა სართულში. ნინოს ხმა: „რა მოხდა, რა აბაკია?")...

ბ-ნ ნ ი კ ო (ჯერ ისევ ტრუსებში ჩამორბ-ს). დაიცა, მე ხომ მამაშვილურად, შე...

ლ ე ლ ა. ჰალსტუხი გაისწორე, შენ ეი, გენიოსო! სწვდა პეტრეს ნახატს და კარი გაიჯახუნა.

მეხუთე სურათის დასასრული.

ბინდბუნდი. ქუჩა. იგივე სახლი, რაც პირველი მოქმედების მეორე სურათშია. განათებული დიდი ფანჯარა. ფანჯარასთან ზურგიდ მდგომ ლელას სხვენიდან სოსო უთვალთვალებს.

კ ა ც ი ს ხ მ ა. მიწერ-მოწერა მხოლოდ ახლობლებთან არის ნებადართული, მაგრამ როგორ უნდა გაირკვეს, ვინ არის ჭეშმარიტი ახლობელი? გწერ სხვათაშორის, არა ვარ დარწმუნებული, რომ წერილი შენამდე მოაღწევს.

ლ ე ლ ა. ბავშვობაში მეგონა, რომ დიდები მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ცოცხლობდნენ—კეთილნი, უანგარონი, გულადები გამხდარიყვნენ, ვფიქრობდი, რომ ზოგი ალბათ აღწევს ამას-მეთქი, ზოგიც საწყალი—ვერა. ხოლო, როცა წამოვიზარდე, სხვაგვარად წარმომიდგა ყოველივე, ნელ-ნელა ვრწმუნდებოდი, რომ ყველაფერი ეს მონაგონია, რომ არსად, გესმის, არსად არ არიან ასეთი ადამიანები. ჩემს გარშემო მარტოოდენ ეგოისტებს ვხედავ. რა საშინელებაა! რა ღირს განა ცხოვრება, როცა შენს თავს თითქმის ყველაზე უკეთეს ადამიანად თვლი?

მ ა მ ა კ ა ც ი ს ხ მ ა. ჩემი წარსულის შესახებ ვერაფერს მოგწერ, თუნდაც იმიტომ, რომ წარსული იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც იგი დღესდღეობის ილუზიას ქმნის ან მომავალთან კავშირდება. ოცნებებს დიდი ხანია დავანებე თავი, უკეთუ ოცნებასაც ჭირდება საზრდო. შენ გსურს ჩამოხვიდე ჩემ სანახავად? ნუ იზამ მაგას, ისეთ ადგილას ვიმყოფები, სადაც პაემანი აკრძალულია, ან რა საჭიროა...

ლ ე ლ ა. ხშირად შენზე ვფიქრობ და მახსენდება ვე-

რტერი, როცა ვერ დახატა, ვერ წარმოიდგინა თავისი სატრფო, მე რაღა მეთქმის — ჯერ ხომ არც მინახიხარ. გწერ და თითქოს ჩემს ორეულს ველაპარაკები... საინტერესოა, შენ თუ გყევარ წარმოდგენილი და როგორ?

კაცის ხმა. დღეს მთელი დღე მარჯვენა თვალი მითამაშებდა, ვიფიქრე, უსიამოვნება შემემთხვევა-მეთქი. რას იზამ, ყოველწუთს უბედურების მოლოდინი კაცს ცრუმორწმუნედ ხდის; მართლაც, საღამოს უფროსთან დაბიძახეს. დამიწყო გამოკითხვა ჩემი ცხოვრების შესახებ, რაღაც დახასიათებაზე ჩამოაგდო სიტყვა, ამანათზე, რომელიც შემიძლია მივიღო, თუ კარგად მოვიქცევი. ნეტავ რას უნდა ნიშნავდეს ეს? შენი ხელი ხომ არ ურევია? არ გაბედო, არავითარ შემთხვევაში, მე არაფერი არ მაკლია და ყველაფერი ეს ტყუილუბრალო გაწვალების მეტს არაფერს მოგვიტანს, არც შენ და არც მე.

ლ ე ლ ა. ეტყობა ჩემი წერილი დაიკარგა, ძალიან მენანება, რას იზამ, უნდა გავიმეორო, თუმცა, არა, ვერაფრით აღვიდგენ იმ განწყობას, მშრალი სისულელე გამოვა, ამიტომ ვჩუმდები.

კაცის ხმა. შუაღამეს, ალერსიანად, ფრთხილად, როგორც ჩვილ ბავშვს ეხებიან, რაღაცამ გამაღვიძა. როდესაც თვალები ირგვლივ ფისიანით წასმულ სიბნელეს შეეჩვივნენ, დაგინახე ღრმა სიჩუმით მოცულ კუთხეში მჯდომარე. შენი ხატება მეტყველებდა რაღაც გადაწყვეტილებაზე, წარმოსახავდა ისეთ სიმკაცრეს, რომელიც ვერ ეგუება უხამსობას, მოშვებულობას, დაუდევრობას. იგი გამოხატავდა ზიზღს ყოველგვარი ფარისევლობის და ცრუ კდემამოსილების წინაშე, ღრმად დარწმუნებული საკუთარ არჩევანში და ამით გამოწვეული ბუნებრივი ქალური სიამაყე ოდნავ ანათებდა მშვიდ სახეს; ჩაღამებულ თვალებსა და წამწამებზე კი კრთოდა ტანჯვისა და მწუხარების აჩრდილი. არ ვიცი, იყავი ეს შენ თუ

!ხვა ვინმე, მაგრამ ვიცი, რომ ეს იყო, ვინც მე მიყვარს; და რომელიც მგონი არც არსებობს ამ ქვეყანაზე.

ლ ე ლ ა. გვჭირდება შენი განაჩენი. საჭიროა ზუსტად ვიცოდეთ, მანდ რატომღა გაგასამართლეს კიდევ? ვექილს შეწყალების დაწერა სურს.

კ ა ც ი ს ხ მ ა. ლელა, გიკრძალავ!! არ მინდა, არ ღირს... ყოველი ადამიანი ასე თუ ისე თავისი თავის გამომგონებელია, აქვს თავისი საკუთარი ხატი, რომელიც უმთავრესად შეიცავს კეთილ მოგონებებს, თუ, რასაკვირველია, ასეთი არსებობს მის ცხოვრებაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი სიცოცხლის განმავლობაში მეჩვენებოდა, რომ ცხოვრების უსამართლობა, მისი მახინჯი მოვლენები დროებითი ვითარებებია, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ ადამიანებმა გაიგეს რაღაც ისეთი, რაც ჩემთვის მიუწვდომელი დარჩა, მიეჩვივნენ სულ სხვანარად ფიქრსა და ცხოვრებას, ამიტომაც ყველაზე შესაფერი და ბუნებრივი ადგილი ჩემთვის ციხეა.

ლ ე ლ ა. რატომ დუმხარ, რატომ არ მპასუხობ, რაშია საქმე? ალბათ კიდევ დაარღვიე ეგ ოსერი რეჟიმი და აგიკრძალეს მიმოწერა. გთხოვ, შეეცადე კარგად მოიქცე, შენთან ერთად ხომ მეც ვისჯები?

კ ა ც ი ს ხ მ ა. სამხრეთისაკენ მოვდივარ დახურულ ციხეში. პირდაპირ საკანის კარებთან მოაყენეს მანქანა, ასევე — მატარებლის ვაგონთან, ერთი სიტყვით, ჩემთვის სამხრეთი და ჩრდილოეთი კიბიდან კიბეზე გადასვლას ნიშნავს, სამაგიეროდ დილით საპირფარეშოდან დავინახე სასწაული: ხასხასა მწვანე ალვის ხის ფოთლები; ნორჩი ვერხვების ყვავილობა: ვერცხლიდან იასამნისფრად ლივლივი, ისინი შესაძლოა ალვის და არყის ხეებზე ნაკლებად ტანაყრილი არიან, მაგრამ რა-

რიგ ნაზი, მოხდენილნი და გრაციოზულნი. თუ კი სიკვდილის შემდეგ მართლაც შეიძლება გარდაცვალება, ვერხვის სიცოცხლეს ვინატრებდი, თუკინდ ისეთი ვერხვისაც, რომელზედაც პატივმოყვარე გამვლელი დანით ან ცეცხლით ამოტვიფრავს ყველაზე ბანალურ სვირინგს: ისრით განგმირულ გულს.

იგივე შესახვევი. სოსო ისევ სხვენზეა. ფანჯარაში სინათლე ქრება.

სოსო და ლელა.

ل ე ل ა. მდარაჯობ?

ს ო ს ო. ჩვენ ველაპარაკეთ მამას.

ل ე ل ა. ვინ ჩვენ?

ს ო ს ო. მე და დედა.

ل ე ل ა. რა თქვა?

ს ო ს ო. საშინელი ჩხუბი აგვიტეხა.

ل ე ل ა. ესე იგი, ისე არ უთხარით, როგორც საჭიროა.

ს ო ს ო. მეტი რა გვექნა, როგორც კი პეტრეს სახელი ვახსენეთ, მე ოთახიდან გამაგდო და მთელი საათი ისმოდა მისი ყვირილი, შემდეგ გული ცუდად გაუხდა. ახლა წევს, ავადაა.

ل ე ل ა (უფრო თავისთვის) რა ვქნათ?

ს ო ს ო. არ ვიცი, მე შენი დავალება შევასრულე.

ل ე ل ა. არაფერიც არ შეასრულე. (სასოწარკვეთით). რაც არ უნდა მოხდეს, პეტრე უნდა განთავისუფლდეს, განთავისუფლდეს! იგი იტანჯება, გესმის? იტანჯება. ეს ხომ არაადამიანურობაა, რაც არ უნდა გაეკეთებინა, რა ბოროტმოქმედებაც ჩაედინა, 17 წელი... ყოველ დღე ყოველ საათს, ყოველ წუთს თავისუფლების უქონლობა წარმოუდგენელი წამებაა, გესმის, ბოროტმოქმედებაზე უფრო ბოროტება!

ს ო ს ო. იქნებ მართალიც ხარ, მაგრამ მე არ ვიცი, არ მესმის, ვერ ვხვდები ვერაფერს.

ლ ე ლ ა. ნუ ღრიალებ.

ს ო ს ო. მას შემდეგ, რაც შენ შეგხვდი, ერთი სურვილით ვარ შეპყრობილი; მხოლოდ ამ სურვილის აღსრულება მიმაქანებს იქ, სადღაც, უსასრულო სხვა სამყაროში, ბუნებაში, კოსმოსში, ჯოჯოხეთსა თუ სამოთხეში, და როცა გხედავ თუ რარიგ თავისუფალი ხარ შენს მოქცევაში, როგორი დამოუკიდებელი, როგორ გშვენის ადამიანებზე ამაღლება, მზადა ვარ სულ უბრალო შენს ჭირვეულობას შევწირო ყველაფერი, ვიქნე შენი ტყვე, არარაობა! და ეს შენი გამეფება მანიჭებს უსაზღვრო ბედნიერებას, ვმშვიდდები, მეხსნება რაღაც უჩინარი და უსახელო სიმძიმე, რომელიც ლოდივით მაწვეს მე, ჩემს საქციელს, ჩემს მოქმედებას მთელი ცხოვრება, მთელი ცხოვრება!

ლ ე ლ ა. ვერც მე გამიგია შენი ვერაფერი, მეჩქარება (გადის).

ს ო ს ო. მეც წამიყვანე. ლელა! (დაბალ ხმაზე). ლელა, სიამოვნებით დაგელოდები, შევიპარები შენს საწოლ ქვეშ და მოვიცდი, მოვიცდი, სანამ არ მოხვალ, არ აანთებ სინათლეს და არ შემოიტან შენს სურნელებას, დაგელოდები და აღტაცებული შეგხვდები, თუგინდ შენ... ეს უკეთესიც იქნება, მარტო არ დაბრუნდები.

მეექვსე სურათის დასასრული.

ვაგზალი. მოსაცდელი დარბაზი. შუაღამეა. სკამები- დახუნძლულია ბარგითა და გზავრებით. ზოგს ძინავს, ზოგიც მოლოდინშია. სიღრმეში კარებს წითელი ასოებით რუსულად და ქართულად აწერია: Пикет „პიკეტი.“ ავანსცენაზე ახალგაზრდა 30—32 წლის კაცი ფეხი ფეხზე გადადებული ზის გრძელ სკამზე, მის გვერდით ვალერიან ილიჩი დასაძინებლად ეწყობა, ფაციფუცობს.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. საშვილიშვილოდ ნუ მოეწყობით, მილიციონერი წამოგაგდებთ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მაშ მთელი ღამე დამჯდარმა გავათენო?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. შეგიძლიათ გაისეირნ-გამოისეირნოთ, თუ მატარებელს ელოდებით, მაგრამ მგზავრს რაღაც არ გავხართ...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ვითომ? რატომ?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. ამას რა დიდი ფილოსოფია უნდა?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. თქვენ სად მუშაობთ?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. მე ხომ არ გეკითხებით, თქვენ სად მუშაობთ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მე კი გეკითხებით.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. მილიციონერი ხართ?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რა გამიწყალეთ გული ამ მილიციონერებით.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. იცი, რას გეტყვი, ბიძაჩემო, მილიცია გულზე მაქვს ამოტვიფრული, ჰა, ჰა!

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ერთ სკამზე რახან ვსხედვართ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ გამიშინაურდეთ, ანდა, რა გაცინებთ!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. ისე მეცინება, რაღაც უცნაური

შესახედაობა გაქვთ... ვილაცას ჰგავხართ და ვერ მოვდივარ აზრზე.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. თქვენ კი ბანდიტსა ჰგავხართ, სალასანას.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. ეე, რა ბრაზიანი ხარ, ბიძაჩემო. ასე არ შეიძლება.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (ეწყობა სკამზე). ძილია საჭირო. ძილი. მთელი ხუთი საათი ფეხით ვიარე. წინათ ძილს ვერაფერი დამიფრთხობდა, თავს ჩამოვდებდი თუ არა, ყველგან შემეძლო დაძინება.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. როდის წინათ?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. წინათ, ომის დროს.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. მაშინ ახალგაზრდა იქნებოდით.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. დიახ, მაგრამ მე არ ებით განსხვავებას ვერ ვამჩნევ, აქ ისევ ისეა, ისევ ძინძგლის სუნი, ჭუჭყი და მოუწყობელი ხალხი.

პაუზა.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. სიბერე სიცოცხლის პახმელია, ნაბახუსევი არა ქართულად?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (წამოხტა). რაო, რა თქვით?

პაუზა.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. რა ვიცი, ალარ მახსოვს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. სიბერეზე ან ნაბახურებზე.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. მე ახლა სხვა რამეზე ვფიქრობ. აი, ამბობენ, რომ წინათ გაქცეულ კაცს შინ პოლიცია არც აკითხავდა, ვის მოუვიდოდა თავში, საკუთარ სახლში თუ დაიმალებოდა. ახლა კი პირველ რიგში სახლში მიეჭრებიან, იციან რომ მეტი ვერსად ვერ დაიმალება, უცხო არავინ მიიღებს, თავშესაფარს არ მისცემს. ეგ კი არა და შინაც საეჭვოა, რომ დაეხმარონ. მიზეზს ვეძებ და ვერ მიმიგნია, რატომ ხდება ასე...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მე კი, პირიქით — შინიდან წავედი.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. სწორედაც მოქცეულხარ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა თქვა, იცით, რა თქვა?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. ვინ?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ჩემმა ცოლმა.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. რაო?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ცუდად როცა შევიქმენ, მას ეგონა აღარაფერი მესმოდა და თქვა: კვდებაო.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. მერე რა მოსდა?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. იმან, ვისი ცხოვრებაც... ჰმ ყველაფერი... მე მეკუთვნის, იმან, ვისაც, მეგონა, რომ ერთი წუთითაც ვერ წარმოედგინა ეს ქვეყანა უჩემოდ, ვისთვისაც ჩემი სიკვდილი უნდა გამხდარიყო წარმოუდგენელ საშინელებად, იმან თქვა, რომ მე ვკვდები თქვა ისე ჩვეულებრივად, თითქოს ვიღაც სხვაზე, უცხოზე იყო ლაპარაკი, უბრალოდ.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. ბიძაჩემო, სასაცილოა, რომ მე ჩკუას გასწავლიდე ამ ხნის კაცს, მაგრამ მითხარი, რა არის სიკვდილი და რა არის სიცოცხლე. აი, მატარებელი დაიძრა, ხომ ხედავ. ახლა წარმოიდგინე, რომ ჩვენი სკამიც ვაგონია, ლიანდაგებზე შემდგარი. ჩვენ მივდივართ, თუ ის მატარებელი — გაარჩევ? ჰოდა, არ უნდა შეხედო სიკვდილს სიცოცხლის თვალით.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. კი, მაგრამ ჩვენ, ცოცხალი ადამიანები ვართ.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. სიცოცხლე რაღა ოხრობაა!!! უმეტესად ტანჯვა-წამებაა, ვიდრე სიხარული და ბედნიერება, მაგრამ საქმეც ის არის, რომ კაცს მხოლოდ სი-

ხარული და ბედნიერი დღეები ახსოვს და მისი იმედი აქვს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. შიში, ამ დამაძაცირებელი, სამარცხვინო შიშისგან ვინ დაიცავს ადამიანს?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. სიკვდილის შიში ხშირად გვიფუჭებს გუნებას, მაგრამ რაა თვით სიკვდილი? განა ჩვენი ჩვენამდე ყოფა სიკვდილი არ იყო? მაგრამ ის, რომ ჩვენ უწინ არ ვიყავით, სულაც არ გვაშინებს. ეგ კი არა და, სადღაც იმის რწმენაც გვაქვს, რომ ჩვენ მაშინაც ვარსებობდით იმ ქვეყნად, უფრო მშვენიერსა და მგრძნობიარე სამყაროში, რომელიც რატომღაც ჩვენი დაბადების დღიდან იქცევა სამოთხედ და ჯოჯოხეთად, ან ამაოებადაც.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. თქვენ სულ სხვა რამეზე ლაპარაკობთ, არავითარი სიკვდილის შიში ჩემში არ არის, არც ეფიქრობ მაგაზე. დღეს შინიდან წამოვედი მხოლოდ იმიტომ, რომ მივხვდი: ბოლოს და ბოლოს ჩემი ყოფნა-არყოფნა ყველასათვის სულერთია, ჩემი ახლობლებისთვისაც კი, მათთვისაც უცხო ვარ, სხვა! ქუჩაში გამოვედი და უცებ დავიბენი, სად უნდა წავსულიყავი, ვისთან შემეძლო მისვლა ამ უშველებელ ქალაქში? თუგინდ მთელ ქვეყანაში, ვისთან?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. ამიტომაც აქ მოხვედით არა?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არ ვიცი... დაველოდები...

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. აზრების მოსაკრებად სადგური გადასარევი ადგილია.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ალბათ, ჩემი ვაჟიც აქ მოვიდა... მაშინაც ხომ შემოდგომა იდგა, ციოდა.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. შვილს ელოდები?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (გაბოროტებით). არრაა!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. მაშ, სად გინდა წასვლა?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რა თქვით?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. სად გინდა-მეთქი წასვლა?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არა, წელან...

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. შვილს ელოდები-მეთქი.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. დიახ, ჩემს ვაჟიშვილთან მივდივარ, ჩემს ვაჟიშვილს ველოდები. დიახ, ხა! ხა! ხა!

ა ხ ა ლ გ ა ზ დ ა. შენ, ბიძაჩემო, რას მიედებ-მოედები.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არა, მერწმუნეთ, სინამდვილეს მოგახსენებთ, არ ვიგონებ და არც მეჩვენება. ღამ-ღამობით აი აქ, გულზე მადგებიან და მახრჩობენ ბგერები, ასოები, მათი სხვადსხვაგვარი კომბინაციები, უშველებელი თანხმოვნები ყელზე რკალად მევლებიან და ნელ-ნელა სულს მიხუთავენ. (ლაპარაკობს ჩქარა, თითქოს ეშინია, არ გააწყვეტინონ).-ადამიანი უნდა განთავისუფლდეს ამ შიშინა და სისინა ბგერებისაგან, ამ ფრაზათა სისტემიდან, ამ გამოთაყვანებიდან!!! (თანდათან უმატებს ხმას). არ იაზროვნო, შეგნებულად არ ჩაუღრმავდე მოწოლილ ფიქრს, არ გქონდეს საკუთარი აზრი და ამის შემდეგ ადამიანი გერქვას? მდგომარეობასთან შერიგება, შეგუება და მისი აუცილებლობად გამოცხადება მონობაა, გონივრული საქციელი თავისუფლების მტერია.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. ჩემს საქმეში კი, პირიქით, თუ გონივრულად არ მოიქცევი, თავისუფლებას დაკარგავ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არა, მე სხვას ვამბობ, სხვას ადამიანი თუ დარწმუნებულია თავის სიმართლეში, არა ვითარ ძალას არ უნდა დაემორჩილოს.

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. მაშინ მიდი და შეებრძოლე მილიონებს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. დიახ, მე მაგას გავაკეთებ! მე ვმუშაობ ასეთ გამოგონებაზე „ულტიმა რაციო“!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. რაა?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. „ულტიმა რაციო“ — უკანასკნელი მტკიცება. დავაჭერთ თითს — მორჩა და გათავდა!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. რას დააჭერ, რას მიერეკები, ბიძაჩემო?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მეცნიერება იზამს ამას: „ულტიმა რაციო“ იქნება ის აპარატი, რომელიც მისწვდება ნებისმიერ წერტილს დედამიწის ზურგზე. აი, ასეთი პატარა ყუთი საკონტროლო ობიექტივითა და კონდუქტორით, რომელიც გაატარებს და დამუშავებს ინფორმაციას, კაცობრიობის არსებობის პერიოდში დაგროვილი ჭეშმარიტებებითა და უფლებებით დაპროგრამირებულ ყუთში როცა წარმოიქმნება შეფერხება, აპარატის პირველი ციკლი გამოსცემს გამაფრთხილებელ გამოსხივებას საჭირო რადიუსში, თუ შეფერხება არა და არ მოიხსნება და გამოსხივება დაბრუნდება იგივე სახით—ლილაკს დააჭერ და „ულტიმა რაციო“ მისწვდება იმ რაიონს, საიდანაც ეს შეფერხება წარმოიშობა. (ყვირის) ვერავითარი დაცვა, ჯარი, პოლიცია, ვერავითარი სანგარი, მიწისქვეშა ბუნკერი ვერ დაიცავს მას!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. ეე, სიუ, (უსტვენს). რა ზღაპრებს ყვები!

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არავითარი ზღაპარი. სამყაროს საიდუმლო უბრალო ფორმულაა, კანონი, ერთი უნივერსალია, მაგრამ საჭიროა მისი მიგნება, ამოხსნა. ადამიანები კი, რაზეც მსჯელობენ და აკეთებენ, ყველაფერს თავის თავს ამსგავსებენ. თითქმის ყველა შედარებები ცხოვრებაში თუ ხელოვნებაში, კაცობრიობის ყვე-

ლა ღმერთი ადამიანის გარეგნობით თუ არა, მისი მსგავსი სულიერი წყობით არის წარმოდგენილი. ყოველი შემოქმედებითი საქმიანობა წარიმართება ადამიანის „მეს“ სქემით, ყოველ რთულ კონსტრუქციას, მანქანას ბოლოს და ბოლოს გამარტივებული ადამიანური სტრუქტურა აქვს. მოტორი—გული, ბორბლები—ფეხი, ქვაბი—მუცელი და ა. შ. მე დარწმუნებული ვარ, დედამიწაზე სხვა რამ გონიერი სულდგმული რომ არსებობდეს, იგი სხვაგვარ კონსტრუქციებს, სხვა მოდელებს შექმნიდა და ქვეყანაც სხვაგვარად გადასხვაფერდებოდა.

ახალგაზრდა. არა, ბიძაჩემო. შენ ნამდვილად გიჟი ხარ!

ვალერიან ილიჩი. თქვენ იცით რა არის სიგიჟე?

ახალგაზრდა. მე ვიცი ნორმალური მდგომარეობა. აქ გაჩერებაა, იქ აღმართია, აქ უფსკრულია — სადაც გადახედავ არ შეიძლება. სიგიჟე ალბათ, ამას უკუღმა ხედავს. ან ვერ ამჩნევს. როცა ყველაფერი არეულია და აკრძალული არაფერია.

ვალერიან ილიჩი. როცა აკრძალული არაფერია, ეს თავისუფლებაა.

ახალგაზრდა. არა ნამდვილად ავადა ხარ, დაბრუნდი შინ, ბიძაჩემო, წადი.

ვალერიან ილიჩი (ყვირის). არავითარი შინ! (დაბალი ხმით). ყველანი ჩვენ ავადა ვართ ცხოვრებით!!! ყველას უნდა მოეპყრო, როგორც ავადმყოფს. ერთი ადამიანის ხასიათი და ქცევა მეორესათვის ნორმის დარღვევაა. სანამ ადამიანები ერთმანეთს ისე არ მოექცევიან, როგორც ავადმყოფებს, ქვეყანაზე მშვიდობა არ დამყარდება.

ახალგაზრდა. აი, ეგ კი მართალია. ავადმყოფზე ხომ არ გაბრაზდები, გული ხომ არ მოგივა?

ვ ა ლ ე რ ი ნ ი ლ ი ჩ ი. თქვენ იცით, რა არის სტროობოსკოპია?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. არა.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ოპტიკური ეფექტი, როცა ყველაფერი მოძრაობს თავის რიგით, მაგრამ განათების რიტმი ქმნის გაუნძრევლობის სურათს. თქვენ არასოდეს გადაგტრიალებიათ ზამბარა, რაიმე აზრზე? აი, ასე (ხელებს ატრიალებს). წრიულად, წინააღმდეგობის გარეშე, როცა გრძნობთ, რომ, მას შეუძლია იტრიალოს გაუჩერებლად, უსასრულოდ!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. იქ, სადაც განრიგი კიდია, რამდენიმე კაცი რომ დგას, შენი ნაცნობები ხომ არ არიან?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ზურგით რომ დგანან?

ა ხ ა ლ გ ა ზ დ ა. ჰო, და ეს კიდევ, აგერ, ბოინის ძაღლივით რომ გასივებია თავი.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არ ვიცი, არა მგონია...

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა (დგება, წასვლას აპირებს). კარგად იყავი, ბიძაჩემო...

რამოდენიმე კაცი, რომელიც იქვე ახლომახლო ტრიალებდა, უცებ თავს ესხმის ახალგაზრდასა და ვალერიან ილიჩს.

ე რ თ-ე რ თ ი მ ა თ გ ა ნ ი. შეყარეთ პიკეტში, ჩქარა! უხმაუროდ!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. რაშია საქმე, თქვე ხულიგნებო!

ახალგაზრდასა და ვალერიან ილიჩს ხელებს უტრიალებენ, ახალგაზრდა გაუსხლტება და გარბის. გამოეკიდებიან.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. როგორ მიბედავთ, მე ინსტიტუტის დირექტორი ვარ!

ე რ თ - ე რ თ ი მ ა თ გ ა ნ ი (სილა გააწნა). მე შენ გიჩვენებ დირექტორს! მიდი, გაიარე! (გაყავთ).

ი ს მ ი ს რ ა დ ი ო ს ხ მ ა. მოქალაქე მგზავრებო, მატარებელი ნომერი 632, გამოვიდა მეზობელი სადგუ-

რიდან. მიღებული იქნება პირველ ლიანდაგზე. „გრაჟ-
დანე პასაჟირი, პოეზდ ნომერ 632 ვიშელ იზ სოსე-
ჯნოი სტანციი ი ბუდეტ პრინიატ ნა პერვი პუტ!“

მგზავრების ერთი ნაწილი დაფაცურდა, ზოგი გავიდა. ურთიერთ
მოპირდაპირე მხრიდან შემოდიან ნინო და სოსო.

ს ო ს ო. აქ არის?

ნ ი ნ ო. ჰო.

ს ო ს ო. ხი, ხი!

ნ ი ნ ო. რას იკრიჭები?

ს ო ს ო. სასაცილოა, მამაჩემი ასეთ ისტორიაში გაება...

ნ ი ნ ო. ეგ სულ შენი და შენი კახპას ბრალია.

ს ო ს ო. მე რა შუაში ვარ.

ნ ი ნ ო. წამოდი! მანქანა კარებთან მოაყენე, ამის შე-
სახებ კრინტი არსად დაძრა.

მილიციის ოთახში

ხის მოაჯირიან სადგომში, სკამზე ზის ვალერიან ილიჩი. აქეთ
მხარეს, მაგიდასთან—სამძებრო განყოფილების ოპერრწმუნებული.
იქვე სკამზე ზის ახალგაზრდა, ხელები ზურგს უკან აქვს შემოდებუ-
ლი, ეტყობა ხელები შეკრული აქვს. კარებში მილიციელი ჩამდგარა.

ო პ ე რ რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი. მე ოპერრწმუნებული ვარ,
სამძებრო განყოფილებიდან, მიცნობ?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. არა.

ო პ ე რ რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი. გამიცნობ! ამ პატივცემულ
ადამიანსაც ხომ არა? (უთითებს ვალერიან ილიჩზე),

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. არა.

ო პ ე რ რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი. ამას?. (ანიშნებს მილიციონერზე).
შე ბანდიტო, შენ!

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. არა.

ო პ ე რ რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი. საბილიარდოში დადიხარ?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. არა.

ო პ ე რ რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი. არ გიყვარს ხომ?

ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ა. (მხრებს იჩეჩავს)

ოპერრწმუნებული. ამას უყვარს ბილიარდის თამაში (მიუთითებსმილიციონერზე). იქნებ შეხვედრილხარ?!

ახალგაზრდა. არა.

ოპერრწმუნებული. ამას თუ იცნობ, შენ (აჩვენებს იქვე მიყუდებულ ზუშბას).

ახალგაზრდა. არა.

ოპერრწმუნებული. გაიცნობ, გაიცნობ!

ახალგაზრდა (იჩეჩავს მხრებს).

ოპერრწმუნებული. ახლა მოყევი შენ, როგორ გაძარცვე შარაშიძე და მოლარე.

ახალგაზრდა. მოიყვანეთ ის მოლარე შარაშიძე და იმას ჰკითხეთ, მე რას მეკითხებით.

ოპერრწმუნებული. (მრავალმნიშვნელოვნად იყურება ირგვლივ) „არტისტ სვოეგო როდა!“ შენ ძალიან კარგად იცი ვინ არის შარაშიძე და ვინ—მოლარე.

ახალგაზრდა. როგორ?

ოპერრწმუნებული. ჰო, ჰო, ჰო! ვერ მიხვდი ახლა შენ, რაზეა ლაპარაკი, ა?

შემოდიან ნინო და ბ-ნ ნიკო,

ნინო. მამიკო, ღმერთო, რა მოხდა, აქ რა გინდა?

ბ-ნ ნიკო. სამმართველოდან რომ დაგირეკეს, ეს მე ვარ, რაშია საქმე? ვეღარ უნდა გაარჩიოთ — ვინ რას წარმოადგენს?

ოპერრწმუნებული. (ფეხზე დგება), ბოდიში, ახლა ცუდად არ გაგვიგოთ, მაგრამ პატარა გაუგებრობა მოხდა...

ბ-ნ ნიკო. აი, ჩემი სავიზიტო ბარათი, (უდებს მაგიდაზე.). მე დავუკავშირდები თქვენ უფროოსს და გავარკვევ ყველაფერს.

ნინო. მამიკო, სად წახვედი, სად დაიკარგე, ავაწრიალეთ მთელი ქალაქი, ასე თხლად ჩაცმული... გაცივდები,

ეს შენი კაშნეა, ესეც ჟილეტი... (ვალერიან ილიჩი უხმოდ, ნირწამხდარი ბაუშვივით ეშორება, იღებს).

ოპერრწმუნებული. პატივცემული, ბოლიში, ცუდად არ გამიგოთ, მაგრამ ახლა წინააღმდეგობის გაწევა... ხომ იცით,...

ბ-ნ ნიკო (ხელკავით გამოუყვანს ვალერიან ილიჩი.) გაირკვევა, ყველაფერი გაირკვევა.

ოპერრწმუნებული. მე არა ვარ დაშნაშაგე, ცუდად არ გამიგოთ...

ახალგაზრდა (ვალერიან ილიჩს). მოსაწევი დამიტოვე,

ოპერრწმუნებული (ეყენრის ახალგაზრდას). ოიტ!

ვალერიან ილიჩი უხმოდ იღებს ჯიბიდან სიგარეტის კოლოფს და დებს მოაჯირზე.

მეშვიდე სურათის დასასრული.

მ ე რ ვ ე ს უ რ ა თ ი.

ვალერიან ილიჩის ბინის სასტუმრო ოთახი. აქ გადმოაქვთ ვალერიან ილიჩის ნივთები, თამარსა და ნინოს უკვე გადმოუტანიათ საწერი მაგიდა, ნაწილი წიგნებისა, აკვარიუმი. შემოდის ბ-ნ ნიკო,

ბ-ნ ნიკო. რა ფაციფუცია?...

ნინო. მამას კაბინეტი გადმოგვაქვს.

ბ-ნ ნიკო. აქ? ეს ხომ მოუსერხებელი ოთახია? ოცდაათი წლის შემდეგ ოთახის გამოცვლა არ გამიგია, ცოლი ხომ არ არის, ჰა?

ნინო. შენ იგ საკითხი გკლავს პირდაპირ.

ბ-ნ ნიკო. მე, მაგალითად, ვერ ვიზამ ამას. გადაიტანე — გადმოიტანე, ხელახლა დაალაგე...

თამარი. ცუდად სძინავს, ღამღამობით დგება, დადის, ჩივის რომ ქუჩიდან ხმაური შემოდის, სიმყუდროვე არა აქვს.

ბ-ნ ნ ი კ ო. დასავლეთ გერმანიაში მომცეს მშვენიერი დასაძინებელი წამალი, ნახევარი აბიც საკმარისია, ოცი წუთით ადრე დაწოლის წინ მიეცით, ისე დაიძინებს, ზარბაზნით ვერ გააღვიძებთ.

თ ა მ ა რ ი. იცით რაზე დაგიბარათ?

ბ-ნ ნ ი კ ო. კი, ნინომ ცოტა რაღაც მომიყვა.

თ ა მ ა რ ი. ძალიან აღელვებულია, ყველას გვადანაშაულებს, შეთქმულებას მიწყობთო, თავის მართლების მოსმენაც არ სურს, იმის შემდეგ, რაც ჩხუბი აგვიტეხა და შინიდან წავიდა, როგორ გავბედავდით მაგაზე გვეფიქრა. მოდის!

შემოდის ვალერიან ილიჩი საშინაო ტანსაცმელში.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. თქვენც კარგი ვინმე ხართ, ნიკო, იცოდით ყველაფერი და ერთი სიტყვაც არ გითქვამთ ჩემთვის.

ბ-ნ ნ ი კ ო. შესაძლოა, ვალერიან ილიჩ, შესაძლოა, მეც მთლად პირნათელი არ ვიყო, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ და მხოლოდ ფიქციაა.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რა ფიქციაა, ეგ ფიქციაა? უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მაცნობებს, რომ ჩემ თხოვნას, ჩემს, გესმით? განიხილავენ და შედეგს შემატყობინებენ დამატებით. ესაა ფიქცია? შედეგი კი ასეთი იქნება: ახლა დავურეკავ სათანადო ორგანოებს და დავაჭერინებ მაგ აფერისტკას. პრეზიდიუმში კი ვაცნობებ, რომ ეს არის თაღლითობა, რომ მე არავისთვის არაფერი მითხოვია, რომ მე პატიმრობაში არავითარი შვილი არა მყავს და არცა მყოლია არასოდეს.

ბ-ნ ნ ი კ ო. როგორ გეკადრებათ, ვალერიან ილიჩ, როგორ გეკადრებათ, მე, მოგეხსენებათ, ამისთანა რამეებში გამოუცდელი კაცი ვარ, მაგრამ ჩემთვისაც კი ნათელია, რომ უპროტექციოდ ამ თხოვნას არც კი წაიკი-

თხავენ. თქვენ დაწერეთ თუ სხვამ, ვინ აქცევს ამას ყურადღებას! ასე რომ, ამ სამწუხარო ფაქტს ნუ მივცემთ ასეთ დიდ მნიშვნელობას.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მომიტანეთ ქაღალდი და საწერ-კალამი. ყველაფერს დაწვრილებით ავუხსნით და იმ ავანტურისტკას მილიციას ჩავაბარებთ.

ბ-ნ ნ ი კ ო. მე კიდევ ვერ გამიგია, გვაქვს განა ჩვენ ბოროტმოქმედების დასამტკიცებელი იურიდიული საბუთი?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. სხვის მაგივრად, ნებადაურთველად, სხვისი სახელის გამოყენება და ხელისუფლების მოტყუება ბოროტმოქმედება არ არის? აბა, რაღაა ბოროტმოქმედება?

ნ ი ნ ო. ნიკოს განსაკუთრებული მიზეზი აქვს იმ გოგოს შესაბრალებლად.

ბ-ნ ნ ი კ ო. სისულელეს ნუ ლაპარაკობ, შენ თვითონ კარგად იცი, რომ ჩემი მამაშვილური ალერსი მაგ გაფუჭებულმა...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (აწყვეტინებს, ჩავარდნილი ხმით). მაშინ უნდა დაიწეროს პრეზიდიუმში... მე თვითონ დავწერ.

თ ა მ ა რ ი (აჩვენებს სტალინის სურათს). ვალერიან, ეს სურათი სად დავკიდოთ?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მე თვითონ დავკიდებ, ადგილს მოვუძებნი, ახლა გადით, დაგვტოვეთ მარტო! (თამარი და ნინო გადიან). აწიეთ ფარდა და გაიხედეთ გარეთ, უკვე სიბნელეა? სკოლაში სინათლე ხომ არ აანთეს?

ბ-ნ ნ ი კ ო (იხედება ფანჯარაში). ქუჩაშიც და სკოლაშიც ბნელა.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (ჩიბუხს ტენის) მოდით აქ!

(ჩურჩულით), განსაკუთრებული თუთუნი უნდა მოგაწევინოთ! საკუთარი გამოგონებაა, აბა, შეისუნთქეთ (აწვდის ჩიბუხს, ბ-ნ ნიკო გამოართმევს და შეისუნთქავს). როგორია? (ბ-ნ ნიკოს ხველა აუტყდა). ეს იმიტომ, რომ მიუჩვეველი ხართ, ეს ძვირფასი თუთუნია „ოქროს მამალი" ხა, ხა!

ბ-ნ ნ ი კ ო. მე თუთუნის არაფერი გამეგება.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ძალიან კარგად მოქმედებს ადამიანის ორგანიზმზე!

შემოდის ნინო, ხელში თუჯის მძიმე ფიალა უჭირავს.

ნ ი ნ ო. დედა გეკითხება, გადააგდოს ეს, თუ გჭირდება?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რაო, გადავაგდოო? თქვენ ხომ არ გადაირიეთ?
ეს ხომ ჩემი გამოგონების „ულტიმა რაციოს" ფუძეა. (წაართვა და თავისთან ახლოს დადო). მომეცი აქ, აბუეტები!

ბ-ნ ნ ი კ ო. როგორც ჩანს, თქვენმა გამოგონებამ უკვე პრაქტიკულ სტადიას მიაღწია...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (აღგზნებული). დიახ, დიახ, ინტეგრალური ნახევრად-გამტარების სქემებმა ჟანგვაზე უკვე გადაწყვიტეს გაბარიტების პრობლემა. აღმოჩენილია ტრანს ურანის მძიმე კრიტიკული მასა. ახლა საჭიროა დასაბუთდეს განშვრეტის თეორია, რაც ემყარება ლეონარდო და ვინჩის და გოეთეს ცდებს, ასევე აუცილებელია მეცნიერის მორალური კანონების შემუშავება კონდორსეს მიხედვით. დარჩა სიძლიერის კატალიზატორის გამოგონება და ბუმერანგული სხივების უკუკავშირების დადგენა.

ბ-ნ ნ ი კ ო. გასაგებია, მაგრამ სუფთა ობივატელური თვალით, პრაქტიკულად რას წარმოადგენს და რა დანიშნულება აქვს თქვენს გამოგონებას?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ეჰე! ჩემო კარგო, ეგ ხომ საიდუმლოა!

შემოდის სოსო,

ს ო ს ო. უკაცრავად, მამიკო, მაგრამ თქვენი ნახვა სურს...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რას ნიშნავს ეს, არც აკაკუნებ, შეგოიჭერი, თითქოს ვინმე მოგდევდეს. რაშია საქმე?

ს ო ს ო. უკაცრავად, მაგრამ ლელას სურს, რომ შენ მიიღო.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ვინ ლელას?

ს ო ს ო. სტუმარს, ჩემი სტუმარი, ის გოგო...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. და ის მოვიდა აქ, ჩემთან? აი, გაუგონარი თავხედობა, აღმაშფოთებელი ურცხვობა!

ს ო ს ო. მამიკო, ძალიან გთხოვს, ელოდება შენს თანხმობას.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. იიმმ!

ბ-ნ ნ ი კ ო. ხომ არ წავსულიყავი...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ. ი ლ ი ჩ ი (ოთახში ბოლთას ცემს). არ გახსოვთ ჩიბუხი სად დავდევი, ჰო, ჰო, აქ არის.

ბ-ნ. ნ ი კ ო. ხელს ალარ შეგიშლით. (გაიწია წასასვლელად).

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არრაა-მეთქი! (ჩიბუხს ვერ აჩაღებს, დადის ოთახში). რა უნდა, რატომ მოვიდა?

ს ო ს ო. არ ვიცი, თვითონ გეტყვით... ძალიან შემეხვეწა.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მოვიდეს! (სოსო გარბის, ვალერიან ილიჩი ჩიბუხს უკიდებს, როგორც იქნა შეისუნთქა, ღიმილით ლაპარაკობს). მოწევა დავიწყე ოხუთმეტი წლიდან და განა მარტო მოწევა, ცხოვრებაც, დამოუკიდებელი ცხოვრება. მოხალისედ წავედი ჯარში. ერთხელ მთელი კვირა ალყაშემორტყმულები ვიყავით, თუთუნი არ გვქონდა და

ჩვენმა „კამანდირ-ბომბარდირმა“, როგორც მას ვუძახ-
დით, ჩიბუხი ნივრის ნაფცქვენებით გატენა და მოკვაწვევი-
ნა, ხომ არ ჩამოვრჩებოდი?! 15 წლის კაცი ვიყავი, რომან-
ტიკა—დიდი გრძნობაა, არაფრისგან შექმნილი სინამდვი-
ლე!

ბ-ნ ნ ი კ ო. ჩიბუხის წევას მაშინ მიეჩვიეთ?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არა, სამამულო ომის დროს

ბ-ნ ნ ი კ ო. უწინ რომ არ შემიმჩნევია.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არა, არა! ჯანდაბას ომიც
და ეს ჩიბუხიც! (გადაამტვრია, მიდის აკვარიუმთან). უწინ
ამ თევზის ყურება მახალისებდა, ახლა კი მიკვირს ამ-
დენ ტრიალში, ერთი და იგივე, ერთი და იგივე, როგორ
არ ესხმის თავბრუ?!

შემოდიან სოსო და ლელა.

ლ ე ლ ა. გამარჯობათ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (გასაოცრად მშვიდად). დაჯე-
ქით, (თვითონაც ჯდება). მე მილიციის გამოძახებას ვაპირებ-
და, მაგრამ ჩემმა სიძემ გადამაფიქრებინა. ნუ გგონიათ,
რომ გულჩვილობით მომივიდა, არა, თქვენ მიერ ჩადენი-
ლი ბოროტმოქმედება თურმე, სამწუხაროდ, კრიმინალს
არ შეიცვს.

ლ ე ლ ა. თავის გასამართლებლად არ მოვსულვარ და
არც საკამათოდ, დიდი თხოვნით მოვედი: ნუ იზამთ მა-
გას, ნუ დაწერთ პრეზიდიუმში ნურაფერს, ნუ ატეხავთ
ხმაურს, ძალიან გთხოვთ, გემუდარებით.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. შეგეშინდათ?

ლ ე ლ ა. დიახ. მეშინია, რომ მას საქმე არ გაუფუჭ-
დეს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. კი, მაგრამ, თქვენ ვინა ხართ
და ამ ამბისა რა გესაქმებათ?

ლ ე ლ ა. მე ის მიყვარს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. გიყვართ? როგორ თუ გიყვართ?... გინახავთ როდისმე?

ლ ე ლ ა. არა.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მაშ რა სიყვარულზე ლაპარაკობთ? არ იცნობთ ადამიანს და გიყვართ, რა უფლების ძალით! მერე თქვენ თუ პატიოსანი ქალი ბრძანდებით, რატომ უნდა გიყვარდეთ ბორორტმოქმედი?

ლ ე ლ ა. ძალიან გთხოვთ, გულახდილად ილაპარაკეთ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ჰმ! გულახდილად! როგორ ბედავთ... გულახდილად... რომ განთავისუფლდეს კიდეც არავითარი სიკეთე ამას არ მოჰყვება. ის ალბათ, მორფინისტი თუ არა, ლოთია, ჩამოსვლისთანავე უკანასკნელ კაბას გაგიყიდით.

ლ ე ლ ა. ნუთუ ასე ცუდად იცნობთ საკუთარ შვილს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ის დიდი ხანია ჩემი შვილი აღარ არის, გაიგეთ, დიდი ხანია!

ლ ე ლ ა. აი, წაიკითხეთ მისი ბოლო წერილი და მიხვდებით ლოთია თუ მორფინისტი. (გაუწოდა წერილი, ვალერიან ილიჩი იღებს ხელში და იქვე უბრუნებს).

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არა, არ არის საჭირო...

ლ ე ლ ა (კითხულობს ხმამაღლა), „ნერონმა რომში სიკვდილით დასაჯა კონსულის შვილი—უდანაშაულო ვესტინი. ჭაბუკმა განაჩენის შემდეგ დაარიგა მთელი თავისი ქონება და სიკვდილის დროს თავს მოხუცად თვლიდა. ძალიან დიდხანს, რომ მეცხოვრა, ამაზე მეტს ვერაფერს გავაკეთებდი. ალბათ მე იმიტომ ვგრძნობ თავს ახალგაზრდად, რომ არაფერი გამიკეთებია“.

ბ-ნ ნ ი კ ო. ფრიად თვითკრიტიკული აზრია, ეტყობა იცის ისტორია.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (შეუღრინა) რას ნიშნავს იცის?! უკეთ, ვიდრე თქვენ თქვენი ხელობა!

ლ ე ლ ა (კითხულობს), „რომელიღაც ქვეყნის წარმომადგენელმა „ოონ-ში“, განიარაღებასთან დაკავშირებულ კამათისას თქვა: „იმისათვის, რომ განიარაღდე, ჯერ უნდა შეიარაღდე“-ო. ეს გამონათქვამი მომდის თავში, როცა მესმის ტერმინი „გამოსწორება“. ვიდრე გამოსწორდები, ჯერ ხომ უნდა გაფუჭდე? ყველა ეს ფსევდო-კრიტიკული, სენტენციურ-ფარისეველური, სქოლასტიკური მსჯელობა ხელოვნების, ლიტერატურისა და ცხოვრების შესახებ მაგონებს იმ ბავშვების მუსაიფს, რომლებიც მთელი ფანტაზიის დაძაბვით და შესაშური სერიოზულობით, ყვებიან, ან უსმენენ ერთიმეორის გამონაგონ სისულელეებს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. კმარა! ისეთივე კერპი დარჩა, როგორიც იყო და რაც მეტი ზის, უფრო მეტი მიზეზი გროვდება საიმისოდ, რომ საერთოდ აღარ გამოვიდეს.

ლ ე ლ ა. რატომ?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. იმიტომ, რომ დანაშაულს არ აღიარებს, არ ინანიებს და გაბოროტებულია.

ლ ე ლ ა. ხალასი მონანიება შეწყნარების შემდეგ იჩენს თავს. გაბოროტება კი შეუფერებლად მძიმე სასჯელის შედეგია.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მოუხდება იყოს გაბოროტებული. და საერთოდ არავის შეწყნარება არ შეიძლება! ადამიანი თავის ბუნებით უმადურია, დღეს აპატიებ, ხვალ უარესს ჩაიდენს. შეხედეთ, თურმე ის კი არა, ვილაც სხვები არიან მის წინაშე დამნაშავენი, ბოროტმოქმედის წინაშე.

ლ ე ლ ა. ჯერ ერთი, ის არც არავის ადანაშაულებს და თუ მაინცდამაინც ბოროტმოქმედზეა ლაპარაკი, ბოროტმოქმედი, რომელიც სასჯელს იხდის, კანონის ცოცხალი განსახიერებაა, თვით კანონია და ყველაზე უმწიკვლო მდგომარეობა საზოგადოებაში, რა გა-

საკვირია, რომ იგი სხვებისაგანაც სამართლიანობას მოითხოვდეს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. სწორედ სამართლიანობა მოითხოვს, რომ ის თავის თავს ამტყუნებდეს და არა საზოგადოებას.

ლ ე ლ ა. საზოგადოება, რომელიც ყველა მიღწევას თვითონ მიიწერს, ბოროტმოქმედებაზეც უნდა აგებდეს პასუხს. თორემ გამოდის, გაგარინი გაფრინდა კოსმოსში თუ ‘ტანგისტმა ასწია ნახევარ ტონაზე მეტი, ეს ყველაფერი საზოგადოების წყალობით ხდება და, თუკი პეტრე 17 წელია ზის, მხოლოდ თვითონ არის დამნაშავე და თავში ქვა უხლია?!

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. გვეყოფა, თქვენ სათხოვნელად მოხვედით არა?

ლ ე ლ ა. დიახ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ჰოდა, გაიგეთ, შეიგნეთ, რომ მე ვაჟიშვილი არა მყავს და ამის შესახებ აუცილებლად დავწერ.

ლ ე ლ ა. მერე, ეს ხომ ტყუილი იქნება.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. რატომ იქნება ტყუილი, განა მე დარწმუნებული ვარ, რომ ის ჩემი შვილია? ჩემი გვარის გარდა მას მრავალი სხვა გვარიც აქვს საქმეში. (დადის ოთახში, პაუზა).

ლ ე ლ ა. არა, თქვენ ამას არ იზამთ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. დავწერ, დავწერ!

ლ ე ლ ა. რატომ, რისთვის, ვის სჭირდება ეს?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ახლანდელმა ახალგაზრდობამ არ იცის, რა არის პრინციპი, ჩვენ კი პრინციპების გამო სიკვდილსაც არ ვერიდებოდით.

ლ ე ლ ა. არ მესმის არავითარი პრინციპი, მე მინდა ბედნიერი ვიყო.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. სწორედ მაგისათვის ვიბრძოდით, რომ ყველანი ბედნიერნი ყოფილიყავით, ვიკლებდით ყველაფერს საერთო საქმისათვის. თქვენ კი გამორჩენას ელით, ახლავე გინდათ მიიღოთ მოგება და ვერ ამჩნევთ, რომ ის საერთო ჯამი, სადაც თქვენ ლუკმას ჩააგდებთ, თქვენთვისავე გაივსება მომავალში.

ლ ე ლ ა. ეს იმას ჰგავს, რომ ქანცგამოცლილმა, მოწყურებულმა მეუდაბნოემ, ბოლო ერთი ჭიქა წყალი კი არ დალიოს, დადგას პაპანაქება სიცხეში იმ იმედით, რომ იგი აორთქლდება. ღრუბლების ჩამოყალიბებაში მოეხმარება ბუნებას, რის შემდეგაც წვიმად დაბრუნებული გააგრილებს, ააყვავებს დედამიწას, წარმოშობს წყაროებსა და ოაზისებს.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. არ მესმის თქვენი, არა!

ლ ე ლ ა. თქვენ გინდათ ქვა შუაგულ ზღვაში ჩააგდოთ, ბურთულებს კი ნაპირზე დაელოდოთ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. კმარა მეთქი! მიბრძანდით!

პაუზა.

ლ ე ლ ა. უკანასკნელად გთხოვთ. მეტი რა გითხრათ, ეემუდარებით, იქნებ სხვაგვარად გამიგოთ. შემიბრალეთ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მე ჩემი შვილი არ მებრალება და თქვენ შეგიბრალებთ?

ლ ე ლ ა. მერე რატომ?

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (დაბალი ხმით). მე თქვენთან დავამთავრე ლაპარაკი.

ლ ე ლ ა. ეს პრინციპი კი არა ჯიუტობაა, ეტყობა სიბერეში კაცს ნამთვრალევივით გამოყოლილი აქვს...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (ყვირის). მე უკვე მითხრეს ეგ ერთხელ და იცით ვინ? ყაჩაღმა და მძარცველმა სადგურში. აჰა, აჰ, ჰა! ახლა კი ყველაფერი ნათელია ჩემ-

თვის, ახლა კი მივხვდი, რომ ყველანი ჩემი წინააღმდეგი ხართ და პირი გაქვთ შეკრული. აჰა-ჰა! მაგრამ მე ვიდგები, ჯერ კიდევ მაგრად ვიდგები.

ლ ე ლ ა. რა სიკეთეს გაიხსენებთ თქვენს ცხოვრებაში, მაგალითად, პირადად ვის გაუკეთეთ კეთილი საქმე, დაასახელეთ თუნდ ერთის გვარი.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (აქეთ-იქით დაღის ოთახში). ჰა-ჰა, აჰა-ჰა.

შემოდიან თამარი და ნინო.

ნ ი ნ ო. რა ამბავია, როგორ ბედავთ, შემოიჭერით სხვის სახლში...

ლ ე ლ ა. თქვენ, თქვენს გენიოსს მიხედეთ, ლაბადა! (ვალერიან ილიჩს). ზოგადი სიკეთის სახელით თქვენ ჩადენილი გაქვთ უამრავი ბოროტება. და ახლა, როცა გეძლევათ საშუალება დაამტკიცოთ, რომ თქვენ ურჩხული არა ხართ...

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. ვის უნდა დავუმტკიცო?

ლ ე ლ ა. თუნდაც საკუთარ თავს!

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. გაეთრიეთ!

ლ ე ლ ა. გგონიათ ყველას მოტყუებას შესძლებთ? თქვენ აღარაფერი გაგამართლებთ.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. მოიცა... ვისი მოტყუება. ვინ, ვის... ატყუებს?

ლელა გაჩერდა. პაუზა

ლ ე ლ ა. არ მინდა დავიჯერო, რომ პეტრე თქვენი შვილია.

კარებისკენ წავიდა.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (ხმადაბლა, თითქმის თხოვნით), მოიცა! (ხმას. უმატებს). ჩვენ გვაქვს კიდევ ძალა...

ლ ე ლ ა (გასელისას). შვილის მკვლელო!

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი. აააა! (შებღაკლებს, დაავლებს ხელს თუჯის ფიალას და გაეკიდება).

პაუზა.

უცებ ყველა ერთად შეპყვირებს. პაუზა. ყველანი გავარდებიან კულისებში. სცენა ცარიელია.ნელა შემოდის ვალერიან ილიჩი.

ვ ა ლ ე რ ი ა ნ ი ლ ი ჩ ი (ჯდება სავარძელში). მე იგი მოვკალი, მოვკალი, მოვკალ!...

(აკეთებს რაღაც მოძრაობებს, მოხერხებულად ჯდება სავარძელში, იძინებს.)

ფ ა რ დ ა

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა

:

თანამედროვე ფარსი ორ მოქმედებად

მ ო ქ მ ე დ ი პ ი რ ნ ი

1. ტაკიმასხარა, თოჯინა ან მარიონეტი. უკიდურეს შემთხვევაში მსახიობი — სტილიზებურ ტანსაცმელში, თოჯინის მიხვრა-მოხვრით.

გ რ ი შ ა.

დ ა ვ ი თ ი.

ს ო ფ ი ო.

შ უ რ ი კ ა.

მ ა ნ ა ნ ა.

ბ რ ძ ე ნ ი.

ი ს.

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა.

ყ ო ფ ი ლ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი.

მ ე ე ზ ო ვ ე.

ი ე ღ ო.

„ხ ე ი ბ ა რ ი“.

ლ უ დ მ ი ლ ა ვ ა ს ი ლ ე ვ ნ ა, მდივანი ქალი.

ქ მ ა რ ი.

ა დ გ ი ლ კ ო მ ი.

I, II III, IV — მოწაფეები.

მოცეკვავენი და სხვ.

მოქმედება — ჩვენი დრო. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ქალაქია.

პირველი მოქმედება

ISURATI

ფარდის მარცხენა და მარჯვენა მხარე თითქოს დაუხურავი დარჩენიათ, ჩოჩქოლია, რომელიც თანდათან ძლიერდება. ხმაური ახლოვდება, ფარდის წინ გამოაგდებენ ტაკიმასხარას.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა ს ხ მ ა (რომელიც გვესმის მ-ს სცენაზე შემოგდებამდე). მომეშვით, თავი დამანებეთ, ააა, ხელებს ნუ მიმტვრევთ, არა, არ გამოვალ.

ბ რ ძ ე ნ ი. მოეშვით, თქვენც კაცი ნახეთ, სულ არევ-დარევს ყველაფერს ეს ბაზრის ტინგიცა. . .

მ ა ნ ა ნ ა. მიდი ახლა, ნუ „სვეტობ“, არ გადამაჭრევინო ვენები.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. ახლა დაგჭირდით, მე რა შუაში ვარ? ! . . . გამიშვით-მეთქი! ჩემი რა ბრალია, ერთ-ერთმა თქვენგანმა იკისროს, მე რა, დაბალი ღობე მნახეთ?

შ უ რ ი კ ა. შენ ვინ რას გაბრალებს, რამ შეგაშინა? შენც გამიხდი რაღა. სად გაგონილა, ტაკიმასხარას ვინმე რამეში ბრალს სდებდეს, ეე! ქაჯო! უბრალოდ, შენ სპექტაკლს წაიყვან.

ი ს. მიდი, მიდი, შესძლებ, ძველი ხარ.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. კი მაგრამ, ხომ უნდა ვიცოდე, საიდან დავიწყო, როგორ? ის თქვენი მაესტრო სად დაიკარგა, ერთი მითხრას მაინც. . .

დ ა ვ ი თ ი. კარგი, ჰო, მორჩი ბაზარს.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. ბიჭო, გეუბნები, ხელებს ნუ იკვრევინები! (გამოაგდეს ფარდის წინ. შეამჩნევს მაყურე-

ბელს). მაპატიეთ ბოდიში, ბოდიშს ვიხდი, მაესტრო, „პროშუ მუზიკე!“ (მუსიკის ხმაზე, რომელიც ტუშს წააგავს თავის პარადული მხნეობით და მკვეთრი ბგერებით, იხდება ფარდა

და ვხედავთ ლატარიის უზარმაზარ ბილეთს, სერია 49 № 994853).

მოგესალმებით, მოგესალმებით, მოგესალმებით.
(თავს ხრის ყოველი მიმართულებით).

პატივცემულო საზოგადოებავ! დარწმუნებული ვარ (კულისებიდან დავითი გადმოუგდებს ნიღაბს, რომელიც წელანდელ ჰიდილში დაკარგა). მაპატიეთ, პატივცემულო საზოგადოებავ, დარწმუნებული ვარ, ბევრი თქვენგანი საკმაოდ კარგად მიცნობს. (იკეთებს ნიღაბს). მე ტაკიმასხარას მეძახიან, (ხელს აწევს და გაისმის ზემოთ აღნიშნული მუსიკალური ფრაზა).

შესაძლოა ზოგიერთი განცვიფრდეს კიდეც, რომ დღეს დამეკისრა... და ვაპირებ, უფრო სწორად, რომ სერიოზულ რაღაცეებზე მინდა, ესე იგი, მსურს თქვენთან საუბარი. წინდაწინ, მიპატიებია მათთვის, ვინც გაიფიქრებს, დავიღუპეთ, ტაკიმასხარასაც სერიოზული სჯა-ბაასი მოსურვებიაო. მიპატიებია, მაგრამ მაშინ მანვე, როგორც იტყვიან ხოლმე, დათვალოს ხურდა სალაროდან მოუშორებლად და დამიმტკიცოს აქვე, პატიოსანი ხალხის წინაშე, რომ ხუმრობა და წვრილმანები მეორეხარისხოვანი რამ არის ცხოვრებაში. დამიმტკიცონ! მე არ მივდევ ადამიანის სიცოცხლის აზრისა და რაობის განსაზღვრას, ეგ რა ჩემი ჭკუის საქმეა, მატერიის ეგ მაღალი სფერო ადამიანებმა თავად განსაჯონ. მე ხომ ადამიანთა კატეგორიას არ ვეკუთვნი, მიუხედავად ზოგიერთი მსგავსებისა (გადმოაგდებს პირსახოცის ან განიერ ჰალსტუხისმაგვარ დიდ ენას. მაესტრო ხელს სტაცებს ენას და უნდა მოაგლიჯოს). ییییمممم (ღმუის ტაკიმასხარა, მაესტრო კიდევ ეჯაჯგურება, ბოლოს მოგლი-

ჯავს, ორივენი ეცემიან). ბლ-ბლ-ბლ-ბლ ასე შეიძლება სპე-ქტაკლი წაიყვანონ? (კულისებში მიმავალი ითხოვს ახალ ნიღაბს. აწვდიან გრძელ ცხვირს, იგი უკან აგდებს ცხვირს). მე ცხვირი კი არა, ენა მინდა (დავითი გამოუტანს ახალ ნიღაბს და ხელს ძოუქნევს, ვითომ დასარტყმელად). ღორნ გერჩის, არა? (ბონს მოდის). ბოდიში, პატივცემულო მაყურებელო, იმას მოგახსენებდით: წვრილმანები არარად ჩასაგდები რო-დია, რადგანაც არსებითად, ცხოვრებაა წვრილმანების ჯამია და როდესაც ე. წ. წვრილმანებისადმი [illegible] დამოკიდებულებას ვსვდები, ასეთი აზრიც კი მებადება ხოლმე: საერთოდ სამყარო ხომ არაა-მეთქი მთლიანად გაუგებრობა და ამ გაუგებრობას თვით ადამიანის მოქ-მედება ხომ არ წარმოშობს? ანდა, სულაც ადამიანის ყოველი მოქმედება, ამ გაუგებრობის გადასაწყვეტად ხომ არაა მიმართული! სწორედ ასეთმა აზრებმა გამიბე-დვინეს გამომეტანა თქვენს სამსჯაროზე რაღაც ამდაგვა-რი რამ, მაგრამ ხელოვნება, ცხოვრებისაგან განსხვავე-ბით, მოითხოვს თუნდაც ელემენტარულ ლოგიკას, ან აზრთა თანმიმდევრობას, ამდენად საჭიროდ ვთვლი თქვე-ნი ყურადღება, პირველ ყოვლისა, აი, ამ ლატარიის ბი-ლეთზე შევაჩერო (უთითებს ჩამოკიდებულ ბილეთზე). ამჩნევთ ამ რიცხვს? სამიანს (თითქმის ხელით ეხება სა-მიანს). — გთხოვთ, მაესტრო! (მოფრინდება გასული წლიდან შემორჩენილი უშველებელი ბუზი, ბზუილით დაჯდება სამიანს, უხი-ლავი ხელი ბუზის საჭერით მიასრესს ბუზს სამიანზე და როდესაც გასრესილი ბუზი ძირს ჩამოვარდება, მისი სისხლის კვალი სამი-ანს რვიანად გადააკეთებს). შეამჩნიეთ? სამიანი გადაიქცა რვიანად, (კვლავ შეახებს ხელს რიცხვ 8-ს.).

— აბა ერთი გაიმეორეთ, მაესტრო, რე-პე-ტე!

(მანიპულაცია ნეორდება, მაგრამ ბუზის ნაცვლად ბუზის სა-

ჰერი ხვდება ტაკიმასხარას თავში, იგი დაეცემა, მაშინვე წამოდგება დაიბერტყავს ტანსაცმელს. ისმის მაესტროს ხმა).

მაესტროს ხმა. ალო, ეს რა უბსგავსობაა? წისქვილიდან ხომ არ მოდიხართ, რა ბდღვირი დააყენეთ?

ტაკიმასხარა (ირტყამს ხელს შარვალსა და ხალათზე, ვითომდა მტვერს იშორებს). ნაფტალინია, ნაფტალინი, მაესტრო, მე ხომ დიდხანს ვიყავი სკივრში, ძველმანებთან ჩაკეტილი.

მაესტროს ხმა. ძველმანები. გასაგებია, ძველმანები.

ტაკიმასხარა. აბა თქვენი ხუმრობა გამორჩევა ახლებური შემართებით, მაესტრო, ცემა-ტყეპა ძველი რუტინა და თეატრალური ტრუკია. ბუზი რამდენი ხანი გელოდებათ. თქვენ კი აქ მაიმუნობთ.

ბაესტროს ხმა. ალო, ალო,

ტაკიმასხარა. გაიძეორეთ, მხოლოდ ფრთხილად, აბა, რე-პე-ტე! (მანიპულაცია შეორდება). ასე და ამგვარად, პატივცემული საზოგადოებავ! ახლა გთხოვთ დაიმახსოვროთ სიტყვები: — ოჰ, ეს შეჩვენებული ბუზი, ბრან! ბუზსაც შეუძლია კაცობა. მაშ ასე—ოჰ, ეს შეჩვენებული ბუზი, ბრან! ბუზსაც შეუძლია კაცობა.

(ლატარიის ბილეთი მაღლა აიწევა და გაქრება.

ერთი ოთახი, ერთი ფანჯარა, ერთი კარი, ერთი დივანი, ერთი სკამი, ერთი საწოლი, ერთი სკივრი, ერთი კარადა, ორი ძმა. გრიშა პირს იპარსავს, დავითი დივანზე ზევს. კვირა დღე. დილაა.

ბადლობა ყურადღებისათვის, ძვირფასო მეგობრებო, წარმოდგენა იწყება.

(ლია ფანჯრიდან ისმის ყაყანი.

ქალის ხმა. „ზნაემ მი, ჩემ ტი ზანიმაეშსია"...

კაცის ხმა. „ია ტებია ნე ბოიუს, ი დრუგიხ ტოქე...

ქალის ხმა. ჩტო ტი კრიჩიშ. იდი, ნა სვოიუ ულ-ნუ კრიჩი.“

კაცის ხმა. „პოდაჟდი, პოდაჟდი“...

კიდევ ერთი კაცის ხმა. სპირდონიჩ, ანა სუმაშედშაია.

„ინჩ პტი ანეს დათარტუ,“

კიდევ ერთი ხმა. „ონ იურიდიჩესკოე ლიცო.

ქალის ხმა. „ონ მენია ვიგნალ იზ კაბინეტა, ეტო ლიცო.“

კაცის ხმა. „უ მენია პიატ მეტროვ კომნატა, ა ტი პოლუჩაეშ.“

ქალის ხმა (გაანჩხლებული). „კტო პოლუჩაეტ? ჩტობ ტი ტაკ პოლუჩალ, კაკ ია პოლუჩაიუ.“

ატყდა ისევ ყაყანი, ერთხანს აღარაფერი ისმის. შემდეგ უცებ სიჩუმე ჩამოვარდება და ამ სიჩუმეში გარკვევით ისმის ხმა:“

არა, მითხარით, რა შუაშია კომენდანტი?

დავითი. ექვსი წელია, ვერა და ვერ დაადგინეს, რა შუაშია კომენდანტი.

გრიშა. ექვსი კია არა, თორმეტი, და ყოველდღე ერთი და იგივე... ერთი და იგივე... კაცი პირდაპირ შეიშლება...

დავითი. დიდი ხნის წინათ შეგეძლო ბინის მიღება, არ გინდა ეაისძრე, უცდი, როდის მოგართმევენ „პადხოსზე“.

გრიშა. მხარ-თეძოზე წამოწოლილი ლაპარაკი ადვილია... ერთი ეს მითხარი, მეექვსე წელია რომ აბარებ იმ მისაღებ გამოცდებს და მაინც ვერ მოხვდი. ხომ ვერ იტყვი, რა ხდება?

დავითი. რას ჩამომიყვანეთ, მოწყობა თუ არ შეგეძლოთ!

გრიშა. მიყვარხარ. რას ჰქვია, ბიჭო, მოწყობა... როგორ თუ მოწყობა, ვინ მომაწყო მე? მეცადინეობია საჭირო და არა ბოწყობა... წელსაც რომ არ მოხვდე, იცოდე, შენს რჩენაზე ხელს ვიღებ.

დავითი. ეს კიდევ საკითხავია, ვინ ვის არჩენს, დედაჩემი საკმელ-სასმელს მე მიგზავნის.

გრიშა (არ ბოელობდა). როგორ ბედავ ასეთ ლაპარაკს, მე უფროსი ძმა ვარ შენი.

დავითი. ძმაო, დედამიწა ყველაზე ხხიერი კაცის საკუთრება ყოფილა.

გრიშა. ჯერ ერთი, მოეშვი შურიკას ციტატებს, მეორეც, 24 ხლის ასაკში დროა დამოუკიდებელი... გავიჭერი, უფ, დამიწყო აქ ფილოსოფოსობა, წელმოწყვეტილივით რომ წევხარ. ადექი, კვირა დღეს მაინც.

დავითი. თუ წოლაა, წოლა იყოს, კვირა რაღაა? სოფიკოსთვისაც ასე სჯობია, უფრო ადვილად დაალაგებს ოთახს.

ვრიშა. სოფიო რა, "ეხი მოსამსახურეა?

დავითი. მოსამსახურე რა შუაშია, უბრალოდ, ცდილობს, ცოლად გამოგყვეს.

გრიშა (მიუახლოვდა, ნაწყენი და დაბნეული ყვირის). აბა, გაიცყორე რა თქი, ვაიქყორე!

დავითი (ყუხალად). (ციდად უხდა რომ შეირთო.

გრიშა (ეჭვიოდ ჯდება). დაამტკიცე, დაამტკიცე!

დავითი (გადაბრუნდა, ზურგი მიუშვირა). ეეჰ...

გრიშა. ჯველაფერში ასეთი თავდაჯერებული და თაგზეული ხარ. ყარსოვიდგეხიათ? თურძე "ეუბჩხევია, გულთბისაბია, ყველაფერი იცის. ბაგრამ იხსტიტუტში ვერ ეწყობა, რომ ჰკითხო, მთელი ქალაქის გოგოები გიყლეფიან ბაკისთვის. თვითონ კი აქ "ეთხუპხულ მეზობელს არ აციცეებს თვალს.

დ ა ვ ი თ ი. შანაბან დიდი ვიხმეცაა. ძალაუხებურად შიაქცევ ყურაკლებას, დღეში ასჯერ ადი-ჩადის ამ კიბეებზე. ერთი შქოხდეს ბდგომარეობა...

შეძიდის შერიკა გაზეთებით იღლიაში.

შ ე რ ი კ ა. ხუ ჩხუბობთ, ძმებო, ხუ ჩხუბობთ, ეშ-ჯობესია მაჭამოთ რამე. მთელი დღე მგელივით მშიერი დავწანწალებ. აჰა, „ყევაჩკა“ მოგიტანე. (დავითს გადაეგდებს.).

დ ა ვ ი თ ი. გაძახებე თუ ძმა ხარ თავი, აბას წინათ ჰირს ვიპარსავდი და კისაღამ ეხა მოვიკვხიტე.

შ ე რ ი კ ა. ეს საღეკი ბრძენმა მაჩუქა. მართლაც რომ ბრძენია ეგ ოხერი. ედგავართ ბიჭები სასტუმროს წინ. გიბის შეძოგვიერთდა, ჯიბიდან რეზინი ამოიღო და შეშაგვთავაზა. სასაბ ჩვენ აზრზე მოვიდოდით, ბრძენმა სტაცა ხელი და საგანგებო სიდინჯით ჩაიდო ჯიბეში. ეაი, ბიჭო, როგორ ბქერდეკა-ბეთქი, ბივაძახე გიზოს, გიზომ ბრძენს გადახედა, ბაგრამ იძახ, ‘შენც არ მომიკვდე, ისეთი ბეპატრონის გაბოლეტყველება ბიიღო, რომ თხოვნა ვეღარავინ გაბედა, კარგა ხანი ვიდექით და მერე ყეკეკ, როცა ვიბლეკოდით, ჩაიყო ჯიბეში ხელი და შთამაგონებელი ტონით მომმართა; აჰა, წაიღე, შურიკ. ჩემი საჩუქარი იყოს! გაიგე? არა, გაიგე, ბიჭო? რას იზამ, ალბათ არაბზადების გარეშე ქვეყანა მოსაწყენი იქნებოდა.

დ ა ვ ი თ ი. ერთი ვერ გამაცანი.

შ ე რ ი კ ა. ვა, ეგრეა მისი გაცნობა? გასამრჯელო უნდა გაიღო. კვირა დღეებში ოფიციალური მიღება აქვს, ფასიან რჩევა-დარიგებებს იძლევა. ადექი, მაჭამე რამე. გრიშა არასდროს არ გამოირჩეოდა განსაკუთრებული სტუმართმოყვარეობით.

გ რ ი შ ა. მგონი, შენგან გამიგია, რომ სტუმართმო-

ყვარეობა ძალმომრეობის ნაყოფია და დამპყრობელთა გადმონაშთი.

შ ურ ი კ ა. რაც მართალია, მართალია, რაიმეზე აზრის გამოთქმა გავალებს შესაფერისად მოიქცე, მაგრამ განა მე ვამტკიცებ, რომ ეს გადმონაშთი საძრახისია?

დ ა ვ ი თ ი (ერთბაშად წამოდგება და ისევ გაქვავებული დგას).

. . . კარადაში საუზმე უნდა იყოს, ეგერ—ჩაი...

შ უ რ ი კ ა (შეიხედავს კარადაში). ადუღებული წყალი მხიარულია, მაგრამ უშაქროდ წაიტუტუცებს.

დ ა ვ ი თ ი. საცაა სოფიკო გაჩნდება და ის გაკმეევს.

შ უ რ ი კ ა. მაგდენი დრო არ მაქვს. (ვამს პურსა და ყველს). აჰა, გაზეთი გადაათვალიერე, დღეს გათამაშების ცხრილია შიგ, იქნებ მოხდეს სასწაული და მოიგო რამე (ციანის).

დ ა ვ ი თ ი. კი, კაცო, მაგ ჭკუაზე არიან. ხურდის მაგიერ მისცეს გრიშას საფუნთუშეში, მანდ სადღაც მაგიდაზე ადია, მგონი, შენ თვითონ ნახე.

გ რ ი შ ა. აი შენ, შურიკა, მითხარი ერთი, რატომ ამას ჭკუას არ დაარიგებ? შენ მაგისთვის დიდი ვინმე... დიდი ავტორიტეტი ხარ, რატომ არ მეცადინეობს, როდემდე აპირებს ასე უსაქმოდ ყოფნას?

შ უ რ ი კ ა. ეე, გრიშა, გრიშა, ახალგაზრდობა რომ უფროსებს უჯერებდეს, მაშინ ხომ პროგრესიც შეწყდებოდა! ან არა და მე რისი დამრიგებელი ვარ, როცა თავად თავისუფალი პროფესიისა გახლავარ.

გ რ ი შ ა. კი, მაგრამ შენ დიპლომი მაინც გაქვს.

შ უ რ ი კ ა. მერე, ვის რად უნდა ეგ დიპლომი, ფული მე არა მაქვს, დასაძინებელი ადგილი, ჩასაცმელი, საჭმელსაც იქა ვჭამ, სადაც შემხვდება, — ტანთ ვიცვამ სამოსს ნატარებს და ვეტრფი ქალებს ნაქმარევს!

გ რ ი შ ა. მოიცა, მოიცა, გეყოფა... მშვენიერი ოთახი

გაქვს, მაგრამ შენ თვითონ არ გინდა იქ ყოფნა. უკეთესი ტანსაცმლის შოვნაც არ გაგიჭირდებოდა...

შ ურ ი კ ა. არა, გრიშაჯან, შენ ამას ვერ გაიგებ, აბა ტყუილუბრალოდ რად გვინდა ეგ ლაპარაკი.

გ რ ი შ ა. ვითომ რადაო? შენ რა, პურს ჭამ და მე აგურს? ფანტაზიორობ, ჩემსავით რომ გეშრომა, მაგ სისულელეებისათვის ვერ მოიცლიდი. (ბუზს კლავს). მთელი ჭალაქი რომ დაიარო, ბუზს წამლად ვერ იშოვი, აქ კი სავსეა. ამ ბოლო ხანებში მაინც სულ გამხეცდნენ და გადაირივნენ.

შ ურ ი კ ა. კეთილ მასპინძელს ბოროტი ბუზი ესევა. (დავითს). ჰა, ბიჭო, ვეღარ გამოხვეიდ ტრანსიდან, რა გამეშებული დგეხარ?! (დავითი რაღაც მეოცნერი მოძრაობის შედეგ ოთახში ბოლთას სცემს).

დ ა ვ ი თ ი. უსაშველო სიცხეა.

გ რ ი შ ა. ერთი მდგომარეობიდან რომ მეორეში გადავიდეს, ენერგიის მოკრება ესაჭიროება.

შ ურ ი კ ა. ხა-ხა-ხა, სწორი ხარ, გრიშაჯან, სწორი. მშვენივრად გეახელით, ახლა კი ფული უნდა მომცეთ, სესხად, რა თქმა უნდა, თორემ ეს ფულიანი ხალხი ისე ერთნაირად მეუბნება უარს, ერთი დედმამის შვილი გეგონებათ. ბევრი კი არ მინდა — თუმანი.

დ ა ვ ი თ ი. მიეცი, გრიშა, მიეცი. ნუ გეშინია.

შ ურ ი კ ა. შიში მას უნდა ჰქონდეს, ვინც ვალს იღებს და არა მას, ვინც გასცემს!

გრიშა უხალისოდ აძლევს ჯიბიდან ფულს.

დ ა ვ ი თ ი. დაგიბრუნებს, ალბათ სულ მალე გამდიდრდება და სახელსაც მოიხვეჭს. რა მაგის პასუხია, რა ჰქვია იმ რომანს, რომლის ილუსტრაციასაც აპირებ?

შ ურ ი კ ა. გასკდა ეგ საქმე, ლიტერატორი აღარ მესალმება.

დ ა ვ ი თ ი. რატომ? მახსოვს პირდაპირ ენთუზიაზმით იწვოდი, რა მოხდა?

შ უ რ ი კ ა (ხელი ჩაიქნია). ეჰ, მომბეზრდა, თანაც რომანი კი არა, რაღაც სისულელე იყო.

გ რ ი შ ა. თუ არ მოგწონდა, რაღას მოჰკიდე ხელი, კაცი დააღალატე, მთელი თვე დაარბენინებდი გამომცემლობიდან გამომცემლობაში, მოატყუე და გინდა კიდევ ტუჩზე კოცნით გხვდებოდეს?

შ უ რ ი კ ა. ეეჰ, გრიშაჯან, გრიშაჯან, მოსაწყენია ეს ყველაფერი, უზომოდ მოსაწყენი. (მხარზე არტყამს ხელს).

გ რ ი შ ა. წამოიწყებ რაღაც-რაღაცეებს და ბოლომდე აღარაფერი მოგყავს.

შ უ რ ი კ ა. წეღან მეტროში ინგლისელთა ჯგუფი შეგხვდა, მივუგდე ყური ერთ-ერთის სიტყვებს, — დააკვირდით, ამ ქალაქში ხალხი კარგად იცვამსო და უცებ მე შევეფეთე, ცოტა არ იყოს შეცბა, მაგრამ მე არ დავიბენი და მივაძახე, — არა, მე განგებ, ჰიპი ვარ-მეთქი, ჰიპი. აი, ჩემო ძმაო გრიშა, ასე ვავლენთ ჩვენ, ჩვენს პატრიოტიზმს, როგორც შეგვიძლია,,

ისმის ტაკიმასხარას ძლიერი ხვრინვა. პაუზა.

გ რ ი შ ა. რაშია საქმე?

დ ა ვ ი თ ი. რა მოხდა?

შ უ რ ი კ ა. ვაჰ, ეს რას ხვრინავს, ტო.

მ ა ე ს ტ რ ო ს ხ მ ა. ალო, ეი, მოქალაქე, თქვენ... რა ჰქვია ამას?

ქ ა ლ ი ს ხ მ ა. პირველ კაცად გამოაცხადეთ და სახელი აღარ ჰკითხეთ? ტაკიმასხარაა.

მ ა ე ს ტ რ ო ს ხ მ ა. ჰო, თქვენ, მოქალაქე ტაკიმასხარავ, ეი, ამხანაგო!

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა (იზმორება). ოო, რახან ამხანაგი მიწოდეთ, ესე იგი ცუდად არის საქმე.

მ ა ე ს ტ რ ო ს ხ მ ა. ამხანაგო, რომ გაშოტილხარ აქ, რა, ვაგზალი ხომ არ გგონია „პრიამოგო სოობშენია“,

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. რაშია საქმე, რა გინდათ? ჩემი პასპორტი? რომელი, „ლეტნი“ თუ „ზიმნი“?

მ ა ე ს ტ რ ო ს ხ მ ა. რას მიედმოედები, შე ზარმაცო, რის პასპორტი, შენი გამოსვლაა.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. ვერა და ვერ ისწავლეთ ზრდილობა. რას მიქვია მიედ-მოედები, ზარმაცო, და ასე შემდეგ. ავდგები და აღარ გამოვალ. ანდა ახლა ჩემი გამოსვლა დროული იქნება? ერთი თქვენცა ხართ რა, მაესტრო.

ტაკიმასხარა ამთქნარებს. შურიკა ფანჯარაში შეამჩნევს ზემო სართულზე ამავალ ქალიშვილს და მიმართავს.

შ უ რ ი კ ა. ჰელოუ, მანანა, შემოიარე ჩვენსკენ, რა ხანია აღარ მინახიხარ.

მანანა ფანჯარას მოადგება.

მ ა ნ ა ნ ა. ახალი ხომ არაფერია, ბიჭებო?

შ უ რ ი კ ა. მართალია; შენ რომ ჩემზე გითქვამს?

მ ა ნ ა ნ ა. რა?

შ უ რ ი კ ა. აი, ისა, რა...

მ ა ნ ა ნ ა. რა ის, ა?

შ უ რ ი კ ა. დათოს რომ უთხარი.

მ ა ნ ა ნ ა. რა ვუთხარი?

შ უ რ ი კ ა. გამოიხედე, იცი რა?

მ ა ნ ა ნ ა. ჰო, გამოვიხედე.

შ უ რ ი კ ა. მოკლედ, ბალანსი ისეა, დათოს შენთან შეხვედრა უნდა, რაღაც უნდა გკითხოს.

მ ა ნ ა ნ ა. აბა, ერთი დათკას დაუძახე.

შ უ რ ი კ ა. დათკა! (მანანას). დათკამ იცი რა თქვა?

მ ა ნ ა ნ ა რა?

შ უ რ ი კ ა. მაგას ორი მედალი უნდა ავკიდოო.

მ ა ნ ა ნ ა. რაა?

შ უ რ ი კ ა. 24 შვილი უნდა გავუჩინოო.

მ ა ნ ა ნ ა. დებილია ეგ შენი დათკა.

შ უ რ ი კ ა. „ნე მოუეტ ბიტ“.

მ ა ნ ა ნ ა. გეყოფა ლაყბობა, დათკას დაუძახე!

შ უ რ ი კ ა. არა, მართლა, დათკამ იცი რა თქვა?

მ ა ნ ა ნ ა. რა?

შ უ რ ი კ ა. სანამ ერთ ავტობუსს არ ვიყიდი, ვერ. ვითხოვო.

მ ა ნ ა ნ ა. რატომ ვითომ?

შ უ რ ი კ ა. მაშ 24 ბავშვი სად ჩაეტევაო.

მ ა ნ ა ნ ა. „ია ნიჩეგო ნე პანიმაიუ.“

შ უ რ ი კ ა. შენ, გამოიხედე! იცი რა, აი იმ კოკოშას თავი უნდა დაანებო, თორემ შავად წაგივა საქმე.

მ ა ნ ა ნ ა. ვაიმე, რა ვქნა, მაინც რატომ შე დეგენერატო?!

შ უ რ ი კ ა. ვა, ეს პოეტური ალიტერაციაა? რა-ტო-შე დეგენე-რატო! „ვობშემ“, გამოიხედე, კოკოშას უნდა შეეშვა, თორემ შავად იქნება საქმე.

მ ა ნ ა ნ ა. კიდევ ერთი სიტყვა და წავედი.

შ უ რ ი კ ა. ხუმრობა იქით იყოს და კვლავინდებურად ქალწულობას ხარ შეფიცული?

მ ა ნ ა ნ ა. რა თავხედი ხარ, შურიკ, ეს რა კითხვაა?

შ უ რ ი კ ა ოჰ, მანანა, ასეთი სექსუალური მონაცემებით ნუთუ არ მოგბეზრდა უკარებას როლი? დამიჯერე,. ამგვარი მსოფლმხედველობა მეშჩანურ ჭაობში ჩაგფლავს.

მ ა ნ ა ნ ა. საიდან იცი, რა მსოფლმხედველობა მაქვს, მე ისეთი ქმარი მინდა, მამა რომ „დელეცი“ ჰყავდეს.

შ უ რ ი კ ა. ბარემ თვითონ იყოს „დელეცი.“

მ ა ნ ა ნ ა. გაგიჟდი? რომ დაიჭირონ?!

შ უ რ ი კ ა. ყოჩაღ, მანანა, ნამდვილად ჩავიჭერი. ამიტომ გტოვებთ. გრიშა! შენთან საქმე მაქვს.

გ რ ი შ ა. ახლა სოფიკო უნდა მოვიდეს...

შ უ რ ი კ ა. ქუჩაში შეხვდებით (თითქმის ძალით გაიყვანს ოთახიდან). ბაი-ბაი, ჩიტო (ხელს უქნევს მანანას).

გ რ ი შ ა. ჩემს სახლში აღარ მაყენებთ? (გადიან).

დ ა ვ ი თ ი. შემოდი...

მ ა ნ ა ნ ა. რადა?

დ ა ვ ი თ ი. დავსხდეთ, ვილაპარაკოთ.

მ ა ნ ა ნ ა. უკვე ყველაფერი ნათქვამია.

დ ა ვ ი თ ი. ყველაფერი არა.

მ ა ნ ა ნ ა. თუ ხელის თხოვნას მიპირებ?!

დ ა ვ ი თ ი. ასეც რომ იყოს?

მ ა ნ ა ნ ა. ნუ სულელობ... შენ ოცდაოთხი წლისა ხარ, მე ოცის.

დ ა ვ ი თ ი. სწორედ იდეალური შეფარდებაა.

მ ა ნ ა ნ ა. მერედა, ვინ უნდა გვარჩინოს, ჩვენ თვითონ მოსავლელები ვართ, ბავშვის ჩვრების რეცხვასად შემიძლია, ჯერ ცხოვრებაში არაფერი გვინახავს და უცებ უღელი?!

დ ა ვ ი თ ი. თუ მოვინდომებთ, მრეცხავსაც ვიშოვით და ფულსაც.

მ ა ნ ა ნ ა. საინტერესოა როგორ? მე ყურს გიგდებ. (დაეყრდნობა ფანჯრის რაფას).

დ ა ვ ი თ ი. ვიცი, ჩვენი უზრუნველი ცხოვრებისთვის შენს მშობლებს ბევრი რამ აკლიათ, მაგრამ მათ აქვთ გამოუყენებელი საშუალებები.

მ ა ნ ა ნ ა. კონკრეტულად რას გულისხმობ?

დ ა ვ ი თ ი. რასაც მე ვგულისხმობ, ის ყველას არ შეუძლია რეალურ შესაძლებლობად აქციოს, მე კი მოვუვლიდი, არაფერი შემეშლებოდა.

მ ა ნ ა ნ ა. პირდაპირ მითხარი, ნუ გადამაჭრევინებ ვენებს!

დ ა ვ ი თ ი. თუნდაც ის, რომ პაბუაშენი ძველი ბოლშევიკია, მამაშენსაც საკმაო ნათესავები და ნაცნობები ჰყავს.

მ ა ნ ა ნ ა. შენ არც სწავლობ, არც მუშაობ, ამას ჩემი მშობლები ვერასოდეს ვერ შეეგუებიან. მათ ნებას თუ გვერდს აუვლი, იმ ანეგდოტის პერსონაჟებს დავემსგავსებით, შენ რომ მიამბე ღარიბ ცოლ-ქმარზე. მე კიდევ მინდა ჯერჯერობით თავისუფლად ვიყო, დრო გავატარო და, სულ გულახდილად თუ გინდა, იმასაც გეტყვი: ახლა რომ გავთხოვდე, ქმარს უსათუოდ ვუღალატებ (იცინის).

დ ა ვ ი თ ი. მერე, რა დიდი ამბავია—უღალატე, თორემ შენც დეკაბრისტების შეთქმულებას უღალატებ.

მ ა ნ ა ნ ა. არ მჯერა, არა, არა და, რაც მთავარია, შენ ხომ წარმოუდგენელი ზარმაცი ხარ, დათკა?!

დ ა ვ ი თ ი. ჩემს მდგომარეობაში მე სხვა არაფერი დამრჩენია.. ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრულ-დაგეგმილი, ამიტომაც გაცილებით გონივრულია სამყაროს ჰვრეტა, ვიდრე ტყუილუბრალოდ მასში ფუსფუსი. შემოდი, ერთხელ გაკოცებ.

მ ა ნ ა ნ ა. არა, არა, წავედი, ეგერ შენი ძმაც მოდის. (სიცილით მიდის).

დ ა ვ ი თ ი. მაშინ საღამოს გამოიარე, კინოში წავიდეთ, ან სადმე...

მ ა ნ ა ნ ა. დღეს საღამოს ქალაქგარეთ ვარ დაპატიჟებული, მანქანის მართვას ვსწავლობ, კოკოშასთან. (სიცილით წავიდა).

დავითი წვება თავის ადგილზე. შემოდიან გრიშა და სოფიო.

ს ო ფ ი ო. გამარჯობა, დავით, საშინელი სიცხეა დღეს, თქვენ კიდევ წევხართ?

გ რ ი შ ა. აზრებს იკრებს, აზრებს.

ს ო ფ ი ო (არ უნდა უსია ოვნება ჩამოვარდეს). ოო, რა არეულობაა თქვენთან (იწყებს ოთახის მოლაგებას).

გ რ ი შ ა. ამას წინათ ერთი იდეა დაებადათ: უნდა მოიგონონ წისქვილის ქვასავით ნაყინის დიდი ბორბალი, ენის დახვედრების მეტი რომ არაფერი უნდოდესო. იტრიალებს თავისთავად ეს ტკბილი და გამაგრილებელი პერპეტუუმ მობილე.

ს ო ფ ი ო. გრიშა, ასეთი ხუმრობა რა საჭიროა.

გ რ ი შ ა. როგორ გეკადრება, ხუმრობა კი არა, სერიოზულად ბრძანა, ოღონდ რაციონალიზატორთა პიუროში ეზარება წასვლა.

დ ა ვ ი თ ი. შენისთანა ხალხი აფუჭებს საქმეს. თორემ ეე მაგაზე ათჯერ უკეთესი იდეები მაქვს.

გ რ ი შ ა. რასაკვირველია, ოღონდ იმ დიდ ნაყინის ბორბალზე ენაც არ მიგეყინოს.

ს ო ფ ი ო (ცდილობს კინკლაობის აღკვეთას). აჰა, აიღე ეს და დადგი კარადაზე, ჩვარი მომეცი მაგიდის გადმოსაწმენდად. აჰა, ლატარიის ბილეთიც, დავით, გაზეთი მოგაწოდოთ?

დ ა ვ ი თ ი (გამოართვა გაზეთი). ბილეთი სკამზე დადევით.

გ რ ი შ ა. ასე კარგავ ჩვენი გულისათვის ყოველ კვირა დღეს.

ს ო ფ ი ო. არაფერსაც არ ვკარგავ, წამოიღე ქვაბი სამზარეულოში.

სოფიოს გააქვს ჭურჭელი, მას გრიშაც მიჰყვება: დავითი ერთხანს უმოძრაოდ წევს, სიჩუმეში ბუზის ბზუილი ისმის, გამოდის ტაკიმასხარა და დირიჟორის მსგავსი ჟესტით, მიუთითებს ბუზს

სელა-გეზს სკამისკენ, სადაც ლატარიის ბილეთი დევს.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. აქეთ, აქეთ! მაესტრო, მხოლოდ ყოველგვარი თეატრალური ეფექტისა და უცენზურო სიტყვების გარეშე. (დავითი ცდილობს თავიდან მოიცილოს აბეზარა, ბოლოს დასწვდება მოსაგერიებელს და მოუქნევს ბილეთზე დამჯდარ ბუზს).

დ ა ვ ი თ ი. ოჰ, ეს წყეული ბუზი, ბრახ! ბუზსაც შეუძლია კაცობა. (ცლავს ბუზს. ისევ დაწვება. ტაკიმასხარა გაჭრა. სამზარეულოდან შემოდიან სოფიო და გრიშა).

ს ო ფ ი ო. არა, გრიშა, ასე თქვენი ცხოვრება შეუძლებელია, მოდი ნუღარ გადავდებთ და ხვალვე მივაკითხოთ, გავიგოთ, გაძლევენ ბოლოს და ბოლოს ბინას თუ არა, მაგათ თავი თუ არ მოაბეზრე, არც გაგიხსენებენ.

გ რ ი შ ა. მეოთხე წელია მპირდებიან. ხან ამ კვარტალში, ხან იმ დღესასწაულზე, დამანებე თავი, არაფრის მომცემი არ არიან, მე უკვე იმედი ვადამიწყდა.

გაზეთით ხელში დავითი ზეიშმუშნა.

დ ა ვ ი თ ი. გაჩუმდი, გრიშა, მოიცა.. კი, კი, კი, სერია 49, ნომერი 994858. გრიშა!... მოიცა, გრიშა, მოდი აქ! (წამოვარდება). სოფიკო, მობრძანდით თქვენც შეხედეთ, კარგად ნახეთ, იქნებ მეჩვენება? აი, აგერ... აი, სერია 49, № 994858. ასეა თუ არა, ასეა თუ არა, ასეა თუ არა, აი აქ, აი!

ს ო ფ ი ო. სერია და ნომერი მართლა ემთხვევა.

გ რ ი შ ა უფ, უფ, ფუ-ფუ... ნუთუ? (ჩამოჯდა).

დ ა ვ ი თ ი. კი, კი, (იცინის, შემდეგ გარეთ გავარდება და ისმის ხმა). მანანიკო, მანანო, მანანა, ჩქარა, ჩქარა ჩამოდი. (შევარდება ოთახში). სად არის ბილეთი? (გაქვავებულ გრიშას ხელიდან გამოგლეჯს ბილეთს). ასეც ვფიქრობდი, ასეც ვიცოდი, აი, ჩემი ბედი, (ბილეთს კოცნის, შემდეგ

გრიშას და სოფიოს). ახლა მე ვიცი!

გ რ ი შ ა. დაუჯერებელია, იქნება მართლა გვეჩვენება?

დ ა ვ ი თ ი. (შეშინებული). ჰა, რას ამბობ, გვეჩვენება?

ს ო ფ ი ო. არა, ყველაფერი სწორია, გრიშა... (ფანჯარაში გაიხედა მანანა).

მ ა ნ ა ნ ა. რაო, რა მოხდა? რა მოგივიდათ?

დ ა ვ ი თ ი. მანანა, ძვირფასო, „ვოლგა" მოვიგეთ! გესმის?! „ვოლგა".

მ ა ნ ა ნ ა. არ გადამრიო!

დ ა ვ ი თ ი. აი, ჩვენი ლატარიის ბილეთი! სერია 49, ნომერი 994858.

მ ა ნ ა ნ ა. დამანახეთ, სად არის გაზეთი, მომეცით აქ გაზეთი. (პირდაპირ ფანჯრიდან გადმოძვრება). ბილეთიც... ენდა გავერკვეთ. აბა, ყველანი აქ მობრძანდით.

გ რ ი შ ა. ნომერი მე წიგნაკში მაქვს ჩაწერილი

მ ა ნ ა ნ ა. რა ბოთე ხართ, გრიშა, რად გვინდა თქვენი ჩანაწერი, როცა გაზეთიც და ბილეთიც აგერ გვაქვს. მომაწოდეთ ფანქარი. (ფანქრით ხაზს გაავლებს გაზეთში სერიასა და ნომერს), ყველაფერი რიგზეა!

დ ა ვ ი თ ი. ვაშაააა!

გ რ ი შ ა. ვაშაააა...

ს ო ფ ი ო. ვაშაააა...

გ რ ი შ ა. აბა, გავიქცეთ მისაღებად!

მ ა ნ ა ნ ა. შეჩერდით! როგორ მისაღებად?! ერთბაშად შოფრის წიგნაკიც ფეშქაშად არ გამოგატანონ! რა მიამიტი ხალხი ხართ.

გ რ ი შ ა (დაბალი ხმით). რატომ?

მ ა ნ ა ნ ა. ჯერ ის უნდა გაირკვეს, ვის ეკუთვნის ბილეთი (ბაუზა). კი, მესმის, თქვენ ძმები ხართ, მაგრამ ჩვენც ხომ ციდან არ ვართ ჩამოფრენილი? ამიტომ,

ჩვენ გვაინტერესებს ზოგიერთი რამე...

დ ა ვ ი თ ი. არაფერია საინტერესო. ბილეთი ჩემია.

გ რ ი შ ა. შენი? მე არ მომცეს ხურდად პურის მაღაზიაში?

დ ა ვ ი თ ი. პური შენ ჩემი ფულით იყიდე.

გ რ ი შ ა. მოიცა, მოიცა, რას მიედ-მოედები?

მ ა ნ ა ნ ა. რა არის გაუგებარი? ფული, რომლითაც თქვენ პური იყიდეთ და ხურდად ეს ბილეთი გერგოთ, პრინციპში დედამ დავიცს გამოუგზავნა, გამიგეთ? ასე არ არის, დათკა?

დ ა ვ ი თ ი. რასაკვირველია, მაგრამ ამას არავითარი შნიშვნელობა არ აქვს. ერთი წუთითაც როგორ იფიქრე, რომ შენ არ მყავდი მხედველობაში? მთავარია, ახლა გადავწყვიტოთ, როგორ გამოვიყენოთ ბილეთი.

გ ო ი შ ა. ტყუილია, არავითარ შემთხვევაში! პური მე ჩემი ჯამაგირით ვიყიდე.

დ ა ვ ი თ ი. გრიშა, კარგი ახლა, ჩემი და შენი ვინ გაპყო, მორჩი, თუ ძმა ხარ.

გ რ ი შ ა. ბიჭოს! რაც ჩემია — ჩვენია, და რაც შენია ის — რა ჩემი საქმეა?

მ ა ნ ა ნ ა. სამართლიანად თუ ვიმსჯელებთ, პრინციპში, ჩვენ ყველანი აქ დამსწრენი დაკავშირებული ვართ, ესე იგი, ამ საქმის მონაწილენი ვართ. მე პირადად ვერავითარ საფუძველს ვერ ვხედავ, რომ ბილეთი თქვენ გეკუთვნოდეთ, გრიშა.

დ ა ვ ი თ ი. მერე ვინ ამბობს, გრიშას ეკუთვნისო? გრიშა, უბრალოდ, როგორც ძმა...

გ რ ი შ ა. როგორ თუ ძმა, მიმიფურთხებია მე თქვენი ძმობისთვისაც და მანქანისთვისაც! სოფიკო, წავიდეთ აქედან!

სოფიკო და გრიშა გადიან.

მ ა ნ ა ნ ა. მანქანის გაყოფა ყოვლად შეუძლებელია. გამიგე?

დ ა ვ ი თ ი. ნარა, მანქანას ჩვენ გავყიდით.

მ ა ნ ა ნ ა. როგორ გე-კა-დრება!

სოფიკო და გრიშა დაბრუნდნენ.

გ რ ი შ ა. იცოდეთ, ასე იოლად მე არ დავთმობ სიმართლეს და ვამტკიცებ, რომ ბილეთი ჩემია.

დ ა ვ ი თ ი. ვის რად უნდა მტკიცება, დაჯექი, დაჯექი. ნუ ცხარობ.

ს ო ფ ი კ ო. მე წავალ, გრიშა, უამრავი საქმე მელოდება სახლში.

გ რ ი შ ა. მეც მოვდივარ, ამათთან რა მაქვს სალაპარაკო, გაფრთხილებთ, ბილეთი ჩემია.

მ ა ნ ა ნ ა. რას ჩაცივებიხართ — ჩემია! ჩემია! დასხედით, ეს სერიოზული საქმეა, უნდა მოვილაპარაკოთ, მოვიფიქროთ და გადაწყვეტილება მივიღოთ.

დ ა ვ ი თ ი. ჰო, ჰო, გრიშა, დაჯექი, თქვენც დაჯექით სოფიკო, დაჯექით.

გ რ ი შ ა. თქვი, რა გინდა.

დ ა ვ ი თ ი. დაიცა, წამოვწვე, ასე უფრო დალაგებულად ვაზროვნებ. (ტახტზე წვება)

ფარდა

ფარდის წინ გამოდის ტაკიმასხარა.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. მოვიმოქმედე ყოველივე, რაც კი შემეძლო, ვისაც უკეთ შეუძლია, მანვე ითავოს!

შემოდის შურიკა.

შ უ რ ი კ ა. მოიცა, ტაკიმასხარა! შენ რომ მოდიოდი, ჩვენ მივდიოდით; ლათინური ანდაზებით თავს ვერ დაიძვრენ, სწორედ ახლა უნდა შეგვეშველო.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. კიდევ რაღას მთხოვთ?

შ უ რ ი კ ა. ბილეთი გვაქვს, მაგრამ მერე?

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა (მაყურებლისკენ). „ბილეთი გვაქვსო". რა მარდი ხარ, ბიჭო... გვაქვსო, ჰა? მაშ ჩემთან რაღა გინდათ, ამიერიდან მე სიბერისგან გაზანტებული ძალლივით შიგადაშიგ ვიყეფებ, ვითომ — პურს ტყუილად არ ვჭამო.

შ უ რ ი კ ა. მოიცა, მერწმუნე, შენ ახლა ყველაზე უფრო საჭირო ხარ, ტაკიმასხარობა უტაკიმასხაროდ? არა, ძმაო, როგორც დაიწყე, ისე დაამთავრე. (წინ გადაუდგა).

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. დამეთხოვეთ, მე ერთი სოფლელი ქაჯი ვარ, უჩემოდაც არაფერი შეგეშლებათ. აი, ბრძენს მიეკითხეთ, შეხედეთ რა მოწიწებით მოსდევენ მოწაფეები.

ბრძენი პროფესორის ჩაჩით თავზე, დიდად თავდაჯერებული ნაბიჯით მიეპართება ფარდის წინ, მას მოსდევენ მოწაფეები.

ბ რ ძ ე ნ ი. ადამიანმა ყველა უნდა აქოს პირში და ზურგს უკანაც. ასე მაგალითად, დაუშვათ, მიხვედით მაღაზიაში და ეკითხებით: „სილიბისტრიჩ", ერთი ტრუსიკი ხომ არ გაქვთ? — ორი ინებეთ! — გიპასუხებთ „სილიბისტრიჩი" თანაც გაიფიქრებს, ეს ხომ ის კაცია, მე რომ მაქებდა.

ესეც თქვენ — ერთი ლიტონი სიტყვის ნაცვლად — ორი ტრუსიკი.

შ უ რ ი კ ა. ბრძენო, ბრძენო! (ბრძენი განაგრძობს გზას).

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა (მაყურებლისკენ). მეგობრებო, შეხედეთ ამ პიროვნებას, ყველას, ვისაც მასთან საქმის დაჭერა სურს, უნდა ახსოვდეს, რომ ბრძენისთვის იგი მხოლოდ კონკრეტული მატერიალური მოგების განსახიერება იქნება და მეტი არაფერი.

შ ურ ი კ ა. გამარჯობა, ბრძენო! (გადაუდგა წინ).

ბრძენი შეჩერდება, ერთ წამს დამცინავ მზერას მიაპყრობს. უცებ შურიკა გადაიქცევა დიდ ნულად.

ბ რ ძ ე ნ ი. გაგიმარჯოს (განაგრძო გზა).

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. როგორც ეტყობათ, რესტორანისკენ აუღიათ სვლა-გეზი.

შ უ რ ი კ ა. ვა, ტო! არც იყურება.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. ეს ის კაცია, რომელიც ყველა ადამიანთან შეხვედრისას მხოლოდ მოგებული უნდა გამოვიდეს.

შ ურ ი კ ა. მიდი, ტაკიმასხარა, მიდი, ჩაახვიე რამე!

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. მურა გაახელეს, მგელს შეაქმევინეს.

შ უ რ ი კ ა. ტაკიმასხარა, კლოუნს, ყველაფერი ეპატიება, გაიგე?

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. მაგ საქმეში თუ გავერიე, მხოლოდ როგორც მესამე კლოუნი.

შ ურ ი კ ა. ეგ რაღა ჯანდაბაა?

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. არის თეთრი კლოუნი, რომელიც მხოლოდ კარგს ამჩნევს, არის მწითური, რომელიც ცუდს ამჩნევს, მესამე კლოუნი არც შამფურსა სწვაეს, არც მწვადსა!

შ ურ ი კ ა. რას მიედ-მოედები?

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. მიწა გამისკდეს თუ ეტყუოდე!

ლუკი იხსნება და ტაკიმასხარა ორმოში ვარდება.

სინათლე ქრება. მუსიკა.

ფ ა რ დ ა.

მ ე ო რ ე ს უ რ ა თ ი

რესტორანი. ავანსცენაზე ორი მაგიდაა. მარცხნივ და მარჯვნივ. მარცხენა მაგიდას უსხედან: მანანა, დავითი, შურიკა. მარჯვენას — „ბრძენი" თავის მოწაფეებით.

შ უ რ ი კ ა. ბოლოს მაინც ვერ გავიგე, რომლისაა ბილეთი?

დ ა ვ ი თ ი. კაცო, ხომ გითხარი, ჰკითხე მანანას.

შ უ რ ი კ ა. რა?

დ ა ვ ი თ ი (მანანას). ხომ გეუბნებოდი, რომ დედა-ჩემისგან ჩემთვის გამოგზავნილი ფულით არის-მეთქი ნაყიდი ბილეთი?

მ ა ნ ა ნ ა. რა თქმა უნდა, „შტო ტი რიბიონოკ!"

შ უ რ ი კ ა. მაგას ხომ მეც მეუბნები, მოწმე რაღა საჭიროა?

მ ა ნ ა ნ ა. გარდა ამისა, იქ ვიყავი, დამსწრე და, თუ გინდა, მონაწილეც... გამიგე?

შ უ რ ი კ ა. მოვრჩით, ჰო, ახლა მყიდველის ნახვაა საქმე. ბრძენს უნდა მივაკითხოთ, აგერ, იმ მაგიდაზე.

დ ა ვ ი თ ი. რომელია?

შ უ რ ი კ ა. გრიშა გააფრთხილეთ, ენა რომ არ ატარტალოს?

მ ა ნ ა ნ ა. კი, მაგრამ გრიშასაგან ყველაფერი მოსალოდნელია.

შ უ რ ი კ ა. რა ქნას გრიშამ, უზომო შრომა ადამიანს ეგოისტად და ძუნწად აქცევს. ძნელია ნაოფლარის სხვისთვის გამეტება.

დ ა ვ ი თ ი. ამიტომ სასწრაფოდ უნდა გაიყიდოს, სანამ აზრზე მოვიდოდეს.

მ ა ნ ა ნ ა. დაიჯინა, ჩემია და ჩემიაო. მე რომ არ

ვყოფილიყავი, არ ვიცი, რით გათავდებოდა საქმე.

დ ა ვ ი თ ი. იქნებ ბრძენის გარეშე მოვახერხოთ, გიზოს ხომ უნდოდა მანქანა?

შ უ რ ი კ ა. ხუთი წელია რიგში დგას, ოცდამესამე იყო და მეცხრამეტე გახდა — გარდაცვლილთა ხარჯზე დაწინაურდა.

მ ა ნ ა ნ ა. პრინციპში რა საჭიროა გაყიდვა?

შ უ რ ი კ ა. (ადგა). არა, არა, ბრძენის მეტი ვერავინ გვიშველის. ის მოგვიძებნის ვინმეს.

მ ა ნ ა ნ ა. ჩვენ კიდევ ერთი გადაუწყვეტელი საქმე გვაქვს.

შ უ რ ი კ ა. რა საქმეა?

დ ა ვ ი თ ი. ხელი გვინდა მოვაწეროთ.

შ უ რ ი კ ა. ვაჰ, მომილოცავს.

დ ა ვ ი თ ი. კი, მაგრამ ამის მშობლებს რაღა ვუყოთ?

მ ა ნ ა ნ ა. იმათი დარწმუნება შეუძლებელია, განსაკუთრებით ბაბუას ვერაფრით დავითანხმებთ. ამას წინათ ბინას აძლევდნენ, როგორც ძველ პარტიულს, და უარი განაცხადა: ჩემზე უფრო გაჭირვებულს მიეცით, მე შვილთან ვცხოვრობო.

შ უ რ ი კ ა. ბიჭოს! ჭკვიანი კაცი ყოფილა, სიბერის ჟამს რაღა დროს კეთილმოწყობაა.

დ ა ვ ი თ ი. არა, არა, მშობლების მომდურებას არავითარი აზრი არ აქვს.

შ უ რ ი კ ა. მაშინ მარტო შენზე გაბრაზდნენ, ჩვენი ნიტუნია კი შეიცოდონ კიდეც.

მ ა ნ ა ნ ა. როგორ?

შ უ რ ი კ ა. ფაქტს წინაშე დაყენეთ: დათკა მოგიტაცებს!

მ ა ნ ა ნ ა. პრინციპში, ეს არც ისე ურიგო იდეაა.

შ უ რ ი კ ა. თანაც რომანტიკაა.

დ ა ვ ი თ ი. წარმომიდგენია, რა ალიაქოთს ატეხს ძვ. ლი ბოლშევიკი.

შ უ რ ი კ ა. ნუ გეშინია, გადამწყვეტი სიტყვა მანანას ეკუთვნის.

დ ა ვ ი თ ი. ეს ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ.

შ უ რ ი კ ა. მიდით! მე ამასობაში ბრძენს გამოველაპარაკები.

შურიკა მიუჯდა ბრძენის მაგიდას. რესტორნის პატარა ესტრადაზე გამოჩნდება ტაკიმასხარა.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. პატივცემულო საზოგადოებავ, ვიწყებთ საცეკვაო მუსიკას!

სინათლე ქრება, პროექტორების შუქი ანათებს ჟონგლიორების წყვილს. სხვადასხვა ფოკუსები მუსიკის ფონზე, ტაში, სინათლე ისევ ინთება.

ბ რ ძ ე ნ ი (ჭამს). თქვენ ამბობთ, ამ რესტორანში პამიდორს ძვირად ყიდიანო, ჩვენ კი სწორედ პამიდორის ხათრით შემოვდივართ აქ. მაგ ბრიყვების ადგილას მეათჯერ მეტ ფასს დავადებდი და უფრო მეტი ხალხიც ივლიდა.

შ უ რ ი კ ა. დიახ, დიახ, კანტიც ამასვე ამბობდა, რაც ძვირია, ის მიმზიდველიაო.

ბრძენი მკაცრად ახველებს.

I მ ო წ ა ფ ე. ერთი ეს მითხარი, ბრძენო, როგორ ვუთხრა უარი ადამიანს, რომლის არც წყენინება და არც დამდურება არ მინდა?

პირველი მოწაფის ნაცვლად სკამზე გაჩნდა ქალის მოდური ჩექმები.

ბ რ ძ ე ნ ი. შენ, მგონი, ფეხსაცმელების მაღაზიაში მსახურობ, არა?

I მ ო წ ა ფ ე. ანუ ჩექმები. დიახ,

მცირე პაუზის შემდეგ.

ბ რ ძ ე ნ ი. პირდაპირი უარით არ გაისტუმრო, საჭი როა თანდათანობითი, ეტაპური უარი. სიამოვნებით. ნვალ ან ზეგ გამოიარეთო, ეტყვი, შემდეგ საღლში არ. დახვდები, ან რაღაც გადაუდებელ საქმეს მოიგონებ, სიტუაციასთან დაკავშირებით. ერთი სიტყვით, ისე მოიქცევი, ვითომ ყინულს გთხოვენ, ხელში რომ გიჭირავს; დრო გაიყვანე, ყინული დადნება და სათხოვარიც გაქრება.

ჩექმების ადგილას ისევ პირველი მოწაფე მოჩანს.

II მოწაფე. ერთი კონკურენტი მყავს თავიდან მოსაცილებელი, მითხარი, თუ ძმა ხარ, როგორ მოვიქცე?

ბ რ ძ ე ნ ი. სანამ გიპასუხებ, მინდა ვიცოდე, სად და როდის მომიტან შეპირებულ კონიაკს?

II მ ო წ ა ფ ე. სამივე ბოთლს დღესვე შინ მოგართმევ.

II მოწაფის ნაცვლად სკამზე გაჩნდება ორი ბოთლი კონიაკი.

II ბ ო თ ლ ი კ ო ნ ი ა კ ი ანუ II მ ო წ ა ფ ე. ყველაფერი ვიცი, რასაც ის კაცი აკეთებს.

ბ რ ძ ე ნ ი. დასმენას თუ აპირებ, ყოველივეს ნუ აღწერ დაწვრილებით, გახსოვდეს, ამით საკუთარ თავსაც ამხელ.

III მ ო წ ა ფ ე. ბრძენო, როგორ უნდა გახდეს კაცი მდიდარი?

ბ რ ძ ე ნ ი. ოო, ჩემო კარგო, ეს ნაადრევია შენთვის. ჯერ ელემენტარული წესები შეისწავლე და შემდეგ მაგის დროც მოვა. სად მსახურობ?

III მოწაფე გადაიქცევა კითხვის ნიშნად.

კ ი თ ხ ვ ი ს ნ ი შ ა ნ ი. იურიდიული ხაზით.

კითხვის ნიშანი გადაიქცევა რკინის გაღირაზულ ფანჯარად— გისოსად.

ბ რ ძ ე ნ ი. მიბაძავ ჭიანჭველებს. რაც კი ხელთ იგდო, ყველაფერი შინ წაიღე. ხა-ხა.

შ ურ ი კ ა. რასაკვირველია, ბიონიკის მეთოდის მიხედვით! (ბრძენი უსიამოვნოდ შეხედავს შურიკას, რომელიც ერთი წამით იქცევა ნულად). არის ასეთი (დანაშავის ტონით). მეცნიერება — ბიოლოგიური კანონების გამოყენება მეცნიერებაში.

ბ რ ძ ე ნ ი (განაგრძობს ლაპარაკს და მთელი თავისი არსებით ეფულებელყოფს შურიკას რეპლიკას). კანონი გადააქცეე მეწველ ძროხად და, რაც მთავარია, კლიენტს უნდა ახლოდს, რომ ძროხას მისთვის მარტო რქები აქვს მომზადებული (თვითონვე მოეწონა თავის სიტყვები, იცინის).

გ ი ს ო ს ი. კი, მაგრამ ეს ხომ საშიშია.

ბ რ ძ ე ნ ი. სულაც არა, შენ სიმართლით ივაჭრებ.

გ ი ს ო ს ი. მაინც როგორ?

ბ რ ძ ე ნ ი. აიღებ იმისთვის, რომ ხალხს ცუდს არ უკეთებ.

შ ურ ი კ ა. ჰო, რა, შეგიძლია ცუდის გაკეთება და არ აკეთებ, პოტენციისათვის!

ბ რ ძ ე ნ ი. სიჩუმე!

მკაცრად ისწორებს ჩაჩას და ახველებს.

II მოწაფე იქცევა ორ ბოთლ კონიაკად.

II ბ ო თ ლ ი კ ო ნ ი ა კ ი. კიდევ ერთი შეკითხვა, ბრძენო.

ბრძენი უსნოდ უყურებს ორ ბოთლ კონიაკს და ორის ნაცვლად ჩნდება სამი, ერთი ბოთლი ხან ინთება, ხან ქრება ე. ი. ხან ჩანს, ხან არა.

ბ რ ძ ე ნ ი. მაშ, შენ დღეს საღამოს მოხვალ ჩემთან?

III ბ ო თ ლ ი კ ო ნ ი ა კ ი. უეჭველად.

ბ რ ძ ე ნ ი. რა გინდოდა გეთქვა?

საბოლოოდ II მოწაფის მაგიერ მყარად სამი ბოთლი ჩანს.

III ბოთლი კონიაკი. რა პასუხი გავცე იმ კაცს, ვინც ჩემი შემოსავალი იცის, რამდენი გაქვსო ფული, თუ მკითხა, რა ვუპასუხო?

ბრძენი. კახეთში მწყემსებს ასეთი ჩვეულება აქვთ, შეკითხვაზე — ფარაში რამდენი ცხვარია, არავითარ შემთხვევაში არ გიპასუხებენ მართალს.

III ბოთლი კონიაკი ისევ II მოწაფედ იქცევა.

შურიკა. ბრძენო, შენთან საქმე მაქვს.

ბრძენი შეხედავს შურიკას და მის ნაცვლად სკამზე ისევ ნული ჩნდება.

ბრძენი. სანამ ამ ძვირფას პამიდორს გეახლებოდეთ და ღვინოს დავლევდეთ, მსურს განვაგრძო ჩვენი გაკვეთილი. მართალია, დღეს ჩვენ ახალი ხალხი შემოგვემატა, მაგრამ რას იზამ — ყური დაუგდონ. ასე... ერთი, მომაგონეთ, ბოლო დღეს რაზე შევჩერდით.

IV მოწაფე. ფულის შენახვის საკითხზე...

ბრძენი. ჰმ! ოჰ-, ოჰ, ოჰ, ჰო, ფულის თუ განძის? განძის?

IV მოწაფე. ფულის.

ბრძენი (უმაღლებს ხმას, დამრიგებლური ტონით). ესე იგი, მეგობრებო, ფულის შესანახად უნდა ამოვარჩიოთ... (შემოდის ტაკიმასხარა).

ტაკიმასხარა. კი, მაგრამ, ამბობენ, ფულს ცვლიან?

ბრძენი. რაო? ფულს ცვლიან? (წამოხტება). ფულს ცვლიან?

ყველანი წამოხტებიან აღელვებულნი, შურიკას გარდა. ბრძენი და მოწაფეები გაფაციცებული ტრიალებენ, და იგივე ნივთებით დატვირთულნი დარბიან. ისმის ხმები: როგორ თუ ცვლიან, რა უფლება აქვთ.

ბრძენი (ბრძენმა დაინახა ტაკიმასხარა). უფ! შეჩვენე-

ბული ტაკიმასხარა! (დაწყნარდა პაუზა).

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. მაესტრო, აბა ერთი დაუკარით „კაცი ვარ და ქუდი მხურავს“ (ისმის დუდუკის ჰანგები), ეგ ხომ ძველი ჯან-ჯან, პაცან-ჯან არის (ცეკვავს).

ფ ა რ დ ა.

მ ე ს ა მ ე ს უ რ ა თ ი

გრიშას და დავითის ოთახი. დავითი წამოწოლილია. ერთხანს გაუნძრეველად წევს, უცებ წამოდგება, შემდეგ ისევ გაშეშებული დგას, უყურებს ფეხსაცმელებს, რომელიც უნდა ჩაიცვას. ისევ წვება. შემოდის მანანა, ნიღაბი უკეთია და ნაბადი წამოუსხამს. დაადგა თავზე მწოლიარე დავითს.

დ ა ვ ი თ ი. (შეშინებული). ვაიმე, რა გინდათ ჩემგან?!

მ ა ნ ა ნ ა. ადე, მოიზომე, მე ხანჯალიც მინდოდა, მაგრამ მთელ ანსამბლში ერთ ნამდვილს ვერ ნახავ, ყველა მოცეკვავე ბუტაფორიულს ატარებს თურმე.

დ ა ვ ი თ ი. უჰ, რა საპირიოა ეს მასკარადი.

მ ა ნ ა ნ ა. უცნაური კაცი ხარ, მეზობლებმა ხომ თავის თვალით უნდა დაინახონ, როგორ მომიტაცეს, რომ მერე ჩემი მშობლები დაარწმუნონ. მალე შურიკაც მოვა მანქანით.

დ ა ვ ი თ ი. მოიცა ერთი, „ატრაქენიებს“ თავი დაანებე. რამე ხიფათს არ გადავეყაროთ.

მ ა ნ ა ნ ა. ადექი, ადე, დათკა, ნუ გეშინია, ყველაფერი რიგზე იქნება. ერთი, ორი სამი! დავითი დგება. მანანამ მოასხა ნაბადი). ვაი, როგორ გიხდება — ნამდვილი არსენა ხარ. (დავითი გაუნძრეველად დგას. შემოდის შურიკა).

შ უ რ ი კ ა. ეს რა ტაკიმასხარობაა?

კულისებიდან ტაკიმასხარა გამოყოფს თავს.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. ჩემს სახელს როცა ახსენებთ, პირში წყალი გამოიელეთ. ასსაა! (გამოვარდა ცეკვით). იმტაირა-რამტარა-რიმტა, იმტაირა რამტარა-რიმტა..

შ უ რ ი კ ა. ჰო, მორჩი, დაიკარგე აქედან!

ტაკიმასხარა გაიქცა კულისებში.

მ ა ნ ა ნ ა. როგორ არის საქმე?

შ უ რ ი კ ა. მანქანა ვერ ვიშოვე.

მ ა ნ ა ნ ა. ეგრეც ვიცოდი.

შ უ რ ი კ ა. კაცმა რომ თქვას, მანქანა საერთოდ არც კია საჭირო.

მ ა ნ ა ნ ა. აბა, ქალაქგარეთ როგორ წავიდეთ?

შ უ რ ი კ ა. რად გვინდა ვიღაცის შეწუხება და ზედმეტი კაცის ამ საქმეში ჩარევა! ჩემი ბინა ცარიელი არ არის? იქ იცხოვრეთ, სანამ მშობლებს შეურიგდებით.

დ ა ვ ი თ ი. სწორი ხარ, როგორც ყოველთვის, რაც მთავარია, აქედან ახლოა...

შ უ რ ი კ ა. ავტობუსის ორი გაჩერება.

მ ა ნ ა ნ ა. არ გადამრიოთ ახლა და არ მითხრათ ავტობუსით წავიდეთო.

დ ა ვ ი თ ი. რატომ, ტაქსით შეიძლება.

შ უ რ ი კ ა. ტაქსი ასე ახლოს არ წაგიყვანს.

მ ა ნ ა ნ ა. ფეხით თუ წავედით, რაღა რომანტიკაა?

შ უ რ ი კ ა. არა, ბიჭო, ახლა მთავარის ამოსვლას დაველოდები და ფაფარაყრილ ცხენებს მოგართმევ.

დ ა ვ ი თ ი. წავიდეთ.

მ ა ნ ა ნ ა. პრინციპში, აღარ მოვდივარ...

შ უ რ ი კ ა. რატომ?

დ ა ვ ი თ ი. მორჩი, გეუბნები, „ატრაქენიას“.

მ ა ნ ა ნ ა, აბა, ერთხელ მაინც არ დავიკივლო?

შ უ რ ი კ ა. არ გვინდა ეგ ტაკი... ჰმ... (უნდა ეთქვა ტაკიმასხარობა) ტინგიცობა. არავითარი წივილ-კივილი.

მე ჩემს თავზე ვიღებ ყველაფერს. შენ კიდევ, ჩვენო ჩიტუნია, ზეგ ჩემი ხელით უსტარს გაუგზავნი მშობლებს, რაც ყოველგვარ ინსცენირებაზე ძლიერ იმოქმედებს (ფანჯარაში იყურება). გრიშა უნდა მოიხარშოს, თორემ ბრძენი უკვე ჩაება საქმეში, აგერ, მოდის.

(შემოდის გრიშა).

გ რ ი შ ა. კიდევ კარგი, რომ ყველანი ერთად გნახეთ.

შ უ რ ი კ ა. გრიშას სალამი, როგორ არის საქმეები, გრიშაჯან?

გ რ ი შ ა. მითხარით, ვის აქვს ბილეთი?

დ ა ვ ი თ ი. ბილეთი სახლშია, მაგრამ ჩვენ მისი გაყიდვა გადავწყვიტეთ.

გ რ ი შ ა. რა საჭიროა გაყიდვა? ჩააბარე და ბანკი მოგვცემს ფულს.

დ ა ვ ი თ ი. კი, მაგრამ ბანკი სამჯერ ნაკლებს მოგვცემს, ვიდრე კერძო პირი.

გ რ ი შ ა. დავუშვათ, მაგრამ მე ალარაფრად მაგდებთ?

შ უ რ ი კ ა. როგორ გეკადრება, გრიშა, გაგდებთ. გაგდებთ...

გ რ ი შ ა. მაშინ მე სპეკულიაციის წინააღმდეგი ვარ.

შ უ რ ი კ ა. გრიშაჯან, სულ ნუ ჩაერევი ამ საქმეში, არავითარი სპეკულიაცია არ იქნება, ჩვენ ყველაფერს ისე გავაკეთებთ, როგორც საჭიროა — ჯანდაბას! ანდა ბანკი რას მოგვცემს, იმ ფულს ვერაფერში მოიხმარ.

გ რ ი შ ა. რატომ? შევალ ერთოთახიან კოოპერატივში.

შ უ რ ი კ ა. შენ ისედაც მიიღებ ბინას, რა გინდა, დაგვაცადე, ოღონდ ნურაფერში ნუ ჩაერევი.

დ ა ვ ი თ ი. ხომ იცი შურიკას რამდენი ნაცნობი ჰყავს, რაღაცას მოგიხერხებს.

შ უ რ ი კ ა. რა თქმა უნდა. ყველაფერი მოგვარდება.

გ რ ი შ ა. არაფერი არ მინდა თქვენი. ხედავთ — თუ-
რმე მომიხერხებენ. მე თქვენზე არ ვარ დამოკიდებული.
დავით, გაფრთხილებ, კანონიერად გამოიყვანე მანქანა.
რახან სწავლა არ გინდა, შოფრობას მაინც მოკიდე ხელი
და მე ეარავითარი პრეტენზია არ მექნება.

მ ა ნ ა ნ ა. გენიალური აზრია.

შ უ რ ი კ ა. შენ თვითონ არ გეკადრება, გრიშაჯან, უპა-
ტიოსნო საქციელი, უკვე იმდენი ხალხია ჩარეული, რომ
იმათი მოტყუება არ გამოვა.

გ რ ი შ ა. კაცო, როგორ? ვინ ჩარია? და რომელ
მოტყუებაზე ლაპარაკობ?

დ ა ვ ი თ ი. კარგი, კარგი, გრიშა, თუკი შენ არ გინდა,
მართლაც შეიძლება არ გავყიდო, მერე ხომ არ გექნება
პრეტენზია, ასე არა თქვი?

გ რ ი შ ა. ენახოთ, ენახოთ, გახსოვდეთ, რომ ბილეთი
მე მეკუთვნის!...

შ უ რ ი კ ა. ადამიანის მეხსიერება ცუდად დაბმულ
ძაღლს ჰგავს, მოულოდნელად იცის აშვება. ახლა წასვ-
ლა სჯობს.

დ ა ვ ი თ ი. გრიშა, თუ ვინმემ მიკითხოს, უთხარი
ორი დღით ქალაქგარეთ წავიდა-თქო.

შ უ რ ი კ ა. გრიშიკო, გრიშა, გრიშაჯან! (მხარზე ხელს
უტყაპუნებს). ნუ სწუხარ, ყველაფერი რიგზე იქნება. წავი-
დეთ, ჩიტუნია.

მ ა ნ ა ნ ა. ახლავე დაგეწევით, ფუთა მინდა შევინა-
ხო. (დავითი და შურიკა გადიან. მანანა აჩქარებული ლაპარაკობს).
მე მთლიანად გეთანხმებით, გრიშა, თქვენ ზედმიწევნით
სწორი აზრი გამოთქვით, მანქანის ტარება უნდა ისწავ-
ლოს, ამიტომ გაყიდვა სისულელეა. ლატარიის ბილე-
თი კი, მგონი, აი იქ, კარადის თავზე, გაზეთის ქვეშ უნდა

ჰქონდეს შენახული. ნახვამდის! (გადის).

გრიშა სკამზე შედგება; გადაწევს ქაღალდს, რომელიც კარადა: აქვს გადაფარებული. იღებს ბილეთს, ათვალიერებს და ისევ ადგილზე დებს, შემოდის სოფიო,

გ რ ი შ ა. სოფიო, შენ ხარ?

ს ო ფ ი ო. რაღაც მოწყენილი ჩანხარ.

გ რ ი შ ა. არა, ვერაფრით ვერ გადამიწყვეტია რაღაც...

ს ო ფ ი ო. მაინც რა?

გ რ ი შ ა. ბევრი რამ, ბევრი რამ აი, მითხარი, არსებობს თუ არა სიყვარული?

ს ო ფ ი ო. ქალს ამას ეკითხებიან?!

გ რ ი შ ა. რატომ?

ს ო ფ ი ო. არ შეიძლება მზესუმზირას ჰკითხო—მზე არსებობს თუ არაო.

გ რ ი შ ა. ჰოო? მე კი არაფერი გამიგია. მაგალითად, გინდა გამოთქვა რაღაც, ენა არ გემორჩილება, ანდა სულ სხვა რამე გამოდის, რაზედაც შეიძლება სულაც არ ფიქრობ, ვთქვათ... იცი რა, სოფიო? (პაუზა). ვთქვათ... (ისმის ყვირილი).

მ ა ნ ა ნ ა ს ხ მ ა. „მიშველეთ, მომიტაცეს, — კარაულ!“

გ რ ი შ ა. რაშია საქმე? (სოფიო და გრიშა ციირბენენ ფანჯარასთან)

ს ო ფ ი ო. ეზოში ხალხია შეგროვილი.

გ რ ი შ ა. ნაცნობი ხმა იყო.

ს ო ფ ი ო. მანანას ხმას ჰგავდა. წეღან გზაში შემხვდენ მანანა, დავითი და შურიკა.

გ რ ი შ ა. კიდევ იმ დასაქცევ ბილეთს დასტრიალებენ თავს, ახალ-ახალ მაქინაციებს იგონებენ.

ხმაური ახლოვდება, შემოდიან მანანას დედა და მეეზოვე.

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა (ყვირილით). სად არის თქვენი ძმა, პატივცემულო მეზობელო?

გ რ ი შ ა. სახლში რომ შემობრძანდებით, ჯერ მისალმებაა საჭირო.

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა „ბონჟურ“, თუ მაინცდამაინც, მაგრამ თუ თქვენი ძმა ახლა ჩემ ქალიშვილთან ერთად იყო, მე თქვენ თვალებს დაგთხრით. „გლაზა ვიკალუ!“ (იწევს, მეეზოვე აჩერებს).

მ ე ე ზ ო ვ ე. ხაზაიკა, მოისა, კარგი! იეღოო! მოდი რაღა, მომეშველე.

შემოდის ულტრამოდურად ჩაცმული ჟურნალის ბიჭი, მეეზოვე რაღაცას თავის ენაზე ეუბნება, ისიც ხმამაღლა პასუხობს.

გ რ ი შ ა. თქვენ სრულ ჭკუაზე ხართ?

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. მიპასუხეთ: იყო თუ არა ჩემი ქალიშვილი დღეს თქვენთან?

გ რ ი შ ა. იყო, მერე რა მოხდა?

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. აჰ, ყოფილა, გესმის ჰასან, ყოფილა ესე იგი მართალია! ჭკუიდან შევიშლები (იწევს). გამიშვით!

მ ე ე ზ ო ვ ე. იეღოო! მოდი, მოდი.

ისევ შემოდის იგივე ბიჭი და აკავებენ მანანას დედას.

ს ო ფ ი ო. აგვიხსენით ბოლოს და ბოლოს, რაშია საქმე?

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. პარდონ, თქვენ ვიღა ხართ?

ს ო ფ ი ო. დაწყნარდით, ქალბატონო, და გაგვაგებინეთ, რაშია საქმე.

მ ე ე ზ ო ვ ე. ხალხი ნახეს, შენი ძმა ამისი შვილი წაიღო რაღა, იეღოო!..“

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. (შეამჩნია დაგდებული ნაბადი და ნიღაბი). ეს რა არის? ნაბადი, ნიღაბი, „ვეშესტვენოე დაკაზატელსტვო“. ოჰ, ჰასან, იეღო, მილიციას!..

ფ ა რ დ ა.

მ ე ო რ ე მ ო ქ მ ე დ ე ბ ა

დაწესებულება. სცენა გაყოფილია ორ ნაწილად: კაბინეტი და კანცელარია, რომელიც მოსაცდელ ოთახადაც არის გამოყენებული. კანცელარიაში სამკუთხედად განლაგებულ სამ მაგიდას მისჯდომია მდივანი ქალი, მისი ქმარი და ადგილკომი. კაბინეტში შესვლას ხალხმრავალი რიგი ელოდება. აქვე არიან სოფიო და გრიშა. იღებ-ება შემოსასვლელი კარი და სამ მოფამფალებულ მოხუცს დიდი გაჭირვებით შემოჰყავს „ხეიბარი".

ხ ე ი ბ ა რ ი. გამარჯობათ!

მ დ ი ვ ა ნ ი. (გადაეღობა პროცესიას). წადით, მოშორ-დით, ღღეს მიღება არა აქვს!

ხ ე ი ბ ა რ ი. მე უნდა მიმიღოს, მე ომის ინვალიდი ვარ!

მ დ ი ვ ა ნ ი. ამ პენსიონერებს რომელ ბაღში გაუ-კეთე მობილიზაცია?

ხ ე ი ბ ა რ ი. არაფერი მე აღარ გამეგება, უფროსო, ექვსი ქალიშვილი მყავს, ექვსივეს აქ მოგიყვანთ და და-გიყრით, როგორც გინდათ ისე მოუარეთ. გეუბ-ნებით, თუ ბინას არ მომცემთ, დავაჭრი ქა-თმებივით თავებს, აღარც შვილი მინდა და აღარც ძირი, დავხოცავ და ჩემი ხელით, ერთი ხელით, რომელიც ფრონტის შემდეგ შემომრჩა (იქნევს ცარიელ სახელოს). გავაღებ ციხის კარებს და შევალ ჩემი ფეხით, ჩემი ცალი ფეხით (იქნევს შარვლის ცარიელ ტოტს).

მ დ ი ვ ა ნ ი. ეგ ზღაპრები ბებიაშენს მოუყევი (მთვლე-მარე ადგილკომს). მილიცას გამოუძახეთ საჩქაროთ!

(ბდივნის ქმარი იღებს ტელეფონის ყურმილს).

ქ მ ა რ ი. ალო, მილიცია? აბა? აბანო?!

(ხეიბარი ჩამოხტება მოხუცების მხრებიდან და თაქუდმოგლეჯილი გარბის. პროცესიის დანარჩენ წევრებს ბატებივით ეკვეტებიან მოსაცდელიდან).

მ დ ი ვ ა ნ ი. ამხანაგებო, კიდევ ერთხელ გიცხადებთ, საბინაო საკითხებზე დღეს მიღება არ იქნება.

ს ო ფ ი ო. აბა როდის?

მ დ ი ვ ა ნ ი. ხვალ გამოიარეთ.

ს ო ფ ი ო. სამსახურიდან დღეს ძლივს გავითავისუფლეთ თავი, ხვალ ვიღა გამომიშვებს?

მ დ ი ვ ა ნ ი. მე არ მაინტერესებს, ქალო, შენ გამოგიშვებენ თუ არ გამოგიშვებენ, ეს ჩვენი საქმე არ არის.

გ რ ი შ ა (ადგა და მიუახლოვდა მდივანს). წამოდი, ხომ გეუბნებოდი, ესენი ისე არიან ჩაცემენტებული, წერაქვითაც ვერ გაიკვლევ გზას, წამოდი...

(თავის კაბინეტიდან გამოდის ის, ანალიერებს გრიშას.)

ი ს. რა ხმაურია, ამხანაგებო, რაშია საქმე? (სიჩუმე ჩამოვარდა, ალმაცერად უყურებს გრიშას). ლუდმილა ვასილევნა, მომყევით (მდივანი მიყვება კაბინეტში), თქვენ (გრიშას) კი ერთი წუთით მომითმინეთ. (შედიან კაბინეტში. დაბალ ხმაზე ეკითხება). ვინ არის, რა უნდა?

მ დ ი ვ ა ნ ი. ბინის თაობაზეა მოსული. თქვენი ნებვა უნდოდა.

ი ს. გათახსირებულია, ვიღაცაა... გამოატარეთ, საჭიროა მისი დაწყნარება

მ დ ი ვ ა ნ ი. ტყუილად ღელავთ, არა მგონია, რომ...

ი ს. ნუ მასწავლით, მე უკეთესად ვიცი, „კლიაუჩნი-

კია". ვერ შეამჩნიეთ ავტოკალმისტარი აქვს ჯიბეში, და ძერე როგორ უკეთია, პირდაპირ აქ! (ხელით აჩვენებს). გარედან! ასპროცენტიანი ანონიმშჩიკია. ვერა და ვერ გასწავლეთ ჭკუა. რამდენჯერ უნდა გაგაფრთხილოთ, ლუდძილა ვასილევნა, რომ, როგორც კი შეამჩნევთ ავტოკალმისტრიანს, ესე იგი არამზადაა, ამიტომ ერთი ჭუთიც არ დაკავოთ. დაუძახეთ თქვენს ქმარს და ადგილკომს.

მ დ ი ვ ა ნ ი. მესმის! (გადის და იქვე ეპატიჟება გრიშას. გრიშა შედის კაბინეტში).

ის (შეხვდება, ხელს უწვდის). გამარჯობათ, გამარჯობათ, მეგობარო, რით შემიძლია გემსახუროთ? დაბრძანდით და ყომიყევით.

გ რ ი შ ა. იცით... მე... როგორ გითხრათ... მე ბინის საკითხზე გაწუხებთ.

ის. დიახ, დიახ, მე გისმენთ მთელი გულისყურით.

გ რ ი შ ა. ოთხი წლის წინათ რაისაბჭომ გამოიტანა დადგენილება და მომაკუთვნეს ერთოთახიანი ბინა. ჰოდა, მე ვფიქრობ, თუკი სხვა დადგენილებებს ვადაზე ადრე ვასრულებთ, ეს რატომ იგვიანებს ოთხი წლით?

შეაღდიას ადგილის ქმარი და ადგილკომი. შემოდის მდივანი და რაღაც სიებსა და ქაღალდებს მიართმევს, თანაც თითით მიუნიშნებს.

ის. გეთანხმებით, მეგობარო, გეთანხმებით, თქვენ აბსოლუტურად სწორი ბრძანდებით, მაგრამ ჩვენი მდგომარეობაც ხომ იცით. აი, მობრძანდით, თქვენ განათლებული კაცი ჩანხართ, ჩვენი საბინაო ფონდი ყოველწლიურად ათი ბინისაგან შედგება, წარმოიდგინეთ, სიაში კი თქვეს მეხუთასე ხართ, ჰოდა ბინასაც ორმოცდაათ წელიწადში ძიიღებთ.

გ რ ი შ ა. ორმოცდაათ წელიწადში ჩემი ძვლებიც აღარ იქნება.

ი ს. რიგორ გეკადრებათ, თქვენ ისე კარგად გამოიყურებით, რომ ოროთახიანამდეც გაძლებთ. და მერე, განა ყველაფერი პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გავიგოთ? ჩვენი ჰორიზონტები, გაშლილი მშენებლობები, აღმავლობა, სიკისკასე, შემართება!

მსახიობმა იმავე ტონში უნდა განაგრძოს და მთელი სერიოზულობით, გრადაციული ზეაღმავლობით მიიყვანოს ბოლომდე სცენა,

ტრახ-ტარარამ, ბრახ-ბრუხ-ტრამ, ტირი-ტორი-ლორი, ტრახ-ტარარამ, ტრომ-ტირიტამ, ბალამ-ხალამ, ხალამ-ბალამ, ბალამ-ხალამ

ადგილკომი თვლემს. მდივნის ქმარი კი აღებს პირს, თითქოს რაღაცას იმეორებს, მაგრამ ხმა არ ისმის. ეს სცენა დიდხანს გრძელდება, სანამ გრიშა, დარეტიანებული, კარებისაკენ არ დაიხევს.

გ რ ი შ ა. სწორია, სწორია, მესმის, ე. ი. ხალამ-ბალამ, და ბალამ-ხალამ, ტრახ-ტარარამ და ბრახ-ბრუხ-ტრამ, (გადის).

ი ს. აი ასე უნდა მოუხაზო ამისთანებს. დაწეროს ახლა თუ ბიჭია!

თითქოს შემოიპარაო ფრთხილად შემოდის ბრძენის II მოწაფე,

II მ ო წ ა ფ ე. გამარჯობათ.

ი ს (ყვირის). დაიკარგე აქედან.

პაუზა. ადგილკომი, ქმარი და მდივანი გადიან.

II მ ო წ ა ფ ე. სალამი, ჩემო ბატონო.

ი ს. დაიკარგე მეთქი.

II მ ო წ ა ფ ე (ღიმილით უახლოვდება მაგიდას). რა დავაშავეთ პატივცემულო...

ი ს. აჰ, არ იცი, რა?

II მ ო წ ა ფ ე. დედას გეფიცებით, აი, როგორ გითხრათ...

ი ს. მეოთხე თვეა საქმეში ხართ და ერთხელაც არ მოსულხართ ჩემთან. სად აგდია თქვენი გამგე? დიდი კაცი

გამიხდა არა? მოადგილეებს მიგზავნის. გიჩვენებთ თქვენ სეირს, მოვიცლი თქვენთვის.

II მოწაფე. საქმე იმაშია, ბატონო, როგორ გითხრათ... მე კი მინდოდა, პირადად მე გამომეჩინა რაღაც ყურადღება. ესე იგი, რაღაც საჩუქარი ან... ესე იგი, მართალია, საქმე მაინცდამაინც კარგად ვერ მიდის, მაგრამ ყურადღება...

ის (წააქეზა). მერე, მერე!

II მოწაფე. ჰოდა, გამგემ არაფრით არ ქნა, არ იზამსო...

ის. რას არ იზამსო, როგორ?

II მოწაფე. ჯარში ვართ ერთად ნამყოფო.

ის. რაო, რაო?

II მოწაფე. დედას გეფიცებით, ჩვენგან არ აიღებსო...

ის. ტყუის ეგ არამზადა! მე არ ვარ ჯარში ნამყოფი.

შემოდის მდივანი.

მდივანი (ჩურჩულით). იქ ერთი ორკალმისტრიანი მოვიდა, თქვენი ნახვა სურს.

ის. ორი? (თავში წაიკრა ხელი).

მდივანი. ჯიქურად მოიწევს, ძლივს ვაკავებთ.

ის. გაიგეთ მაინც, რა უნდა? მაგრამ მართალს როგორ იტყვის? ვაი, ორი რაღა უბედურებაა?! (II მოწაფეს) გასწი და სხვა დროს თვითონ მოეთრეს ის შენი ვეტერანი.

II მოწაფე. როდის მოვიდეს ბატონო?

ის. მე სულ აქა ვარ, მე დღესაც აქა ვარ.

შემოდის ბრძენი. მდივანი და II მოწაფე გადიან.

ის. შენ ხარ, კაცო, ორკალმისტრიანი... ოჰ რა გამახარე, პა-პა-პა. დაჯექი. მე ვიღაცა კლიაუზნიკი მეგონა,

ბ რ ძ ე ნ ი. ორიდან ერთი შენია „პარკერი“, ყველაზე კარგი ფირმა. (აწოდებს კალამს).

ი ს. გმადლობთ. (ათვალიერებს კალამს). მართლა კარგია, მაგრამ რას გეტყვი, იცი? ჩემი ნება რომ იყოს, სულ მოვსპობდი ამის წარმოებას, ანდა განსაკუთებული ნებართვის გარეშე ვინც იხმარდა, ციხეში ვუკრავდი თავს. სხვა როგორაა საქმეები, ალბათ ახალი ჭორები იცი, ჰა? დაჯექი, დაჯექი, ერთი მომიყევი, მომიყევი (ხელებს იფშვნეტს),

ბ რ ძ ე ნ ი. შენთან სერიოზული საქმე მაქვს.

ი ს. არა, არ გამოვა, ჯერ მომიყევი, რა არის ახალი ქალაქში.

ბ რ ძ ე ნ ი. გაიგე ალბათ..

ეს ადგილი აქტიორებს განეკუთვნებათ იმპოვიზაციისათვის, შეუძლიათ მიკიბ-მოკიბონ რაიმე სისულელე ან მართლაც მომხდარი ამბავი, დამსწრე აუდიტორიისათვის საინტერესო.

ი ს. ჰო, ჰო, ჰო, (ორივენი იცინიან).

ბ რ ძ ე ნ ი. ახლა კი საქმეზე გადავიდეთ.

ი ს. არა, არა, კიდევ გეცოდინება რამე.

ბ რ ძ ე ნ ი. ბეიქარეესა, მერე შემოგივლი.

ი ს. მაშინ, ერთი კითხვა მაქვს.

ბ რ ძ ე ნ ი. თქვი, ამჯერად უფასოდ გიპასუხებ.

ი ს. ჩვენს დროს, კოსმოსურ ხანაში, რომელი ძრავია ყველაზე უტყუარი წინმსვლელობისათვის?

ბ რ ძ ე ნ ი. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ შენ საით მიიწევ.

ი ს. მე მხედველობაში მაქვს კარიერა, სამსახურებრივი მდგომარეობა.

ბ რ ძ ე ნ ი. მლიქვნელობა ის ჯახრაკი სახედარია, რო-

მელიც ყოველთვის იყო და ყოველთვის იქნება უმთავრესი და სანდო ტრანსპორტი კარიერისაკენ.

ი ს. კი, მაგრამ ყველას პირში და ზურგს უკან ქება, როგორც შენ ღაღადებ, ყოველთვის არ გამოდგება. სამსახურში თუ არავინ ლანძღე, უქნარას სახელი გექნება,

ბ რ ძ ე ნ ი. ლანძღე. ვინც ჩამოგრჩა, ვისაც დაეწიე, მის ღირსებებში ეჭვი შეიტანე, შენს ჯახრაკს დეზები შემოარტყი და შენზე წინ ვინც არის, აქე და ადიდე.

ი ს. ჰმ. . .ჰმ. . .ჰმ. . .

ბ რ ძ ე ნ ი. რადგან სიტყვამ ძრავები მოიტანა, არსებობს ავტომანქანა „ვოლგას“ მოგებული ლატარიის ბილეთი.

ი ს. მაგ მე არ მაწყობს.

ბ რ ძ ე ნ ი. სწორედ რომ გაწყობს.

ი ს. ფუფუნების საგანია.

ბ რ ძ ე ნ ი. მანქანა თუ გაქვს, მოასწრებ სამი ადგილის შემოვლას, მე არ მაქვს და ერთ ადგილამდე ძლივს მივაღწიე. ასე, მარტო ერთი თვე რომ გაგრძელდეს, შენ ასჯერ გამასწრებ, მიხვდი?

ი ს. კი.

ბ რ ძ ე ნ ი. ჰოდა. ეს არის ფუფუნება?

ი ს. ეს... რა თქმა უნდა... მაგრამ „ვოლგა“—ყვირის! არაშრომითი შემოსავალი... მე უფრო რამე ისეთი... „მოსკვიჩი“ ან „ფიატი“.

ბ რ ძ ე ნ ი. ეს ლატარიის ბილეთია!

ი ს. კი, მაგრამ მაგას ვიღა ჭამს, ბრძენო?

ბ რ ძ ე ნ ი. ძალიან კარგად ჭამენ, ფაქტი ჯიუტია. რაც მთავარია, შენ თითქმის მუქთად ჩაგივარდება ხელში.

ი ს. როგორ?

ბ რ ძ ე ნ ი. ერთი კაცის ბინის მიღების საქმე უნდა დააჩქარო. აგერ ახლა შენი კაბინეტიდან გამოვიდა.

ი ს. რომელი, ავტოკალმისტრიანი?

ბ რ ძ ე ნ ი. ჰო.

ი ს. სანდოა?

ბ რ ძ ე ნ ი. რაკი მე ვამბობ...

ი ს. მერე?

ბ რ ძ ე ნ ი. ფასის შესახებ არაფერს გეტყვი, შენ თვითონ გაიკითხ-გამოიკითხე, შეამოწმე. მერე მე შემოგივლი. მოდის?

ი ს. მოდის. (გაუწოდა ხელი).

მოქმედება გადადის კანცელარიაში. იქ უკვე მომლოდინე ხალხის რიგი აღარ ჩანს. თავთავიანთ მაგიდებს უსხედან მდივანი, ადგილკომი და მდივნის ქმარი. შემოდის გამხდარი, პატარა ტანის მთხოვნელი.

მ დ ი ვ ა ნ ი. დღეს ყოველგვარი მიღება დამთავრებულია.

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი. სასწრაფოდ გამომგზავნეს თქვენთან, კანცელარიაში. აი, ინებეთ. (აწვდის ქაღალდს). ეს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა.

მ დ ი ვ ა ნ ი (კითხულობს. თუ დამდგმელები აქტიორებთან ერთად მოისურვებენ, შეუძლიათ რაიმე საჭირბოროტო საკითხი წამოჭრან ამ მთხოვნელის პირით). ეს მე არ მეხება, აი მასთან მიდით (ანიშნებს მთვლემარე ადგილკომზე).

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი. (მივიდა ადგილკომის მაგიდასთან). ინებეთ, გეთაყვა, ჩვენთვის ეს საკითხი საგანგაშო და სასწრაფოა.

ა დ გ ი ლ კ ო მ ი (გამოფხიზლდა). ჰო, რაშია საქმე? (კითხულობს). მაშასადამე თქვენ გსურთ... აჰ, აჰ, ოჰ, ოჰ. ოჰ, კარგი, კარგი. ჰო, ეს მე არ მეხება.

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი. მე თქვენთან გამომგზავნეს.

ა დ გ ი ლ კ ო მ ი. გიმეორებთ, რომ ეგ ჩემი საქმე არ არის, იმ მაგიდას მიაკითხეთ.

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი. (მივიდა მესამე მაგიდასთან, საიაც ზის ქმარი). თქვენთან გამომგზავნეს, სასწრაფო საქმეა...

ქ მ ა რ ი (არც კი წაიკითხა, ისე დაუბრუნა ქაღალდი). ლუდმილა ვასილიევნა, უთხარი ამ კაცს, ვისთან მივიდეს.

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი. მე უკვე ვიყავი მასთან.

ქ მ ა რ ი. მიდი, მიდი, გასწავლოს, რა უნდა ქნა.

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი (მივიდა მდივანთან). მე ისევ თქვენთან მოვხვდი, გამიგეთ, გეთაყვა, ძალიან საჩქარო საქმეა.

მ დ ი ვ ა ნ ი. მე ხომ გაგაგზავნეთ პირდაპირ (უთითებს ადგილკომზე).

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი. იცით რა...

მ დ ი ვ ა ნ ი. წადი, კაცო, ხომ გეუბნები, ქართული ენა არ გესმის, ის გასწავლის...

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი. გამიგეთ, გეთაყვა, ეს პირადი საქმეკი არ არის, საზოგადოებრივია.

მ დ ი ვ ა ნ ი. მიდი... (ნელა წაკრა ხელი ზურგში).

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი (გაუწოდა ქაღალდი ადგილკომს). მე პირად საქმეზე არა ვარ მოსული, დაწესებულების წარმომადგენელი ვარ.

ა დ გ ი ლ კ ო მ ი (იღვიძებს). კიდევ შენა ხარ? არ გააჩირა საქმე! (გაკკრა ხელი ქმრისკენ). იმასთან მიდი-მეთქი, ხომ გითხარი...

მთხოვნელი წამორძიკდა და გადაიქცა ბურთად. იწყება ფრენ-ბურთი.

ქ მ ა რ ი. ოპა! (მოიგერია ბურთი და გაისროლა მდივნისაკენ).

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი ს ხ მ ა. მე ხომ საზოგადოებრივ...

მ დ ი ვ ა ნ ი. ოპლა! (აწოდებს ბურთს ადგილკომს).

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი ს ხ მ ა. სასწრაფო საქმეა...

ა დ გ ი ლ კ ო მ ი. ოპლა! (აწოდებს ბურთს ქმარს).

კამინეტიდან გამოდიან ის და ბრძენი. ის აცილებს ბრძენს კარებამდე. ორივეს უხდება მიხვეულ-მოხვეულად, სლალომით გაიკაფოს გზა ფრენბურთელთა შორის.

მ თ ხ ო ვ ნ ე ლ ი ს ხ მ ა. პირადი არ არის...

ქ მ ა რ ი. ოპლა.

მ დ ი ვ ა ნ ი. ოპლა (ააგდო მაღლა ბურთი).

გასასვლელი კარებიდან დაბრუნდა ის და ბურთს ურტყამს თავურს. ისმის გატეხილი ბინის მსხერევის ხმა. ყველანი ყვირიან: არის! თუ მსახიობი თავურით ვერ მოახერხებს ბურთის დარტყმას, შეუძლია ფეხი სთხლიშოს.

ფ ა რ დ ა.

მ ე ხ უ თ ე ს უ რ ა თ ი

მანანას ბინა. სასტუმრო ოთახში სხედან მანანას დედა და სტუმარი ქალი, ყოფილი მეზობელი.

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. ეს რაღაც კოლოსალური საშინელება იყო, წარმოუდგენელი კოშმარი, „მონ შერ!" თქვენ უნდა გენახათ, რა დღეში იყო მამაჩემი, ალექსანდრის კიდევ პირდაპირ პეშვით ვუყრიდი პირში ვალიდოლს. ახლაც, რომ დავფიქრდები, სიზმარში მვონია თავი. ჩვენი მანანა, ეს უმწიკვლო და უზადო ქმნილება, რომელიც ასეთი გულუბრყვილო ბავშვია ჯერ, აი, იმ ფაფას, აი მამაჩემი დილდილობით რომ იმზადებს ხოლმე...

ყ ო ფ ი ლ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი. შვრია.

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. დიახ, დიახ, შვრიას ხორბლის ფაფისაგან ვერ არჩევს და საერთოდაც, ჩემო კარგო, საიდუმლოდ მოგახსენებთ, უცნაურია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის ჯერ კიდევ... (აკეთებს გაურკვეველ ჟესტს) ხა-ხა-ხა. (შემდეგ ჩურჩულით განაგრძობს, მეორე ოთახში რომ არ გაიგონონ). და უცებ ასეთი გაუთლელი გლეხის ხელში ჩავარდა! სამი ღამე ცრავის გვიძინია, სამი ღამე! ვეძებდით, ვრეკავდით, ვყვიროდით, ვტიროდით... ბოლოს როგორც იქნა, მივიღეთ პატარა ბარათი, თითქმის სისხლით ნაწერი... ყოველ შემთხვევაში ჩვენ ასე აღვიქვით, „მონ შერ," ის

ცრემლებით დაპკურებული სტრიქონები.

ყ ო ფ ი ლ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი. უი, უი, უი, წარმოდგენილი მაქვს, რა მხსნელ ანგელოზად მოგევლინებოდათ ფოსტალიონი.

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. „პარდონ", ჩემო კარგო, რის ფოსტალიონი. წერილი მოგვიტანა მათმა მეგობარმა — ჩვენი მეგობარი, თუ დამიჯერებთ ასე ეწერა წერილსა შიგა (გზა და გზა ავიწყდება სიფრთხილე, როდესაც ახსენდება, ხმას უდაბლებს). მეგობარს თვალები აქეთ-იქით გაურბის, რომ შევხედე, შემეშინდა, ისეთი ძველი და გაზინზლული ფრენჩი ეცვა. შარვალზე კი, აპლიკაციები ნაკერ-ნაკერზე, უზარმაზარი ფეხსაცმელები და მდელოსფერი წინდები.

ყ ო ფ ი ლ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი. უნდა დაგეჭერინებინათ.

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. როგორ, ჩემო კარგო, როგორ. როდესაც ბავშვი გვწერდა, ჩვენი მეგობარიო. გარდა ამისა, თურმე, განგებ იცვამს ასე, ყოველ შემთხვევაში მანანა მარწმუნებს — ახლა ასეთი მოდააო.

ყ ო ფ ი ლ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი. მთელი ჩემი ახალგაზრდობა კარგი ჩაცმის და გასუქების ოცნებას შევალიე. დღეს კი, როცა ყველაფერი თავზესაყრელია, თავს შიმშილით იკლავენ და ძონძებში დადიან.

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. აა ჰ! გემოვნების ეს კოლოსალური დაცემა პირდაპირ მსპობს. ახალგაზრდები ტაკიმასხარებივით არიან გამოწყობილნი.

სცენის სიღრმიდან გაისმის ტაკიმასხარას ღრმა ამოოხვრა.

ჰოდა. იმას გეუბნებოდით, „მონ შერ," ამ ბარათიდან გავიგეთ, რომ მანანა შეურიგდა თავის ბედს, წერილში ასეც იყო ნათქვამი: რას იზამთ, საყვარელო მშობლებო, ასეთი ყოფილა ჩვენი ბედიო.

ყ ო ფ ი ლ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი. გასაგებია, თქვენ რა-

ლას იზამდით?!

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. ო, არა! ჩემი ალექსანდრე და მამაჩემი მაინც წავიდნენ და პირადად დაკითხეს მანანა, სამწუხაროდ, ყოველივე სინამდვილე აღმოჩნდა.

ყ ო ფ ი ლ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი. ჩანს, მართლა იღბალი ყოფილა. გულახდილად რომ ვთქვათ, გარეგნობით ყმაწვილს არა უშავს, მაღალი და ჯანიანი...

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. ჯანი იცოცხლე, ეს სახლი რომ მოაბა და შოლტი გადაუჭირო, რიხინ-რიხინით ჩაიტანს თავის სოფელში, საიდანაც არის ჩამოთრეული.

ყ ო ფ ი ლ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი. ჭურში ვზივარ, ნამდვილად ჭურში, ასეთი ამბავი გადაგხდომია და მე ვერაფერი გავიგე. გამომაყრუა ამ ახალმა იზოლირებულმა ბინამ. რა კარგი იყო ის ჩვენი ძველი ეზო. ხედავ, ვინ მოდის. რა მოაქვს, საიდან. ახალ სახლებში სალაპარაკოდაც ვერავის ვერ დაიხელთებ... მოგაძახებენ საჭორაოდ არ მცალიაო...

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. ამას ჩემი ალექსანდრე არაკომუნიკაბელურობას უწოდებს. ჩუ... მგონი იკადრა ადგომა. ყველანი სამუშაოზე არიან. მანანა ინსტიტუტშია, ეს კი ნებივრობს.

შემოდის დავითი ტრუსიკის ამარა. თმა აბურძგვნია.

დ ა ვ ი თ ი. სადაა ის დამპალი?

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. რა, რა თქვი? რა დამპალი?

დ ა ვ ი თ ი (სარკასტულად). სადაა თქვენი ქალიშვილი და ჩემი ძვირფასი მეუღლე?

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. როგორ ბედავთ... ოჰ, დამიჭირეთ, ცუდად ვარ, „მონ შერ" გაიგონეთ, და-მპა-ლი! როგორ ბედავთ-მეთქი ჩემი თანდასწრებით ჩემი ქალიშვილის გინებას.

დ ა ვ ი თ ი. მერე ვინ იგინება... მაგას ჯობია ერთი

ბოთლი „ბორჯომი“ მიშოვოთ, თავი მისკდება (გადის).

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. არა, გაიგონეთ? დაგვცინის კი-დეც. რა თავხედობაა! დღესვე ვეტყვი ალექსანდრეს, ან-ის, ან-მე!

ყ ო ფ ი ლ ი მ ე ზ ო ბ ე ლ ი. დაწყნარდით, ძვირფასო, ეტყობა ბიჭი ნაწყენია, სიძედ რომ არ გინდოდათ...

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. არ გვინდოდა, რას მიქვია, „მონ შერ“ შეამჩნიეთ, რგორ დადის განგებ ტიტველი? (ყვირის). თქვენ ბლიაჟზე არ ბრძანდებით, აქ ოჯახია. კეთილი ინე-ბეთ და ბლებეური ჩვევები, თქვენი მდაბიო წრისთვის შემოინახეთ. არა, დამპალიო! 'მერედა, ვინ ამბობს ამას, ეს უსახლკარო მაწანწალა, მოძალადე და უვიცი! (შემოდის დავითი ჩაცმული).

დ ა ვ ი თ ი. ჩუმად! რას კაპასობ, ჩემთვის ეგ „ატრა-ქენიას“ არ იძლევა. ჯერ ერთი, მე მოძალადე არ გახლა-ვართ, ეს თქვენმა ძვირფასმა ქალიშვილმაც დაადასტურა, მეორეც, ქონების შესახებ ჯერ თქვენ არაფერი იცით. ხა-ხა. იქნება მეც მაქვს რამე. განათლება არ მოგწონთ ჩემი? ესეც თქვენს ალექსანდრეს და ძველ ბოლშევიკს დააბრალეთ, რატომ არ მაწყობენ ინსტიტუტში, მე რა. უარს ვამბობ?

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. მაგას ვერ მოესწრებით, სანამ მე...

შემოდის შურიკა.

შ უ რ ი კ ა. მშვიდობა სახლსა ამასა, დედიკო, რაშია საქმე? რითა ხარ უკმაყოფილო?

დ ა ვ ი თ ი. ჩემი თავიდან მოცილება სურს, იცით, რას გეტყვით, ძვირფასო სიდედრო...

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. თქვენ ჩემთვის უცხო ხართ, მე თქვენ კოლოსალურად მეზარებით, ჭირივით მძულ-ხართ.

შ უ რ ი კ ა. ფროიდი კი სწორედ ამის საწინააღმდეგოს ამტკიცებს: სიდედრს ისევე უყვარს სიძე, როგორც მის საყვარელ ქალიშვილს თავის ქმარიო.

მ ა ნ ა ნ ა ს დ ე დ ა. „მონ შერ", გავეცალოთ აქაურობას. თორემ ესენი ინფარქტს დამმართებენ, წავიდეთ ჩემს ბუდუარში.

გადიან.

დ ა ვ ი თ ი. ბუდუარი! გაგაბუდუარებთ მე თქვენ, თუ ბიჭი ვარ, როგორ არის საქმე?

შ უ რ ი კ ა. ფული უკვე ბრეზნევანაა, რამდენიმე წუთის შემდეგ აქ გაჩნდება, ჩვენ გამოვართმევთ ფულს და მივცემთ ბილეთს.

დ ა ვ ი თ ი. ოოოჰ, ძალიან კარგი, ძალიან კარგი...

შ უ რ ი კ ა. გრიშას ბინის საკითხმა გაართულა საქმე. მაგრამ საბოლოოდ ესეც დადებითად გადაწყდა, ამ დღეებში ორდერს მიიღებს.

დ ა ვ ი თ ი. ღმერთი არ გაგიწყრეს და გრიშას არაფერი უთხრა, თორემ დაიწყებს — ქრთამიო, კორუპციაო...

შ უ რ ი კ ა. კორუპცია გზას უხსნის ახალ კანონებს! ჯვარი სანამ სათაყვანებელ საგნად გადაიქცეოდა, წვალებრის იერაღად იხმარებოდა!

დ ა ვ ი თ ი. შესაძლებელია, მაგრამ ის აჯობებს უთხრა — ნაცნობი იყო და უანგაროდ დაგვეხმარა-თქო.

შ უ რ ი კ ა. ?

დ ა ვ ი თ ი. მესმის შენი, ეგ გამორიცხულია. გრიშა არასოდეს. არ მიითვისებს ბილეთს.

შემორბის მანანა.

მ ა ნ ა ნ ა. ბიჭებო, ჩე-პე! ჩე-პე!

შ უ რ ი კ ა. რა მოხდა?

მ ა ნ ა ნ ა. გრიშას გადაუწყვეტია ბილეთი ჩააბაროს

ბანქანის გამოსაყვანად.

შ ურ ი კ ა. ვინ თქვა?

მ ა ნ ა ნ ა. თვითონ, აგერ შემხვდა კიბეზე.

შ ურ ი კ ა. კი მაგრამ, როგორ ჩაუვარდა ხელში ბილეთი, ბილეთი შენ არ გქონდა, დათკა?

დ ა ვ ი თ ი. შემთხვევით თუ წააწყდა კარადაზე.

შ ურ ი კ ა. კრეტინი ხარ, რა...

დ ა ვ ი თ ი. რა ვქნათ?

შ ურ ი კ ა. ფინიტე ლა კომედი!

მ ა ნ ა ნ ა. ეს ტრაგედიაა და არა კომედია.

შ ურ ი კ ა. ყოველი ტრაგედია გარკვეულ მომენტამდე უფრო მეტადაა კომედია, ვიდრე თვითონ კომედია, და პირიქით!

დ ა ვ ი თ ი. აფორიზმები გვიშველის ახლა ჩვენ?

მ ა ნ ა ნ ა. ჩემი აზრით, მანქანა უნდა ჩავიგდოთ ხელში.

შ ურ ი კ ა. საცაა ბრძენი მოვა...

მ ა ნ ა ნ ა დარწმუნებული ვარ, გრიშა უარს არ გვეტყვის, „კაკ მოჟნო“ ახალი ოჯახი გვაქვს შექმნილი... და მერე გრიშა ხომ მხოლოდ გაყიდვის წინააღმდეგი იყო პრინციპში?!

დ ა ვ ი თ ი. რა ჯანდაბად მინდა მანქანა, ფულია საჭირო, შენ მშობლებს კიდევ ეს სულ არ ადარდებთ, არც არაფერში გვეხმარებიან.

მ ა ნ ა ნ ა. მეტი რაღა დახმარება გინდა. ისინი გვაჭმევენ, ისინი გვაცმევენ და ბინადაც იმათთან ვართ.

შ ურ ი კ ა. ახლავე უნდა ჩავიდეთ ქვემოთ. (გარბიან).

მ ა ნ ა ნ ა. დათკა, საყვარელო (უახლოვდება და მოეხვევა). რაში გვჭირდებიან ეს თაღლითები. ყველაფრით უზრუნველყოფილნი ვართ — საჭმელ-სასმელით, ტანსაცმლით, ბინით...

დ ა ვ ი თ ი. შენ კიდევ შოფრის წიგნაკიც მიიღე კოკოშასგან.

მ ა ნ ა ნ ა. მერე შენც ისწავლი ტარებას, ვოლგა ჩემი დიდი ხნის ოცნებაა.

დ ა ვ ი თ ი. გრიშა შენ ხომ არ წააქეზე?

მ ა ნ ა ნ ა. დალაგებული კაცი რომ იყოს, ერთ წუთს არ დავფიქრდებოდი, მაგრამ გრიშასაგან ყველაფერია მოსალოდნელი.

დ ა ვ ი თ ი. ვითომ შენი მშობლები ანგელოზები არიან, ორი კვირა ვერ აუტანივართ. არ უნდივართ? სიამოვნებით წავალ.

მ ა ნ ა ნ ა. წახვალ და ვერ დაამტკიცებ, შენი რომაა ბილეთი.

დ ა ვ ი თ ი. ჩემი წასვლა სიმბოლური იქნება, მე თქვენს ბინაში მუდმივად ჩავეწერე, ეს იმას ნიშნავს, რომ...

სინათლე ქრება. დიდი ტელეეკრანი ციმციმებს, მოძრაე ტალღებად ისერება. ისმის ხანგრძლიეი ხველება. ეს ბრძენია. ავანსცენაზე გამოჩნდებიან შეიარაღებულნი: ბრძენი, შურიკა, დავითი, მანანა. აღელვებულნი კამათობენ და აწყვეტინებენ ერთმანეთს. გაურკვეველი ადგილი ტირსაც ჰგავს, ბუჩქნარს და გრიშას ოთახსაც. კუთხეში დგას გრიშა, მანეკენის პოზაში, გულზე დიდი სასტენდო ნიზანი ჰკიდია. მბეუტავ სინათლეში მოჩანს სტენდი თუ კარადა. მას დაყრდნობია მანანა და უმიზნებს გრიშას, გვერდზე უდგას დავითი, ჩასაფრებული არიან: ბრძენი იატაკზე, სკამის თუ ბუჩქის უკან, მოღუნული თოფით, შურიკა. ისმის სუსტი ჩხიკინა სროლის ხმა, როგორც ტირში,

მ ა ნ ა ნ ა. ახლა უკეთესია, ხედავ, წრეს მივუახლოედი.

დ ა ვ ი თ ი (მანანას). ცოტა დაბლა დაუწიე, ვეღარ გაიგე? ნუ სუნთქავ ჩახმახის გამოკვრის დროს,

სროლის ხმა.

დ ა ვ ი თ ი. შენ რა, განგებ აკეთებ? აი, შეხედე.

(დაუმიზნა, სროლის ხმა), არის! (გრიშას ორივე ხელში აგური უკავია, როგორც კი დავითი ესვრის, მარჯვენა ხელით თავში იცემს აგურს გამუდმებით და ისე, თითქოს მოსამართი ზა ბარიანი სათამაშო იყოს) ხა-ხა, წავიდა.

შ უ რ ი კ ა. სუუ... ჩუმად (უმიზნებს მოღუნული თოფით, თავი ბუჩქებში ჩარგო. სროლის ხმა. მიზანი აღებულია გრიშა მეორე ხელითაც იცემს აგურს თავში). ბრძენო, რეკე, შენი ჯერია.

ბრძენი უმიზნებს ესვრის. გრიშა განაგრძობს აგუოებით შახსეი-ვასსეის და ბრძენის გასროლისთანავე მონოტონურად გაიძახის...

გ რ ი შ ა. ტრა-ტარა-ტორი, ტარა-ტორი-ტამ, ხალამ-ბალამ, ბალამ-ხალამ...

შურიკა, ბრძენი, დავითი, მანანა გამოდიან საფარებიდან და „ვაშას" ძახილით გარბიან გრიშასაკენ. უცებ სასტენდო მიზანი, რომელიც გრიშას ჰკიდია მკერდზე, გამოეყოფა გრიშას და ფეთქდება. გრიშას გარდა ყველანი ძირს დაცვივდნენ, მან კი ყველას ზურგი შეაქცია და დემონსტრაციული ნაბიჯით გასწია კულისებისაკენ. ავანცენაზე ტაკიმასხარაა.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. თურმე ხანდახან მიზანიც ისვრის!

ბ რ ძ ე ნ ი (ცდილობს წამოდგეს ფეხზე). ვაი, ვაი, ეს რა ტაკიმასხარაობაა, ვაი...

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. ძროხა დაკლეს, ზედაც ქათამი მიაკლეს, ღორი დაკლეს, ქათამი მიაკლეს, ცხვარი დაკლეს, კიდევ ქათამი? (ნიშანს უგებს). ფული რომ იცვლება?!

ბ რ ძ ე ნ ი (წამოხტა). როგორ თუ იცვლება, სად იცვლება? (დაინახა ტაკიმასხარა). დაიკარგე აქედან! შე ბაზრის ტინგიცა, შენა!

ბრძენს გარს შემოერტყნენ შურიკა, მანანა, დავითი, გამალებული ჟესტიკულაციით ლაპარაკობენ.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა (განზე). ბრძენს ხელახლა სურს მოისმინოს ყველაფერი, გაერკვეს დეტალებში, ახლა კი

მას ხველა აუტყდება. შემდეგ შედგება კამათი.

ბრძენი იწყებს ხველებას, ეს მომდევნო სცენა მიდის აჩქარებულ ტემპში.

დ ა ვ ი თ ი. ბილეთის დასაბრუნებლად რაღაც მიზეზი უნდა მოვიგონოთ.

ბ რ ძ ე ნ ი. ასეთი მიზეზი არ არსებობს. კანონი ყოველგვარი მაქინაციის წინააღმდეგია.

შ უ რ ი კ ა. სამწუხაროდ, ბრძენი მართალია და შენ, ჩემო დავით, იმ ეგვიპტელს ჰგავხარ, რომელსაც პირამიდა არ უნახავს.

მ ა ნ ა ნ ა. ძალიან მოხარული ვარ, რომ მანქანა ჩვენ დაგვრჩება!

დ ა ვ ი თ ი. მორჩი ბაზარს! (მოუქნია ხელი გასარტყმელად).

მ ა ნ ა ნ ა. დეგენერატო, ცხოველო, ჩემი მშობლები გიჩვენებენ შენ სეირს, მოიცა, ვუთხრა ბაბუაჩემს! (გადის).

შ უ რ ი კ ა. სწორია, მტერი თუ გინდა შეაშინო, მოკეთეს უნდა დასცხო.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. საკმაო მსჯელობის შემდეგ, პატივცემულო საზოგადოება, გამოსავალი მაინც ბრძენმა მონახა: წელში გასწორდა, ამოიღო ჯიბიდან ჩაჩა, დიდი ამბით დაიხურა თავზე და თქვა:

ბ რ ძ ე ნ ი. რახან ლატარიის ბილეთი აღარ გვაქვს, კლიენტს მანქანა მივყიდოთ!

შ უ რ ი კ ა. თანახმა ვარ! თუკი კაცს უწერია მანქანის ქვეშ მოყოლა, სჯობს მანქანა სასწრაფო დახმარებისა იყოს.

ბ რ ძ ე ნ ი. იმას ეშინია მანქანის თავის სახელზე გაფორმება.

შ უ რ ი კ ა. უნდა დავარწმუნოთ რომ რაც ცუდია, სწორედ ის არის კარგი.

ბ რ ძ ე ნ ი. უცოლო და მარტოხელა კაცია.

შ უ რ ი კ ა. დავითის დედა კიდევ ქვრივია.

ბ რ ძ ე ნ ი. ჰოდა, რახან კანონი კრძალავს მანქანის გაჩუქებას უცხო პირებზე, გვრჩება ერთი შანსი: დავითი აჩუქებს მანქანას დედამისს, დედამისი გათხოვდება კლიენტზე...

შ უ რ ი კ ა. და რა გასაკვირი იქნება, რომ მოხუცმა ცოლმა ახალგაზრდა ქმარს მანქანა აჩუქოს?!

ბ რ ძ ე ნ ი. მერე ხასიათით ვერ შეეწყობიან და გაიყრებიან.

შ უ რ ი კ ა. მორჩა და გათავდა!

დ ა ვ ი თ ი. კი, მაგრამ ძვირი დაჯდება ეს ამბავი.

შ უ რ ი კ ა. ყოველგვარ ხანგრძლივ სიცრუეს მხოლოდ და მხოლოდ მოსყიდვით შეუძლია არსებობა. დიდ ტყუილს დიდი ხარჯიც მოსდევს!

ბ რ ძ ე ნ ი. რასაკვირველია, ხელის შემწყობს უნდა მივცეთ და ვინც ენაზე კბილს დააჭერს.

სინათლე ჩაქრა, ავანსცენაზე მარტო ტაკიმასხარაა.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. უნდა მოგახსენოთ, მეგობრებო, რომ ბრძენმა ბრძანა სწრაფი მოქმედება. სოფლიდან დედის გამოძახება დავითს მიენდო, კლიენტის დამუშავება თვითონ იკისრა. დიდი კამათის შემდეგ დავითისა და შურიკას მხარემ გაიმარჯვა და დადგინდა, როგორც კი დავითის დედა კლიენტთან ხელს მოაწერს, ფული შურიკას უნდა ჩაბარდეს, როგორც შუამავალს.

ტელევიზორის ეკრანზე ჩნდება ავტომანქანა ვოლგა.

თაობირი ამით დამთავრდა, პატივცემულო საზოგადოება, მინდა თქვენი ყურადღება გავამახვილო ერთ ფაქტზე: მე პირადად ხომ არაფერში მიმიღია მონაწილეობა? თქვენი იმედი მაქვს!

ფ ა რ დ ა.

ისევ გრიშას ოთახი. სოფიო და გრიშა.

გ რ ი შ ა. მე მსურდა, რომ შენ დარჩენილიყავი ჩემ-
ან.

ს ო ფ ი ო. კეთილი.

გ რ ი შ ა. მე მსურდა, რომ ჩვენ... მაგრამ ეს ჩემი
მია კიდევ არ ისვენებს, სიდედრმა გამოაგდო და ისევ
ბრუნდება.

ს ო ფ ი ო. გასაგებია, გრიშა.

გ რ ი შ ა. მარწმუნებს შურიკას მეშვეობით მალე
ინას მოგცემენო.

ს ო ფ ი კ ო. ადვილი შესაძლებელია.

გ რ ი შ ა. რატომ არის მერე ადვილი შესაძლებელი?

ს ო ფ ი ო ?

გ რ ი შ ა. მე მსურდა, რომ შენ დღეს დარჩენილი-
ავი.

ს ო ფ ი ო. კეთილი.

გ რ ი შ ა. მოეშვი, თუ ხათრი გაქვს, რეცხვას, თორემ
ოელ ჭურჭელს ფანჯარაში გადავუშვებ.

ს ო ფ ი ო. რატომ?

გ რ ი შ ა. იმიტომ, რომ მიყვარხარ.

ს ო ფ ი ო. მერე ჭურჭელი უნდა დაამტვრიო?

გ რ ი შ ა. აბა რა ვქნა?

ს ო ფ ი ო. ცოტაც მოვითმინოთ.

გ რ ი შ ა. წლები მიდის, ჩვენ კიდევ ვითმენთ და რა-
აცას მოველით... მე მინდა, რომ შენ სამუდამოდ
არჩე ჩემთან.

ს ო ფ ი კ ო. გასაგებია, გრიშა.

კარებზე აკაკუნებენ.

გ რ ი შ ა. დიახ, დიახ, (კარებში გრიშას აწოდებენ უწყებას).

დღეისთვის ბანკში მიბარებენ. ალბათ მანქანას მომცემენ.

ს ო ფ ი ო. გრიშა, გთხოვ, ნუ წახვალ, ნუ გავერევით ამ საქმეში, დაიწყება საჩივრები, ჩხუბი, სასამართლო. რაც არ უნდა იყოს, ძმა არის... სირცხვილია.

გ რ ი შ ა. მანქანის მითვისება არც მიფიქრია. მაგათმა საქციელმა აღმაშფოთა, განსაკუთრებით იმან, რომ სულელად მთვლიდნენ. ავიღე და ჩავაბარე, მაქინაციებს გზა გადავუკეტე.

ს ო ფ ი ო. ძალიანაც კარგი, ახლა ნულარც წახვალ.

გ რ ი შ ა. არა, წასვლა მაინც მომიწევს, ჯერ ერთი — მიბარებენ, მეორეც, ხომ უნდა ოფიციალურად განვაცხადო, რომ პრეტენზია არა მაქვს.

ს ო ფ ი ო. როგორც აჯობებს, ოღონდაც ჩქარა გადავურჩეთ ამ ორომტრიალს. დავითს, შურიკას, ან შენ რძალს როცა ვხვდები, უხერხულობას განვიცდი. ისე იქცევიან, რომ უნებურად თავს დამნაშავედ ვგრძნობ.

გ რ ი შ ა. გადავირევი კაცი, კიდევ შენ გრძნობ თავს დამნაშავედ?!

ს ო ფ ი ო. არა, დამნაშავე კი არ ვარ, მაგრამ არ არის სასიამოვნო. და მერე დავითმა ცოლი შეირთო. . .სადღაც შეიძლება ისინიც სწორი იყვნენ.

გ რ ი შ ა. დღეში ერთხელ გაჩერებული საათიც კი სწორია.

ს ო ფ ი ო. უი, მეორე საათი დაიწყო, შესვენების დრო დამთავრდა.

გ რ ი შ ა. ერთად წავიდეთ, ბანკიც ხომ იქითაა.

გადიან. ცოტა ხნის შემდეგ შემოდის ტაკიმასხარა ჩემოდნით ხელში. დადებს ჩემოდანს და გადის, შემდეგ გამოჩნდებიან მანანა, შურიკა. შურიკას ხელში პორტფელი უპირავს.

მ ა ნ ა ნ ა. ყველაფერი ვაპატიე, ყველაფერი. დავტო-

ვე მშობლიური კერა და ამ საქათმეში გადმოვბარგდი. როგორ უნდა იცხოვროს აქ წესიერმა ხალხმა. გრიშა სადღა დაიძინებს?

შ უ რ ი კ ა. ამ დღეებში მიიღებს ბინის ორდერს.

მ ა ნ ა ნ ა. რა უკვირს, რა, პატარა საქმეა ბინის მიღება? ეს ჩემი დეგენერატი კი ყიდის მანქანას. რატომ? რისთვის?

შ უ რ ი კ ა. ეგ საქმე, ჩიტუნია გადაწყვეტილია. დღეს, როცა თქვენი დედამთილი ჩამოვა და ქორწინება შედგება, ეს ცარიელი პორტფელი ფულით გაიტენება! (პორტფელიდან ამოაქვს ტარანა და პური. იწყებს ჭამას).

მ ა ნ ა ნ ა. მაშასადამე დათკა დედის შესახვედრად წავიდა.

შ უ რ ი კ ა. დიახ, დიახ, შენ კი გევალება გრიშას ნეიტრალიზაცია. უდროო დროს თუ გამოჩნდა, უნდა მოაცილო აქაურობას, გამიგე?

მ ა ნ ა ნ ა. მოდიან, მოდიან.

შ უ რ ი კ ა. აბა, წესრიგში მოიყვანე თავი.

მ ა ნ ა ნ ა. მე რა შუაში ვარ, მე ხომ არ მათხოვებთ?

შ უ რ ი კ ა. პაპიროსი გამოაგდე პირიდან (წაართვა).

შემოდის დავითი დიდი ჩემოდნით ხელში, უკან მოჰყვება ლედაბისი.

დ ა ვ ი თ ი. ეს გახლავს, დედაჩემო, ჩემი მეუღლე!

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. ნენა, ნენა, რა კაია რა კაია, მარა თვალები რატომ აქვს, შვილო, დალურჯებული? მამაშენის სიკეთის არ იყოს, შენც ხომ ცოტა... ა.?

შ უ რ ი კ ა (მივარდება). გამარჯობათ, დეიდა, გამარჯობათ, დაბრძანდით, მოყევით, რა ამბავია სოფლის მეურნეობის ფრონტზე.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. ეე, შვილო, ეე, ნენა, რაღა დროის ფრონტია, ფრონტი კი არა, საკარმიდამოს ვე-

ღარ ვუვლი, ისე დავბერდი.

მ ა ნ ა ნ ა. ჩვენ მთელ იმედებს თქვენს გათხოვებაზე ვამყარებთ და რა დროს სიბერეა.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა (იცინის). რას მიჩივი, ნენა, რას მიჩივი აგერ ახლა სამოცი წელი შემისრულდა.

დ ა ვ ი თ ი. რატომ იმატებ, დედაჩემო, სამოცის რა-ვა ხარ ჯერ?

შ უ რ ი კ ა. ვა! რას ჩააცივდით? საერთოდ ხნიერ ხალხს უყვარს წლების მომატება.

მ ა ნ ა ნ ა. იმიტომ, რომ მეტი არაფერი აქვთ საამაყო.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. გრიშა სადაა? ხომ მშვიდობაა, შვილო?

დ ა ვ ი თ ი. გრიშა მალე მოვა, სამსახურშია.

შ უ რ ი კ ა. ახლა, დეიდა, საქმე შემდეგშია. დავითმა ხომ მანქანა მოიგო, იცით ალბათ.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. ცი, კი, ვიცი.

დ ა ვ ი თ ი. მისი გაყიდვა გვსურს.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. მე არა ვარ, ნენა, წინააღმდეგი, გაყიდეთ, მარა მაი წერილითაც გეიგებოდა.

შ უ რ ი კ ა. ვა! ტო! მაშასადამე თქვენ არ ხართ წინააღმდეგი?

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა არა, ნენა, თუ ასე ჯობია, რატომ ვარ წინააღმდეგი?

შ უ რ ი კ ა. შვილების გულისთვის რას არ იზამს კაცი, ამიტომ, დეიდა, უნდა დაეხმაროთ შვილებს.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. რაია ჩემი დახმარება. ისე კაი გიქნიათ, რომ დაუკითხავად არ გადაგიწყვეტიათ მაი ამბავი, მარა, თლათ სწორი გინდათ, არ ღირდა ამხელა ხაზირად, ამხელა გზად...

შ უ რ ი კ ა. როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრე-

ბათ! მაგალითად, ადამიანს თუ უნდა გათხოვება, დავუშვათ, ქალს, ბეჭედი ხომ არის საჭირო, ხელის მოწერა, ბეჭედი?!

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. მეიცა, მეიცა, ვეღარ დავინამდვილე, რაშია საქმე?

დ ა ვ ი თ ი. ჩვენ გვინდა მანქანა გავყიდოთ მომგებიან ფასში.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. მე გიშლით ხელს თუ?

შ უ რ ი კ ა. პირიქით, თქვენ უნდა დაგვეხმაროთ.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. რაფერ?

დ ა ვ ი თ ი. რაფერ და...

მ ა ნ ა ნ ა. გათხოვებაა საჭირო.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. ჩემი?

შ უ რ ი კ ა. დიახ, დიახ, და საჩქაროდ.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. რამდენი წლისაა ი კაცი?

დ ა ვ ი თ ი. შენზე გაცილებით ახალგაზრდაა.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. ნენა, დამეფსო თვალები! რა გეიგონა ჩემმა ყურებმა. რაფერ შეიძლება აი ამბავი ახლა? მიშველეთ, მიშველეთ!

შ უ რ ი კ ა. დაწყნარდი, დეიდა. ვა, ტო! რა შეიცხადა?!

დ ა ვ ი თ ი. ამას არა ააქვს მნიშვნელობა, დედაჩემო.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. ვიცი, მაგას რომ არ აქვს მნიშვნელობა, ცხონებული ჩემი მაზლი... უი, უი, რა ერქვა ქე დამავიწყდა, ჭადის სახელი რომ დაავიწყდება კაცს, ისეა, ჰო, ათი წლით იყო თავის ცოლზე უმცროსი, მარა რა გინდა, რა? დააბერა ი ქალმა. არა, არა, რაღა დროს ჩემი გათხოვებაა! უი, უი, უი, მიშველეთ!

შ უ რ ი კ ა. დეიდა, დაწყნარდი, ეს ფიქტიური იქნება გამიგე? ბეჭედი და მისი ჯანი... (ხელით აჩვენებს, როგორ ურტყამენ ბეჭედს). მორჩა და გათავდა.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. რაფერ?

დ ა ვ ი თ ი. მე გაჩუქებ მანქანას!

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. მზითვად თუ?

დ ა ვ ი თ ი. შენ აჩუქებ შენს ქმარს.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. მაი შეიძლება?

დ ა ვ ი თ ი. მერე შენ გასცილდები.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. გავცილდებიო?

შ უ რ ი კ ა. რასაკვირველია.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. რაფერ?

შ უ რ ი კ ა. რაფერ და კასფერ.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. თან ვაჩუქო, თან გავცილდე? (დასცინის შურიკას). ვა, ტო.

მ ა ნ ა ნ ა. თუ არ გსურთ დაცილება, თქვენი ნებაა...

შ უ რ ი კ ა. ერთად გადავიხდით ქორწილს, დეიდა.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. რას არ იზამ შვილების გულისთვის, რას!

შ უ რ ი კ ა. აბა, ახლა დროს ნუ ვკარგავთ, საქმრო დიდი ხანია „მმაჩის“ ბიუროში გველოდება, წავიდეთ ჩქარა,

დ ა ვ ი თ ი. პასპორტი არ დაგავიწყდეს.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. მეიცა, მეიცა, სად წევიღე ე პასპორტი. (ეძებს). ხომ არ დამრჩა, იქნება დამეკარგა? საშუდამო იყო, სამუდამო... (ეძებს).

შ უ რ ი კ ა. ესღა გვაკლდა.

დ ა ვ ი თ ი. გაიხსენე სად ჩადევი.

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. მომკალი შვილო და არ მახსოვს.

შ უ რ ი კ ა. იქნებ სულაც არ წამოგიღიათ?

დ ა ვ ი თ ი ს დ ე დ ა. მაგიც შეიძლება...

შურიკა და დავითი მივარდებიან ჩემოდანს. ამოყრიან ნაგვებს. ეძებენ, შურიკა ჩხრეკავს დავითის დედას.

შ უ რ ი კ ა. აქ არის, აქ! ჯიბეში ქონია, აბა გავიქ-ცეთ, თორემ სიძე გადაიფიქრებს, (მანანას). ბაი-ბაი, ჩიტო!
(მკლავს უყრის დავითის დედას და მიათრევს).

მ ა ნ ა ნ ა. მაყრები არ გინდათ? ჩვენც წამოვალთ.

შ უ რ ი კ ა. გაგვაცილეთ ტაქსის გაჩერებამდე. „მმაჩ-ში“ კი ზედმეტი ხალხი არ არის საჭირო.
ყველანი გადიან, შემორბის გრიშა.

გ რ ი შ ა. როგორ მოხდა? ნუთუ ითაღლითეს და გა-დააკეთეს ნომერი. მე ხომ ჩაწერილი მქონდა. (ეძებს უბის წიგნაკს). ახლავე, ახლავე, (მიაგნო და ფურცლავს). აი, სე-რია 49 ... სწორია, ნომერი 994853, ჰო, სამი და არა რვა. სამი და არა რვა! ნუთუ არ შევამოწმე ჩანაწერი? ვინ გაგვამასხრა ასე ბოროტად, იქნებ იმათ ითაღლითეს? ოო, თუ მათი ნახილავია, მე ვიცი, შავ დღეს დავაყრი. წაეთრიონ და აგონ პასუხი. იქ იფილოსოფოსონ გაიძვე-რა შურიკამ და ჩემმა ძმამ. ბინას მოგიხერხებთო, გაი-გეთ, არა? ბინას მოგიხერხებთო! ხალამ-ბალამ და ბა-ლამ-ხალამ, 50 წლის შემდეგო. უნდა აიღო და ყურით მოათრიო აქ, აი, შენ ხალამ-ბალამ! (ვიტლაყს ამოარტყამს და შემდეგ კინწისკვრით აგდებს წარმოდგენილ კაცს). ჩქარა თქვი, მერგება თუ არა? აი, შენ ხალამ-ბალამ! შენ მანდ გა-ჩუმდი! შენი დროც მოვა, შე გაიძვერა, და მაშინ იტყვი, სტუმართმოყვარეობა გადანაშთია თუ ძალმომრეობა. (შეამჩნევს აწეწილ ჩემოდანს). ეს რაღა ოხრობაა? ჩემი რძალი გადმობარგებულა. ძალიან კარგი, ძალიან კარგი, მე სადღა მიპირებთ მოთავსებას, მე სადღა დავწვე? თქვენს შეპირებულ ორდერზე? ჯერ დამიმტკიცეთ, საი-დან გაჩნდა სამის მაგიერ რვა და მერე...
შემოდიან მანანა და დავითი.

დ ა ვ ი თ ი. შენს თავს ელაპარაკები?

გ რ ი შ ა. თქვენ ელაპარაკებით და კიდევ იმათ, ვინც

აქ უნდა იყოს ამჯერად.

მ ა ნ ა ნ ა. რა გინდათ თქვათ, პრინციპში, გრიშა, და ვინ გყავთ მხედველობაში?

გ რ ი შ ა. მე თქვენც მყავხართ მხედველობაში, ძვირფასო, რძალო! და სათქმელი კი ასეთი ხასიათისაა: ლატარიის ბილეთი ყალბი გამოდგა.

დ ა ვ ი თ ი. რას ბოდავ?

მ ა ნ ა ნ ა. გადავირევი, მგონი „დიშოვი შანტაჟის" ახალი ვარიანტი იწყება.

გ რ ი შ ა. აი, უწყისები. (აჩვენებს). ორივეს სახელზე. ხვალისთვის გვიბარებენ და იქ გაირკვევა, შანტაჟია თუ მონტაჟი. შენ კიდევ, დავით, კეთილი ინებე და მიპასუხე: როგორ გადაიქცა სამი რვად?

დ ა ვ ი თ ი. ცოტა ხომ არ აფრენ? გაგვაგებინე, რაშია საქმე?

მ ა ნ ა ნ ა. ბილეთი შეგვიცვალა! მე ხომ გეუბნებოდი, ყველაფერია-მეთქი მაგისგან მოსალოდნელი! შეგვიცვალა და ახლა თავს ისულელებს.

გ რ ი შ ა. ამიტომ წაიკითხეთ უწყისები და შემდეგ — ჩემი უბის წიგნაკის ჩანაწერი. (ორივე მიცვივდა უბის წიგნაკსა და უწყისებს (აგიდაზე).

დ ა ვ ი თ ი. ჩვენი ბილეთი იყო 994858 და არ 53.

გ რ ი შ ა. საქმეც მაგაშია, რომ იყო სამი და გახდა 8.

დ ა ვ ი თ ი. კი მაგრამ, როგორ, როგორ?

გ რ ი შ ა. ეს თქვენ უნდა გკითხოთ კაცმა.

მ ა ნ ა ნ ა. ბილეთი ხომ თქვენი იყო, ჩვენ არაფერი ვიცით, ალბათ თქვენვე გადააკეთეთ.

დ ა ვ ი თ ი. გამაგებინე, რაშია საქმე, თორემ ჭკუიდან ავიწევი.

გ რ ი შ ა. ბილეთის ჩაბარების შემდეგ 10 დღე გავიდა. სახელმწიფო ბანკმა ყველაფერი შეამოწმა და აღმოჩნდა,

რომ სამიანი გადაკეთებულია რვად.

დ ა ვ ი თ ი. ვინ გითხრა?

გ რ ი შ ა. ვინ და სახელმწიფო ბანკში მითხრეს. ხვალ კიდევ თქვენთან ექნებათ საუბარი.

დ ა ვ ი თ ი. ვაი, ვაი, ვაი, ვაი, რა იქნება, რა მოხდება! (ჯდება ჩემოდანზე).

მ ა ნ ა ნ ა. ტყუილს კი არ მეუბნებოდნენ ჩემი მშობლები, ვის გადავეკიდე, ვის? ადექი, მომეცი ჩემოდანი. (დავითი დგება და გამოთაყვანებული დგას გაუნძრევლად, მანანა იღებს ხელში ჩემოდანს). საწყენია, ძალიან საწყენი (ცრუ პათოსით). „პროშჩაი ნავეკი ეტოტ დომ."

გ რ ი შ ა. მეორე ჩემოდანიც წაიღვანეთ.

მ ა ნ ა ნ ა. ეს დედოფლის მზითვებია. (გავიდა).

გ რ ი შ ა. ვინ დედოფლის, რა მზითვები?

დ ა ვ ი თ ი. ვაი, ვაი, ვაი (წვება ტახტზე). ვაი. (შემორბის სოფიო).

ს ო ფ ი ო. გრიშა, კიდევ კარგი, რომ გნახე. ჩქარა, ჩქარა წავიდეთ, ბინის ორდერი გამოგიწერეს. ახლა დარეკეს ჩვენს განყოფილებაში, უფროსთან გიბარებენ, ბინებს ვანაწილებთ და სასწრაფოდ მოვიდესო.

გ რ ი შ ა. არა, არ გამოვა, არა, დღეისათვის საკმარისია. . .

ს ო ფ ი ო. მე თვითონ ველაპარაკე დირექტორს.

გ რ ი შ ა. არა მჯერა, არა.

ს ო ფ ი ო. პატიოსან სიტყვას გაძლევ, რა დროს ხუმრობაა. ჩქარა, გელოდებიან და, სანამ აქედან გავალთ, მინდა პირველმა მოგილოცო.

გ რ ი შ ა. დაიფიცე.

ს ო ფ ი ო. შენს თავს ვფიცავარ.

გ რ ი შ ა. შენი ჭირიმე! (კოცნის).

ს ო ფ ი ო. გავიქცეთ! (ხელიხელ ჩაკიდებული გარბიან).

ტახტზე გაოგნებული წევს დავითი. ფანჯრიდან ისმის მორიგეს ჩხუბი.

ქ ა ლ ი ს ხ მ ა. „პომეშჩიკ ნაშოლსა, ვაინუ ზახოტელ.“

მ ა მ ა კ ა ც ი ს ხ მ ა. „უიდი ოტსიუდო, უიდი.“

ქ ა ლ ი ს ხ მ ა. „ნე ტროგაი, ია სუმაშედშაია, ვსიო პოლამაიუ, უ მენია ბუმაკკა!“

მ ა მ ა კ ა ც ი ს ხ მ ა.

ჯერ არც ერთ გიჟს არ უთქვამს — გიჟი ვარო.

ატყდა წივილ-კივილი, ხმაური,შემდეგ უცებ სიჩუმე ჩამოვარდება და ამ სიჩუმეში ისმის: „არა, მითხარით რა შუაშია აქ კომენდანტი?“ დავითი დგება და მიაჯახუნებს ფანჯრებს, კეტავს.

ფ ა რ დ ა.

ავანსცენაზე გამოჩნდება ტაკიმასხარა.

— ასე და ამგვარად, პატივცემულო მაყურებელო, გრიშამ ბინა მიიღო, გადაიხადა ქეიფი და ითხოვა სოფიო. დავითი და მანანა განქორწინდნენ. შურიკა, როგორც კი ლატარიის ბილეთის ამბავი გაირკვა, ქალაქიდან გაქრა იმ ფულთან ერთად, რომელიც მიბარებული ჰქონდა, როგორც შუამავალს. ბრძენს და კლიენტს, ავტომანქანის მყიდველს კი აი, ეს წერილი დაუტოვა (ამოაქვს ჯიბიდან, კითხულობს). „თაღლითობა გადამდები სენია. დღევანდელი მსხვერპლი ხვალ მომტყუებლად მოგეევლინებათ. (მაყურებლისაკენ). ეს ეპიგრაფია! (განაგრძობს კითხვას). ბრძენო! შეაგნებინე მაგ შტერს, რომ მომხვეჭველობა არავის შერჩენია, რომ კულაკობა 50 წელია გადავარდა და ერთპიროვნული არაშრომითი შემოსავლით ცხოვრება ჩვენს ეთიკას არ შეეფერება! უნდა გამოგიტყდეთ, ძლიერ გადაღლილი ვარ, ექიმები დასვენებას მირჩევენ. თან მიმაქვს მილიონები, გამოგიგზავნით ლიმონებს! ჩამთვალეთ ხარბად!

თქვენი შურიკა“.

ჰო, კიდევ ერთი. შურიკა, მართალია სამხრეთისკენ წავიდა დასასვენებლად, მაგრამ, ამბობენ, ჩრდილოეთში ამოჰყო თავიო. დასვენების შესახებ კი რა მოგახსენოთ...
ორივე მხრიდან თავქუდმოგლეჯილნი მორბიან ბრძენი და ის.

ბ რ ძ ე ნ ი. (დაინახა ტაკიმასხარა). დაიჭით, დაიჭირეთ, ეგ არის ყველაფერში დამნაშავე, მე ხომ ვამბობდი! კარაულ!

ი ს. ააა. ჩაგვივარდი ხელში, შე მაწანწალავ, შე ფოკუზნიკო, გამძარცვეთ და კიდევ ბებერი ქალი მათხოვნინეთ. მე შენ გიჩვენებ, როგორ უნდა ტაკიმასხარობა, (სტაცეს ხელი კისერში). ჩამოგკიდებ მაგ შენ გრძელ ენაზე... ენით...

ბ რ ძ ე ნ ი. სად არის ის, სად? სამი და რვა. მე შენ გეკითხები, სად არის ლიმონები, დაწყევლოს ეშმაკმა, მილიონები? მე ხომ ვამბობდი, მე ხომ ვამბობდი...
(მიათრევენ ფეხებით კულისებისაკენ).

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა ს ხ მ ა. ძმებო მატროსებო! ძმებო მატროსებო! ნახვამდის, ხომ გეუბნებოდით, ჩემზე გადატეხავენ-მეთქი!

უცებ გაუსხლტება ხელიდან ბრძენს და გამოვარდება ისევ ავანსცენაზე.

ტ ა კ ი მ ა ს ხ ა რ ა. საშუალებას არ მაძლევენ გამოგეთხოვოთ. დიდი პატივისცემით, მომავალ წარმოდგენამდე, ნახვამდის!

ფ ა რ დ ა.

ს პ რ ჩ ე ვ ი

ეთერიანი 3

სტუმარი 65

ტაკიმასხარა 141

რედაქტორი ნ. ხელაძე
მხატვარი ნ. ნარიმანიძე
მხატვრული რედაქტორი ზ. კაპანაძე
ტექ. რედაქტორი მ. გველესიანი
კორექტორი ი. ნემსაძე.

ალაეცა წარმოებას 14/XI-85 წ.
ელმოწერილია დასაბეჭდად 10/XII-86 წ.
ალალის ზომა 70×90 1/32
ასაბეჭდი თაბახი 7,61
ალაღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,25

მკეკვ. № 756, უე 04836, ტ. 5000

ფასი 65 კაპ.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება

თბილისის № 111 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური
სასწავლებელი
მეგობრობის გამზირი 7 ა

Тбилисское № 111 среднее профтехническое училище,
проспект Дружбы, 7 а.